ლევან სანიკიძე

K 234.157 / 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული სანაგვე

I ნაწილი

ლევან სანიკიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხატი და სახატე

„ხატია ჩემი სამშობლო,
სახატე - მთელი ქვეყანა“.
აკაკი

დამტკიცებულია საქართველოს განათლების
სამინისტროს მიერ

გამომცემლობა „ᲓᲘᲐ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
1999

9(100)+9(479.22)(075)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

63.3(2г)
947.922(075)
ს 263

სპეგ-2000
შემოწმებულია

© ლევან სანიკიძე 1999

ISBN - 99928-42-13-X

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვლავ ჩემი კახას ხსოვნას,
ნათელსა უნათლოებსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ი ნ ა ბ ა ს ი

ამ წიგნის სახელწოდება - „ხ ა ტ ი დ ა ს ა ხ ა ტ ე“, სულკურთხეული აკაკი წერეთლის მადლმოსილი სტრიქონებიდან მოვლინებული - მკითხველს უმალვე მიანიშნებს ავტორის განაზრახს: ერთად, ერთმანეთის გასწვრივ, ანუ „პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ა დ“ წარმოადგინოს საისტორიო თავგადასავალნი ჩვენი მშობელი საქართველოსი და მსოფლიოს სხვა მეწინავე ქვეყნებისა.

სრულიად კაცობრიობა ხომ ყველა ხალხით, ყოველი ეთნიკური გვარჯილაგით, მათ შორის ქართველებით, ერთად ცხოვრობს - ერისა და იმავე ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ა ზედა და ზ ე ყ ა ნ ა ს ა ქვეშე. ხოლო, მისი უკიდეგანო საისტორიო თავგადასავალი, თავიდან ბოლომდე ს რ უ ლ ქ მ ნ ი ლ ა დ (სრულქმნილად-მეთქი!), ჯერ არც დაწერილა და ვერც ვერასოდეს დაიწერება. არამედ, იწერება და კვლავაც დაიწერება „მსოფლიო ისტორიები“ მხოლოდ ზედმეტნაკლები „სისრულით“ - ხალხთა, დროთა და ქვეყანათა დანაწევრებით. ამდენად, ის „აკვიატებული სრულქმნილება“ ამ წიგნისთვისაც, ბუნებრივად, უცხო იქნება.

მაგრამ მაინც, ასეთი „პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ა“ ერთი ხალხისა დანარჩენ ხალხთა ისტორიასთან - უკეთუ არ ვცდები, ჯერ საერთოდ არ დაწერილა და, ვინძლო ეს პ ი რ ვ ე ლ ი ც დ ა ავტორს კადნიერებად არ ჩაეთვლება.

ქართველისგან დაწერილ წიგნში, ქართველთა ისტორია მაინც მეტი სისრულითაა წარმოდგენილი და მკითხველს ნურც ეს გააკვირვებს. დიდი გერმანელი ისტორიკოსი, თეოდორ მომზენი, როცა რომის, იტალიის ისტორიას თავის მშობლიურ გერმანულ ენაზე წერდა, უწინარესად ამას ამბობდა: იტალიურ-სამნიტური შტუდიების წერის ჟამს, ერთის წუთითაც რომ ჩემი გერმანელობა დამვიწყნოდეს, მაშინ მე სიცოცხლის ღირსიც არ ვიქნებოდიო... და ასე, მკითხველს ვთხოვ, ამ წიგნის კითხვისას, გერმანელობის ადგილზე ავტორის ქართველობა იგულისხმოს...

წიგნი კი ეძღვნება ყველას - ყოველი „სიმაღლისა“ და „შინაარსის“ მკითხველს: უკვე სწავლულსაც და აწ ყოველი საფეხურის სასწავლებლად გამზადებულსაც, მოსწავლესაც და მასწავლებელსაც, სტუდენტსაც და მის ლექტორსაც; ერთი სიტყვით - მოზარდ ყრმასაც, ზრდასრულსაც და ზრდაგარდასულსაც... ყველას, ყველას, ვისაც კი „ხატი-სახატის“ ერთობილი, დაწყვილებული ისტორია აინტერესებს.

თბილისი,

27 მარტი 1999 წლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც შუბლია დედამიწისა

ქვეყანა *კავკასია* - მსოფლიო თილისმა სუფევს ამ სახელდებაში.

მთა *კავკასიონი* - ვერცხლის შუბლი დედამიწისა, მაერთებელი შუა სახსარი აზიისა და ევროპისა.

ხოლო, დედამიწის შუბლზე, მის სამხრეთ მხარეს, გაშლილია ქვეყანა, რომელსაც ჰქვია - *საქართველო.*

უმშვენიერესი და უჯანსაღესი ნაშობი ზეცისა და დედამიწისა.

დასავლეთით და აღმოსავლეთით, მის ნოყიერ ცისგვამში ორი ზღვის სუნთქვა ერთვის ერთმანეთს - შავი ზღვისა და კასპიის ზღვისა.

სამხრეთის საზღვრად - ანტიკავკასიონი, წინა აზიის შუა წელი, ანატოლია, სომხეთი, ირანი.

თითქოს, სამყაროს დემიურგი საგულდაგულოდ აღზევებული სულით და ნატიფად დახვეწილი ხელით, საგანგებო თავდავიწყებით შესდგომოდეს ამ საოცარი ქვეყნის დახატვას.

მისი მცენარე, მისი ცხოველი, მისი წიაღი, მისი წყარო, მისი ნაყოფი - უხვი, მდიდარი, გემრიელი, მრავალფერი და მრავალსახე.

აქ ცხოვრობს ქართველი ხალხი - უძველესი ხალხთაგანი დღემდე მოღწეულ კაცობრიულ მოდგმათა შორის.

როგორც უდიდესი ცივილიზაციის შემოქმედი ბერძენი ხალხი შექმნილია სამი ნათესავური გვარტომისაგან - იონიელთა, დორიელთა და ეოლიელთაგან, - ასევე სრულიად ქართველი ხალხის შემოქმედიც შეიქმნა სამი მთავარი ნათესავი გვარტომისაგან;

ესენია: *ქართები, მეგრელები, სვანები.*

მრავალ საუკუნეთა მანძილზე და სარბიელზე ეს სამი დედა-გვარტომი იყო მომცველ-გამაერთიანებელი ყველა ქართული მოდგმისა, რომელსაც კი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახელდებით უცხოვრია საქართველოს მიწა-წყალზე: იბერნი, კოლხნი, კახელნი, თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი, წანარნი, ჰერნი, მესხნი, ტაოელნი, კლარჯელნი, შავშელნი, ერუშელნი, ჯავახნი, სპერნი-სასპერნი, კარდუხნი, ეგრისნი, ლაზნი, შკვითინები, ბეხირები, ბიძერები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკრონები, სანები, მოსინიკები, ხალიბები, ჰენიოხები, სანიკები, მისიმიელნი, ოდიშარნი, იმერნი, მარგველნი, აჭარნი, გურულნი, თაკვერელნი, ლეჩხუმელნი, რაჭველნი, დვალნი (ტომობრივი და გეოგრაფიული ადგილ-საცხოვრისის სახელთა მიხედვით).

დედამიწის სხვა შვილთა გვერდით, ათასეულ წელთა სარბიელზე, გარებუნების დასამორჩილებლად და სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად, ქართველ კაცს იარაღად უკეთებია - ქვაც, სპილენძიც, ბრინჯაოც, რკინაც. გამოუვლია პალეოლითიც, ნეოლითიც, ენეოლითიც...

გამოუვლია ორივე გვარიც - დედისეულიც, მამისეულიც.

პრეისტორიის უხანგრძლივესი და უმძიმესი დრამატიზმით ნაწრთობი სულით და სხეულით მოილტვოდა იგი მსოფლიო ცივილიზაციის კარიბჭეებისკენ.

და მოდიოდა ვითარცა: მონადირე და მესაქონლე, მშვილდოსანი და მახვილოსანი, გუთნისდედა და მევენახე, ხურო და მჭედელი, ხელოსანი და ხელოვანი, მშობელი მიწის მოთაყვანე და სამყაროული სიმშვენიერის მოტრფიალე.

ბუნების ძალთა რელიგიურ აღქმასა და გააზრებაში იგი მორწმუნეც იყო, სკეპტიკოსიც. აღმერთებდა: ცხოველთაგან - ხარს, ფრინველთაგან - არწივს, მცენარეთაგან - ვაზს, მნათობთაგან - მზეს, მთვარეს და ცისკრის ვარსკვლავს (სძულდა ცთომილი კუდიანი, ნაწლავნაყარი)...

ბოლოს ქართველმა კაცმა განიერი ნაბიჯით შედგა ფეხი მსოფლიურ მატიანეში, ძველთაძველ თანამიმდევრულ წერილობით ისტორიაში - წინაბერძნულ და ძველბერძნულ „კოსმიურ თავგადასავლებში“, მრავალსახოვან, უმშვენიერეს თქმულებებში.

სწორედ ძველმა ბერძნებმა, მთელი მსოფლიოს უპირველესმა „ნათლიებმა“, ქართველთა სამშობლოს დასანათლავად აირჩიეს აქ მობინადრე ადამიანთა ყველაზე მნიშვნელოვანი და სისხლხორცეული მოსაქმეობა: *მიწათმოქმედება* - საკაცობრიო კულტურული მეურნეობის ყველაზე დიდი დარგი.

და, ბერძნებმა საქართველოს უწოდეს *გეორგია* - მიწათმოქმედთა ქვეყანა.

გეორგია! მსოფლიო ისტორიაში სამარადჟამოდ დაივანა ამ სახელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილს მოგითხრობთ, გარნა ისეთს, ზღაპარივით მოგეჩვენებათ.

ოვიდიუსი

უხვი არქეოლოგიური მასალები სრული სიმტკიცით ადასტურებენ ქართველი ხალხის ძველთაძველობას და მისი კულტურული დონის სიმაღლეს. მაგრამ ისტორიის გაბმული, უწყვეტი და კონკრეტული ქსოვილის აღსადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც წერილობით წყაროებს ენიჭებათ.

ხოლო ქართველთა უძველესი წინაპრების შესახებ წერილობით მოგვითხრობენ ისევ ძველი ბერძნები. ეს არის თქმულებათა მთელი ციკლი „ოქროს საწმისზე" ანუ „არგონაველთა" ლაშქრობაზე „ოქროთი მდიდარ" კოლხეთში. იგი მოგვითხრობს სამიათასხუთასწლოვან ამბავზე, სადაც ერთმანეთში ჩაწნულ-ჩაკირულია მითოსი, ლეგენდა და ისტორია. ჩვენც ერთი თვალის გადავლებით გავიაზროთ ეს თქმულებანი.

დასავლეთში ყველაზე დიდი მბრძანებელია კრეტის მეფე, ზევსის ძე *მინოსი*, აღმოსავლეთში კი - კოლხეთის მეფე, ჰელიოსის ძე *აიეტი*. ამ ორ ხელმწიფეს თანაბარი „უფლებით" უჭირავს „მსოფლიო წონასწორობის" სასწორი; არიან მეგობრებიც, მოყვრებიც - მინოსს ცოლად ჰყავს აიეტის დაი, *პასიფაე*.

ბერძნებს კოლხეთი წარმოუდგენიათ „ოქროს ქვეყნად", სადაც კავკასიონის მთიდან დაქანებულ მდინარეებს მოაქვთ ოქროს ქვიშა. კოლხები მდინარეთა ჩქერებს ცხვრის ტყავებს ჩაუგებენ და, როცა ამოიღებენ, ოქროს ქვიშა ამოჰყვება „ოქროს საწმისებს".

ოქროს ქვეყანაა კოლხეთი და „მზე-ჰელიოსის" ნაშიერებიც ოქროს სხივებს აფრქვევენ თვალთაგან.

მერე, საბერძნეთიდან სიკვდილს გამოექცა ორქომენელი უფლისწული, *ფრიქსე*. იგი ოქროსმატყლოვანი ვერძით მოვიდა კოლხეთის მაშინდელ სატახტოში - *ქუთაიაში* (ქუთაისში) და აიეტს თავშესაფარი სთხოვა. გულუხვმა და გულმოწყალე მეფემ ლტოლვილი კიდევაც შეივრდომა და სიძედაც დაისვა - ცოლად

მისცა თავისი უფროსი ასული - *ქალკიოპე*. ხოლო ოქროს ვერძი, აიეტის ბრძანებით, კოლხმა ქურუმებმა ღმერთს შესწირეს და მისი ტყავი, *ოქროს საწმისად* წოდებული, უმაღლეს მუხაზე დაჰკიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლო დრომ და კოლხეთს ისევ ეწვივნენ ბერძნები - ორმოცდაათი გმირი, თესალიელი უფლისწულის, *იასონის* წინამძღოლობით. ისინი მოვიდნენ ხომალდით, რომელსაც ერქვა *„არგო“* და მათი სახელიც აქედანვე - „არგონავტეს“ (არგონაველები) - შემორჩა ისტორიას.

ახალმოსულნი მიზნად ისახავდნენ, კოლხეთიდან საბერძნეთს წაეღოთ სწორედ ოქროს საწმისი - სიმბოლო ქვეყნის სიმდიდრისა, სიმძლავრისა და მარადიული კეთილდღეობისა.

სანამ კოლხეთს მოატანდნენ, არგონაველები გზადაგზა, სადაც კი ხმელეთზე გადავიდოდნენ, ხმლითა და მუშტით უსწორდებოდნენ ყველა დამხვდურ ძალას. ხოლო, ახლა, კოლხეთს რომ მოვიდნენ - აქ ძალადობით ვერას გავხდებითო, და გადაწყვიტეს ისევ თავაზიანი თხოვნით, ან სხვა რაიმე ხერხით, თუ ხრიკით აღესრულებინათ თავისი განაზრახი.

ამიტომ იასონმა „არგო“ მდინარე ფასისში (რიონი) შეაცურა, ლერწმიანში შემალა, თანამგზავრთაგან ორი - *ტელამონი* და *აკგია* აიყოლია, დანარჩენები იქვე დატოვა და ქუთაისკენ გასწია.

კოლხთა სატახტო დიდის პატივითა და სტუმართ-მოყვარეობით შეხვდა უცხოელებს. აიეტმაც ტკბილად მიიღო სტუმრები. ჯერ საგანგებო ნადიმზე უმასპინძლა, მერე ასე შორეული მგზავრობის მიზეზიც გამოჰკითხა. იასონმაც გაბედა და ოქროს საწმისი გამოსთხოვა. აიეტი ჯერ განრისხდა, მაგრამ იასონის ხვეწნა-მუდარამ გული მოულბო და ბოლოს ასე ბრძანა: ბერძენი უფლისწული მხოლოდ მაშინ მიიღებს ოქროს საწმისს, უკეთუ იგი შეძლებს შეასრულოს ყოველივე, რასაც თვითონ მეფე ასრულებს ყოველთვის, როცა ის ამას მოისურვებს; სახელდობრ: მან მძიმე გუთანსა და უღელში უნდა შეაბას ცეცხლისმფრქვეველი ხარები, ოთხდღიური მიწა ნახევარ დღეში დახნას, თან ხნული დრაკონის კბილებით დათესოს და მათგან აღმოცენებული გიგანტები მახვილით გაჟლიტოს.

ასეთი რამის აღსრულება იასონს არ შეეძლო, მაგრამ ანგარიშმიუცემლად დათანხმდა. საგონებელში ჩავარდნილ გმირსა

და მის თანამგზავრებს მოულოდნელი მხსნელი გამოუჩნდათ. ეს იყო *მედეა*, მეფე აიეტის უმცროსი ასული, რომელსაც თავდავიწყებით შეჰყვარებოდა უცხოელი უფლისწული. მან საკუთარი ხელით დამზადებული წამალი მისცა იასონს. ხოლო, ვინც მედეას ნახელავი ჯადო-წამლით სხეულს დაიზელდა, მას ვერც მახვილი გაჭრიდა, ვერც ცეცხლი დაწვავდა, მთელს სხეულში ღვთაებრივი ძალღონე და სიმამაცე ჩაუსახლდებოდა. მედეა ასეთ წამალს პრომეთეს (იგივე ამირანის) სისხლით ნაპოხ მიწაზე აღმოცენებული ყვავილებისაგან ამზადებდა.

და აი, კოლხთა და ბერძენთა საკრებულოს თვალწინ, იასონმა ყველაფერი ბრწყინვალედ აღასრულა: ცეცხლისმფრქვეველი ხარები გუთანში შეაბა, ოთხდღიური მიწაც ნახევარ დღეში დახნა-დათესა და ხნულიდან აღმოცენებული გიგანტებიც სულ ერთიანად ამოწყვიტა.

მაგრამ თვითონ გრძნეულებას ნაზიარები აიეტი მიხვდა, რომ მხოლოდ მისი ქალიშვილის დახმარებით შეძლო ბერძენთა წინამძღოლმა ხიფათიდან თავის დაძვრენა. ამიტომ მან განიზრახა უცხოელთა გაჟლეტა.

მედეამ ეს შეიტყო. ქალაქიდან იდუმალ გავიდა, „არგონაველთა“ ბანაკს მიადგა და იასონს ყველაფერი ამცნო. მერე იასონი მუხასთან მიიყვანა, საწმისის მცველი გველეშაპი წამლის შეფრქვევით და შელოცვით დააძინა და იასონს ოქროს საწმისი ჩამოახსნევინა. ამიერიდან მედეას კოლხეთში აღარ დაედგომებოდა და აღარც თვითონ სურდა დარჩენა. იგი სულით და ხორცით უცხოელს ეკუთვნოდა. იასონმაც მხურვალედ შეჰფიცა, რომ სიკვდილამდე მისი ერთგული მეუღლე და ესოდენ განუზომელი ერთგულებისა და თავგანწირვის დამფასებელი იქნებოდა.

მეორე დღეს აიეტმა გაქცეულებს კოლხთა ფლოტი და ლაშქარი დაადევნა, თავისი ძის, უფლისწულ *აფსირტეს* სარდლობით, მაგრამ ბერძნებმა კვლავ იხსნეს თავი. აფსირტე, ვითომდა მოსალაპარაკებლად, მიიტყუეს და მუხანათურად მოჰკლეს (ჩასაფრებულმა იასონმა აძგერა ზურგიდან მახვილი).

ათი წელიწადი იცხოვრა მედეამ უცხოობაში. თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგან ჰქონდა ოჯახი - ყავდა ორი ვაჟი და „ერთგული ქმარი“. მაგრამ ერთ დღეს საშინელი ამბავი შეატყობინეს: იასონი თურმე ცოლად ირთავს სხვა ქალს - კორინთოს მეფის ერთადერთ

ასულს, სახელად *კრეუსას*. ნათელი იყო მოღალატე ქმრის განზრახვა: იგი კრეუსაზე დაქორწინებით მეფის გვირგვინს იდგამდა თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს იტირა მედეამ, მიტოვებული ქალის ტირილით. მაგრამ ძლიერი სული ბრძოლას ტირილით არ დაასრულებს. მან გადაწყვიტა შურისძიება. მოღალატე ქმარს შენიღბული სიმშვიდით შეხვდა და დაარწმუნა, რომ იგი შეურიგდა თავის მწარე ხვედრს. მერე ერთი ძვირფასი წამოსასხამი და ოქროს გვირგვინი იასონს ჩააბარა - ეს საჩუქრები შენს ახალ საცოლეს ძღვნად მიართვიო.

იასონი თავის ვაჟებით სასახლეში მივიდა. კრეუსას საჩუქრებიც ბავშვებმა გადასცეს - აქაოდა, როგორც იასონი ფიქრობდა - კრეუსა უფრო ლმობიერად მიიღებსო გერებს.

როგორც კი კრეუსა სადედოფლო წამოსასხამით და გვირგვინით მოირთო, მაშინვე ცეცხლი მოედო და საშინელი წამებით დაიწვა. ასევე დაემართა მეფესაც, როცა იგი ცეცხლმოდებული შვილის სხეულს შეეხო. დაღუპულთა ნათესავები, კორინთელი კარისკაცები, მედეას ბავშვებს მიუხტნენ მოსაკლავად. ბავშვები გაიქცნენ, იქვე ტაძარში შეასწრეს და საკურთხველს შემოეხვივნენ. მათ იცოდნენ, რომ ტაძარში არამცთუ ადამიანის მოკვლა, უბრალო ხელის შემოკვრაც ღმერთთა წინაშე უდიდეს ცოდვად ითვლებოდა. მაგრამ კორინთელები იმ ტაძარში შეცვივდნენ და ბავშვებს ზედ საკურთხველზე ყელები გამოსჭრეს...

ამ ამბიდან მცირე დრომ განვლო. კორინთელებს ბავშვთმკვლელობის სისხლიან-ცოდვიანი სახელი დარჩათ, ხოლო მედეას - უმაგალითოდ გვემული და ლახვარცემული სიცოცხლე. იგი ერთხანს ათენში ცხოვრობდა. მერე, თითქოს, კოლხეთს დაბრუნდა... აღარ ვიცით, როგორ დაასრულა თავისი წამებული სიცოცხლე „მზის შვილიშვილმა“, ჩვენთვის ცნობილმა „პირველმა ქართველმა ქალმა“.

ხოლო, მისი დიადი მამის, მზიური ხელმწიფის, ჩვენთვის ცნობილი „პირველი ქართველი მეფის“ აღსასრულს გვამცნობს მისი საფლავის ქვაზე ამოტვიფრული ეპიტაფია:

„აიეტი, ოქრომრავალ კოლხთა მეუფე,
აქ გააპატიონნა ყოვლისდამთრგუნველმა
ბედისწერამ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ შეიმუსრნენ საუკუნენი და მედეას გვემული სული კვლავ შეაშფოთეს... კიდევ უარესი წვისა და დაგვის კოცონზე დასდეს. ქრისტეს წინარე V საუკუნეში გამოჩნდა დიდი მწერალი-ტრაგიკოსი *ევრიპიდე*, რომელმაც თავისი მხატვრული ჯროვნების მრწამსად ქალის ბუნების გახსნა აირჩია. ყველა მისი ტრაგედიის მთავარი გმირნი ქარიშხლიანი ემოციების მქონე ქალები არიან. მათ არ იციან საზღვარი არც სიყვარულში, არც სიძულვილში, განსაკუთრებით კი ისინი მძვინვარენი არიან შურისძიებაში.

და აი, ევრიპიდემ ხელთ აიღო ათასი წლის წინათ კორინთოში დატრიალებული ტრაგიკული ამბავი და თავის შემოქმედებით ქვაბში ჩაუშვა ხელახალი გადახარშვისა და გარდასახვისათვის (ისე, ვითარცა თვითონ მედეა ჩაუშვებდა მდუღარე ქვაბში ბებერ სულიერს ახალგაზრდად გადახარშვა-გარდასახვისთვის).

და, ასე გაჩნდა მსოფლიო ლიტერატურაში სახელგანთქმული ტრაგედია „მედეა“, რომელშიც მეფე აიეტის ასული მოღალატე ქმრის მიმართ შურისძიების გაუგონარ, შემაძრწუნებელ ფორმას მიმართავს.

ევრიპიდე ჯერ ნამდვილი თქმულების ხაზს გაჰყვა და მედეას მისი მეტოქე კრეუსა (იასონის საცოლე) და მამამისი კრეონი მოაკვლევინა; ხოლო ამის შემდგომ მან სინამდვილეს (კორინთელებმა რომ მედეას შვილები დაუხოცეს) გადაუხვია და მის ნაცვლად მედეას შვილები მედეასვე დაახოცვინა.

მაშ, ევრიპიდემ პირველმა გამოიგონა შემაზრზენი ამბავი - თითქოს კოლხმა მედეამ ყელები დასჭრა საკუთარ შვილებს! ევრიპიდეს ამ „ცოდვის“ შესახებ ჩვენ გვატყობინებენ ძველი დროის მეცნიერნი და მწერალნი: კრეოფილე, პინდაროსს სქოლიასტი, პარმენისკე, არისტოტელე, პავსანია და კლავდიუს ელიანუსი. ეს უკანასკნელი გვარწმუნებს, რომ კორინთელებმა ევრიპიდეს ხუთი ოქროს ტალანტი მისცეს ქრთამად, რათა ბავშვების დახოცვა დედისთვის დაებრალებინა, ხოლო მათი ქალაქისთვის ჩამოერეცხა ბავშვთ-მკვლელობის სამარცხვინო, სისხლიანი ლაქა...

ამრიგად, ოცდათოთხმეტი საუკუნე დადის ქვეყანაზე საშინელი თავგადასავალი „პირველი ქართველი ქალისა“. დადის იგი ორმაგი წიაღსვლით: ათი საუკუნე საკუთარი, ნამდვილმომხდარი უბედურებით, და ოცდაოთხი საუკუნე - ევრიპიდესგან თავსმოხვეული შვილთმკვლელობის უმძიმესი ტვირთით.

ფრიდნული ბიბლიოთეკა

ეს დრამატული ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქართველ ტომთა სწრაფ აღზევებას ქრისტეს წინარე მეორე ათასწლეულის შუა ხანებიდან, ჩვენგან დაახლოებით, 3500 წლის წინათ.

ეს ის დრო იყო, როცა მცირე აზიაში „ზღვის ხალხების“ შემოსევებმა ჯერ დაასუსტეს და შემდეგ სავსებით დაანგრიეს ოდესღაც მძლავრი *ხეთების* სახელმწიფო. ამით ისარგებლა კოლხური მოდგმის ძლიერმა ტომმა - *მესხებმა*, რომლებიც მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში შეიჭრნენ, მკვიდრად განსახლდნენ და საფუძველი მოუმზადეს მომავალში ძლიერი სახელმწიფოს შექმნას.

მერე, ქრისტეს წინარე XIII საუკუნეში, ჩვენგან დაახლ. 3300 წლის წინათ, დღევანდელი არზრუმისა და მის სამხრეთ ტერიტორიებზე შეიქმნა ძლიერი ქართული ტომობრივ-სახელმწიფოებრივი გაერთიანება - *დიაოხი*, შემდგომში *ტაო*, რომელიც ექვსასი წელიწადი იგერიებდა წინა აზიის მძლავრ სახელმწიფოთა - ასურეთისა და ურარტუს შემოტევებს.

ქრისტეს წინარე VIII საუკუნეში, ჩვენგან დაახლოებით, 2800 წლის წინათ, დიაოხი სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ახალმა მძლავრმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ დაიპყრო და შეიერთა. ეს იყო *კოლხა*, ანუ კოლხეთი, რომელსაც სახელი ამ დროისათვის ქართველ ტომთაგან ყველაზე გამძლავრებულმა კოლხებმა მისცეს.

ახლა კოლხასა და ურარტუს შორის გაჩაღდა მძიმე ბრძოლები, მაგრამ ჩრდილოეთიდან გადმოჭრილმა კიმერიელთა ნიაღვარმა დაზავა და შეაკავშირა წაკიდებული მეზობლები. მალე კიმერიელებს სკვითთა და მიდიელთა შემოსევები მოჰყვა.

კოლხაც და ურარტუც დაეცნენ, მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობა მაინც დღეგრძელი აღმოჩნდა. იგი ახალი პოლიტიკური ქმნადობით განაგრძობდა არსებობას.

ქრისტეს წინარე VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე (დაახლოებით, 2600 წლის წინათ), ისევ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე ჭოროხის ზემო წელზე, ქართის ტომებმა - *სასპერებმა*, ანუ *იბერებმა*, შექმნეს სამეფო, რომელსაც დაერქვა *სპერი*.

სპერის მეზობლად მაშინ ორი მძლავრი სახელმწიფო არსებობდა - ირანული მიდია და მცირეაზიური ლიდია, მაგრამ ვერცერთმა ვერ შებედა სასპერთა სახელმწიფოს საზღვრებს.

ქრისტეს წინარე VI საუკუნის შუა ხანებში კი (დაახლოებით, 2500 წლის წინათ) გამოჩნდა წინააზიელ ხალხთა ღვთისრისხვა დიდი *კიროსი*, რომელმაც საფუძველი დაუდო სპარსეთის სახელმწიფოს და მის მბრძანებელ - *აქემენიანთა* დინასტიას. სპარსელებმა დაიპყრეს მიდია, ლიდია, შუამდინარეთი, დასავლეთი წინა აზია, შემდგომ ეგვიპტე, და ბოლოს, შუა და ცენტრალური აზია ინდოეთამდე.

სამხრეთ-დასავლეთელი ქართველებიც აქემენიანთა სამბრძანებლო საზღვრებში მოექცნენ. ისინი სპარსეთის XVIII-XIX სატრაპიებში შედიოდნენ, ხარკს იხდიდნენ და საჭირო შემთხვევაში სპარსელებს ლაშქრად მიჰყვებოდნენ.

კოლხეთი და იბერია

დასავლეთ საქართველომ ჭოროხიდან კავკასიონამდე ახალი სახელმწიფოებრიობით განაგრძო ცხოვრება. ეს იყო *ეგრისი*, ანუ *კოლხეთის* სამეფო.

სპარსელ აქემენიანებს კოლხეთზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

უფრო ადრე, ქრისტეს წინარე VII საუკუნიდან, ქართულ საზღვაო სანაპიროებზე ბერძნებმა იწყეს გამოჩენა. შავი ზღვის სამხრეთით და აღმოსავლეთით დაარსდა სავაჭრო ახალშენები და კულტურული ცენტრები: *სინოპი*, *ტრაპეზუნტი*, *კერასუნტი*, *ფასისი* (ფოთი), *დიოსკურია* (სოხუმი), *პიტიუნტი* (ბიჭვინთა). ქართული სამყარო დიდი ბერძნული ცივილიზაციის უფრო აქტიური მოკავშირე და მონაწილე გახდა.

იმავე VI საუკუნეში აღმოსავლეთ და სამხრეთ ქართველთაგან შეიქმნა *ქართლის*, ანუ *იბერიის* სახელმწიფო. იბერიელები არავის ბატონობას არ ცნობდნენ - არც მიდიელებისას, არც სპარსელებისას. ქართლის სახელმწიფო ჯერჯერობით სავსებით „თავისუფალ მამულიშვილებს“ ზრდიდა და ავაჟკაცებდა.

ქართლის თავადი ქალაქი იყო *მცხეთა*.

ქრისტეს წინარე IV საუკუნის 30-იან წლებში აზიას, ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე, *ალექსანდრე მაკედონელი* დაეპატრონა. (მასზე დაწვრილებით შემდგომ იხილავთ). საქართველო ამ უდიდეს მსოფლიო დამპყრობელსაც გადაურჩა. 323 წელს ალექსანდრე მაკედონელი გარდაიცვალა და მისი ხმლის ნაყოფი,

მსოფლიო მონარქიაც მისივე გვამის გაცივებამდე დაიშალა. ალექსანდრეს მემკვიდრეობის ნანგრევებზე, ეგრეთ წოდებული *ელინისტური* (ბერძნულ-აღმოსავლური) სახელმწიფოები წარმოიქმნენ. ერთი მათგანი იყო *პონტოს სამეფო* მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, რომელიც ქართველური ტომებით (ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, სანიკები, შკვითინები, კოლხები, ტაოხები) იყო დასახლებული; მაგრამ რაკი იქ, სხვა ელინისტურ სახელმწიფოთა მსგავსად, სახელმწიფო ენად ბერძნული ენა მოქმედებდა, ქართველები პონტოელებსაც „ბერძნებს" უწოდებდნენ.

ზეობა ფარნავაზისა

მცხეთაში მაშინ მამასახლისი იჯდა, სახელად *სამარა*.

პონტოდან ძლიერი ლაშქრით მოვიდა სარდალი ა ზ ო ნ, ტომით პონტოელი ქართველი, მაგრამ ქართველთაგან „ბერძნად" წოდებული. აზონს ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლ სარდლადაც კი მიიჩნევდნენ.

მოვიდა იგი ძლიერი ჯარით და ძლიერი სახელით. დაიპყრო მცხეთა, გული ქართლისა. დაახოცვინა სამარა მამასახლისი და მისი ძმა.

ასე დაჯდა აზონ ქართლის ერისთავად. დაჯდა და მცხეთის აკროპოლისზე აღმართა ორი ვერცხლის კერპი - *გაც* და *გაიმ*.

აზონისგან მოკლულ სამარას ძმას სამი წლის ვაჟიშვილი დარჩა, სახელად *ფარნავაზ*.

დედამ მამით დაობლებული შვილი კავკასიონის მთებში გახიზნა და იქაურ მთიელ ქართველებში გაზარდა. მერე, ვაჟკაცობაში ფეხშედგმულმა ფარნავაზმა არ დაიშალა, დედასთან ერთად მცხეთაში დაბრუნდა და თავის მამულში დასახლდა. მალე მას ხმა გაუვარდა, ვითარცა მომხიბლავ ჭაბუკს, სწავლულ მწიგნობარს, უებრო მხედარს და ხელუცთომელ მონადირეს.

აზონის ყურსაც მისწვდა ფარნავაზის საქმენი სავაჟკაცონი. თვითონ აზონი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და ფარნავაზიც სწორედ მონადირული ხელოვნებისთვის დაიახლოვა და დაიმეგობრა.

დედას კი აშინებდა ფარნავაზის სიახლოვე მეშურნე და მესისხლე აზონთან. „შვილო ჩემო, ეკრძალე აზონს - ნურას უჩვენებ სიკვდილს და ღირსებას შენსას, თორემ, ვაი თუ მოგკლან!“ შეშფოთებით ეტყოდა ხოლმე დედა შვილს. ფარნავაზი კი დედას ამშვიდებდა, ამხნევებდა და მოძალადე მეგობარს კვლავ დანდობილად მისდევდა ტყესა და ღრეში.

ერთ დილას ფარნავაზმა ღამეული სიზმარი უამბო დედას: ვითომ, იგი სადღაც უკაცრიელ სახლში მომწყვდეულიყო, საიდანაც გამოსასვლელი არსაით ჩანდა; უცებ სარკმლიდან მზის სხივი შემოიჭრა, ჭაბუკს წელზე შემოერტყა, განზიდა და გაიყვანა; მაშინვე მზეც ზეციდან დაეშვა და ფარნავაზის წინ მის სიმაღლეზე დადგა; ჭაბუკმა მზისკენ ხელი გაწვართა, სხივოსანი ცვარი ჩამოჰხოცა და პირი იმ მზიურ-ნამცვრევით დაიბანა!...

ეს საამური ძილისშორისი დედას დაუტოვა და თვითონ მარტოდმარტო წავიდა სანადიროდ.

დიღმის ველზე რომ გააღწია, ირმის ჯოგი წამოუვარდა. მონადირემაც წამსვე მშვილდ-ისარი გამართა და ცხენს ქუსლი ჰკრა. ირმები ტფილისის ტაფობისკენ გაფრინდნენ. ფარნავაზმა ისარი დაადევნა. ერთი ირემი მოწვეტით ჩამოესხლიტა ჯოგს. მაინც სისხლდენით მიჰქროდა დაჭრილი ირემი. ბოლოს, შეღამებისას, ველარ გაუძლო და ერთ კლდის ძირს მუხლი ჩაიკრიფა. ფარნავაზიც მივიდა, ცნეხიდან გარდახდა და დაუძლურებელ ნადირს კისერზე მკლავი გადაჰხვია.

ის ღამე ერთად გაათიეს კაცმა და ნადირმა. დილით კოკისპირული წვიმა დაასხა. ფარნავაზმა კლდეს თვალი მოავლო - თავშესაფარს რასმე ეძებდა. უცებ კლდის ძირში ქვანაშალი შენიშნა. თითქოს კლდეში შესასვლელი ყოფილიყოს და ოდესღაც ვიღაცას ამოექოლოს. სასწრაფოდ ჩუგლუგი მოიმარჯვა და კლდე-ნაქოლის გამორღვევას შეუდგა. იგი შევიდა გამოქვაბულში და გაიხარა, რომ გადასაწვიმებელ ადგილს მიაგნო. მაგრამ უფრო დიდი სიხარული თურმე მას წინ ედო.

როცა გამოქვაბული უფრო გულისყურით მოჩხრიკა, უთვალავი ოქრო-ვერცხლის საგანძურს გადააწყდა.

გაოცებულმა და გახარებულმა ჭაბუკმა გამოქვაბულის კარი ისევ ამოქოლა და სახლისკენ გაქუსლა. იქ მან დედას და თავის სამ დას გაანდო ეს მოულოდნელი სასიხარულო ამბავი.

ხუთი ღამის განმავლობაში ფარნავაზს, მის დედას და დებს, ყველასგან საიდუმლოდ და შეუმჩნევლად, გამოჰქონდათ ოქრო-ვერცხლი გამოქვაბულიდან. გამოჰქონდათ და სხვაგან, მათთვის უფრო მარჯვე და საიდუმლო ადგილზე აბინავებდნენ.

როცა ეს საქმე მოითავა, ფარნავაზმა თავისი ერთგული მსახური დასავლეთ საქართველოში აფრინა და ეგრისის მაშინდელ მთავარს, *ქუჯის* შეუთვალა: „მე ვარ ფარნავაზი, შენი ნათესავი ქართველი, შენებრ ქართლოსის შთამომავალი, აწ მოკვდინებული სამარას ძმისწული; ხელთა მაქვს დიდძალი ხვასტაგი, ოქრო და ვერცხლი. მომეცი ნება, მოვიდე შენთან, რამეთუ ვეძმოთ ძმანი ერთურთსა, მოვიხმაროთ ხვასტაგი ესე და ერთიან ძალით შევებათ აზონ ერისთავსა“.

დიდად გაიხარა ქუჯიმ ფარნავაზის შემონათვალზე და პასუხიც ასეთი შემოუბრუნა: „აღსდექ და მოდი ჩემთან, შევერთოთ ერთურთსა, ძმაო ჩემო, შევერთდეთ, რამეთუ განიხარონ ყოველთა ქართველთა“.

ფარნავაზი, დედის და დების თანხლებით, მცხეთიდან იდუმალ გაუჩინარდა და კოლხეთს გადავიდა.

ქუჯიმ დიდის პატივითა და სიხარულით მიიღო მცხეთელი სტუმრები. მაშინვე მტკიცე ფიცით შეეკრნენ ერთურთს, რომ ერთიანი ძალით იბრძოლებდნენ აზონის დასამხობად.

ქუჯიმ ისიც კი განსაზღვრა, ვინ უნდა ყოფილიყო გაერთიანებულ ქართველთა ბელადი და „უფალი“. მან უთხრა ფარნავაზს:

„თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები არიან; ამიტომ შენ გმართებს უფლობა ჩვენი. ახლა წადი, ნუ დაიშურებ ხვასტაგსა შენსა და ამრავლე ლაშქარი და შემდგომაც, თუ ღვთის შეწევნით გავიმარჯვებთ, კვლავ შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი“.

ქუჯის დიდსულოვნებითა და სიბრძნით გახარებულმა ფარნავაზმა შეჰყარა აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართველთა საომარი ძალები და კავკასიონითგანაც მოირთო ოვსნი და ლეკნი, რომელნიც აზონს დახარკული ჰყავდა.

ეტყობა, აზონის მომხრეთა ბანაკშიც არ ყოფილა მტკიცე ერთიანობა. როცა გადამწყვეტი ბრძოლის დღე მოახლოვდა, აზონის ლაშქარი ათასმა რჩეულმა მხედარმა მიატოვა და ფარნავაზის ბანაკს შეუერთდა.

აზონმა მოპირდაპირის ძლიერ ძალებს ბრძოლა ვერ შეჰბედა, მცხეთა მიატოვა, კლარჯეთს გადავიდა და იქ გამაგრდა.

ფარნავაზმა დაიპყრო მცხეთა და სრულიად ქართლი და შეუდგა კლარჯეთისაკენ სალაშქრო სამზადისს. მან ძღვენი გაუგზავნა და შემწეობა სთხოვა სირიის მაშინდელ ხელმწიფეს - *ანტიოქე I სოტერს.* გახარებულმა ანტიოქემ ფარნავაზს „შვილი“ უწოდა, ძვირფასი გვირგვინიც გამოუგზავნა და მაშველი ჯარიც აახლა.

ფარნავაზი ქუჯის თანხლებით და ქართველთა გაერთიანებული ძალებით არტანუჯისაკენ დაიძრა. ზონიც ელოდებოდა მას, პონტოდან მიღებული ახალი საომარი ძალებით.

ბრძოლა მოხდა *არტაანის,* ანუ „ქაჯთა ქალაქის“ მახლობლად. სისხლიანი რკენა ფარნავაზის გამარჯვებით დამთავრდა. ზონი ბრძოლაში დაიღუპა. მისი ლაშქრის დიდი ნაწილი განადგურდა. დანარჩენები ტყვედ ჩავარდნენ. მთელი კლარჯეთი თავის დედას - ქართლს შეუერთდა.

ასე შეიქნა ფარნავაზი ქართველთა პირველი გამაერთიანებელი და განთქმულ *ფარნავაზიანთა* დინასტიის დამაარსებელი.

ეს ამბავი მოხდა ქრისტეს წინარე IV-III საუკუნეთა მიჯნაზე, ანუ ჩვენი დღევანდელობიდან, დაახლოებით, 2300 წლის წინათ.

მაშინ ფარნავაზი ჯერ მხოლოდ 27 წლისა იყო, მაგრამ ახლად წარმოქმნილ დიდ ქართულ სახელმწიფოს სიბრძნით და კეთილგონიერებით განაგებდა.

მან ჯერ განახორციელა ადმინისტრაციული რეფორმა. საქართველო დაჰყო *საერისთავოებად*, რომელთაც სათავეში ჩაუყენა *ერისთავნი*. მერე ხელი მიჰყო დიდ აღმშენებლობით საქმიანობას. გაამშვენიერა და ქვის კედელ-ზღუდეებით გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა და მისი მთავარი აკროპოლისი - *არმაზ-ციხე*, სადაც მან აღმართა ახალი კერპი *არმაზ*.

მეფემ აღადგინა ყველა ქალაქი და ციხესიმაგრე, რომელიც კი მანამდე მტრის შემოსევას, თუ სტიქიურ უბედურებას დაენგრია, ან დაეზიანებინა. ამას გარდა, დაიწყო ახალ ციხე-ქალაქთა მშენებლობაც. ასე აშენდა მაშინ დასავლეთ საქართველოში *შორაპნისა და დიმის* ციხენი. ეგრისის შუაგულში კი, ქუჯიმ აღაშენა ქალაქი *ციხე-გოჯი.*

შემდეგ ფარნავაზმა განახორციელა ყველაზე დიდი კულტურული ღონისძიება: „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“...

65 წელიწადი იმეფა ფარნავაზმა და მიიცვალა 92 წლის ასაკში. იგი დაკრძალეს მისგანვე აღმართული არმაზის ფერხთა ქვეშე.

საქართველოს ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო *უ-ფარნავაზ-ოდ*.

ფარნავაზის შემდგომ

ფარნავაზის შემდეგ, მისი ძე *საურმაგ I* გამეფდა და იმეფა იგივე ქრისტეს წინარე III საუკუნის მეორე ნახევარში. საურმაგს მისივე ერისთავები აჯანყებიან. მეფესაც კავკასიონის გადაღმიდან ოვსები და დურძუკები მოუწვევია და მათი დახმარებით ის აჯანყება ჩაუხშვია.

საურმაგს მისი ძე *მირიან I* მოსდევს, ქართლის ტახტზე, იმავე III საუკუნის ბოლოს. მაშინ ჩრდილოეთიდან კახეთს დურძუკები და ჭართალელნი შემოსევიან. მირიანიც მტერს შებრძოლებია, სასტიკად დაუმარცხებია, დარიალის კარიც გაუვლია, თვითონ დურძუკეთი და ჭართალი დაუხარკავს და დარიალის გადმოსასვლელებიც ციხე-ზღუდეებით ჩაუკეტავს.

შემდეგი მეფე - *ფარნაჯომ*, ძე მირიან I; მეფობა მისი - ქრისტეს წინარე III - II საუკუნეთა მიჯნაზე. ამან გააძლიერა და განამტკიცა მცხეთა და ქართლის სხვა ციხე-ქალაქნი. კახეთში ააშენა ნეკრესი, ზადენის მთაზე - ციხე ზადენი. იქვე აღმართა კერპი *ზადენ*. შეუდგა სპარსულ ცეცხლთაყვანისმცემლობას. მცხეთაში სპარსელი მოგვები მოიყვანა და ხალხშიც სპარსული რელიგიის გავრცელებას აპირებდა, მაგრამ ერისთავები აუჯანყდნენ და მეფე ბრძოლაში დაიღუპა.

გამეფდა *არსოკ I*. იმეფა და აღესრულა ქრისტეს წინარე II საუკუნეში.

მთავარი კი ის იყო, რომ ფარნავაზის შემდგომმა „ფარნავაზიანებმა“ ქვეყნის ერიანობა ვერ შეინარჩუნეს და საქართველო კვლავ დანაწილდა - ცალკე ქართლად და ცალკე კოლხეთად.

K 239 45+
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს წინარე II საუკუნის ბოლოს კოლხეთი დაიპყრო პონტოს სახელოვანმა მეფემ, *მითრიდატე VI ევპატორმა*. ხოლო, ქართლის სამეფო კართან მითრიდატეს სამეგობრო კავშირი ჰქონდა.

მცხეთის ტახტზე მაშინ *არტაგი* დამჯდარიყო.

მის დროს კი - ქრისტეს წინარე 65 წელს, პონტოსა და სომხეთის განადგურების შემდეგ, ქართლს მოადგნენ მსოფლიოს უდიდესი დამპყრობელნი - *რომაელები*, მაშინ სახელმოხვეჭილი სარდლის, *გნეუს პომპეუსის* წინამძღოლობით.

არტაგმა მსოფლიო დამპყრობლებთან გულდაგულ შეტაკება უსაზმნო საქმედ მიიჩნია და პომპეუსს დესპანები გაუგზავნა სამეგობრო ურთიერთობის ჩამოსაგდებად. მაგრამ არტაგი, ეტყობა, იმასაც ვარაუდობდა, რომ გულზვიადი რომაელი მთავარსარდალი, - რომელსაც დიდძალი და მრავალი გამარჯვებებით გათამამებული არმიები ჰყავდა, დაზავებაზე ასე იოლად არ დათანხმდებოდა, ამიტომ ჯარების შეყრასა და საომარ სამზადისს შეუდგა.

პომპეუსი თავისი ლეგიონებით ისე სწრაფად მიადგა არმაზ-ციხეს, რომ არტაგისთვის მისგან შემოთავაზებულ ზავზე არც კი უპასუხნია.

არტაგმა ჯარების გამოყვანა ვერ მოასწრო, არმაზ-ციხე მცირერიცხოვან ციხიონს მიანდო, თვითონ მტკვრის მარცხენა სანაპიროს გადავიდა და ხიდი დაწვა, რომ ამით მცხეთისკენ რომაელთა გადასვლა აღკვეთილიყო.

პომპეუსმა არმაზ-ციხე აიღო და მტკვრის ხელმარცხნივ გადასალახავად მზადებას შეუდგა.

როცა არტაგიც დარწმუნდა, რომ პომპეუსი მარტო მტკვრის მარჯვენა სანაპიროთა დაპყრობით არ კმაყოფილდებოდა, ისევ განაახლა საზავო მოლაპარაკება. მეფე მეგობრობას სთავაზობდა რომაელს, თან სურსათის მიწოდებას და მტკვარზე ხიდის აღდგენას აღუთქვამდა. მან ეს დანაპირები კიდევაც შეასრულა, მაგრამ პომპეუსმა მაინც გადაიყვანა ჯარები მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

არტაგი გადამწყვეტ ბრძოლას კვლავ განერიდა, მდინარე არაგვზე გადავიდა და ხიდი აქაც დაწვა. რომაელები არაგვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადალახვას შეუდგნენ. იბერიელებიც შეებნენ, მაგრამ ფრიად დაზარალდნენ.

პომპეუსი მტკვარ-არაგვის გზა-კვანძს უკვე მთლიანად ფლობდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ეს მაინც არ იყო სრული გამარჯვება.

ქართველები პარტიზანულ ომზე გადასულიყვნენ. ღრმა და უსიერ ტყეებში მიიწევდნენ, მტერს გზას უჭრიდნენ, ქვალოდს აგორებდნენ, ზვავებს სხლეტდნენ, ხეებზე საფრდებოდნენ და მომხვდურთ მიზანუმცდარად ესროდნენ ისარს, თვალშეუდგამ ტყეებიდან და წკვარამებიდან ელვასავით გამოიჭრებოდნენ და კვლავ ელვასაებრ გაუჩინარდებოდნენ.

მაშინ რომაელები ტყეების გაჩეხვას და ცეცხლის წაკიდებას შეუდგნენ.

დაჭრილ თუ დახოცილ ქართველ მეომართა შორის რომაელები მრავალ ქალს პოულობდნენ. გაოცება იმდენად ძლიერი იყო, რომში ხმამ ჩააღწია: პომპეუსი აღმოსავლეთში ამორძალებს ებრძვისო.

არტაგმა ისევ გაგზავნა დესპანები პომპეუსთან, - კვლავ დაზავებას ითხოვდა. დიდი ძღვენიც აახლა რომაელ სარდალს: ოქროს ტახტი, ოქროს მაგიდა და ოქროს სარეცელი. მაგრამ რომაელი მაინც უნდობლობას უცხადებდა იბერთა მეფეს და ზავის აუცილებელ პირობად მისი ვაჟების მძევლებად გაგზავნას მოითხოვდა.

მეფე ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ როცა ზაფხულის ძლიერი სიცხისაგან არაგვის წყალმა კლება დაიწყო, არტაგი გატყდა და პომპეუსს მძევლებად გაუგზავნა თავისი შვილები.

დაზავდნენ.

იბერია „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოცხადდა.

იბერიიდან პომპეუსმა ლიხის მთა გადავლო და კოლხეთს შეუსია ლეგიონები. დაპყრობილ კოლხეთში მმართველად თავისი კაცი დატოვა და, თვითონ სომხეთის გავლით, ალბანეთში (ახლ. აზერბაიჯანში) შეიჭრა. ეს ქვეყანაც დაიპყრო და დასავლეთისაკენ გაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს გადაღმ-გადმოღმა პირველ საუკუნეთა საქართველოს შესახებ ძვირფასი ცნობები დაგვიტოვა იმჟამინდელმა სახელოვანმა ბერძენმა გეოგრაფოსმა და ისტორიკოსმა *სტრაბონმა*. იგი აგვიწერს ქართველთა საზოგადოებრივ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, მთისა და ბარის ყოფას, ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს, სამიმოსვლო გზებსა და სავაჭრო კომუნიკაციებს. მარტო მდინარე რიონზე 120 ხიდი ყოფილა გადებული. რიონ-ყვირილას წყლის მაგისტრალზე, შავი ზღვიდან შორაპნამდე, მოძრაობდნენ ხომალდები. ინდოეთიდან ევროპისკენ მომავალი საქონელიც ამავე გზით მოედინებოდა: ინდოეთი - შუა აზია - კასპიის ზღვა - მტკვარი - ლიხი - ძირულა - ყვირილა - რიონი - შავი ზღვა - ევროპა. სტრაბონი გამორჩეული გულისყურით აღწერს ამ „დიდი გზის“ მთავარ ნაკვეთს - იბერიას:

„ ეს არის მდიდარი ქვეყანა, რომელსაც ძალუძს ძალზე ხშირი მოსახლეობა იყოლიოს. და, მართლაც, იბერია მეტწილად დასახლებულია მშვენივრად - იგი მოფენილია ქალაქებითა და დაბებით, თანაც ისე, რომ აქ გვხვდება კრამიტის სახურავებიც და არქიტექტურული წესებით აშენებული სახლები, საბაზრო ადგილები და სხვა საზოგადოებრივი ნაგებობანი“.

მარტო მცხეთა-არმაზში მოპოვებული არქეოლოგიური მასალებიც მეტყველებენ ძველ ქართველთა კულტურული ცხოვრების სიმაღლესა და მრავალფეროვნებაზე. აქ არქეოლოგებმა იპოვნეს საქართველოს უძველესი დედაქალაქის აკროპოლისი - არმაზი, იგივე „შიდა-ციხე“ - მძლავრი კედელ-ზღუდეებით, საცხოვრებლებით, წყალსადენებით, სათავსოებით. აქვე აღმოჩნდა შესანიშნავი აბანოები („თერმები“) და ნეკროპოლისი, მეფე-მთავართა უმდიდრესი სამარხებით. ძალზე საგულისხმოა, რომ მცხეთაში, სამთავროში, საფლავის ერთ ქვაზე, წარწერაში აღმოჩნდა სახელოვნებო თანამდებობის აღმნიშვნელი ტიტულები - „მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი“. მცხეთა-არმაზსა და მათ შემოგარენში უხვად გამოვლინდა უძვირფასესი ნივთები - ოქროს, ვერცხლის, კეთილშობილი ქვებით ასხმული სამკაულები, ჭურჭლეული, იარაღი, სარტყელნი, ოქროსა და ვერცხლის მონეტები - ყოველივე შესრულებული დიდი ოსტატობითა და ხელოვნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკვეთი I.

ძველი აღმოსავლეთი

მსოფლიოს თავდაპირველი ცივილიზაციები, ანუ ყველაზე ადრინდელი სახელმწიფოები შექმნეს *ეგვიპტელებმა* და *შუმერებმა*, ქრისტეს წინარე IV-III ათასწლეულთა მიჯნაზე, ანუ ჩვენი დღევანდელობიდან, დაახლოებით 5000 წლის წინათ.

ეგვიპტე - აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეში, მდინარე ნილოსის ხეობაში.

შუმერი - მესოპოტამიაში („შუამდინარეთი“), მდინარეთა - ევფრატისა და ტიგროსის შუა-მდებარე ქვეყნის სამხრეთ მხარეში.

ეგვიპტე

სწორედ 5000 წლის წინათ, ანუ ქრისტეს შობამდე 3000 წელს, მანამდე „ნომებად“ (ოლქებად) დაქუცმაცებული ეგვიპტე ერთ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ გააერთიანა ფარაონმა *მინამ* (ბერძნ. მენესი) და ერთიანი სახელმწიფოს სატახტო ქალაქად გამოაცხადა *მემფისი*, - იქ, სადაც ნილოსი იწყებს განტოტებას, „დელტას“ სახით, ხმელთაშუა ზღვისკენ 7 ტოტად მიმავალი.

მაშ, პირველი ფარაონი იყო მინა. ხოლო, თვითონ სიტყვა „ფარაონი“ ნიშნავს „სასახლეს“, ხელმწიფის სამყოფელს თვითონ მეფეხელმწიფის, როგორც „ღვთის შვილის“ პირადი სახელის ხსენებაც, ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანს მკრეხელობად ეთვლებოდა და ეკრძალებოდა. მას მხოლოდ ეს შეეძლო ეთქვა: „ფარაონმა (სასახლემ) ბრძანა“, „ფარაონმა (სასახლემ) ინება, და ა. შ.

ალექსანდრიელი ისტორიკოსის, მანეთონის (ქრ. წ. IV-III სს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაანგარიშებით, ეგვიპტის ისტორია იყოფა სამ ძირითად ნაკვეთად: „ძველი სამეფო“, „შუა სამეფო“ და „ახალი სამეფო“ - თითოეულ მათგანში ფარაონთა 10 დინასტიით; მაშასადამე, სულ ეგვიპტის 2500-წლოვანი ისტორია მოიცავს 30 ფარაონული დინასტიის მმართველობას.

პირველი ათი დინასტიის, ანუ „ძველი სამეფოს“ ხანა გრძელდება რვაასი წელიწადი (ქრ. წ. 3000-2200). სწორედ იმ დროიდან მოაღწია ჩვენამდე ძველი მსოფლიოს „შვიდი საკვირველებიდან“ ყველაზე ძველმა - ეგვიპტის პირამიდებმა,* რომლებიც, ქრისტეს წინარე XXVIII საუკუნეში, ანუ ჩვენგან დაახლოებით 4800 წლის წინათ აუგიათ III-IV დინასტიათა ფარაონებს, - აუგიათ თავიანთ სამარხ აკლდამებად.

ძველი ეგვიპტელები, - რომელთაც სწამდათ, რომ ადამიანი კი არ კვდება, არამედ მხოლოდ „გარდაიცვლება“ - სიცოცხლეშივე აშენებდნენ და „იმარაგებდნენ“ საკუთარ სამარხებს, კუბოებს („სარკოფაგებს“), სადაც უნდა ჩაესვენებიათ და დაესვენებიათ მათი მუმიად ქცეული გვამები.

ამიტომაც „უკვდავ, ღვთის თუ ფარაონის“ აკლდამა ხომ, შესაფერისად „ღვთის სწორი“ უნდა ყოფილიყო და, ისინიც თავიანთი მეფობა-ხელმწიფობის პერიოდში, სახარჯოდ არაფერს ზოგავდნენ და თვით მთელი სახელმწიფოებრივი ძალების მობილიზაციითაც, აშენებდნენ მათი „მარადიული“, „ღვთისსაკადრებელი სამკვიდრებელის ასაშენებლად“.

პირამიდათა შორის ყველაზე ძველი III დინასტიის ფარაონის, *ჯოსერის* „საფეხურებიანი პირამიდაა“ - შვიდი საფეხურით, 80 მეტრის სიმაღლით. ცნობილია მისი მშენებელ-ხუროთმოძღვარიც, სახელად - იმხოტეპი.

ყველაზე დიდი *ხუფუს*, ანუ ხეოფსის პირამიდა, სიმაღლით 146,60 მ. ხოლო ქვემოთ, ფუძით, გარშემოწერილობით - დაახლ. ერთი კილომეტრი. იგი აგებულია 2.300.000 ქვა-ლოდით, ყოველი ქვა არანაკლებ 2,5 ტონას მაინც იწონის. შემდეგ მოდიან *ხაფრის* (ხეფრენი) პირამიდა 143.5 მეტრის სიმაღლით და *მენკაურას* (მიკერინი) პირამიდა 66.5 მეტრის სიმაღლისა.

---

*დანარჩენი ექვსი „საკვირველება“: ბაბილონის კიდული ბაღები, არტემიდეს ტაძარი ეფესოში, ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში, მავზოლეუმი ჰალიკარნასში, როდოსის კოლოსი და ალექსანდრიის შუქურა

პირამიდებთან, იქვე, დიდოსტატ ეგვიპტელებს კლდისგან გამოეკვეთათ *სფინქსი* (კაცი-გამოცანა), სიმაღლით 20 მეტრი, ლომის ტანით და კაცის თავით.

ეგვიპტელი ფარაონები მძარცველობითი ლაშქრობებით ლაშქრობდნენ სამხრეთით - ეთიოპიაში, დასავლეთით - ლიბიაში, და ჩრდილო-აღმოსავლეთით, სუეცის ყელის გადავლით - აზიაში

ქრისტეს წინარე 2200 წელს ეგვიპტე ისევ დაიშალა და ორასი წლის შემდეგ ისევ გაერთიანდა. ასე დაიწყო „შუა სამეფოს" პერიოდი, ისევ იმ სამმხრივი ლაშქრობების განახლებით.

ქრისტეს შობამდე XVIII საუკუნის შუა წლებში, ეგვიპტეში ლატაკი მოსახლეობის აჯანყება მოხდა. ამ შინაურ არეულობას გარეშე მტრის შემოსვლაც მოჰყვა, ესენი იყვნენ *ჰიქსოსები*, რომლებიც აზიიდან შემოიჭრნენ ეგვიპტეში, ცეცხლითა და მახვილით, ცხენებზე ამხედრებულნი (ეგვიპტელებმა მაშინ პირველად იხილეს ცხენი).

ჰიქსოსთა ბატონობა ეგვიპტეში საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. განსაკუთრებული სიმტკიცით ისინი ბატონობდნენ ჩრდილოეთ ეგვიპტეში, უფრო ნაკლებად - სამხრეთში. და, სწორედ სამხრეთ ეგვიპტეში იწყება აჯანყება უცხოთა ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყებას სათავეში ედგა იქაური ქალაქის, თებეს მთავარი, სახელად *კამესუ*. ბრძოლა გაგრძელდა. კამესუს შემდეგ ეგვიპტელებს უძღოდა *იახმესი*, რომელმაც დაასრულა ჰიქსოსთა განდევნა და ქვეყნის განთავისუფლება.

ასე იწყება ეგვიპტის ისტორიის მესამე პერიოდი - „ახალი სამეფო", XVIII დინასტიით, რომლის დამაარსებელი და პირველი ფარაონი არის თვითონ ქვეყნის გამათავისუფლებელი - იახმესი I, რომელიც ანახლებს ლაშქრობებს აზიასა და აფრიკაში..

ასეთივე აქტიურ მეომრულ-დაპყრობით პოლიტიკას განაგრძობდნენ იგივე დინასტიის ფარაონები - *თუთმოს I* (1538-1525 წწ) და *თუთმოს II* (1525-1523 წწ).

ამათ შემდგომ უმაღლესი ძალაუფლება ხელთ იგდო *თუთმოს II* ქვრივმა დედოფალმა - *ხატშეფსუტმა*. ხოლო, ქალი, ფარაონის ტახტზე, დიდი უცნაურობა იყო იმჟამინდელ ეგვიპტეში. ამიტომ, ვითომ ამ „უხერხულობის" გასაქარვებლად, ხატშეფსუტი მამაკაცის ტანსაცმელს და ხელოვნურ წვერს ატარებდა, ხმასაც იბოხებდა, მამაკაცური მანერებითაც მოძრაობდა. მისი

ფარაონობის ოცი წელი (1523-1503 წწ) უომარი, სრულად მშვიდობიანი ცხოვრებისა და მშენებლობის წლები იყო. მის დროს, მისი თაოსნობით, პირველად გადაიჭრა არხი ნილოსის დელტის მარჯვენა განტოტებასა და წითელ ზღვას შორის და ასე, პირველად შეუერთდნენ ერთმანეთს ხმელთაშუა და წითელი ზღვები (მაშასადამე, ხატშეფსუტი, ეგვიპტელი ქალი-ფარაონი, არის დაახლ. 3380 წლით წინანდელი წინამორბედი ახალი დროის ფრანგი ინჟინრის, ფერ̣დინანდ ლესეპსისა, რომლის ხელმძღვანელობითაც გაჭრილი სუეცის არხი ახალმა მსოფლიომ საზეიმოდ აკურთხა 1869 წელს).

შემდეგ, ხატშეფსუტის დროს პირველად მოეწყო საზღვაო ექსპედიცია, სავაჭრო ხომალდებით, წითელ ზღვაზე, სამხრეთისაკენ, *პუნტის* ქვეყანაში (ახლ. სომალი).

ხატშეფსუტის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი გერი, *თუთმოს III* (1503-1491 წწ), რომელმაც მაშინვე განაახლა საომარი ლაშქრობანი აზიის მიმართულებით - პალესტინაში, სირიასა და ფინიკიაში. თუთმოსმა ევფრატსაც მიაღწია წარმატებული ლაშქრობებით.

თუთმოსის მომდევნო ფარაონებიც განაგრძობდნენ აზიაში ლაშქრობებს. მაგრამ XIV-XIII საუკუნეებში, ეგვიპტელებს აზიაში წინ ეღობებიან *ხეთები*, რომელთა სახელმწიფოებრიობა მცირე აზიაში უკვე 8 - 9 საუკუნესაც ითვლიდა.

ეგვიპტის დიდი ფარაონი, *რამსეს II*, ტანად გოლიათი, რომელმაც 66 წელიწადი (1317-1251 წწ) იმეფა - განუწყვეტელი ომები ჰქონდა ხეთების მეფეებთან - ომები პალესტინის, სირიისა და ფინიკიისათვის.

ბოლოს, როგორც იქნა, მოწინააღმდეგენი - *რამსეს II* და ხეთების მეფე *ხათუსილ III* დაზავდნენ. სირია შუაზე გაიყვეს. ტყვეები ერთმანეთს დაუბრუნეს. და დამოყვრდნენ კიდეც: რამსესმა ცოლად შეირთო და ეგვიპტის დედოფლად დაისვა ხათუსილის ასული.

ასეთი ზავი დაიდო ქრისტეს წინარე 1296 წელს - მსოფლიო ისტორიაში პირველად ცნობილი ზავი.

რამსესის შემდეგ ეგვიპტის ძლიერება ქვეითდება. ეგვიპტემ დაკარგა არა მხოლოდ მისი საზღვარგარეთა სამფლობელონი, არამედ თვითონ შეიქნა უცხოურ ხალხთა შემოსევების ასპარეზი. ქრისტეს წინარე XIII საუკუნის მიწურულს, ხმელთაშუა ზღვის აუზიდან, ეგვიპტეს და წინა აზიის დასავლეთ ქვეყნებს შემოესივნენ საისტორიო

წყაროებში „ზღვის ხალხებად“ წოდებული ტომები (ზოგჯერ „შარდანას“ სახელით მოხსენიებულნი, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს შემდეგდროინდელ „სარდინიას“/.

XI-X საუკუნეთა მიჯნაზე, ეგვიპტეში იჭრებიან მეზობელი ხალხები - დასავლეთიდან ლიბიელები, სამხრეთიდან ეთიოპელები, და თითქმის ხუთი საუკუნის მანძილზე, ეს „გვიანდელი ეგვიპტე“ - უკვე ვეღარ თამაშობს მაშინდელ მსოფლიოში მანამდელ „ჰეგემონურ როლს“.

და, ბოლოს, ქრისტეს წინარე 525 წელს, ეგვიპტე დაიპყრეს სპარსელებმა, მეფე *კამბიზის* მეთაურობით.

ძველმა ეგვიპტელებმა ძველთაგანვე უდიდესი *კულტურული მემკვიდრეობა* შექმნეს. ჯერ, მეცნიერულ დარგთაგან: მათემატიკა, ასტრონომია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ქიმია, განსაკუთრებით - მედიცინა (მუმიფიკაცია, ბალზამირება, თერაპია, დიაგნოსტიკა, ქირურგია, წამალთმცოდნეობა).

ძველმა ეგვიპტემ შექმნა თავისი დამწერლობითი სისტემა - ჰიეროგლიფური დამწერლობა.

ძველი ეგვიპტის დიდებული არტიქეტურა; გრანდიოზული ხუროთმოძღვრებითი ძეგლები - პირამიდები, სრა-სასახლენი, ტაძრები, კლდეში ნაკვეთი სალოცავები; სკულპტურა, გიგანტური ქანდაკებანი, ფერწერა.

მაღალხელოვნებითი და მაღალზრობრივი ლიტერატურა, ლირიკული და ეპიკური პოეზია, ისტორიულ-სათავგადასავლო პროზა.

შუმერი და აქადი

ისევ ქრისტეს შობამდე 3000 წლის მახლობლად, ანუ ჩვენგან 5000 წლის წინ, სამხრეთ მესოპოტამიაში იწყება *შუმერის* სახელმწიფოებრიობის და კულტურის ისტორია. არქეოლოგიური ძიებებით დადასტურებულია იმდროინდელი შუმერული პოლისები (ქალაქ-სახელმწიფოები): ქიში, ურუქი, ური, შურუპაქი, ლაგაში, უმა. ქალაქ-სახელმწიფოს სათავეში იდგა ლუგალი - საერო და სასულიერო ხელისუფალი.

ქრისტეს წინარე XXIV საუკუნეში, თავისი რეფორმებით

სახელი გაითქვა ლაგაშის მეფემ - *ურუქაგინამ*. მერე, ურუქაგინა ტახტიდან ჩამოაგდო და თვითონ გამეფდა *ლუგალ ზაგ-სი*. ხოლო, ეს უკანასკნელი დაამხო და ტახტი თავისთვის დაიჭირა *სარგონმა* (შარუკინ).

ისტორიაში ამ სარგონ პირველმა, ანუ „ძველმა“, სატახტო ქალაქად მესოპოტამიის შუაგულში მდებარე ქალაქი *აქადი* გამოაცხადა და აქედან დაიწყო ფართო დაპყრობითი ომები, ოთხივე მიმართულებით. და ასე, სარგონ ძველი შეიქნა პირველი „მსოფლიო დამპყრობელი“, რომელმაც ჯერ დაიპყრო მთელი მესოპოტამია, იქედან ჩრდილოეთით მითანის ქვეყანა, გააღწია დასავლეთით, დაიპყრო სირია, ფინიკია და „განბანა მახვილი თვისი დასავლეთის (ხმელთაშუა) ზღვაში“.

შუმერებმა და აქადელებმა შემდგომი დროის კაცობრიობას დიდი კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვეს. მათ შექმნეს საკუთარი ლურსმული, ანუ სოლისებრი დამწერლობა. ჩვენამდე მოაღწია მეტად საინტერესო შუმერულმა სახვითი ხელოვნების ძეგლებმა.

თუმცა შორეული სიმკრთალით, მაგრამ მაინც საყურადღებო მეცნიერული ანალოგიებით, იძებნება ნათესავობა ძველ შუმერულსა და ქართველურ ენათა შორის.

ძველი ბაბილონია

მაშ, ქრისტეს წინარე მთელი მესამე ათასწლეული მესოპოტამიაში შუმერ-აქადის ცივილიზაციით გაგრძელდა. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე კი, მესოპოტამიის ქალაქდაგან სწრაფ აყვავებას და ჰეგემონობას იწყებს ქალაქი *ბაბილონი*, აღმოცენებული მდინარე ევფრატის შუა წელზე, იგივე III ათასწლეულის შუა ხანებში.

შუმერები ამ ქალაქს *კადინგირას* ეძახდნენ, აქადელები კი - *ბაბ-ილუ-ს*, რაც ღვთის ჭიშკარს ნიშნავს.

და, ეს „ღვთის ჭიშკარი“ ათას წელიწადზე მეტ ხანს შეინარჩუნებს „პირველ-ქალაქობას“ ძველ-აღმოსავლურ ისტორიაში.

ძველ-ბაბილონური სახელმწიფო განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე *ხამურაბის* დროს (1792-1750 წწ). ხამურაბი ისტორიაში შევიდა როგორც ავტორ-მოდიფიკატორი მსოფლიოში დღემდე

ცნობილი პირველი სამოსამართლო-საკანონმდებლო კრებულისა, რომელიც ფრანგმა არქეოლოგებმა (დე-მორგანის მეთაურობით) აღმოაჩინეს 1902 წელს, ელამის (ირანში) სატახტო ქალაქ სუზაში გათხრების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს შობამდე XVI საუკუნის ბოლოს, ბაბილონს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოესივნენ და დაიპყრეს მომთაბარე მთიელმა ტომებმა - კასიტებმა.

ძველი, XXX-XV საუკუნეთა, ანუ 1500 წლის მანძილზე, მესოპოტამიის ხალხებმა ძალიან დიდმნიშვნელოვანი, მდიდარი და მრავალფეროვანი *კულტურა* შექმნეს. აქაურმა შუმერებმა შექმნეს ყველაზე ძველი ლურსმული დამწერლობა, რომელიც მემკვიდრეობად მიიღეს და განავითარეს მომდევნო აქადელებმა და ბაბილონელებმა.

ამავე ხალხებმა შექმნეს მდიდარი და მაღალაზროვანი ლიტერატურა, განსაკუთრებით - მითოლოგიურ-ეპიკური ჟანრით. ამათგან კი, ყველაზე დიდ ნაწარმოებად, მხატვრული სიმაღლით, პოეტური ხელოვნებითა და ადამიანისა და კოსმოსის გააზრებით, გამოირჩევა აქადური პოემა გმირ გილგამეშზე.

ხეთების სახელმწიფო

ხეთების შესახებ ზოგი რამ, ეგვიპტესთან ურთიერთობით, უკვე ითქვა. ახლა, დასაწყისითვე - ზოგი რამ უფრო დაწვრილებით... ხეთები მცირე აზიის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, დაახლოებით, ქრისტეს წინარე XXII საუკუნიდან. მათი სახელმწიფო გაძლიერებას იწყებს XVII საუკუნეში, მეფე *ანითას* დროს. ანითამ დაიპყრო ქალაქები: ხათუსა, ნესა, ბურუშხანდა. სატახტო ქალაქად გამოცხადდა ხათუსა. ანითას შემდგომ მეფობდა *ლაბარნა*, რომელმაც ხეთების სახელმწიფო გააფართოვა და განავრცო „ზღვიდან ზღვამდე", მაშასადამე - სრულად მცირე აზია შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე. შემდეგ, XVII საუკუნის შუა წლებში, ლაბარნას ძემ და მემკვიდრემ, *ხათუსილ* I უფრო სამხრეთით განავრცო საომარი პოლიტიკა - სირიისაკენ, სადაც მან რამდენიმე სასტიკი ბრძოლა გადაიხადა მთავარ ქალაქ *ხალებთან* (ალეპო).

იგივე XVII საუკუნის ბოლოს, კიდევ უფრო ძლიერმა მეფემ, *ხათუსილ I* ძემ, *მურსილ I*, ხალები დაიპყრო კიდეც.

ხოლო, 1595 წელს, მურსილმა მესოპოტამიაში ილაშქრა და ბაბილონსაც კი დაეუფლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურსილ პირველის შემდგომ, მისი ძის, *ხანტილი I* მეფობისას, მცირე აზიას ჩრდილოეთიდან *კასკების* („კავკასიელები“) ტომები შემოესივნენ. ამან კი, ერთ ხანს, დაასუსტა ხეთთა სახელმწიფო. მაგრამ XVI საუკუნის ბოლოს, ახალი ძლიერი მეფის, *ტელეპინუს* დროს ისევ აღსდგა და გაძლიერდა ხეთთა სამეფო.

ძლიერ ხელმწიფეთა რიგს განეკუთვნებოდა, აგრეთვე, *სუფილულიუმა* I (ქრისტეს წინარე XIV საუკუნის დამდეგი), რომელმაც აღმოსავლეთით დაამარცხა მეტოქე მითანის სახელმწიფო, სამხრეთით კი დაიპყრო ფინიკიის დიდი ქალაქი უგარიტი. მერე, სუფილულიუმას შვილებმა დაიპყრეს სირიის ქალაქები - ხალები და ქარხემიში.

მურსილ II-ის მეფობისას - როგორც ზემოთაც, ეგვიპტის ისტორიის თხრობისას აღინიშნა - გამძაფრდა ბრძოლა ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის სირიისათვის. 1312 წელს ბრძოლა მოხდა ქალაქ ქადეშთან, სადაც ფარაონი რამსეს II ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ითქვა ისიც, რომ 1296 წელს ხათუსილ III და რამსეს II დაზავდნენ და დამოყვრდნენ კიდეც.

ქრისტეს შობამდე XIII-XII საუკუნეთა მიჯნაზე კი, ხეთების სახელმწიფოებრიობას ბოლო მოუღო ხმელთაშუა ზღვის აუზიდან, უკვე მოხსენიებული „ზღვის ხალხების“ შემოსევამ.

ხეთებმა ძველი მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობაში თავისი, მაღალღირსეული ადგილი დაიჭირეს. სწორუპოვარი იყო ხეთური მეტალურგია. ხეთები არიან წინაპარნი და წინამორბედნი იქვე, მცირე აზიაში მცხოვრები, სწორედ ლითონწარმოებით მაშინდელ მსოფლიოში განთქმული ქართველური ტომის - *ხალიბებისა*.

სირია, ფინიკია, პალესტინა

ეს სამი მცირე ქვეყანა ერთად წარმოადგენდნენ ერთ მთლიან, მარადიულ გზაჯვარედინს, სამი კონტინენტის - აზია-აფრიკა- ევროპის მარადიულად განუწყვეტელ სამოკავშირეო, სამეგობრო, თუ სამტრო ურთიერთობაში.

ჩრდილოეთით სირია, სამხრეთით პალესტინა, მათი

დასავლეთით კი - ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ - ფინიკია.

ქრისტეს წინარე II ათასწლეულის დასაწყისიდან, სირიის ტერიტორიაზე ცხოვრობს ხალხი „ამორეველთა“ ანუ „ამორიტების“ სახელწოდებით. უკვე ჩნდებიან, ძლიერდებიან და იმჟამინდელ მსოფლიო ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სირიული ქალაქები: ქარხემიში, კატნა, ალალახი, იამხადი, დამასკო, ამურუ, ქადეში. სირიისა და მისი ქალაქების დაუფლებისათვის გამუდმებული ომები ჰქონიათ ხეთებს, ეგვიპტელებს, მითანელებს, ასურელებს, ბაბილონელებს.

მაშინდელი მსოფლიოსათვის გამორჩეულ ყურადღებას იპყრობდა ფინიკია და მისი საზღვაო-სანაპირო ქალაქები: ტვიროსი, სიდონი, ბიბლოსი, არვადი, უგარიტი. ყოველი ახლო თუ შორეული ქვეყნის დიდი თუ მცირე დამპყრობელი, ცდილობდა დაეპყრო სწორედ სრულად ფინიკია, ან მისი რომელიმე ქალაქი მაინც. ეს ინტერესი კი გასაგები იყო ამ ქვეყნის განსაკუთრებული ადგილმდებარეობით, სწორედ მსოფლიოს სახმელეთო, თუ საზღვაო გზაჯვარედინზე.

ფინიკიელები არიან მსოფლიოში ყველაზე ძველი და პირველი ზღვაოსნები, პირველი ვაჭრები, პირველი კოლონიზატორები, ანუ ახალქალაქთა დამაარსებელნი. ეს პირველი „ზღვის მეეტლეები“, მათგანვე ნაგები მსუბუქი ხომალდებით, პირველნი დანავარდობენ მთელს ხმელთაშუა ზღვაზე, აზიის სანაპიროებიდან ატლანტის ოკეანემდე, პირველნი ნათლავენ იქ გასასვლელ სრუტეს - „მელკარტის სვეტების“ სახელით, ფინიკიელთა უმაღლესი ღვთაების, მელკარტის სახელით (შემდგომ - გიბრალტარის სრუტე). ისინი პირველნი უვლიან ზღვით პირენეის ნახევარკუნძულს, გაივლიან ბისკაის უბეს, ლამანშისა და პადეკალის სრუტეებს და შედიან ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებში. და, ფინიკიელნი ვაჭრობენ ევროპული საქონლით აზია-აფრიკაში და აზია-აფრიკის საქონლით, ევროპაში. ფინიკიელნი პირველნი შემოუვლიან გარს აფრიკასაც, მელკარტის სვეტებიდან სუეცის ყელამდე. ფინიკიელები აარსებენ კოლონია-ახალშენებს ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე, სახელდობრ: სიცილიაზე - მოტია, პანორმი; სარდინიაზე - ნორა; აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე - ლიკსი; ესპანეთის სამხრეთ სანაპიროებზე - გადესი, მალაკა, სეესი, აბდერა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება „კარტ-ხადაშტ“

(ახალ-ქალაქი), ანუ - კართაგენი, რომელიც დააარსეს ტვირთსელმა ფინიკიელებმა, ქრ. წ. 825 წელს (კართაგენზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ შემდგომ, რომის ისტორიის განხილვისას).

ძველ მსოფლიოში განთქმული იყო ფინიკიური ქსოვილები და საღებავები.

ფინიკიელთა უდიდესი კულტურული შენამოქმედი - ეს არის, მათივე სახელით განთქმული „ფინიკიური ანბანი", შექმნილი, დაახლ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე (ჩვენგან 3000 წლის წინათ).

თავიდანვე უდიდესი მნიშვნელობით მკვიდრდება მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში პალესტინა, ადრინდელი სახელით - ქანაანი, მდინარე იორდანესა და მკვდარი ზღვის ხეობით. ქრისტეს წინარე II ათასწლეულის მეორე ნახევარში, ამ ქვეყანას იჭერენ და მკვიდრდებიან ებრაული ტომები. მეზობელ ფილისტიმელებთან ბრძოლაში ყალიბდება ებრაული სახელმწიფოც, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა XI-X საუკუნეებში, დავითისა და სოლომონის მეფობათა ჟამს. სოლომონის შემდგომ კი, მოხდა გათიშვა ორ სახელმწიფოდ - სამხრეთით იუდეა, დედაქალაქით იერუსალიმი, ჩრდილოეთით ისრაელი, დედაქალაქით სამარია.

ებრაული კულტურის ყველაზე დიდი, მარად მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი-საუნჯე - ეს არის საღვთისმეტყველო, ფილოსოფიურ და ისტორიულ წიგნთა კრებული - *„ბიბლია"*.

ასურეთი

ასურეთის სახელმწიფო წარმოიქმნა ქრისტეს შობამდე XIX-XVIII საუკუნეთა შორის, მესოპოტამიის ჩრდილოეთ მხარეში. სატახტო ქალაქი ჯერ იყო *ამური*, შემდეგ *ნინევია* - წოდებული „ლომთა ბუნაგად".

ქრისტეს წინარე XVIII საუკუნეში ასურეთს მეფედ ჰყავდა ჯერ *შამშიადად I*, შემდეგ მისი ძე - *იშმედაგანი* (მაშინ, როცა მეზობელი ბაბილონის მეფე იყო ხამურაბი).

ასურეთი განსაკუთრებით გაძლიერდა XV-XIV საუკუნეთა მიჯნაზე, *ამურუბალიტ* I მეფობის დროს. მომდევნო XIII

საუკუნეში ასურეთის გავლენა წინა აზიაში დაეცა. ხოლო XII-XI საუკუნეთა მიჯნაზე, მეფე *ტიგლათფილესერ* I-ის დროს, ასურეთი კვლავ გამძლავრდა. ტიგლათფილესერი დიდი წარმატებით ლაშქრობდა სამხრეთით, ბაბილონიაში, დასავლეთით - სირიასა და ფინიკიაში. ამ წარმატებებს ისევ დაცემა მოჰყვა. დაცემას კიდევ ახალი, მესამე ამაღლება და გამძლავრება ასურეთისა, ქრისტეს წინარე X-IX საუკუნეებში. ასურელი მეფეები წარმატებით ლაშქრობენ ყველა მიმართულებით. ასურეთის ჰეგემონია წინა აზიაში გრძელდება მომდევნო VIII საუკუნეშიც, როცა სატახტო ქალაქებად გამოცხადდა ჯერ ახლადდაარსებული *დურ-შარუკინი*, შემდეგ ნინევია.

დიდი საომარი პოლიტიკით და დაპყრობებით განსაკუთრებით გაითქვა სახელი მეფე *ტიგლათფილესერ* III (745-727). მან, მანამდე წესად მიღებული მასიური ჟლეტა დაპყრობილი ხალხებისა (აღრიცხვა - წარკვეთილი თავების დათვლით!), შეცვალა მასობრივად ტყვედ წაყვანით და ასურეთის ტერიტორიებზე მიმოფანტვით. ამას ერქვა ასურულად - „ნასახუ“ (ბერძნულად - „დიასპორა“).

მომდევნო მეფე, *სალმანასარ* V (727-722), ლაშქრობდა სირიაში, ფინიკიაში, პალესტინაში; ალყა შემოარტყა ისრაელის დედაქალაქ სამარიას. ხოლო, გაჭიანურებული ალყის დროს, მოხდა სასახლის კარის გადატრიალება: სალმანასარი ტახტიდან ჩამოაგდეს და გამეფდა *სარგონ* II (722-705), რომელმაც სამარია გამეფების წელსვე აიღო და მისი მოსახლეობა ასურეთში გაასახლა და გაფანტა. შემდეგ, 717 წელს, სარგონმა ილაშქრა სირიაში და აიღო ქალაქი ქარხემიში; ხოლო 714 წელს ილაშქრა ურარტუში, სადაც აიღო, გაძარცვა და საძირკვლამდე დაანგრია ქალაქი მუსასირი.

710 წელს ბაბილონსაც დაეუფლა სარგონი.

სარგონის შემდეგ მისი ძე, *სინაქერიბი* მეფობდა (705-681 წწ). ამან, 689 წელს, ბაბილონი ხელახლა აიღო და დაანგრია. 681 წელს კი, იგი მსხვერპლი გახდა შეთქმულებისა, რომელშიც მისი შვილებიც მონაწილეობდნენ. გამეფდა *ასარჰადონი* (681-669), რომელმაც მამისგან დანგრეული ბაბილონი აღადგინა. ასარჰადონს ომები მოუხდა ჩრდილოეთიდან - კავკასიის გადაღმიდან შემოჭრილ *კიმერიელებთან*. მან წარმატებით ილაშქრა არაბეთის ნახევარკუნძულზე, ფინიკიაში და ეგვიპტეში, სადაც აიღო და დაეუფლა სატახტო ქალაქ მემფისს.

სიკვდილის წინ ასარჰადონმა ასურეთის ტახტი უანდერძა უფროს ძეს, *ასურბანიფალს*, ხოლო უმცროსს, *შამაშუმუკინს* - ბაბილონი.

ასურბანიფალს (669-633) აჯანყებული ეგვიპტის ხელახალი დაპყრობა დასჭირდა, კიდევაც დაიპყრო, მაგრამ 655 წელს ეგვიპტე კვლავ აჯანყდა და კიდევაც სამუდამოდ მოიშორა ასურული უღელი.

653 წელს, ასურბანიფალს აუჯანყდა ძმა, შამაშუმუკინი, ბაბილონის მმართველი. ბრძოლა ძმებს შორის გაგრძელდა. ბოლოს, 648 წელს, ასურბანიფალმა გაიმარჯვა და ბაბილონსაც დაეუფლა. შამაშუმუკინმა თავი მოიკლა.

ასურბანიფალი ისტორიაში შევიდა როგორც „წერა-კითხვის მცოდნე" და „განათლებული" ხელმწიფე. მანვე დააარსა ლურსმულ-დამწრელობითი ბიბლიოთეკა, 20000 თიხის „წიგნით" („ასურბანიფალის ბიბლიოთეკა").

ასურბანიფალის სიკვდილის შემდეგ, ასურეთს დიდი ბრძოლები დასჭირდა ახლად ჩამოყალიბებული მიდიისა და ბაბილონის კოალიციასთან. 612 წელს, ბაბილონელებმა და მიდიელებმა, ერთიან ძალით, ნინევია აიღეს და გადაწვეს (ბიბლიოთეკა გადარჩა: თიხის წიგნებს ცეცხლი კიდევაც „მოუხდა"!).

605 წელს, უკანასკნელი ბრძოლა მოხდა ქალაქ ქარხემიშთან. ბაბილონელთა და მიდიელთა გაერთიანებულმა ჯარებმა, ბაბილონელი უფლისწულის, *ნაბუქოდონოსორის* სარდლობით, ასურელთა ჯარები სრულად მოსპეს. ამის შემდგომ ასურეთი, როგორც სახელმწიფო, აღარ არსებობს.

URARTU

ასეთი სახელწოდების სახელმწიფო ქრისტეს წინარე IX საუკუნეში ჩამოყალიბდა, ამიერკავკასიის სამხრეთით, ვანის და ურმიის ტბების მიდამოებში და თანდათან მოიცვა არარატისა და სომხეთის მთიანეთი. ასურეთის მეფე სალმანასარ III ხშირად იხსენიებს თავის წარწერებში ურარტუს ქვეყანაში თავის საომარ ლაშქრობებს, აქაურ ციხე-ქალაქთა დაპყრობისა და ურარტელთა მასობრივი გარეკვის შესახებ.

ბოლოს, ურარტუს მეფემ, *სარდური* I შეძლო ასურელთა უკუქცევა და სახელმწიფოს განმტკიცება, ძლიერი საუფლო ქალაქით - *ტუშფა*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურარტუს ძლიერების ხანა ქრისტეს წინარე VIII საუკუნეა, როცა მეფობენ: მენუა (810-781), არგიშტი I (781-760), სარდური II (760-730), რუსა I (730-714). ესენი აწყობენ წარმატებულ ლაშქრობებს და თავის მბრძანებლობას ავრცელებენ არარატის ველზე, სევანის მიმდებარე ტერიტორიაზე. ურარტელ მეფეებს ხშირი შეტაკებები უხდებოდათ აღმოსავლეთ მცირე აზიის, ყარსისა და ერზერუმის ოლქებში მცხოვრებ „ტაოხისა“ და „კოლხას“ ქართველურ ქვეყნებთან.

714 წელს - ასურეთის მეფე სარგონ II დიდი სამხედრო ექსპედიცია მოაწყო ურარტუში, აიღო და დაანგრია მისი მთავარი ქალაქი მუსასირი, ქვეყანა გაძარცვა, ხალხი გაასახლა და გაფანტა.

ამის შემდეგ ურარტუმ წელში გამართვა ვეღარ შეიძლო. VI საუკუნის დამდეგს, ურარტუს ბოლო მოუღეს ჯერ სკვითების, შემდეგ მიდიელების შემოსევებმა. სწორედ მიდიელებმა 585 წელს აიღეს ურარტუს დედაქალაქი ტუშპა და ამით ამ ქვეყნის დამოუკიდებელ არსებობასაც სამუდამოდ დაუსვეს წერტილი.

ახალ - ბაბილონური სამეფო

ქრისტეს შობამდე II ათასწლეულის ბოლოს (ჩვენგან 3000 წლის წინათ), სამხრეთ მესოპოტამიაში გაძლიერდა და დაწინაურდა ტომი ქალდეველებისა, რომელთაც საუფლო ქალაქად გაიხადეს მანამდეც სახელგანთქმული ბაბილონი და ამ ახალ სახელმწიფოს სახელიც ასეთი დაერქვა - ახალ-ბაბილონური სამეფო, ანუ *ქალდეური ბაბილონია*.

ახალბაბილონური სახელმწიფო დაიბადა ასურეთთან სასტიკ ბრძოლაში. 626 წელს მოკვდა ასურეთის მეფე ასურბანიფალი. ამით ისარგებლა ბაბილონის მაშინდელმა მმართველმა - *ნაბოფალასარმა*, წარმოშობით ქალდეველმა, რომელმაც მიდიასთან კავშირით შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება. ნაბოფალასარმა იმეფა 626 წლიდან 604 წლამდე. უკვე ზემოთაც ითქვა, რომ 612 წელს, ნაბოფალასარმა და მიდიის მეფე *კიაქსარმა*, შეერთებული

ძალებით, აიღეს, დაანგრიეს და გადაწვეს ასურეთის სატახტო ნინევია. ხოლო, 605 წელს, ქარხემიშთან დიდ ბრძოლაში ბაბილონელებმა და მიდიელებმა, ნაბოფალასარის ძის, ნაბუქოდონოსორის სარდლობით, სრულად მოსპეს და გაანადგურეს ასურელთა საომარი ძალები. აქვე გათავდა საერთოდ ისტორია ასურეთისა.

604 წელს, ნაბოფალასარი მოკვდა და ბაბილონის ტახტზე ავიდა მისი ძე, უკვე დიდი სახელის მქონე *ნაბუქოდონოსორ* II (604-562 წწ). ტახტზე ასვლისთანავე, ნაბუქოდონოსორმა აქტიური, დამპყრობლური პოლიტიკა გაშალა დასავლეთის მიმართულებით და თავისი ბატონობა განავრცო ხმელთაშუა ზღვამდე და ნილოსის ხეობამდე. ეს იყო წლები უმძიმესი ბრძოლებისა. მარტო ერთი ფინიკიური ქალაქის, ტვიროსის აღება ნაბუქოდონოსორმა მხოლოდ 13 წლის უმძიმესი ალყა-იერიშების შემდგომ შეძლო.

ქრისტეს წინარე 586 წელს, ნაბუქოდონოსორი შეიჭრა პალესტინაში, მისგან განდგომილ და აჯანყებულ იუდეაში, აიღო იერუსალიმი, გაძარცვა, გადაწვა და მისი მოსახლეობა გადაასახლა ბაბილონში. აქედან - ბიბლიით გავრცელებული თქმა - „ბაბილონის ტყვეობა“.

ამავე 586 წლით თარიღდება იერუსალიმიდან ლტოლვილ ებრაელთა პირველი მოსვლა და დასახლება საქართველოში.

თვითონ ქალაქი ბაბილონი, ევფრატზე აღმართული მსოფლიო ქალაქი, განსაკუთრებული სრულქმნილებით აშენდა და აყვავდა სწორედ ნაბუქოდონოსორის დროს. მაშინ შეიქმნა და გავრცელდა მსოფლიო ლეგენდები „ბაბილონის კიდული ბაღებისა“ და „ბაბილონის გოდოლის“ მშენებლობათა შესახებ. არქეოლოგიურად დადასტურებულია, რომ მაშინდელ ბაბილონს გარს ერტყმოდა სამრიგოვანი ქვის კედელი: სისქით, პირველი - 7 მ., მეორე - 7,8 მ., მესამე - 3,3 მ. კედლებზე გამწკრივებული იყო სამასადმე კოშკი-გოდოლი. სულ გარედან ქალაქს ერტყმოდა ღრმა, ფართო თხრილი. აქვე, ამ თხრილთა გასწვრივ, გამართულიყო ჰიდრო-ტექნიკურ ნაშენობათა ერთობლიობა, რომლის საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში (ვთქვათ, მტრის შემოსევის დროს), შეიძლებოდა საგანგებო რაბებით დაგუბებული ევფრატის წყლის აშვება და ქალაქის გარშემო ტერიტორიის სრულად დატბორვა. თვითონ იკვეხნიდა ნაბუქოდონოსორი: რამეთუ მტერი

ბოროტმზრახველი, ბაბილონის კედლებსაც ვერ მოუახლოვდეს - მე შემოვსახღვრე იგი უმძლავრესად სულდგმულ ტალღებით, რომელთა გადალახვა არის ისევე შეუძლებელი, როგორც მარილოვან-ტალღოვანი ზღვის გადალახვა...

ნაბუქოდონოსორის სიკვდილისა და მისი 40-წლიანი ხელმწიფობის შემდეგ, ბაბილონის სიძლიერე სწრაფად ეცემა და კნინდება. ახლა აზიური მსოფლიოს ასპარეზზე სპარსელები წინაურდებიან და, ქრისტეს წინარე 538 წელს, ქალაქ ბაბილონსაც, სახელოვანი კიროს აქემენიდის წინამძღოლობით, სწორედ სპარსელები ეუფლებიან.

ძველი ირანი

ირანის ჩრდილოეთ ნაწილს, ანუ კასპიის ზღვის სამხრეთ ქვეყანას ერქვა მიდია, საიდანაც იწყება საერთოდ ირანული ცივილიზაციის ისტორია. დრო ამ ცივილიზაციისა - ქრისტეს შობამდე VII - VI საუკუნეები. სატახტო ქალაქი მიდიური სამეფო დინასტიისა - *ეკბატანა* (ახლ. ჰამადანი). ჯერ, მიდიის მეფე *კიაქსარი* უკავშირდება და უმოყვრდება ბაბილონის მეფე ნაბოფალასარს და ბაბილონელები და მიდიელები - როგორც ზემოთაც ითქვა - შეერთებული ძალებით ამხობენ ასურეთს. ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს კი, ერქვა *ელამი*, მთავარი ქალაქით - *სუზა* (შუშა). ეს მხარე გასდევდა მდინარე ტიგროსის ქვემო წელს და ამით საშუამავლო, დამაკავშირებელ როლსაც ასრულებდა ირანსა და ძველ მესოპოტამიას (შუამდინარეთს) შორის.

ირანის სამხრეთ მხარეში კი, ცხოვრობენ *სპარსელები*, რომლებიც ქრისტეს წინარე VI საუკუნის შუა წლებში დაწინაურდნენ, ნიჭიერი და მამაცი ბელადის, *კიროს აქემენიდის* მეთაურობით. იმთავითვე იწყება მეტოქეობა სპარსელებსა და მიდიელებს შორის.

ქრისტეს წინარე 558 წელს, კიროსმა ტახტიდან ჩამოაგდო მეფე *ასტიაგი* და თვითონ დაიდგა თავზე გვირგვინი სრულიად ირანის ხელმწიფობისა.

კიროსის მეფობის დრო (558-529 წწ) არის პროცესი ახალი აზიური მსოფლიო სახელმწიფოს - სპარსეთის („აქემენიდური სპარსეთი“) ამაღლება-აყვავებისა. ირანის სრულად შემომტკიცების შემდგომ, კიროსმა აიღო ბაბილონი, დაიპყრო მთლიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესოპოტამია, მცირე აზია, სირია, ფინიკია. იერუსალიმმა კარი გაულო, როგორც ბაბილონური უღლისაგან გამათავისუფლებლებს, და სპარსელებიც სრულად დაეუფლნენ პალესტინასაც, სინას ნახევარკუნძულსაც და სუეცის ყელზე ეგვიპტის საზღვარსაც მიატანეს.

ერთი სიტყვით, კიროსის დროინდელი სპარსეთი უკვე გაშლილი იყო ცენტრალური აზიიდან ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვებამდე.

ამიერკავკასიის სამხრეთი ნაწილები, პირველ რიგში სომხეთი - კიროს აქემენიდის სამბრძანებლოში მოქცეულიყო. ქართველთა უკიდურესი სამხრეთ-დასავლური მხარეც იმ „აქემენიდურ იმპერიაში" მოქცეულიყო. ძირითადი საქართველო კი - აღმოსავლეთით იბერია და დასავლეთით კოლხეთი - ჯერჯერობით ირანულ უღელს გადარჩენოდნენ.

კიროსი შუა აზიაში შემოჭრილ სკვითებთან შებრძოლებისას დაიღუპა. გამეფდა მისი ძე - *კამბიზი* (529-523 წწ), რომელმაც 525 წელს ილაშქრა და დაიპყრო ეგვიპტე. ეგვიპტეში მისი ყოფნისას, თვითონ სპარსეთში, სასახლის კარზე, გადატრიალება მოხდა: კამბიზი დამხობილად გამოაცხადა და მისი ტახტი დაიჭირა მოგვმა გაუმატამ.

კამბიზი სასწრაფოდ გამოეშურა ეგვიპტიდან, მაგრამ გზაზე მოულოდნელად დაიღუპა (ცხენიდან გადმოხტომისას, შემთხვევით გაშიშვლებულ ხმალს წამოეგო გულით), ქრ. წ. 523 წელს.

521 წელს კი, სპარსეთის სასახლეში ახალი გადატრიალება მოხდა და ტახტზე ისევ აქემენიდური დინასტიის წარმომადგენელი ავიდა - *დარიოს I* (523-486 წწ).

დარიოსმა, უპირველეს ყოვლისა, გაატარა მეტად მნიშვნელოვანი რეფორმები, - ჯერ, ადმინისტრაციულად: მან თავისი მსოფლიო სახელმწიფო, გადაჭიმული ეთიოპიიდან (აფრიკა) ინდოეთამდე (აზია), სამმართველოდ დაჰყო სატრაპიებად. შემდეგ - ფინანსიური რეფორმა: ამ ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს ერთიან ფულადი ბრუნვისათვის დააწესა ერთი ძირითადი ფულადი ერთეული, სახელით „დარიკი", 8,50 გრამი ოქროს მონეტა. და, ბოლოს - სამხედრო რეფორმა: 10000 რჩეული მეომრისაგან (რომელთაც თვითონ მეფემ უწოდა „უკვდავნი") ყალიბდება მუდმივი ჯარი, თავისებური „გვარდია", რომელიც წარმოადგენს მთელ სახელმწიფოში თავმოყრილი ჯარების წამყვან ბირთვს ომის შემთხვევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარიოსის დროს დაიწყო დიდი, ნახევარსაუკუნოვანი ომი სპარსეთსა და საბერძნეთს შორის (ამაზე განვაგრძობთ საბერძნეთის ისტორიის განხილვისას).

ძველი ინდოეთი

აღმოსავლეთ აზიაში, ორი დიდი ქვეყანა - ინდოეთი და ჩინეთი - თავიანთ სახელმწიფოებრიობას იწყებენ ქრისტეს შობამდე მესამე ათასწლეულის შუა ხანებიდან (ჩვენი დღევანდელობიდან დაახლ. 4500 წლის წინათ).

დავიწყოთ ინდოეთით - ქვეყანა ჰიმალაის მთების სამხრეთით, დიდი ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, ორი დედა-მდინარის - ინდის და განგის ვრცელ ხეობებში.

ქრისტეს წინარე მეორე ათასწლეულ წელთა მახლობლად (ჩვენგან 4000 წლის წინათ), ინდოეთში, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან შეიჭრა ხალხი, რომელსაც *არიელებს* უწოდებენ.

არიელები, მათი ბელადების, ანუ *რაჯების* მეთაურობით, დამხვდურ მოსახლეობას შეერივნენ და მთელ ინდოეთში გავრცელდნენ.

მომდევნო ათასწლეულის მანძილზე, ინდოეთში ყალიბდებიან ცალ-ცალკე სახელმწიფონი: მაგადჰა, ანგა, კოშალა, კურუ, პანჩალა, ტაქსილა, განდჰარა და ავანტი.

ქრისტეს წინარე 727 - 726 წლებში, ინდოეთი დალაშქრა ალექსანდრე მაკედონელმა, თუმცა მომდევნო წელს, მისივე ჯარების მოთხოვნით, უკანვე გამობრუნდა.

ქრისტეს წინარე 321 წელს, ინდოეთის ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა *მაურიების* საგვარეულო დინასტია, ნიჭიერი და ენერგიული მეფეებით: *ჩანდრაგუპტა* (321-297 წწ), *ბინდუსარა* (297-272 წწ), ა შ ო კ ა (272-232 წწ).

იმთავითვე ინდური მოსახლეობა იყოფა გაბატონებულ და დაქვემდებარებულ, უფლებიან და უუფლებო ფენებად, ანუ *ვარნებად*, იგივე *კასტებად*.

სულ იყო ოთხი ვარნა, რომელიც გაუჩენია ვითომ თვითონ ღმერთ *ბრაჰმას*: თავისი პირისაგან - *ბრაჰმანები*, ანუ ქურუმები; ხელებისაგან - *ქშატრიები*, ანუ მეომრები;

ბარძაყებისაგან - *ვაიშიები*, გლეხები და ხელოსნები; და ტალახიანწვირიანი ფეხებისაგან - *შუდრები*, ანუ სრულად უქონელნი, უუფლებონი, მონები.

სასტიკად იკრძალებოდა კასტებს შორის ქორწინებრივი აღრევა. მაგალითად, თუ მოხდებოდა და ბრაჰმან ქალს გაუჩნდებოდა შვილი შუდრასაგან, ასეთი შობილი ყველაზე უბედური ადამიანი იქნებოდა. ასეთებს ერქვათ *ჩანდალა*; ხოლო, ჩანდალა ადამიანადაც აღარ ითვლებოდა; ჩანდალებს იმის უფლებაც არ ჰქონდათ ხალხში, სოფელში ეცხოვრათ; მათ მხოლოდ ძაღლებში და ვირებში შეეძლოთ ცხოვრება; საჭმელიც მხოლოდ გატეხილი ჭურჭლიდან უნდა ეჭამათ და ეხვრიპათ...

როგორც ყველა სხვა ხალხთა წინაპრები, ძველი ინდოელებიც გარე სამყაროსა და ბუნების მოვლენებს რელიგიურად გაიაზრებდნენ. ისინი აღმერთებდნენ და თაყვანს სცემდნენ ზეცას (ვარუნა), მზეს (სურია), ჭექაქუხილს (ინდრა) და ცეცხლს (აგნი).

ძველმა ინდოელებმა შექმნეს და ჩამოაყალიბეს დიდი, ეპიკურ-მითოლოგიური წიგნთა კრებული - „ვედები“, ოთხი მთავარი ნაკადით: რიგვედა, სამავედა, იაჯურვედა და ათხარვავედა.

იმავე დროს, ინდოელებმა შექმნეს იურიდიულ- სამართლებრივი კრებული, სახელად - „მანუს კანონები“.

ქრისტეს შობამდე VI საუკუნეში იბადება და ყალიბდება დიდი ინდური რელიგიური მოძღვრება - ბუდიზმი.

ინდოელებმა შექმნეს თავისი დამწერლობა - თავისი ანბანი, უფრო მარტივი და დახვეწილი, ვიდრე ეგვიპტური ჰიეროგლიფები და მესოპოტამიური ლურსმული. მათვე გამოიგონეს მათემატიკური ციფრები, დღემდეც რომ მთელს მსოფლიოში გამოიყენება.

ინდოეთია, აგრეთვე, სამშობლო ჭადრაკისა.

ინდოელებმა შექმნეს მეცნიერებანი - მედიცინა, ასტრონომია.

ინდოეთში საფუძველი ჩაეყარა მეტად საინტერესო არქიტექტურას და სკულპტურას.

ინდოეთი არის სამშობლო თავისი დიდი მუსიკისა.

ინდოელებმა შექმნეს დიდი მხატვრულ-ფილოსოფიური ლიტერატურა, და ამ მხრივ - უკვე მოხსენიებული „ვედების“ გარდა - უნდა დასახელდეს ორი დიდი პოემა - „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩინეთში პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი, როგორც ზემოთაც ითქვა - ჩნდებიან ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში, ხოლო უფრო მტკიცედ და გამოკვეთილად - ისევ ქრისტეს წინარე II ათასწლეულის დასაწყისში (ჩვენგან 4000 წლის წინ).

შემდეგ, XVIII-XII საუკუნეთა მანძილზე, ანუ 600 წლის განმავლობაში, მდინარე ხუანხეს მიდამოებში ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს სათავეში ედგა *შან-ინის* საგვარეულო დინასტია. მერე ამას მოსდევს ოთხასწლოვანი - XII,VIII საუკუნეთა *ჯოუს* დინასტია.

ქრისტეს წინარე VII საუკუნიდან კი, ჩინეთის ტერიტორიაზე ყალიბდებიან ახალი სახელმწიფოები - *ცი, ძინ, ლუ, ვეი, ცინ, ჩუ, სუი.*

ამათგან, ქრისტეს შობამდე III საუკუნეში, დაწინაურდა *ცინი*, რომლის ბელადმა მთელი ჩინეთი გააერთიანა და ერთიანი სამეფოს ტახტზე თვითონ დაბრძანდა, *ცინ ში ხუანდის*, ანუ „ცინის პირველი მეფის“ სახელით.

ცინ ში ხუანდიმ 36 წელი იმეფა (446-410 წწ), მტკიცე და მკაცრი მმართველობით. მისი ბრძანებით, ჩინელები დიდი ალმავლობით, დატვირთვით და გულმოდგინებით განაგრძობენ მანამდე ერთი საუკუნით ადრე დაწყებული *„დიდი ჩინური კედლის“* მშენებლობას.

ეს კედელი შენდებოდა ჩრდილოეთიდან მომთაბარე ტომების, ჰუნების შემოტევათა უკუსაგდებად.

ჩინური კედლის მშენებლობა შემდგომაც გაგრძელდება.

მისი სიგრძე დაახლოებით უდრიდა 4000 კილომეტრს, სიმაღლით 6,5 მ, ზოგან 10 მეტრიც; სიფართით 6,5 მ. მასზე ხუთ ცხენოსანსაც რომ შეეძლო გვერდი-გვერდ თავისუფლად გავლა; მთელს სიგრძეზე გოდოლ-კოშკებით გაწყობილი... ბოლოს, სახელიც ასე დაერქმევა და დღემდეც მოაღწევს იმავე სახელით - „ჩინეთის დიდი კედელი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ჩინეთს, „დიდი კედლის“ გარდა, ჰქონდა *„დიდი აბრეშუმის გზაც“*.

აბრეშუმის წარმოება ჩინელებმა გამოიგონეს და მის საიდუმლოებასაც მკაცრად იმარხავდნენ. ქსოვილებსაც თვითონ ქსოვდნენ და ნაწარმი სავაჭროდ გაჰქონდათ დასავლეთ მსოფლიოში. ამისთვის მოდიოდნენ ჩინელი ვაჭრები და მოგზაურები ჩინეთიდან, გამოივლიდნენ შუა აზიას, ირანსა და კავკასიას, აქვე საქართველოს და აქედან მიეშურებოდნენ ევროპისაკენ.

ჩინელებმა თავისი სახელმწიფოებრიობის დასაწყისიდანვე შექმნეს ჰიეროგლიფური დამწერლობა. წერდნენ ბამბუკის დაფებზე, აგრეთვე აბრეშუმის ქსოვილზე. ბოლოს, ჩინელებმა საწერ მასალად გამოიგონეს ქაღალდი.

ჩინეთში იბადება და ყალიბდება ასტრონომიული დაკვირვებანი. იქმნება კალენდარი.

მეცნიერულ ხედვას, როგორც ყველგან, აქაც წინ რელიგია უსწრებდა.

ძველ ჩინეთში საფუძველი ეყრება ფილოსოფიურ აზროვნებას. დიდი ფილოსოფოსები იყვნენ კონფუცი და ლაო-ძი (ორივე ქრისტეს წინარე VI საუკუნეში).

ასევე ყალიბდება ჩინური ისტორიული მეცნიერება და მწერლობა. II-I საუკუნეებში ცხოვრობდა ისტორიკოსი სიმა ციანი, რომელიც აღწერდა ჩინეთის წარსულსაც და თანამედროვე მოვლენებსაც.

„როცა ისტორიას წერ, არ უნდა გაამზვიადო კარგი და არ უნდა მიჩქმალო ცუდი“, - ამბობდა სიმა ციანი.

ჩინეთში შეიქმნა დიდი ხელოვნების დარგები - არქიტექტურა, სკულპტურა, ფერწერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკვეთი II.

ანტიკურობა

„ანტიკური“ ლათინურ-რომაული სიტყვაა და ქართულად „ძველს“ ნიშნავს. მეცნიერებამ ეს სახელწოდება სწორედ ძველ *ბერძნულ-რომაულ* ისტორიას დაარქვა.

თანაც, თავიდანვე საგანგებოდ უნდა მივანიშნოთ, რომ ანტიკურობა, განსაკუთრებით, ბერძნულ-ელინური კულტურისა და ცივილიზაციის ისტორია, მთელ მანამდელ და შემდეგდროინდელ მსოფლიოში *ყველაზე მაღალი*, უზენაესად სრულქმნილი კულტურის ისტორიაა.

გოეთე ამბობდა: „მსოფლიოს შეუძლია გაისტუმროს ყველა ხალხის ვალი, მაგრამ ძველ ბერძენთა ვალს ვერა და ვერასოდეს ვერ გაისტუმრებსო!...

დღევანდელ მსოფლიო ენებში - მათ შორის, ჩვენ ქართულ ენაშიც, მრავლად და მრავლად ის ბერძნულ-ელინური, თუ ლათინურ-რომაული იხმარება.

მაშ, თვალი გადავკრათ ანტიკურობას - ამ მარად „გაუსტუმრებელ ვალს“.

დავიწყოთ ანტიკურ-ბერძნულით.

კარი I.

ანტიკური საბერძნეთი

გეოგრაფიული გარემო



გეოგრაფიულ-ტერიტორიულად, ძველი საბერძნეთი ორი უმთავრესი კონტინენტის - ევროპისა და აზიის გზა-კვანძს წარმოადგენდა: ევროპიდან - სამხრეთ ბალკანეთის ნახევარკუნძული და ეგეოსის ზღვის არქიპელაგი, ხოლო, აზიიდან - მცირე აზიის დასავლეთი სანაპირონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან, ბალკანეთის საბერძნეთი განიყოფებოდა სამ ნაწილად: ჩრდილოეთი, შუა და სამხრეთი, ანუ ცალკე სახელწოდებით - პელოპონესი.

შუა საბერძნეთს და პელოპონესს აერთებდა ვიწრო ხმელეთი, სახელწოდებით - კორინთოს ყელი.

საერთოდ კი, თავიდან ბოლომდე, ქვეყანა იყო მთაგორიანი, მწირი, უწყლო და გვალვიანი. ამიტომ იყო, რომ ბერძენი ბერძენს გამომშვიდობებისას ასე უსურვებდა: „კარგი გზა და კარგი წყალი!“

ასეთი ბუნებრივი პირობები ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი უნდა ყოფილიყო დრო და დრო საბერძნეთიდან ბერძენთა უცხო ქვეყნებში გადასახლება-დასახლებისა, ანუ მათი განთქმული „კოლონიზაციისა“.

„მინოსური - აიეტური“

ყველაზე ძველ, ანუ „ევროპულ სახელმწიფოდ“, თვითონ ბერძნები მიიჩნევდნენ კუნძულ *კრეტას*, რომლის ძლიერების მწვერვალად წარმოდგენილია ლეგენდარული *მინოსის* მეფობა.

ხოლო, ეს „მინოსური ხანა“, მეცნიერული დადგენით, განისაზღვრება ქრისტეს წინარე XVII-XV საუკუნეებით, ანუ ჩვენი დღევანდელობიდან - 3700-3500 წლით.

ისევ თვითონ ძველ ბერძენთა დაბეჯითებული გადმოცემით - მაშინდელი მსოფლიოს ორი უზენაესი, „ღვთაებრივი ხელმწიფე“, კრეტის მეფე *მინოსი* და კოლხეთის მეფე *აიეტი, თანამედროვენი* და *მოყვრები* არიან: მინოსს ცოლად და დედოფლად უზის აიეტის დაი, სახელად *პასიფაე*.

პარალელურად კრეტისა, მაღალი კულტურა სუფევდა მიკენში (სამხრეთ საბერძნეთში, ანუ პელოპონესში).

კრეტა-მიკენურს კი, უშუალოდ განაგრძობენ საკუთრივ ბერძნები.

ბერძენი ხალხი ჩამოყალიბდა სამი ნათესაური გვარტომობის - *იონიელების, დორიელების* და *ეოლიელების* შეერთებით.

(აკი ჩვენებური *ქართველობაც* ასევე სამი ნათესავი, სამი ძმა-გვარტომობისგან ჩამოყალიბდა: *ქართები, მეგრელები* და *სვანები*).

ჩვენამდე მოაღწია მრავალმა ბერძნულმა თქმულებამ, ლეგენდამ და ისტორიამ, რომელთაგან განსაკუთრებული მოცულობით და მნიშვნელობით გამოირჩევა ორი ლაშქრობა - ლაშრობა *კოლხეთში* და ლაშქრობა *ტროაში*.

პირველი - ბერძენი *„არგონაველების“* ლაშქრობა კოლხეთს, ოქროს საწმისის მოსატაცებლად - იასონის, მედეას, აიეტის და სხვათა ამბავი, რომელსაც ჩვენ საქართველოს ისტორიაში უკვე გავეცანით.

ახლა კი მეორეს მივხედოთ - ბერძენთა *მომდევნო* თაობის ლაშქრობას მცირე აზიაში, მდინარე სკამანდრის ხეობაში, იქაური ქალაქის, *ტროას* დასასჯელად. მიზეზი კი, ქალის მოტაცება ყოფილა: ტროელმა უფლისწულმა *პარისმა*, ბერძენ *მენელაოსს* ცოლი მოსტაცა - *მშვენიერი ელენე*. მთელი საბერძნეთი შეიყარა აზიაში სალაშქროდ. თავიანთი მეომარი რაზმებით შეიყარნენ გმირი *ბასილევსები* (მეფენი) - აგამემნონი, აიაქსი, ოდისევსი, დიომიდე, ნესტორი, პატროკლე, სხვანი და სხვანი. მაგრამ ამათ შორის მაინც ყველაზე დიდი, გმირთაგმირი - აქილევსი...

და, შეესივნენ ბერძნები „ღმერთთა ხელით“ აღმართულ ტროას, ანუ ციხე-ქალაქ ილიონს. ომი გაგრძელდა ათი წელიწადი და დამთავრდა ბერძენთა გამარჯვებით და ტროას დანგრევა-დაღუპვით.

ტროას ომსა და მის გმირებს მიუძღვნა გენიალურმა *ჰომეროსმა* თავისი ორი პოემა - *„ილიადა“* და *„ოდისეა“*.

თვითონ ჰომეროსი ცხოვრობდა ქრისტეს წინარე IX-VIII საუკუნეთა მიჯნაზე, ანუ ჩვენგან, დაახლ. 2800 წლის წინათ (მაშასადამე, ამ ორ გენიოსს - ბერძენ ჰომეროსსა და ქართველ რუსთაველს ერთმანეთისგან აშორებს 2000 წელიწადი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქრისტეს წინარე VIII-VI საუკუნეებში უაღრესად განვითარდა და აყვავდა ბერძნული ზღვაოსნობა, ვაჭრობა და კოლონიზაცია. ამ მხრივ საბერძნეთმა სრულად გადაუსწრო, დაჯაბნა და დათრგუნა მანამდე განთქმული ფინიკია.

ბერძნები საბერძნეთიდან მიდიან და დამოუკიდებელ კოლონია-ქალაქებად სახლდებიან მთელ ხმელთაშუა, ეგეოსისა და შავი ზღვის სანაპიროებზე.

სახელდობრ: სამხრეთ იტალიაში - რეგიონი, ლოკრი, კროტონი, სიბარისი, ტარენტონი, ნეაპოლისი.

კუნძულ სიცილიის სანაპიროებზე - სირაკუზი, აკრაგანტი, სელინუნტი, მესინა.

ჩრდილოეთით, მდინარე რონის შესართავში - მასალია (დღევანდელი მარსელი).

ესპანეთის სანაპიროებზე: ჰემეროსკოპეიონი.

სამხრეთით, აფრიკის სანაპიროებზე - კირენა; ეგვიპტის სანაპიროზე - ნავკრატისი.

ხმელთაშუა ზღვეთიდან ატლანტის ოკეანეშიც გავიდნენ და გაინავარდეს ამ ახალმა „ზღვის მეეტლეებმა“. ამ სრუტესაც ის ფინიკიური მელკარტის სახელი მოაშორეს და თავისი უდიდესი გმირის სახელით *„ჰერაკლეს სვეტები“* დაარქვეს.

ბერძნები ადრიდანვე ცალკე კოლონია-ქალაქებად სახლდებიან ეგეოსის ჩრდილოეთის, თრაკიის სანაპიროებზე, ჰელესპონტის (დარდანელი) და პროპონტიდის (მარმარილოს ზღვა) ნაპირებზე.

საგანგებოდ მივინიშნოთ, რომ აქვე, ბოსფორის სრუტეში, აზიისა და ევროპის წყალგამყოფზე, ევროპის მხარეს დაარსდა კოლონია *ბიზანტიონი* (რომელიც მრავალ დიდ სიტყვას იტყვის სამომავლო ისტორიაში). ხოლო, მის პირდაპირ, უკვე აზიის მიწაზე, ისევ ბერძნული კოლონია - ქალკედონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე, ბოსფორის სრუტით ხომ შავ ზღვაში შემოვდივართ და აი, მის სამხრეთ სანაპიროებზე ბერძნული კოლონია-ქალაქები: ჰერაკლეა, სინოპა, ამისოსი, ტრაპეზუნტი; აღმოსავლეთით (საქართველოს სანაპიროებზე) - ფასისი, დიოსკურია, პიტიუნტი (ბიჭვინთა). ჩრდილოეთით - თეოდოსია, ფანაგორია, პანტიკაპეა, ხერსონესი, ოლვია.

ციცერონი იტყოდა: ბერძნული კოლონიები, ხმელეთ-სანაპიროებზე ჩამორიგებულნი - ბაყაყებივით გადმოსცქერიან ზღვებსო.

და, იყო გაცხოველებული მიმოსვლა, სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობანი ბერძნულ ქალაქებსა და დანარჩენ მსოფლიოს კულტურულ ცენტრებს შორის.

პოლისი

ქრისტეს წინარე VII-VI საუკუნეებში, მიმდინარეობს პროცესი ბერძნული *პოლისების* ჩამოყალიბებისა.

პ ო ლ ი ს ი - ქალაქ-სახელმწიფოა. ამავე სიტყვისაგან წარმოსდგება დღესაც ეგზომ განთქმულ-გახმიანებული ტერმინი - „პოლიტიკა", ანუ „სახელმწიფოს შესახებ"; აქედანვე - „პოლიტეს" - მოქალაქე, და „პოლიტიკოსი" - სახელმწიფო მოღვაწე.

ყველა ბერძნული ქალაქი, თავისი მიმდებარე ოლქით, ცალკე სახელმწიფო იყო; მაგალითად, თვითონ ბალკანეთზე - ათენი, სპარტა, თებე, კორინთო, მეგარა და სხვ. მცირე აზიის სანაპიროებზე - ჰალიკარნასი, ეფესო, მილეტი, სმირნა, ფოკეა, აბიდოსი, კიზიკოსი; ყველა ქალაქი ყველა კუნძულზე და ყველა კოლონია-ქალაქიც ცალკე პოლისი, ანუ ცალკე ქალაქ-სახელმწიფო იყო.

ასე, რომ ძველმა საბერძნეთმა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო არ იცოდა. იქმნება მხოლოდ პოლიტიკური კავშირები პოლისთა შორის - გარეშე მტერთა, თუ თვითონ ბერძენთა შორის საპირისპიროდ.

საერთო და საყოველთაო კი ის იყო, რომ ყველა პოლისის შინა საზოგადოებრივი ცხოვრება ერთნაირად *უთანასწორობის*

პრინციპზე იყო აგებული - ყველგან ცალკე მდიდრები და ცალკე ღარიბები, ცალკე გაბატონებულნი და ცალკე დაჩაგრულნი. გაბატონებული *არისტოკრატია* („არისტოს“, ანუ „საუკეთესო“, „კრატია“, ანუ „ძალაუფლება“) და დაჩაგრული *დ ე მ ო ს ი* („დემოს“ - „ხალხი“) - უგვარონი, მდაბიონი.

რაც მთავარია, - ბერძნული პოლისები ერთნაირად არიან *მონათმფლობელურნი.*

ძველ აღმოსავლეთშიც და ანტიკურობაშიც მონა ადამიანად არ ითვლება: იგი მხოლოდ საქონელი-საკუთრებაა მონათმფლობელისა.

არისტოტელეც ამას იტყვის: „მონა არის სულიერი იარაღი“.

ხოლო, იქ - აღმოსავლეთში რომ ერთ სულ თავისუფალ ადამიანზე რაოდენობით 2-3 მონა მოდიოდა, აქ საბერძნეთში ერთ სულ თავისუფალ ბერძენზე 7-8 მონა მოდის, ხოლო იქ, რომში - ერთ სულ რომაელზე 100 მონაც შეგვიძლია ვიანგარიშოთ...

მაშ, ჩვენ ახლა, წიგნის ამ ნაკვეთით, მონათმფლობელურ საზოგადოებათა ისტორიის შუაგულში - საბერძნეთში ვდგავართ.

საბერძნეთი თავისი ცალკეული *პოლისებით,* ყოველი პოლისი თავისი *აკროპოლისით*, ანუ „ზედაქალაქით“, რომელიც წარმოადგენს მთავარ ციხესიმაგრეს, მთავარი ტაძარ-სალოცავით, სახელმწიფო ხაზინით.

საბერძნეთის პოლისთა შორის მაინც ორი იყო მთავარი -*ათენი და სპარტა* - დანარჩენთათვის საწინამძღვრო და სამაგალითო, თუმცა თვითონ ერთმანეთში მეტოქენი, მოქიშპენი და ხშირად დანასისხლად მომტერენი.

ათენი

ათენის პოლისი აღმოცენდა შუა საბერძნეთში, *ატიკის* ოლქში.

თავიდანვე აქ გაბატონებულ მდგომარეობას იჭერენ დიდგვაროვანი არისტოკრატები, ანუ როგორც აქ უწოდებდნენ - *„ევპატრიდები“* („კარგი მამის ძენი“). დანარჩენ ხალხს, ანუ *დემოსს*, შეადგენდნენ *გეომორები* (გლეხები, მიწათმოქმედნი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემიურგები (ხელოსნები), ვაჭრები და სხვა „უგვარო“, „მდაბიო“ მოსაქმენი.

ატიკის საუკეთესო მიწის ნაკვეთებიც ევპატრიდებს ეჭირათ. გაღატაკებული და ვალში ჩავარდნილი მოქალაქენი ვალშივე მონად იყიდებოდნენ.

ევპატრიდების თვითნებობის აღსაკვეთად, ხალხი თავის დამცველ კანონმდებლობას მოითხოვდა.

ქრისტეს წინარე 621 წელს, პირველად, კანონების ჩაწერა მიანდეს *დრაკონს,* რომელსაც ისეთი მკაცრი კანონთა კრებული შეუდგენია, ერთნაირად და განურჩევლად რომ სიკვდილით ისჯებოდა ყველანაირი - დიდისა თუ მცირე დანაშაულის ჩამდენი, ვთქვათ - ბოსტნეულის ქურდიც და კაცის მკვლელიც. და, ამნაირ განურჩევლობასაც თვითონ დრაკონი, თურმე, ასე „ასაბუთებდა“: პრასის ქურდობისთვის კაცს სიკვდილი ეკუთვნის, ხოლო კაცის მკვლელობისთვის სამაგიეროდ სიკვდილზე მეტი რაღა უნდა მომეგონებინაო?! (ამიერიდან ითქმება რაიმე მკაცრ კანონზე - დრაკონის კანონივით სასტიკიაო).

მერე, ქრისტეს წინარე 394 წელს, ათენში გატარდა ახალი სახელმწიფო-საკანონმდებლო რეფორმა, რომლის ავტორი იყო სიბრძნით განთქმული *სოლონი,* შესანიშნავი პოეტი („ელეგიის“ ჟანრი პოეზიაში პირველმა მან შემოიტანა), პატრიოტი მეომარი და სტრატეგოსი.

სოლონის კანონმდებლობით, გაუქმდა ყოველგვარი ვალი და სასტიკად აიკრძალა ათენელისგან ათენელის ვალში მონად გაყიდვა, და მონად გაყიდულებიც უკანვე დაბრუნდნენ თავისუფალ მოქალაქეებად, თავიანთ ოჯახებით. სოლონმა გააუქმა წარმომავლობითი, გვაროვნული უპირატესობა და ათენის მთელი მოსახლეობა დაჰყო ქონების მიხედვით, ოთხ კლასად. ამიერიდან უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება მიენიჭა *ეკლესიას,* ანუ სახალხო კრებას.

ეკლესიიდან ეკლესიის ახალ მოწვევამდე კი, კანონმდებლობას მეთვალყურეობდა *არეოპაგი* -უხუცესთა საბჭო. აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებდნენ *არქონტები.*

სოლონის კანონმდებლობიდან 35 წლის შემდგომ, ათენში სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ იგდო ერთმა პიროვნებამ, სახელად - *პისისტრატემ*. ერთპიროვნული ხელისუფლების დამყარებას კი, ბერძნები უწოდებდნენ *ტირანიას*.

პისისტრატე ჭკვიანი მმართველი გამოდგა და მისი „ტირანიის" დამხობა ათენელებს აღარც უცდიათ. მისი აღმშენებლობითი საქმიანობის გარდა, ისიც საკმარისია ითქვას, რომ ჰომეროსიდან ორასორმოცდაათი წლის შემდეგ, მისი „ილიადა" და „ოდისეა" პირველად ჩაიწერა სწორედ პისისტრატეს განკარგულებით.

მაგრამ პისისტრატეს სიკვდილის შემდეგ, ტირანებად დატოვებული მისი შვილები („პისისტრატიდები"), მათი სისასტიკისათვის, ხალხმა აჯანყებით დაამხო და ახალი კანონმდებლობის შედგენა მიანდო მაშინდელ ცნობილ პოლიტიკოსს - *კლისთენეს*.

კლისთენეს რეფორმით (ქრ. წ. 509), ჯერ აღდგენილ იქნა სოლონის დროინდელი დემოკრატიული კანონმდებლობანი - ეკლესიის (სახალხო კრება), არეოპაგისა (უხუცესთა საბჭო) და არქონტების მმართველობა. ხოლო, თვითონ, ახალი დადგენილებით: ათენი დაჰყო 10 ტერიტორიულ ფ ი ლ ე დ (ოლქად), - იმ ანგარიშით, რომ ყოველ ცალკე ფილეს, საჭიროების შემთხვევაში, სალაშქროდ 1000 მეომარი გამოეყვანა, თავისივე სტრატეგოსით, ანუ ათასეულის მეთაურით.

ცალკე სათათბირო ორგანოდ კლისთენემ დააწესა 500-კაციანი საბჭო, სახელად - *ბულე*.

ბოლოს, კლისთენემ შემოიღო *ოსტრაკიზმი*, რაც გულისხმობდა თავისებურ „ფარულ კენჭისყრას"; სახელდობრ: საგანგებოდ შეყრილ სახალხო კრებაზე ყოველ მოქალაქეს დაურიგებდნენ *ოსტრაკონს*, ანუ თიხის ნატეხს, რომელზეც შეეძლო დაეწერა სახელი, მისი აზრით, სახელმწიფოსთვის საშიში პიროვნებისა. და, უკეთუ დასახელებულთაგან ვინმე აღმოჩნდებოდა არანაკლებ 4000 ოსტრაკონზე - იგი გაძევებული იქნებოდა ათი წლით.

მაშ, ათენის უმაღლესი კანონმდებლობა ეკუთვნოდა სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებას, კრებიდან კრებამდე - არეოპაგს. კრება ირჩევდა აღმასრულებელ არქონტებს. სათათბირო ორგანოდ ირჩეოდა ბულე და, კიდევ, უმაღლესი სასამართლო, სახელად *ჰელიეა*, 500 კაცის შემადგენლობით (ამ ხუთასი „ჰელიასტიდან" გამოიყოფოდა ათ კაციანი ჯგუფი, ცალკეულ საქმეთა განსახილველ-განსასჯელად).

სპარტა

ახლა შუა საბერძნეთი დავტოვოთ და კორინთოს ვიწრო ყელით სამხრეთ საბერძნეთში, ანუ *პელოპონესში* გადავინაცვლოთ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში, რომელსაც ჰქვია *ლაკონია*.

აქ, მდინარე ევროტის პირას, მდებარეობს *სპარტა*, ანუ მეორე სახელით - *ლაკედემონი*.

სპარტელები ერთნაირად და თანასწორად, უბრალო, მარტივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. სიმდიდრე და ფუფუნება მათთან დაგმობილი იყო. უზნეობად ითვლებოდა გამორჩეულად ჩაცმა-დახურვაც, სამკაულების ტარება და სხვა. სახელწოდებაც შესაფერისი ჰქონდა საზოგადოებას - „თავისუფალ და თანასწორ სპარტიატთა თემი".

სპარტელთა შორის თანასწორობას გამოხატავდა მათი სახელმწიფო წყობილებაც. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო სახალხო კრება - *აპელა*; კრებიდან კრებამდე კი - *გერუსია*, ანუ უხუცესთა საბჭო, ოცდარვა *გერონტის* შემადგენლობით („გერონტი" ჩვენებურ-ქართულად „მხცოვანს" ნიშნავს). აღმასრულებელ ხელისუფლებას და საომარ საქმეებს მეთაურობდა ორი მეფე, რომელთა საქმიანობას მეთვალყურეობდა და აკონტროლებდა ხუთი *ეფორი*.

რიცხობრივად სპარტელნი დაახლოებით 9000, ან 10000-ზე მეტი არ იქნებოდნენ; და, შვიდჯერ, ან ათჯერ მეტ სხვა მოსახლეობაზე კი ბატონობდნენ. ეს „სხვები" კი - ვინც სპარტელების გვერდით, სპარტასა და ლაკონიაში ცხოვრობდნენ - იყვნენ *ჰილოტები*

ანუ მონები, და *პერიეკები,* ანუ არასპარტელი მოქალაქენი.

ხოლო, ასე რიცხოვბრივად უმცირესობას რომ უმრავლესობაზე ებატონა, მას განსაკუთრებული და გამორჩეული საომარი გაწრთვნილობა უნდა ჰქონოდა.

ამიტომ ძველთაგანვე სახელი გაითქვა „სპარტანულმა აღზრდამ", რაც გულისხმობდა *უმკაცრეს* პირობებში *მეომრად* აღზრდას - ისეთ აღზრდას, რომლითაც, ყოველი სახის საომარ შეტაკებაში, ერთს ათისთვის მაინც უნდა ეჯობნა.

ყოველი სპარტელი თავისი სიცოცხლით სამშობლო სპარტის საკუთრება იყო და თუ იგი სპარტას დამცველ მეომრად არ მოევლინებოდა, ერჩივნა საერთოდ არც დაბადებულიყო. ამიტომ წესად ჰქონდათ: სპარტელის ოჯახში რომ ბიჭი დაიბადებოდა, მას საგანგებო „კომისია" გასინჯავდა და, თუ იმდენად სუსტად და ნაკლულად მიიჩნევდა, რომ მისგან სრულყოფილი მეომარი არ დადგებოდა, უმალვე იქვე, ტაიგეტის კლდეზე მოისროდნენ...

„ნორმალურად შობილი" სპარტელი ბიჭები კი, უკვე შვიდი წლის ასაკიდან, მიჰყავდათ სკოლაში, ანუ - გვიანდელი სახელწოდებით - „ყაზარმაში". აქ, მიყვანისთანავე, ათი-თორმეტი ბავშვის შედგენილობით - ყალიბდებოდა სამხედრო-სასწავლო დანაყოფები, სადაც ერთად იზრდებოდნენ, ერთად იწვრთნებოდნენ და მომავალშიც, სიკვდილამდე ერთად ომობდნენ.

ბავშვები ამ ყაზარმულ სკოლებში მათივე შიშველი ხელით დაგლეჯილ ლერწმის საგებელზე იძინებდნენ, ერთად იფხიზლებდნენ, ერთად ეჩვეოდნენ სიცივეს და სიცხეს, შიმშილს და წყურვილს, უძილობას და უსვენებლობას; რაც მთავარია - ყოველ საომარ ხელოვნებას: მახვილისა და ფარის ხმარებას, ისრის ტყორცნას და შუბის ძგერებას, სირბილს და ხტომას, მუშტიკრივსა და ათლეტურ რკენას, ციხე-კოშკებზე და კლდეებზე საიერიშოდ მიხდომას და ზედ გადახდომას; ყველაფერსა და ყოველივეს, რაც მეომარს საომარ ველზე უნდა დასჭირდეს.

სპარტანული აღზრდა სხარტი გონების, სხარტი მეტყველების აღზრდასაც გულისხმობდა. ასე გაითქვა სახელი სპარტანულმა, ანუ „ლაკონიურმა" სიტყვა-პასუხმა. მაგალითად - დედა ბრძოლაში მიმავალ შვილს ფარს აწოდებს და ეუბნება: *„ამით ან ამაზე!"* მაშასადამე: - ამ ფარით ხელში იომე და გამარჯვებული დამიბრუნდი, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ ვერ გაიმარჯვებ, ამავე ფარზე დასვენებულ მკვდრად დამიბრუნდიო!

კვლავ მაგალითი: შემდგომ, როცა ფილიპე მაკედონელი სპარტელებს ურჩობისთვის საგანგებოდ „ლაკონური წერილით" დაემუქრება: „თუ ლაკონიაში მოვედი, ძირფესვიანად ამოგთხრიით!" სპარტელებმა ასე, „ულაკონიურესად" უპასუხეს: „ თ უ"!

ძალზე საინტერესო იყო ხილვა საომრად მიმავალი სპარტანული ჯარისა, *ემბატერიების*, ანუ სალაშქრო სიმღერების გრიალით რომ შეიჭრებოდნენ მოპირდაპირე მტრის განლაგებებში.

წესად იყო სპარტაში: ომში შვილის გმირულად დაღუპვას მშობლებს ულოცავდნენ, ხოლო ცოცხლად, მაგრამ ლაჩრად დაბრუნებას - უსამძიმრებდნენ.

ბერძენ-სპარსელთა ომები

ჩვენ, წინარე „ძველი აღმოსავლეთის" ისტორიიდან უკვე ვიცით, როგორ გაძლიერდა, გაფართოვდა და გამძლავრდა აზიაში სპარსეთის სახელმწიფო. სპარსელებს დაეპყროთ მსოფლიო ინდოეთიდან ლიბიის უდაბნომდე და, აჰა, უკვე ევროპაშიც შემოედგათ ფეხი, - რაკიღა დაეპყროთ მცირე აზიის სანაპირო ბერძნული ქალაქები და რამდენიმე კუნძულიც ეგეოსის ზღვაში.

მაგრამ სპარსეთის მაშინდელი ხელმწიფე, *დარიოს* I, ამასაც არ კმარისობდა და ევროპისა და, პირველ რიგში, სრულად საბერძნეთის დასაპყრობად ემზადებოდა.

და აი, ქრისტეს შობამდე V საუკუნე ახალი დამდგარი იყო, როცა დარიოსმა ბერძნულ პოლისებში ელჩები გაგზავნა, სასტიკი ბრძანებით:

„ჩამაბარეთ მიწა და წყალი!"

მაშასადამე, უსიტყვოდ დამემორჩილეთო!

ამის პასუხად, სპარტაში სპარტელებმა სპარსი ელჩები ჭაში ჩაჰყარეს, „ლაკონიური" ჩაძახილით:

„ინებეთ მანდვე - მიწაც და წყალიც!"

ათენელებმა კი, სპარსი მოციქულები კლდეზე გადაჩეხეს.

ომიც დაიწყო - ბერძენ-სპარსელთა ომი, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნე გასტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსელთა პირველი ლაშქრობა საბერძნეთისკენ მოეწყო ქრ. წ. 492 წელს, ფლოტით, ეგეოსის ზღვით, ჩრდილოეთ მხრიდან.

მაგრამ, როცა სპარსელთა ფლოტი ქალკედონის ნახევარკუნძულს და მასზე აღმართულ *ათონის მთას* გაუსწორდა - ზღვაზე საშინელი გრიგალი ამოვარდა, ხომალდების უმრავლესობა დაილეწა, დაიძირა და ის ლაშქრობაც ასე დასრულდა /დავიმახსოვროთ: ეს მოხდა იმ ათონის მთასთან, რომელზეც, ამ ამბიდან 1475 წლის შემდეგ, ქართველები ააშენებენ განთქმულ ქართულ ტაძარს - *ივერონს*/.

ორი წლის შემდგომ, 490 წელს, მეორე ლაშქრობა ბრძანა სპარსთა ხელმწიფემ. ამჯერად, დიდი ფლოტითა და არმიით, სპარსელებმა შუაგული ეგეოსი გადაჭრეს, შუაგულ საბერძნეთს - თვითონ ატიკას მიადგნენ, იქვე - *მარათონის* ველზე გადასხდნენ და დაიბანაკეს.

მაშინვე ათენიდან 10000 მეომარი წამოემართა, მეზობელ მცირე ქალაქ პლატეადან კიდევ 1000 შეემატა და ასე - 11000 ბერძენი, მამაცი და ჭკვიანი *მილტიადეს* სარდლობით, სამჯერ-ოთხჯერ უმრავლეს მოპირდაპირეს შეება, სასტიკად დაამარცხა და უკანვე, ზღვაში გადაყარა.

მარათონის ველზე დაეცა 192 ბერძენი და 6400 სპარსელი.

მაშინვე, გამარჯვებისთანავე - ერთმა ათენელმა მეომარმა მარათონიდან ათენამდე, 42 კილომეტრი შეუსვენებლივ ირბინა, შუა ქალაქში შეჭრილმა იყვირა: „ათენელებო, გიხაროდეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ!!! ნიკეა /გამარჯვება/!!! ნიკეა!!! ნიკეა!!!“ - და მკვდარი დაეცა. /აქედან - „მარათონული გადარბენა“/. . .

ამ დროს ათენში დაწინაურდა მეტად ჭკვიანი და ენერგიული პოლიტიკოსი, სახელად *თემისტოკლე,* რომლის მოწოდებით და წინამძღოლობით, ათენი შეუდგა ფლოტის მშენებლობას და ფართო მასშტაბით ზღვაოსნობას. ამის წყალობით ათენი მალე მთელს საბერძნეთში პირველ საზღვაო პოლისად იქცა.

სპარსეთის მეფე დარიოს I კი ათენელთაგან განცდილი მარცხის ჯავრი უკვე საფლავში ჩაჰყოლოდა. დიახ, იგი მომკვდარიყო და ახლა სპარსეთის ტახტზე მისი ძე - *ქსერქსე* იჯდა, რომელიც გამალებით განაგრძობდა საბერძნეთზე სარევანშო და გამანადგურებელი ლაშქრობის სამზადისს.

ბოლოს, ქრ.წ. 480 წლის დამდეგს, იგი, ათასზე მეტი ხომალდით და ასიათასიანი არმიით, ჩრდილოეთ მხრიდან, ჰელესპონტის /დარდანელის/ სრუტის გადალახვით შეიჭრა საბერძნეთში.

/ამ ამბების მთავარი წყარო - *ჰეროდოტე* ამასაც მოგვითხრობს: ქსერქსემ ჰელესპონტის გადასალახავად და ჯარების გადასაყვანად, წინასწარ მასზე ხიდები ააგებინა, მაგრამ ზღვა აღელდა და ის ხიდები სულ დალეწა. მაშინ გაცოფებულმა სპარსმა მეფემ ზღვა თავის ქვეშევრდომებს შოლტებით გაალახვინა და შიგაც ბორკილები ჩაუყარა. ჰო და, ვითომ ზღვაც დაშინდა, დაწყნარდა და მეფეს გზაც მისცა!/...

მთელი აზია შემოესია ევროპასო, - იძახდნენ მაშინ.

ბერძნებიც, სახმელეთო და საზღვაო ძალებით, შეიყარნენ მტრის მოსაგერიებლად.

სახმელეთო ჯარებმა თავი მოიყარეს *თერმოპილეს* ხეობაში, ვიწრო გასასვლელში, ჩრდილო და შუა საბერძნეთს შორის.

აი, ქსერქსეც გამოჩნდა თავისი უამრავი აზიური მხედრობით. და, მაშინვე, ბერძენთა უმრავლესობა თერმოპილედან აიყარა და ყველამ თავის პოლისს მიაშურა, იქ ჩასაკეტად და გადასარჩენად.

თერმოპილეს ხეობაში კი დარჩა სამასი სპარტელი, მათი მეფის *-ლეონიდეს* მეთაურობით.

ქსერქსემაც ლეონიდეს მაცნეები გაუგზავნა, ბრძანებით: იარაღი ჩაგვაბარეო!

„მობრძანდი და მიირთვიო!“ - ლაკონიურად უპასუხა ლაკონიის მეფემ.

მაშინ, ისევ სპარსელმა: „რისი იმედი გაქვთ, როცა ჩვენ, ყველამ რომ ერთად ისარი და შუბი გავტყორცნოთ, მზე დაბნელდებაო“; და - „მაშინ ჩვენც იმ სიბნელეში ვიომებთო“, - უმალვე მშვიდად უპასუხა სპარტელთა მეფემ.

მაშინ იერიში იერიშზე მიუშვა ქსერქსემ.

ყველა იერიში მოიგერია და უკუაქცია ლეონიდემ.

ბოლოს მოღალატე გამოჩნდა - ვიღაც ადგილობრივი მწყემსი, რომელმაც სპარსელებს ასწავლა იდუმალი მთის ბილიკი, ხეობაში ჩამდგარი სპარტელების ზურგიდან შემოსავლელად და ჩასაკეტად.

და, იმავე ღამით, ქსერქსემ იმ იდუმალი ბილიკით, რჩეული ჯარი გაგზავნა და დილით, სპარტელები სპარსელებისაგან უკვე ყოველის მხრიდან ჩაკეტილნი აღმოჩდნენ.

ამნაირი, უეჭველი და გარდუვალი დაღუპვის მდგომარეობაში მყოფ თანამებრძოლებს, ლეონიდემ ასე მიმართა:

„ახლა ჩვენ აქ ვისაუზმებთ, ხოლო ჰადესში ვივახშმებთ!“

მაშასადამე: ვიბრძოლებთ, ბრძოლითვე დავიხოცებით და საიქიოშიც ასე წავალთო.

ასედაც მოხდა: სამასი სპარტელი, მათ მეფესთან ერთად, გასაოცარი გმირული ხმალთაკვეთებით დაეცნენ.

/თერმოპილეს ხეობაში სამასი სპარტელის გმირობამ, ვინძლო გაგვახსენოს სამასი არაგველის გმირობა კრწანისის ველზე!/.

სპარსელები თერმოპილეს ხეობიდან შუა საბერძნეთში შეიჭრნენ. ათენის მოსახლეობა მახლობელ კუნძულ *სალამინზე* გადასახლდა. სპარსელებმა დაცარიელებული ათენი გაძარცვეს და გადაწვეს.

მაგრამ ამის შემდეგ სპარსელები მარცხს მარცხზე განიცდიან. ჯერ, იმავე 480 წელს, *სალამინის* სრუტეში გამართულ საზღვაო ბრძოლაში ბერძნებმა სასტიკად დაამარცხეს და გაანადგურეს სპარსელთა ფლოტი. თვითონ ქსერქსე გაიქცა და ძლივს ცოცხალმა გააღწია საბერძნეთიდან.

მომდევნო 479 წელს, კვლავ სასტიკად დაამარცხეს ბერძნებმა სპარსელები, სახმელეთო და საზღვაო ბრძოლებში; პირველი - ქალაქ *პლატეასთან* /შუა საბერძნეთში/, მეორე - *მიკალეს კონცხთან* /მცირე აზიის სანაპიროზე/.

ამის შემდეგ კიდევ ომი ოცდაათი წელიწადი გაგრძელდება, კვლავ და კვლავ ბერძენთა გამარჯვებებით და, ბოლოს, სპარსეთმა ზავი ითხოვა და თავიც დამარცხებულად სცნო.

ზავი დაიდო ქრ.წ. 449 წელს. მცირე აზიის ზღვის სანაპირო ყველა ქალაქი სპარსული უღლისგან გათავისუფლდა. ზღვებზე მფლობელობაც განუყოფლად ბერძენთა ხელში მოექცა.

ამრიგად: სამშობლო ქვეყნისა და თავისუფლების უსაზღვრო სიყვარულმა და გმირულმა თავდადებამ რიცხვით ეგზომ მცირე ბერძენ ხალხს, მის ჩასანთქავად აღძრულ ვეშაპზე - დიდი ძლევამოსილება და გამარჯვება არგუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ითქვა, რომ ძველმა ბერძნებმა, მსოფლიოს ყველა დანარჩენ ხალხთა შორის, სწორუპოვარი კულტურა შექმნეს.

არ დარჩენილა კულტურისა და ცივილიზაციის არცერთი დარგი, ბერძნებს რომ თავისი მაღალი, მსოფლიოსთვისაც მარად საწინამძღვრო და სანიშანსვეტო სიტყვა არ ეთქვათ.

დავიწყოთ, თუნდაც, *მითოლოგიით*. თქმულებანი სამყაროს, ქვეყნის, ბუნების და ადამიანის შექმნისა, თვისებებისა და არსებობის შესახებ.

ბერძნებს მათი *პანთეონი* /"ყველა ღმერთისა"/ ოლიმპოს მთაზე წარმოედგინათ. აქ იყრიდნენ თავს: ღმერთთა უზენაესი ზევსი, მისი მეუღლე ჰერა, პოსეიდონი /ზღვათა გამგებელი/, ათენა /სიბრძნისა და ომის ქალღმერთი/, არესი /ომის ღმერთი/, ჰეფესტო /მჭედელი ღმერთი/, ჰერმესი /მაცნე-შიკრიკი/, აფროდიტე /სილამაზისა და სიყვარულისა/, არტემიდე /ნადირობისა/, დემეტრე /ნაყოფიერებისა/, სხვანი და სხვანი.

„ღმერთები უკვდავი ადამიანები არიან, ადამიანები კი - მოკვდავი ღმერთები", - ამბობდა ფილოსოფოსი *ჰერაკლიტე ეფესელი*.

ბერძნულ მითოლოგიაში გამორჩეულად საინტერესო ადგილი უჭირავს თქმულებას *პრომეთეოსის* შესახებ. ეს ბერძნული მითოსი მოგვაგონებს ჩვენებურ-ქართულ თქმულებას *ამირანზე:* ღმერთმა რომ გმირი ამირანი, მასთან შეჭიდებისათვის, კავკასიონის მთაზე მიაჯაჭვა; ასევე პრომეთეოსიც, ოლიმპოდან ცეცხლის მოტაცებისა და ადამიანებისადმი მირთმევისათვის, უზენაესმა ზევსმა „უზენაეს მთაზე" - კავკასიონზე მიაჯაჭვა.

მეცნიერების დარგებიდან - თვალი გადავკრათ ბერძნულ *ფილოსოფიას*. ქრ.წ. VI საუკუნეში, ეგეოსის აღმოსავლეთით *იონიაში*. ქალაქ მილეტიდან - *თალესი და ანაქსიმენე;* კუნძულ სამოსიდან - *პითაგორა*, ქალაქ ეფესოდან - *ჰერაკლიტე*, ქალაქ კოლოფონიდან - *ქსენოფანე*.

ბერძნული ფილოსოფია კიდევ უფრო ამაღლდა და აყვავდა მომდევნო V საუკუნეში. ამ დროს ცხოვრობდნენ *პროტაგორა* და *დემოკრიტე*, ორივე ქალაქ აბდერადან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი მაინც იყო ათენი, სადაც ამ დროს არიან *სოკრატე* და მისი გენიალური მოწაფე *პლატონი*, რომელიც თავის ფილოსოფიას ასწავლიდა მითოლოგიური გმირის, *აკადემოსის* სახელობის ჭადრების ხეივანში /აქედანვე - „აკადემია“/.

იქვე, პლატონის აკადემიაში, მის მოწაფეთა შორის, გამოჩნდება უდიდესი ფილოსოფოსი *არისტოტელე*.

გადმოგვცემენ: უკეთუ პლატონი შეამჩნევდა, რომ მის ლექციას არ ესწრებოდა არისტოტელე, გულდაწყვეტით ჩაილაპარაკებდა: „დღეს გონება არ ესწრება, მაშასადამე, აუდიტორია ყრუა!“

მაგრამ ბოლოს, მაინც მოწაფე თავის ფილოსოფიით მასწავლებლის ფილოსოფიას დაუპირისპირდა და ამბობდა: „მეგობარია პლატონი, მაგრამ უფრო მეგობარია ჭეშმარიტება!“ შემდეგ, არისტოტელემ თავისი ფილოსოფიური სკოლა შექმნა, ათენში, *ლიკეიონის* ხეივანში /აქედან - „ლიცეუმი“/ - *პერიპატეტიკების* ანუ „მოსეირნეთა“ სკოლა /ბერძნული „პერიპატოს“, ქართულად - „სეირნობა“/. არისტოტელეს ჩვევად ჰქონია - ლექციები სეირნობით ეკითხა და მოსწავლეებიც სეირნობით მისდევ-მოსდევდნენ. ამიტომ ამიერიდან „პერიპატეტიკოსი“ ნიშნავს არისტოტელეს მიმდევარს/.

ბერძნულ აზროვნებასა და მწერლობაში ცალკე სამეცნიერო დარგად გვევლინება *ისტორია*. აი, ქრ. წ. V საუკუნის დიდი ისტორიკოსი, ანუ როგორც მას ციცერონმა დაარქვა - „ისტორიის მამა“, *ჰეროდოტე ჰალიკარნასელი* - მაშინდელი მსოფლიო ისტორიის დამწერი.

/გავიხსენოთ, რომ ჰეროდოტეს საინტერესო ცნობები აქვს გადმოცემული ქართველთა შესახებ. მაგალითად, ერთგან ის ამბობს: შავი ზღვიდან წითელ ზღვამდე რომ მრავალი ხალხი ცხოვრობს, მათგან ოთხი გამოირჩევა - კოლხები, სასპერები, მიდიელები და სპარსელები. მაშასადამე, ოთხი „დიდი ხალხიდან“ ორი - კოლხები და სასპერები /იბერიელები/ ქართველები არიან/.

ჰეროდოტეს შემდგომ თაობაში, კვლავაც დიდი ისტორიკოსები არიან - *თუკიდიდე* და *ქსენოფონტე*.

ბერძენი ისტორიკოსები ყოველ ისტორიულ მოვლენას აღწერდნენ სიმართლის სრული დაცვით, მაგრამ ლამაზად და შთამბეჭდავად. დიდი არისტოტელეც ამას ამბობდა: ნამდვილი ისტორია მხოლოდ პოეტურად უნდა იწერებოდესო.

ისტორიკოსთა გვერდით გვევლინებიან გეოგრაფოსებიც, რომელთაგან განსაკუთრებით გაითქვამს სახელს *სტრაბონ*, რომელსაც დაუწერია „გეოგრაფია ჩვიდმეტ წიგნად“. ჩვენ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ, რა ძვირფასი ცნობები გადმოუცია სტრაბონს საქართველოს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო დარგთაგან ძველ საბერძნეთში აყვავდა *იატრეია*, ანუ *მედიცინა* /პირველი - ბერძნულად, მეორე - ლათინურად/. ქრ.წ. V საუკუნეში სახელი გაეთქვა მცირე აზიის ქალაქის - *კნიდოსის* სამედიცინო სკოლას.

უფრო დიდი სამედიცინო სკოლა კი, იმავე საუკუნეში, შექმნილიყო ქალაქ კოსში და ამ სკოლის თავკაცი იყო განთქმული *ჰიპოკრატე* - დღესაც რომ ყოველმა ექიმმა, სამედიცინო ასპარეზზე გამოსვლის წინ, ‘ჰიპოკრატეს ფიცი“ უნდა დადოს.

დიდად მხატვრული, მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი იყო ბერძნული *ლიტერატურა*, რომლის ცალკეულ ჟანრებს, მფარველად და შთამაგონებლად, ცალკე *მუზები* ჰყავდათ, სულ - *ცხრა მუზა* ცხრა ღვთაებრივი გოგონა, ხელოვნებისა და სინათლის ღმერთის, *აპოლონის ლირის* ჰანგებზე რომ მღერიან და ცეკვავენ.

უკვე მოვიხსენიეთ ბერძნული ეპოსის მშვენება - გენიალური *ჰომეროსი*. მას შემდეგ, მომდევნო VIII საუკუნეში - *ჰესიოდე*. შემდეგ, ეპოსს მოსდევს ლირიკა, რომლის წარმომადგენლები არიან: ალკმანი, ტირტეოსი, მიმნერმე, არქილოქე და პოეტი ქალი - *საფო ლესბოსელი*.

განსაკუთრებით გაბრწყინდა კლასიკური V საუკუნის ათენის დრამატული ლიტერატურა, სწორედ დრამატურგიის გენიალური სამება - *ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე* /არ დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ამ ევრიპიდემ გამოიგონა კოლხი მედეასგან საკუთარი შვილების მკვლელობა!/ და მათ გვერდით - *არისტოფანე*, თავისი საოცარი კომედიებით.

დრამატურგიის აყვავება, ბუნებრივად, დაკავშირებული იყო დიდი *თეატრალური* ხელოვნების აღზევებასთან. საერთოდ იმდროინდელი ბერძნისათვის თეატრის გარეშე ცხოვრებაც წარმოუდგენელი იყო. თეატრი ზრდასრული ადამიანის გამზრდელიაო, - ამბობდნენ მაშინ.

ბერძნული კულტურის ჰეგემონი მაინც ათენი იყო, განსაკუთრებით - გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის, *პერიკლეს* თხუთმეტწლოვანი /444-429/ მმართველობის ხანა.

დიდებული პიროვნება იყო პერიკლე - დიდად განათლებული, ჭკვიანი, დიდსულოვანი, შთამაგონებლად მჭევრმეტყველი რიტორი. მასზე ამბობდნენ: როცა პერიკლე ეკლესიის /სახალხო კრება/ წინაშე სიტყვას ამბობს, არ ირხევა არცერთი ნაოჭი მისი სამოსელისა, არცერთი ნაკვთი მისი სხეულისა; ირხევიან მხოლოდ ბაგენი, საიდანაც იგი აფრქვევს ელვასა და მეხს, ვითარცა ზევსი ოლიმპიელი!

და, უკვე „ოლიმპიელი" შეურქმევია კიდეც მისთვის ხალხს. . . სწორედ ხალხს უყვარდა იგი, მისი სახალხო რეფორმებისათვის - დემოკრატიის განმტკიცება, სამსახურისთვის ხელფასების დანიშვნა, თეატრში წასასვლელი ფულის გაცემა, იაფი პურის დარიგება და სხვ.

პერიკლეს თავის გარშემო მეგობრულ წრედ შემოეყარა მისი დიდი თანამედროვენი - ხელოვანნი, მეცნიერნი, მწერალნი, - რათა მათი მეშვეობით აეშენებია, დაემშვენებია, გაეძლიერებინა და აეყვავებინა მშობლიური ათენი.

პერიკლეს მეგობრები იყვნენ იმ დროის უდიდესი ხუროთმოძღვარი *იქტინოსი* და *სკულპტორი პოლიკლეტე*, რომელთაც ააგებინა ანტიკური ხელოვნების შედევრი - ტაძარი *პართენონი* /„ქალწულის ტაძარი" - იგულისხმება მარად ქალწული ქალღმერთი ათენა/.

პერიკლეს უახლოესი, განუყრელი მეგობარი იყო გენიალური სკულპტორი *ფიდიასი*, თავისი „ხრისოელეფანტური" ოსტატობით. „ხრისოელეფანტური" კი იმას ნიშნავს, რომ ფიდიასი ქანდაკებებს აკეთებდა ოქროთი /„ხრისოს"/ და სპილოს /სპილო „ელეფანტ"/ ძვლით.

სწორედ ასე - ოქროთი და სპილოს ძვლით გამოძერწა მან ქალღმერთ ათენას ქანდაკება პართენონის ტაძარში.

მაგრამ ძველი მსოფლიოს საოცრება-საკვირველებად მაინცდამაინც ითვლება ფიდიასის ნახელავი ზევსის ქანდაკება *ოლიმპიაში* - იქ, მოედანზე, სადაც ყოველ მეოთხე წელს იმართებოდა სადღესასწაულო შეჯიბრებანი - *ოლიმპიადები*. აქაც ზევსის ქანდაკება ნაგები იყო ოქროთი და სპილოს ძვლით. ყველა ამ ქანდაკების სახილველად მიილტვოდა და, როცა იხილავდა, აღმოხდებოდა: „მე ვიხილე ნამდვილი ზევსი!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბერძნეთის „კლასიკურ ამაღლებას“ მალე „კლასიკური დაცემა“ მოჰყვა.

ბერძნული პოლისები და ოლქები მათ დასაპყრობად მოვარდნილი გარეშე მტრის, სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაშიც როდი ყოფილან ყველანი ერთად.

თვით იმ ნახევარსაუკუნოვანი ომის პროცესშიც, თვითონ ბერძნული პოლისები ორ ბანაკად დაჯგუფდნენ და ერთმანეთსაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ.

ერთ ბანაკს *„ათენის საზღვაო კავშირი“* ერქვა და თვითონვე ათენი მეთაურობდა, მეორეს კი - *„პელოპონესის კავშირი“,* სპარტის მეთაურობით.

და, ამ ორ „კავშირს“ შორის, ქრისტეს შობამდე 431 წელს, დაიწყო ომი, რომელიც მოინათლა *„პელოპონესის ომის“* სახელით, და გაგრძელდა იგი 404 წლამდე. მაშასადამე, ოცდაშვიდი წელიწადი მიმდინარეობდა ბერძენთა შორის შინაური ხოცვა-ჟლეტა და ნგრევა-რბევა, რაც ბოლოს და ბოლოს დამთავრდა საბერძნეთის ყველაზე დიდი და მოწინავე პოლისის - ათენის მარცხით.

სპარტელებმა ათენი აიღეს და, ფლეიტების გრიალის ქვეშ, დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს.

პელოპონესის ომის შემდგომი ხანა, ბუნებრივად, იქცა მთელი საბერძნეთის უმძიმესი დაცემისა და ყოვლისმომცველი კრიზისის /„პანელინური კრიზისი“/ ხანად. ამით კი, ბუნებრივადვე, უნდა ესარგებლა სპარსეთს, ბერძენთაგან მანამდე მარცხნაჭამს.

მაშასადამე, დღე-დღეზე, სპარსეთი საბერძნეთს უნდა შემოსევოდა; ხოლო, რაკი საბერძნეთს მტრის მოსაგერიებლად თვითონ, *შიგნით* ძალა აღარ მოეპოვებოდა, ასეთი მხსნელი ძალა იქნებ *გარედან* მოეპოვებინა.

და, ასეთ „მხსნელ ძალად“ მიჩნეული იქნა მეზობელი *მაკედონია.*

/შედარებისთვის: ასეთივე „არჩევანის“ მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო ოცდაორი საუკუნის შემდგომ - გზა „ერთმორწმუნე რუსეთისაკენ“/.

ქართული ბიბლიოთეკა

მაკედონია საბერძნეთის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა იყო - ოლიმპოს მთის გადაღმა. იგი იმ დროს მართლაც დაწინაურებულიყო, მაშინდელი მეფის, *ფილიპე II-ის /359 - 336/* წინამძღოლობით.

ფილიპეს მეტად საჭირო რეფორმებიც გაუტარებია - სამხედრო და ფინანსიური. პირველი გულისხმობდა ძლიერი, იმდროისათვის პირველხარისხოვანი არმიის შექმნას, მეორე კი ქვეყნის ეკონომიურ გაძლიერებას.

მაკედონიის მეფეს თავისი მბრძანებლობის საზღვრებში მოექცია ცენტრალური და ჩრდილოეთი ბალკანეთი, მდინარე ისტროსამდე /დუნაი/, და ახლა სამხრეთისაკენ მოილტვოდა თავგამოდებით. განსაკუთრებით მას ბერძნული სამყაროს დაპყრობა ამოეჭრა გულს და, ჩრდილოეთიდან, ცალკე პოლისებს იმორჩილებდა კიდეც - თუ ხმლით, თუ მოსყიდვით.

თურმე, უფრო მოსყიდვით, ციხის შიგნიდან გატეხვით ახერხებდა ფილიპე ქალაქების ხელში ჩაგდებას, და - ამასთან დაკავშირებით, ამასაც იძახდა მეფე: „ქვეყანაზე არ არსებობს იმ სიმაღლე ციხის კედელი, რომელზედაც თავისუფლად ვერ გადააბიჯებს ვირი ოქროთი დატვირთული“. . .

თანაც, საბერძნეთის პოლიტიკოსებიც თვითონ მიელტვოდნენ, მაკედონიასთან შეერთებით გადაერჩინათ თავის ქვეყანა სპარსულ-ბარბაროსული უღლისაგან.

მაგრამ ათენელ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი - განთქმული რიტორის, *დემოსთენეს* მეთაურობით, მაკედონიასთან შეერთების სასტიკი წინააღმდეგი იყო. ეს შეერთება კი არა, მაკედონურ უღელში თავის შეყოფა და შებმა იქნებაო, - იძახდნენ ისინი. თვითონ დემოსთენეს უკვე წარმოეთქვა თავისი განთქმული *„ფილიპიკები“* - სიტყვები ფილიპეს წინააღმდეგ.

და ასე - ბოლოს და ბოლოს, „შეერთებას“ მაინც სისხლის დაქცევა დასჭირდა: ქრისტეს წინარე 338 წელს, შუა საბერძნეთში, ბეოტიის ქალაქ *ქერონეასთან,* მაკედონელებსა და ბერძნებს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ფილიპეს ძის, თვრამეტი წლის უფლისწულის *ალექსანდრეს* გმირობის წყალობით მოიგეს მაკედონელებმა.

მომდევნო 337 წელს, ქალაქ კორინთოში, ფილიპემ მიიწვია ყველა ბერძნული პოლისის წარმომადგენლობა და გამოაცხადა საღვთო ზავი ყველა ბერძნულ ქალაქსა და მაკედონიას შორის. აქვე მისივე წინადადებითა და ბრძანებით დადგინდა, მომავალი წლის დამდეგისთანავე, ერთიანი ბერძნულ-მაკედონური საომარი ძალებით, აზიისაკენ გალაშქრება და სპარსეთთან ომის დაწყება.

ის მომდევნო წელიც დადგა - ქრისტეს შობიდან 336 წელი.

ის იყო, ფილიპემ ავანგარდული ჯარი აზიას გაგზავნა, რომ - თვითონ ფილიპე მაკედონელი, შეთქმულისა თუ მოსყიდული მკვლელის ხელით, მკვდარი დაეცა...

ალექსანდრე მაკედონელი

მაკედონიის ტახტზე ოცი წლის ალექსანდრე დამჯდარიყო.

ალექსანდრე მაკედონელი - ერთი უდიდესი პიროვნება მსოფლიო ისტორიისა.

მამა - მაკედონიის მეფე ფილიპე მეორე.

დედა - სახელად *ოლიმპიადა,* ბერძენი ქალი, ეპირის მეფის ასული.

დაიბადა ალექსანდრე ქრისტეს შობამდე 356 წელს, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ვიღაც *ჰეროსტრატემ* ცეცხლს მისცა მსოფლიოს ერთი საოცრებათაგანი - არტემიდეს ტაძარი ეფესოში /დაწვა იმ მიზნით, რომ მისი სახელი, თუნდაც ამ ბოროტებით, მარად სახსოვრად დარჩენილიყო ისტორიაში/.

ტანად ტანმორჩილი იყო ალექსანდრე, მაგრამ უაღრესად მკვრივი, ჩაკირული და წყობილნაკვთოვანი, სახით სახიერი, თეთრ-ყირმიზი, თვალებით ორფერი - მარჯვენა შავი და მარცხენა ლურჯი. თმა წაბლისფერი და ტალღოვანი. სახე მუდამ ალერსიანი

ღიმილით დაფენილი, მარცხნივ ყელმოღერებული /შემდგომში, მისი მიმბაძველნი, ასე მარცხნივ ყელმოღრეცილნი ივლიან/

ძლიერი ნებისყოფისა და მეომრული ბუნებისა. სწორუპოვარი შუბოსან-მახვილოსანი, მოჯირითე, მორბენალი, მოჭიდავე და მოკრივე. სალაშქრო ცხენიც თვითონ გაწრთვნა, სახელად „ბუკეფალა“ /„ხარისთავა“ - ასე ერქვა, რაკი დამღა ჰქონდა ხარის თავის გამოხატულებით/, რომლითაც ილაშქრებს ინდოეთამდე.

მასწავლებელიც დიდი ჰყავდა - თვით გენიალური არისტოტელე. ამიტომაც ამბობდა იგი: ფილიპესაგან სიცოცხლით ვარ დავალებული, არისტოტელესგან კი სულითო. მართლაც დიდი გატაცებით სწავლობდა ალექსანდრე - ფილოსოფიას, ისტორიას, ლიტერატურას, მედიცინას, ასტრონომიას. გამორჩეულად უყვარდა ჰომეროსის „ილიადა“, რომლის მთავარი გმირი, აქილევსი მის სალოცავ და მისაბაძ გმირად გაეხადა. . .

მაშ, გამეფდა ალექსანდრე და, ჯერ ბალკანეთი შემოიმტკიცა, სრულად საბერძნეთი, და აი - 334 წლის ადრიან გაზაფხულზე, ბერძნულ-მაკედონური ჯარებით, გადავიდა აზიის მიწაზე - იმ ადგილას, სადაც ოდესღაც მომხდარიყო ის ათწლოვანი ტროას ომი.

მივიდა ალექსანდრე აქილევსის საფლავთან, მსხვერპლი შესწირა და შეჰღაღადა: „ნეტავ შენ, ბედნიერო ჭაბუკო, სიცოცხლეში ჰპოვე უერთგულესი მეგობარი, ხოლო სიკვდილის შემდგომ უდიდესი მეხოტბე!“

ამით ალექსანდრე აცხადებდა თანამებრძოლთა გასაგონად: ჩვენ ამ ომში ისე უნდა ვუერთგულოთ ერთიმეორეს, როგორც პატროკლე ერთგულობდა აქილევსს; ხოლო, სიტყვის ოსტატები, ჰომეროსის დარად, ხოტბასაც ნუ დაიშურებენ ჩვენი ომების აღწერის დროსო.

მაშ, ახალი „მსოფლიო ომი“ უკვე დაწყებული იყო.

სპარსეთის მაშინდელი მეფე, *დარიოს III,* ომსაც ელოდა, საომრადაც ემზადებოდა;. და კიდევაც აფრინა ჯარები იერიშზე გადმოსული ევროპელების უკუსაგდებად.

და აი, პირველი შეხვედრა, მცირე აზიაში, მდინარე *გრანიკოსზე* 334 წლის ივნისში. ალექსანდრეს პირადი გმირობით, გაიმარჯვა მისმა ჯარებმა.

მცირე აზიის ბერძნული ქალაქების უმრავლესობა ისე შეხვდა ალექსანდრეს, როგორც განმათავისუფლებელს. მაგრამ ერთი მათგანი,

ქალაქი ჰალიკარნასი /ჰეროდოტეს სამშობლო/ მაკედონელებს მტრულად შეხვდა და ალექსანდრემაც მახვილით დაიპყრო იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე აზია უკვე მთლიანად ალექსანდრეს ხელში იყო. იგი უკვე სირიასაც უახლოვდებოდა, როცა უკვე თვითონ დარიოს III გამოდის საომარ ველზე, უზარმაზარი არმიებით. ოჯახიც რომ მეფეს ვითომ „სეირის საყურებლად" გამოჰყოლოდა - დედა და ცოლ-შვილი.

და აი, სახელოვანი ბრძოლა ქალაქ *ისოსთან,* 333 წლის შუა ნოემბერს. კვლავ გასაოცარი გმირობა ალექსანდრე მაკედონელისა, რომელმაც მტრის შუაგული გაარღვია, თვითონ დარიოს მეფეს მიუხდა და. . . დარიოსი მარქაფ ცხენს მოახტა და ბრძოლიდან გაიქცა. ალექსანდრეც გამოედევნა, მაგრამ ვერ დაეწია და ისევ შემოუბრუნდა ბრძოლის ველს. სპარსელთა უმრავლესობა გაწყვეტილიყო; დანარჩენები ტყვედ აეყვანათ მაკედონელებს. ალექსანდრეს დატყვევებული მოჰგვარეს თვითონ დარიოს მეფის ოჯახი - დედა, ცოლი, ორი ასული და ერთი ძე.

სულ ისოსის ბრძოლაში სპარსელებს დაეხოცათ 90000 ქვეითი და 10000 ცხენოსანი მეომარი; ხოლო, ალექსანდრეს - 300 ქვეითი და 150 მხედარი.

ისოსიდან სირიაში გადავიდა ალექსანდრე. სირიასაც დაეუფლა, ფინიკიასაც, პალესტინასაც და, 332 წლის ნოემბერში ეგვიპტესაც მიადგა.

ეგვიპტე ზარზეიმით შეხვდა ალექსანდრე მაკედონელს - შეხვდა, როგორც 183-წლოვანი სპარსული, უღლისაგან განმათავისუფლებელს.

ალექსანდრემაც ნილოსის ზღაპრულ მიდამოებში ზეიმი ზეიმს გადაბა და, შემდეგ, მდინარის დელტის მარცხენა განტოტების შესართავთან, დააარსა ახალი ქალაქი, სახელად - დღემდე არსებული და სახელგანთქმული *ალექსანდრია.*

იქიდან მეფე დასავლეთით, ლიბიის უდაბნოში გავიდა - *ამონის ოაზისში.* ასე ერქვა, რაკი აქ იდგა ეგვიპტელთა უზენაესი ღმერთის, ამონის მთავარი ტაძარი.

და, გამოეგება ალექსანდრეს ამონის უმაღლესი ქურუმი და გამოაცხადა იგი ამონის ძედ!

ასე დაიწყო ალექსანდრეს გაღმერთება.

331 წლის ადრიან გაზაფხულზე, ალექსანდრე მაკედონელი - უკვე „ღმერთი, ძე ამონისა“, რომლის ძარღვებში თურმე ჩვეულებრივი მოკვდავის სისხლი კი არა - უკვდავ ღმერთთა *იქორი* დაედინებოდა - ეგვიპტიდან ისევ აღმოსავლეთისაკენ გამოეშურა, ისევ ფინიკია და სირია გაიარა და, უკვე მდინარე ევფრატის გადალახვით, მესოპოტამიაში შეგრიალდა.

ევფრატიდან ტიგროსზე გადავიდა და აქ, ქალაქ *არბელას* ძირას ფართოდ გაშლილ *გავგამელას* ველზე, ისევ მოსულიყო ევროპელებთან შესარკინებლად მეფე დარიოს III, კვლავაც „აზიური სიდიდის“ არმიებით: 100 000 ქვეითი, 40 000 ცხენოსანი, 200 ცელებიანი ეტლი და 15 სპილო.

ალექსანდრეს კი იმჟამად ჰყავდა 40 000 ქვეითი მეომარი და 7000 მხედარი.

და აი, 331 წლის 1 ოქტომბერს სასტიკი ბრძოლა გავგამელას ველზე. ისევ გასაოცარი გმირობა ალექსანდრე მაკედონელისა. ისევ მარცხი სპარსელთა. ისევ გაქცევა სპარსთა მეფისა.

ალექსანდრე შევიდა არბელაში, ქალაქი გაძარცვა, გაატყავა და დაეშვა სამხრეთით, ბაბილონისაკენ.

მივიდა ბაბილონში. გულდასმით მოიხილა და გადაწყვიტა: მსოფლიოს დაპყრობას რომ მოითავებდა, იმ მსოფლიოს სამეფო ტახტიც სწორედ აქ, ბაბილონში უნდა დაედგა!

და, იგივე 331 წელს, ალექსანდრემ თავისი ჯარებით, ბაბილონიდან კვლავ განაგრძო გზა აღმოსავლეთით, გადაიარა ტიგროსი და უკვე ირანში მის უძველეს სატახტოს - *სუზას* დაეუფლა.

სუზაში ოთხი დღე დარჩა და ისევ განაგრძო გზა ალექსანდრემ, სპარსეთის მაშინდელი სატახტო ქალაქის - *პერსეპოლისი-საკენ*.

დარიოსი კი, თურმე იქიდანაც გაქცეულიყო და, აი, ალექსანდრე მაკედონელიც დიდის ზარზეიმით შედის სპარსთა უბრწყინვალეს და უმდიდრეს სატახტოში.

მისვლისთანავე, მთელი სიმდიდრე, რომლის გამოზიდვას 20000 ჯორი და 5 000 აქლემი დასჭირვებია - უკვე მაკედონელთა საკუთრება იყო.

მთელი ზამთარი მაკედონელებმა პერსეპოლისში გაატარეს -

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძარცველობაში, ნებადართულ ყაჩაღობაში, ლოთობაში, მრუშობაში, ნადიმებსა და ორგიებში. ბოლოს, პერსეპოლისის ბრწყინვალე სასახლეც ხანძარს მისცეს დამპყრობელთა დამპყრობელებმა.

330 წლის აპრილში, ალექსანდრემ ჯარები სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დასძრა - სპარსეთიდან მიდიისაკენ. ალექსანდრეს დარიოსი სწორედ მიდიის მთავარ ქალაქში - *ეკბატანაში* ეგულებოდა.

გაქცეული დარიოსი მართლაც ეკბატანაში მისულიყო. მაგრამ ახლა, ისევ ალექსანდრეს მიახლოება რომ შეიტყო, მაშინვე შუა აზიისაკენ გაიქცა.

ალექსანდრე ეკბატანაში მაინც შევიდა, იქ ერთ-ერთი თავისი სარდალი /პარმენიონი/ დატოვა, აქამდე დაპყრობილი ქვეყნების სამეთვალყურეოდ; თვითონ კი კვლავ განაგრძო ლაშქრობა აღმოსავლეთით, კვლავაც გაქცეული დარიოსის კვალდაკვალ.

დარიოსი კი, უკვე მის ქვეშევრდომ სატრაპებს შეუპყრიათ, ტახტიდან გადაყენებულად გამოუცხადებიათ და ბოლოს კიდევაც მოუკლავთ.

ალექსანდრე დარიოსის მკვლელებს წამოეწია, ყველანი შეიპყრო და თვითონ სპარსელებს გაასამართლებინა. ყველანი ჩახოცეს.

. .

ორი წელიწადი ალექსანდრე შუა აზიას იპყრობდა. ყოველი მიუვალი ციხესიმაგრე ბოლოს მაინც მისი გმირობის მსხვერპლი ხდებოდა.

ცენტრალური აზიაც უკვე სრულად მაკედონელთა ხელთ იყო და ალექსანდრე მაკედონელი ახლა ინდოეთის გზებს შესდგომოდა.

იდგა მაშინ ქრისტეს წინარე 327 წლის ზაფხული.

ევროპელები პირველად მიდიოდნენ სავსებით უცხო, მანამდე „ევროპული თვალით“ უხილავ და მხოლოდ ზღაპრით და ლეგენდით გაცნობიერებულ ინდოეთს.

ინდოეთი კი, ცალკე სახელმწიფოებად იყო დაყოფილი, ცალცალკე მეფენი, ანუ *რაჯები* რომ განაგებდნენ.

ყველაზე დიდი და ძლიერი რაჯა - ტანადაც გოლიათი, მაინც *პოროსი* ყოფილა, მდინარე ინდის ზემო წელზე, ფენჯაბში. ამიტომ ყველაზე დიდი ბრძოლაც იქ ელოდათ მანამდე მხოლოდ ძლევამოსილებით მიმავალ ევროპელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე რაჯა პირველ მისვლისთანავე ეახლა და ეუმო ალექსანდრეს. უკვე პოროსთანაც გაეგზავნა ალექსანდრეს მაცნე: აქამდე რომ ყველა რაჯა შემომეგება, ახლა შენკენ მოვეშურები და იმედია, შენც მომეგებებიო.

პოროსმაც მაშინვე ეს პასუხი შეუტრიალა: დიახაც შეგხვდები და შეგეგებები ჩემი ქვეყნის საზღვართან, იარაღით ხელში! . .

და, აი ისიც - სახელოვანი ბრძოლა მდინარე *ჰიდასპზე*, ქრისტეს წინარე 326 წლის მაისში.

პოროს ინდოელის მხარეზე - 300 სპილო, ცოცხალ ციხე-კოშკებად, თუ „ტანკებად", 300 ეტლოსან-ცელოსანი, 30 000 ქვეითი მეომარი და 4000 მხედარცხენოსანი.

ალექსანდრე მაკედონელის მხარეს - 10 000 ქვეითი და 5000 ცხენოსანი.

ისევ გაიმარჯვა ალექსანდრემ ბრწყინვალე გამარჯვებით.

ამაო გამოდგა თვითონ პოროსის პირადი გმირობა.

სწორედ ამ გმირობისათვის, ალექსანდრემ იგი „დააჯილდოვა": დატოვა იგი მისსავე ტახტზე. . .

და ისევ განაგრძო გზა ალექსანდრემ, ახალახალი ხმალთაკვეთებით და ხმალთაკვესებით.

მაგრამ ერთ დღეს, ეს უცნაური, აქამდე ყოვლის მძლეველი კაცი თუ ღმერთკაცი ისეთ დაუძლეველ რასმეს წააწყდა, რაის გადალახვაც მის ზეციურ „ღვთაებრიობასაც" კი არ შესძლებია.

ეს იყო მისი ჯარის, მისივე თანამებრძოლთა უარი. დადგნენ და აღარ იძვროდნენ. ან უკანვე, ჩვენს სამშობლოსა და ოჯახებში დაგვაბრუნე, ან დაგვხოცე და ამით გაათავეო.

რაღა არ სცადა ალექსანდრემ - ხვეწნა, მუდარა, მუქარა, - არაფერმა აღარ გაჭრა!

და შემობრუნდა. თუმცა, ვითომ შემობრუნდა: აღმოსავლეთიდან პირი სამხრეთისაკენ ჰქნა და დაეშვა, კვლავ ახალ მიწა-წყალთა დასაპყრობად.

გზაზე კვლავაც ახალახალი ბრძოლები, სიკვდილთან წილყრა. ერთ უმამაცეს ინდურ ტომთან - *მალებთან* ბრძოლისას, მათ ქალაქში პირდაპირ გადახტომისას, ალექსანდრე ისე მძიმედ დაიჭრა, მისი გადარჩენისა რომ უკვე აღარავის სჯეროდა, მაგრამ... ორ კვირაში უკვე მაინც ფეხზე იდგა! . .

მდინარე ინდის შესართავს მიატანეს. აქ ალექსანდრემ ფლოტი ააგებინა, ნაწილი თავისი ჯარისა შიგ ჩასვა და ზღვით გაუძღვა ბაბილონის მიმართულებით, მეორე ნაწილს თვითონ გაუძღვა და ხმელეთით გაეშურა ბაბილონისკენ.

ქრისტეს შობიდან 325 წელი იდგა და მოდიოდა ალექსანდრე - ინდოეთიდან ახლა ისევ დასავლეთისაკენ. ისევ მივიდა ირანს. ისევ შედგა ქალაქ სუზაში და აქ „მსოფლიო ქორწილი" მოაწყო -ევროპელებისა და აზიელების დასამოყვრებლად. ათი ათასი წყვილი შემოსხდომოდა „მსოფლიო სუფრას", ქმრებად ევროპელები, ცოლებად აზიელები. ცენტრში თვითონ ალექსანდრეს მისი ახალშერთული ცოლი ეჯდა, სახელად *სტატირა*, ასული დარიოს მეფისა. (ეს მისი მეორე ცოლი იყო. პირველიც ჰყავდა, ისიც სპარსელი ქალი, სახელად - *როქსანა*).

სუზადან ბაბილონს მივიდა ალექსანდრე მაკედონელი და, აჰა, დაბრძანდა იგი თავის მსოფლიო ტახტზე.

იგი იყო მეფე ტერიტორიული ტანსრულობით და ხალხთა სიმრავლით მანამდე გაუგონარი სახელმწიფოსი.

სახელმწიფო იგი - შუა ხმელთაშუაზღვეთიდან და საჰარის უდაბნოდან შუა ინდოეთამდე გადაფენილ-გადაჭიმული.

მაგრამ საკმარისია ეს ალექსანდრე „ღვთაებრივ- იქორიანისთვის"?

/თუმცა, ერთხელ, მძიმედ დაჭრილ მეფეს რომ კვნესა აღმოხდენია და ყველას გაჰკვირვებია - ამ „ღვთაებრივს" ესეც წამოსცდენია: „ეჰ, თქვე ბრიყვებო, ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ჩემს ძარღვებში ჩვეულებრივი სისხლი კი არა, მართლა იქორი დაედინება?!"/.

და, რაკი ეს, მანამდეც არნახული და არგაგონილი „მსოფლიო სახელმწიფო" მაინც არ არის მთელი მსოფლიო - გარდუვლად საჭიროა დანარჩენი მსოფლიოს შემოერთებაც და ამგვარად - „მსოფლიოს გამთლიანება!"

და აი, კვლავ გამალებით, დღეღამ-სწორებით, ემზადება ბაბილონში მჯდომარე ალექსანდრე მაკედონელი ახალი ომებისათვის, ახალ მსოფლიო ლაშქრობათათვის. მაშ, როგორ, რა დააშავა „ბაბილონური წრის" გარეთ დარჩენილმა მსოფლიომ და კაცობრიობამ?!

მაგრამ სიკვდილმა - ამდენხანს და ამდენჯერ ალექსანდრესაგან მარცხნაჭამმა და გაწბილებულმა - მაინც გაიხსენა, რომ იმ კაცთაგანის ძარღვებში მოკვდავის სისხლი დაედინება და არა უკვდავ ღმერთთა იქორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, აი, ქრისტეს წინარე 323 წელი.

7 ივნისი მეფეს იმ ახალ „მსოფლიო ლაშქრობათა“ დაწყების დღედ დაუნიშნავს.

მაგრამ 2 ივნისს, სამეგობრო სუფრიდან მობრუნებულმა მეფემ თავი ცუდად იგრძნო. მეორე დღეს გაირკვა, რომ ტროპიკულ ციებცხელებას შეეპყრო მეფე...

ზოგი მოწამვლასაც ვარაუდობდა...

კიდევ რამდენიმე დღე - 4, 5, 6, 7, 8, 9 და 10 ივნისს უკვე გადაიწურა იმედი მისი გამობრუნებისა და ყველას მის თანამდგომ თანაშემწეს, მის სარდლებს თურმე ეს ერთადერთი კითხვა აწუხებთ: ვინ იქნება აწ სიკვდილის გზაზე შემდგარი მეფის დიადოხოსი /მემკვიდრე/? თან ყველას ფიქრი: „ეს ხომ მე უნდა ვიქნე!“... „მე ვინ მჯობია?!“

კიდევ ერთი დღე - 11 ივნისი და, როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ალექსანდრე აღარ გამობრუნდებოდა - ჩასძახეს:

„ვის უტოვებ, მეფეო, შენს სამეფოს?“

„საუკეთესოს!“ - იყო პასუხი.

წამიერი გარინდება, მოლოდინში სრული პასუხისა - თუ სახელდებით ვინ არის ის „საუკეთესო“ - აი, ისიც უკანასკნელი სიტყვა წინასწარმეტყველური:

„მე ვხედავ საშინელ ხმალთაკვეთებას და სისხლის თხევას ჩემს სარეცელთან!“

ეს მისი უკანასკნელი სიტყვა იყო. ალექსანდრე მაკედონელი უკვე სიკვდილის საუფლოში ესვენა.

იყო მაშინ იგი 32 წლისა და 8 თვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხელმწიფის სულის აღმოხდენისთანავე, დასანგრევად შეირყა მისი მახვილით შეზავებული კოსმოპოლისი, ანუ მსოფლიო სახელმწიფო.

ჯერ, თვითონ ალექსანდრეს ცხედარისათვის ლამის ამტყდარიყო სისხლის ქცევა. ალექსანდრეს გვამი - მუმია ოქროს სარკოფაგში ჩაასვენეს და ბაბილონიდან მაკედონიისკენ გაუყენეს. მაგრამ გზაზედ *პტოლემაიოსი* გადაეღობათ, ალექსანდრეს უახლოესი თანამებრძოლი. პირდაპირ გამოგლიჯათ ხელიდან ცხედარი და ეგვიპტისაკენ გაუყენა, იქ დასაკრძალავად, რაკი ეგვიპტეს თვითონ განაგებდა პტოლემაიოსი, უკვე სრული დამოუკიდებლობით.

მსოფლიო მონარქია ინგრეოდა, მაგრამ ახალი მსოფლიო კულტურა და ცივილიზაცია კი მტკიცედ ჩამოყალიბებულიყო.

ეს ახალი ეპოქა მეცნიერებაში მოინათლა *ელინიზმის* სახელწოდებით. მისი შინაარსი კი ის გახლავთ, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა კვალდაკვალ დიდი ბერძნული, ანუ *ელინური* კულტურა გავრცელდა თვითონ საბერძნეთიდან ინდოეთამდე. ხოლო, ასე გავრცელებულ ელინურს ადგილობრივი *აღმოსავლური,* ანუ *ორიენტალური* დახვდა და ეს ორი დიდი ცივილიზაცია ერთმანეთს შეუერთდა და ორივეს შეერთებამ და სინთეზმა ახალი - ბერძნულ-აღმოსავლერი, ანუ უკვე ნახსენები *ელინისტური* ცივილიზაცია წარმოქმნა.

მაშ, ამ შემთხვევაში, ალექსანდრე მაკედონელის ღვაწლი იმდენად დიდია, რომ შეგვიძლია, მისი მახვილით ფუძედებული ახალი ეპოქა, ელინიზმის ნაცვლად, *„ალექსანდრიზმადაც“* მოვიხსენიოთ.

ეს, რაც შეეხება კულტურას და ცივილიზაციას საერთოდ, ხოლო პოლიტიკურად ელინიზმ-ალექსანდრიზმი დაქუცმაცებულ, ერთმანეთზე გადამტერებულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ამათგან ყველაზე მდგრადი და ხანგრძლივი მაინც სამი სახელმწიფო იყო:

ანტიგონიდური *მაკედონია* - ევროპაში,

სელევკიდური *სირია* - აზიაში,

პტოლემაიდური *ეგვიპტე* - აფრიკაში.

და იყო ბრძოლა მათ შორის, სისხლდამდინარი, განუწყვეტელი

და ბოლო უჩინარი მანამ, სანამ დასავლეთიდან ახალი მძლეთამძლე მეომარი ძალა არ მოიჭრა, ყველა ამ „მეტიჩარა ელინისტების“ ჩასაყლაპავად.

ეს ძალა კი - *იქნება რომი.*

და, ჩვენც შევეგებოთ ძველ რომაელებს - ძუ მგლის ნაძუძურ - ნაშიერებს.

კარი II.

ანტიკური რომი

გეოგრაფიული გარემო

ბალკანეთიდან აპენინის ნახევარკუნძულზე გადავინაცვლოთ - ალპების მთებიდან კუნძულ სიცილიამდე, ჩექმის სახით გაწვართულ ქვეყანაში. დღეს მას მთლიანად იტალიის სახელმწიფო ეწოდება, ხოლო ძველ დროში იტალია მხოლოდ ამ „ჩექმის“ სამხრეთ ნაწილს ერქვა; უკიდურეს ჩრდილოეთს კი - ცისალპიური, ანუ „გადმოღმა-ალპიური გალია“ /დღევანდელი ლომბარდია/; ამის სამხრეთით ოლქს - ეტრურია; ეტრურიასა და საკუთრივ იტალიას შორის კი - *ლაციუმის* ოლქი, მასზე მოსახლე *ლათინების* ტომით.

და, სწორედ აქ, მდინარე *ტიბრის* ნაპირზე, ზღვიდან 25 კმ მანძილზე, ქრისტეს წინარე VIII საუკუნის შუა ხანას /დაახლ. 754-753 წწ/, დაარსებულა ქალაქი *რ ო მ ი*, რომელმაც მსოფლიოს ისტორიაში თავისი დიდი სიტყვა უნდა თქვას.

საერთოდ ქვეყანა, თავიდან ბოლომდე - იგივე ალპებიდან სიცილიამდე, დასავლეთით კი ორი კუნძულით - სარდინია და კრეტა-ბუნებით ფრიად ლამაზი ქვეყანაა; ლამაზიც და ნაყოფიერიც /ამ მხრივ იგი ჩვენი „ხატის“ - საქართველოს ბუნებასაც მოგვაგონებს/.

მაშ, ვიწყებთ ანტიკურობის მეორე ნაწილს - *რომის ისტორიას.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს ლეგენდა, რომ თითქოს ქალაქ რომის დამაარსებლები არიან ტყუპი ძმები - *რომულუსი და რემუსი,* ვითომაც ძუ მგლისგან ძუძუნაწოვარნი. ქალაქის პირველი დასახლება მდინარე ტიბრის მარცხენა მხარეს, *კაპიტოლიუმის* ბორცვზე /აქ, კაპიტოლიუმს გარდა, კიდევ ბორცვები: პალატინუმი, ავენტინუმი, ესკვილინუმი, იანიკულუმი, ცელიუმი, ვიმინალი/.

ისევ ლეგენდით, ქალაქის სახელის დარქმევისას, ძმები წაიჩხუბნენ - არა ჩემი სახელი უნდა დაერქვას, არა ჩემიო - და ამ ჩხუბში, რომულუსმა მოკლა რემუსი და ქალაქსაც თავისი სახელისგან დაარქვა *რომი* **(Roma).**

აქედან იწყება რომის ისტორია, მეფობის ხანით. „მეფე", ანუ „რექს"- სულ შვიდი ეყოლება რომს, თანმიმდევრობით: *რომულუსი, ნუმა პომპილიუსი, ტულუს ჰოსტილიუსი, ანკუს მარციუსი, ტარკვინიუს უფროსი, სერვიუს ტულიუსი და ტარკვინიუს თავქედი.*

ხოლო, ეს მეშვიდე „რექსი", სწორედ მისი „თავქედობისა" და სისასტიკისათვის ხალხმა აჯანყებით დაამხო. აჯანყების ბელადი კი იყო *ლუციუს იუნიუს ბრუტუსი.*

„რესპუბლიკა"

სწორედ ბრუტუსის მეთაურობით, ამიერიდან რომში, მეფობის ნაცვლად, დადგინდა და დამყარდა სახალხო მმართველობა, სახელად- *„რესპუბლიკა",* ანუ „საქმე ხალხისა" /„**res**"- საქმე + „Publicus" - სახალხო/.

ამიერიდან, სახელმწიფოს *კანონმდებლობას* განაგებდა ორი უმაღლესი ორგანო: *კომიცია,* ანუ სახალხო კრება და *სენატი* ანუ უხეცესთა საბჭო, 300 სენატორის შემადგენლობით.

შემდეგ, *აღმასრულებელ* ხელისუფლებად, ყოველ წელიწადს ირჩევდნენ თანამდებობის პირებს, რომელთაგან უმაღლესს წარმოადგენდა *კონსული*, ერთდროულად ორი, მშვიდობიანობისას სამოქალაქო ხელისუფალნი, სახალხო კრებისა და სენატის თავმჯდომარენი, ხოლო ომის დროს ჯარების მთავარსარდლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსულს თავი შემკობილი ჰქონდა ოქროს დიადემით, ემოსა თეთრი ტოგა წითელი არშიით, ედგა სპილოს ძვლის სავარძელი და მცველებად ახლდა თორმეტი *ლიქტორი*, ხელში *ფასციებით* ანუ წკეპლების კონით, რომელშიც ომის დროს ჩარჭობილი ჰქონდათ საომარი ნაჯახი, რაც იმას ნიშნავდა, რომ კონსულს უკვე უფლება ჰქონდა თვით რომაელი მოქალაქის სიკვდილით დასჯისა.

კონსულების შემდგომ, ასევე ყოველწლიურად ირჩევდნენ უფრო ქვემდგომ თანამდებობის პირებს: *პრეტორებს* /მოსამართლეები/, *ედილებს*, (სამეურნეო საქმეთა გამგებელნი), *კვესტორებს* (ფინანსურ საქმეთა მესვეურნი). სამ წელიწადში ერთხელ კი ირჩევდნენ *ცენზორებს*, რომლებიც ადგენდნენ მოქალაქეთა ქონებრივ ცენზს და ამის მიხედვით მათ ადგილს საზოგადოებაში, მეთვალყურეობდნენ რომაულ ზნეობას და წესრიგს, ადგენდნენ სენატის სიებს.

ყველაფერი ეს რესპუბლიკის ჩვეულებრივი კონსტიტუციით, მაგრამ უკეთუ ჩვეულებრივობა და წესრიგიანობა რაიმე მოულოდნელი მოვლენით დაირღვევოდა - ვთქვათ, მტრის შემოსევით და ომის დაწყებით, თუნდ რაიმე შინა-აჯანყებით, ან რაიმე სტიქიური უბედურებით, კრიზისული მდგომარეობა შეიქმნებოდა - მაშინ რომში ირჩევდნენ საგანგებო უმაღლესი თანამდებობის პირს-*დიქტატორს*, სწორედ განუსაზღვრელი უფლებებით. დიქტატორს, მისი უმაღლესი ძალაუფლების სიმბოლოებად, წამოსხმული ჰქონდა სრულად წითელი ტოგა, ოქროს დიადემა, ედგა სპილოს ძვლის სავარძელი, მცველებად კი 24 ლიქტორი, ხელში ნაჯახიანი ფასციებით.

დიქტატორის ასეთი უზღვრო უფლებანი ფაქტიური გაუქმება იყო რესპუბლიკისა /დაე, ამჯერად დაიძინოს რესპუბლიკამ!/. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიქტატორის რწმუნებანი მკაცრად იყო განსაზღვრული მხოლოდ ნახევარი წლით, მხოლოდ ექვსი თვით!

ასეთი იყო რომის რესპუბლიკური წყობილება, რომლის შემოღების თარიღად ითვლება ქრისტეს შობამდე 509 წელი /იმ წელს, რა წელსაც ათენში გატარდა კლისთენეს რეფორმა/.

პატრიციები, პლებეები, მონები

თავიდანვე, რომაული საზოგადოება, გვაროვნულად, ქონებრივად და უფლებრივად - დაყოფილი და ურთიერთ დაპირისპირებული ფენებისაგან შედგებოდა. დიდგვაროვანთა, მდიდართა და გაბატონებულთა ფენას *პატრიციები* ერქვათ; ხოლო, მდაბიო, ღარიბსა და ქვემდებარე ხალხს - *პლებეები* /ეს ისევე, როგორც საბერძნეთში *არისტოკრატები და დემოსი*/.

არისტოკრატ პატრიციებსა და პლებეურ ხალხს შორის მუდმივი დაპირისპირებულობა და წინააღმდეგობა არსებობდა. ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, პლებეურმა მასებმა მიაღწიეს, მათი უფლებების დასაცავად, ყოველწლიური არჩევნებით, ახალი თანამდებობა დადგენილიყო. ეს კი იყო *სახალხო ტრიბუნატი*.

სულ ირჩევდნენ 10 სახალხო ტრიბუნს, რომელთა მთავარი უფლება იყო „ვ ე ტ ო ს“ უფლება.

„ვეტო“, ანუ "ვკრძალავ" - ტრიბუნისაგან წარმოთქმული, ნიშნავდა: დიქტატორის გარდა, ყველა თანამდებობის პირისაგან - მათ შორის, კონსულისაგან ნაბრძანების გაუქმების უფლებას. მხოლოდ ეს იყო, რომ სახალხო ტრიბუნის „ვეტო“ მოქმედებდა მარტო ქალაქის საზღვრებში, ხოლო რომს გარეთ არავითარი ძალმოსილება აღარ გააჩნდა.

პატრიციებსა და პლებეებს ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონდათ რომის მოსახლეობის მესამე წრესთან. ესენი იყვნენ *მონები*. რომიც მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, უფრო მრავალრიცხოვანი მონებით და სამეურნეო ცხოვრებაშიც უფრო

მრავალდარგოვანი მონათმფლობელობით, ვიდრე ძველი აღმოსავლური და შემდეგ ბერძნული მონობაც. როგორც მანამდე ყველა მონათმფლობელურ სახელმწიფოში, აქაც - რომშიც, მონა ადამიანად კი არა, საქონლად და სამუშაო იარაღად /„ინსტრუმენტუმ“/ ითვლებოდა. დანარჩენი საქონლიდან /ხარი, ძროხა, ვირი და სხვ./, თუ სამუშაო იარაღიდან /გუთანი, თოხი, ბარი და სხვ./ განსხვავებით, რომაელი მონათმფლობელი მონას „მოლაპარაკე იარაღს“ /„ინსტრუმენტუმ ვოკალე“/ უწოდებდა.

რომი რომ „ბატებმა იხსნეს“!

ქრისტეს წინარე 391 წელს, რომს ჩრდილოეთიდან *გალების* ტომი შემოესია. მდინარე ტიბრის შენაკად *ალიას* ნაპირზე გამართულ ბრძოლაში, რომაელები სასტიკად დამარცხდნენ /აქედან - „ალიას დღეში ჩავარდნა“/ და გალები უკვე რომშიც შემოიჭრნენ.

რომაელები კაპიტოლიუმის ციხესიმაგრეში შეიკეტნენ. გალები ალყად შემოერტყნენ. ალყა გაჭიანურდა.

ერთხელ, შუაღამით, გალები კაპიტოლიუმის კლდოვანი მხრიდან შეუმჩნევლად აცოცდნენ, იქ ჩაკეტილ რომაელებს, მათი გუშაგებიანად მკვდრებივით დასძინებოდათ.

უცხოთა შემოსვლა ძაღლებსაც კი ვერ გაუგიათ.

მაგრამ, ვინ მოელოდა და - ყველას სამაგიეროდ, ბატებს შეუტყვიათ და საშინელი ყიყინ-ყივილით შეუძრავთ იქაურობა.

რომაელებიც უმალვე ძილიდან წამოცვივდნენ და გალები კაპიტოლიუმიდან უკანვე გადმოჰყარეს.

აქედან, ცნობილი გამოთქმა: „ბატებმა იხსნეს რომი!“...

მერე, გალების ბელადმა, *ბრენუსმა,* რომაელებს 1000 გირვანქა ოქრო მოსთხოვა, ქალაქიდან წასვლის ფასად. რომაელებმაც მიუწონეს. ბრენუსს მაინც ეცოტავა, თავისი მძიმე მახვილი სასწორზე დააგდო და დასძახა:

„ვაი დამარცხებულთ /„ვოე ვიკტის!“/ - მაშასადამე, კიდევ დააწონეთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სწორედ მაშინ მოუსწრო რომაელმა რჩეულმა გმირმა, *კამილუსმა* შეძახილით:

- ოქრომ კი არა, ხმალმა გაგვასწოროსო! - და სასწორზე, ბრენუსის მახვილის საწინააღმდეგო მხარეს დააგდო თავისი მახვილი.

ბრძოლა განახლდა. რომაელებმა გაიმარჯვეს და გალები ჩრდილოეთისკენ გადაიხვეწნენ.

რომი - იტალიის მფლობელი

რომისათვის იტალიაში პირველობა თვითონ იტალიის და სრულიად აპენინის ნახევარკუნძულის დაუფლებას გულისხმობდა - ალპებიდან სიცილიამდე.

და, ამ „ჩექმის“ დაუფლებას მან ორ საუკუნეზე მეტი მოანდომა. /ყველაზე დიდი ეს „იტალიური ბრძოლები“ - IV - III ს. ს. მიჯნაზე, ანუ მაშინ,. როცა ჩვენს სამშობლო - საქართველოში მეფობდა ფარნავაზი/.

რომაულ მახვილს ყოველთვის წინ მიუძღოდა ცბიერი რომაული დიპლომატიური ფორმულა: „გაჰყავი და იბატონე!“ /„დივიდე ეტ იმპერა!“/. მაშასადამე, იგი ახერხებდა, მის მოწინააღმდეგე ხალხებში ერთიანი კავშირი არ შეკრულიყო და ასე ცალცალკე დაემარცხებინა და დაეპყრო ყოველი ხალხი და ქვეყანა.

ჯერ, თვითონ იქვე, ლაციუმის ოლქში, ნათესავი ლათინური ქალაქების ჰეგემონი შეიქნა რომი და, მაშინვე, უკვე სხვა გვარჯილაგის ტომებს მისდგა: ეტრუსკებს, ექვებს, ვოლსკებს, სამნიტებს, მარსებს. ბოლოს კი, იტალიის სანაპიროებზე ჩარიგებულ ბერძნულ ქალაქებს.

ბერძნების საშველად, საბერძნეთიდან იტალიაში შეიჭრა ბერძენი, ეპირის მეფე *პიროსი,* რომელმაც რომაელებთან პირველი შეტაკება მოიგო, მაგრამ დიდი მსხვერპლის ფასად და, ამიტომ უთქვამს, კიდეც:

„კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და აღარც ერთი მეომარი აღარ დამრჩებაო!“ აქედან გამოთქმაც - „პიროსის გამარჯვება“ - მომასწავებელი უეჭველი დამარცხებისა და, მართლაც, პიროსი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომაელთაგან ძლეული გარბის იტალიიდან /ბოლოს, ეს პირველი თვითონ საბერძნეთში დაიღუპება, ქუჩაში ბრძოლის დროს, სახლის სახურავიდან ქალის ხელით გადმოგდებული კრამიტის თავში დაცემით/.

ბერძნული ქალაქ-კოლონიების დაპყრობით, რომმა იტალიის დამორჩილება მოითავა.

ამრიგად, ახლა რომს, ის იტალიურ-აპენინური „ჩექმა“ სრულად ჩაეცვა და მოერგო ფეხზე.

რომი და ხმელთაშუაზღვეთი

აპენინ-იტალიის დაპყრობა რომ მოითავა, იქვე კუნძული სიცილია გამოჩნდა და ახლა მისი დაჭერაც მოინდომა რომმა.

იუპიტერს მეხი დაურტყამს და მოუწყვეტია, თორემ სიცილიაც ხომ იტალიის ნაწილიაო, - ამბობდნენ რომაელები.

მაგრამ სიცილიაზე კართაგენი ბატონობდა, ძველი ფინიკიური ქალაქი, პირდაპირ, აფრიკის სანაპიროდან; თანაც - მარტო სიცილიაზე კი არა - მთელ ხმელთაშუაზღვეთზე მოთვალთვალე და მოდარაჯე კართაგენი.

და, აატყდა ახალი ომები, რომსა და კართაგენს შორის, რომელთაც თვითონ რომაელებმა უწოდეს *პუნიკური*, ანუ „ფინიკიური“ ომები. სულ მოხდება სამი „პუნიკური ომი“.

პირველი პუნიკური ომი დაიწყება ქრისტეს შობამდე 264 წელს და გაგრძელდება 241 წლამდე, ე.ი. მთელი ოცდასამი წელიწადი.

რომმა კვლავ გაიმარჯვა. კართაგენს სამხედრო კონტრიბუციის გადახდა დააკისრა და, რაც მთავარია, სიცილიაზე ხელი ააღებინა.

სიცილია რომის სახელმწიფოში გამოცხადდა, როგორც პირველი *პროვინცია*. მალე ამის შემდეგ იგივე სახელწოდებით რომს დაემორჩილებიან სარდინია და კორსიკა.

მაშ, რომი უკვე ართმევდა კართაგენს ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობას.

კართაგენიც არ ფიქრობდა შერიგებოდა რომისაგან ეგზომ დაკნინებას და ომის განახლებისათვის ემზადებოდა. ჯერ მან ესპანეთის დაპყრობა გადაწყვიტა და, ქრისტეს შობამდე 236 წელს, კიდევაც გაგზავნა ესპანეთისაკენ საომარი ძალები, ცნობილი სარდლის,

ჰამილკარ ბარკას სარდლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამილკარმა ახალ ომში თან წაიყვანა თავისი ცხრა წლის ძე, სახელად *ჰანიბალი*, რომელიც წინასწარ ფინიკიელთა მთავარ სალოცავ-საკურთხეველის წინაშე დააფიცა, რომ იგი მთელი სიცოცხლე იქნებოდა დაუძინებელი მტერი რომისა და რომაელებისა. ყრმა ჰანიბალმაც ქვიშას ფეხი გაჰკრა და შეჰღაღადა: „დაე, ვიქცე ასე მტვრად, თუ ეს ფიცი არ შევასრულო!“ /აქედანვე გამოთქმა - „ჰანიბალის ფიცი“/.

თითქმის ოცი წელიწადი ომობდნენ კართაგენელები ესპანეთში, მის დასაპყრობად და იქაური საომარი ძალებით და რესურსებით რომზე გასალაშქრებლად. ამ ომს შეეწირა თვითონ ჰამილკარი. ბოლოს, 221 წელს, კართაგენელებმა მთავარსარდლად გამოაცხადეს ჰანიბალი, რომელმაც დაასრულა ესპანეთის დაპყრობა და განაახლა ომი რომთან.

ასე დაიწყო *მეორე პუნიკური ომი*, რომელიც გაგრძელდება 17 წელიწადი /218-201 წწ/.

დაიწყო ჰანიბალმა ლაშქრობა ესპანეთიდან, გალიის /საფრანგეთი/ გავლით, ალპების გადალახვით /„პირველი ალპიური ლაშქრობა!“/ და იტალიაში შეჭრით.

აქ, ჩრდილოეთ იტალიაში, იმავე 218 წლის შემოდგომაზე, მდინარეთა - *ტიციინუსისა და ტრებიას* ნაპირებთან, ჰანიბალმა ზედიზედ სასტიკად დაამარცხა ორივე რომაელი კონსული მათი არმიებით.

მესამედ, 217 წელს, *ტრაზიმენის ტბასთან* მოიპოვა ჰანიბალმა ბრწყინვალე გამარჯვება. აქ მან სრულად მოსპო რომაელთა არმია, მის მთავარსარდალ, *კონსულ გაიუს ფლამინიუსთან ერთად*.

და აი, მწვერვალიც ამ გენიალური მხედართმთავრისა - ბრძოლა 216 წლის 2 აგვისტოს, ქალაქ *კანეს* მახლობლად. აქ, ერთმანეთის პირისპირ - რომაელთა მხრივ 80 000 ქვეითი და 6000 ცხენოსანი მეომარი; კართაგენელთა მხრივ კი - 40 000 ქვეითი და 10 000 ცხენოსანი.

ჰანიბალი, ორჯერ უმეტესი მტრის პირისპირ, თავის ჯარს ალაგებს ნამგალა მთვარის სახით, ისე რომ ამ „მთვარის“ გამოზნექილი

მხარე მიმართულია სწორკუთხედად დალაგებული მრავალრიცხოვანი მტრის საპირისპიროდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომაელებიც იწყებენ შეტევას ამ „მთვარის“ ცენტრზე. „მთვარეც“ იზნიქება, მისი წვეროები გარს ერტყმიან და წრეს კრავენ მტრის გარშემო.

ასე მოულოდნელ ალყაში მოქცეული რომაელები თავის რიცხობრივ უპირატესობას ვეღარ იყენებენ და ყოველის მხრიდან მოიერიშე კართაგენელთა მსხვერპლნი ხდებიან.

მაგრამ ეს იყო და ეს. რომაელები გაჭიანურებული ომის ტაქტიკაზე გადადიან. ჰანიბალს კი, კართაგენიდან დამხმარე ძალად ერთი ჯარისკაციც არ მიუღია. ამდენად, მნიშვნელოვანი ბრძოლის მოსაგებად უკვე ძალაც აღარ შესწევდა. მხოლოდ ერთხელ, 211 წელს, უეცრად, „პროვოკაციულად“, ჰანიბალმა ილაშქრა თვითონ რომზე. სწორედ მაშინ იყო, მთელი რომი ფეხზე რომ დადგა, იმ საისტორიო ძახილით: *„ჰანიბალი კარიბჭეზეა!!!“* /„ჰანიბალ ანტე პორტას!“/. ეს იყო და ეს. ძახილი ძახილად დარჩა და ჰანიბალიც უკან ხელცარიელი გამობრუნდა. . .

იმჟამად კიდევ, სიცილიის მთავარი ქალაქი - სირაკუზი განდგომოდა რომს და კართაგენელებს მიმხრობოდა. რომაელებს ძალიან გაუჭირდათ სირაკუზელებთან ბრძოლა, რაკი ამ ქალაქის დაცვას წინამძღოლობდა დიდი მეცნიერ - მათემატიკოსი *არქიმედე*. სწორედ არქიმედეს გამოუგონია იმ დროისათვის სრულიად უცნობი და უცნაური, „ჯადოსნური“ საომარი მანქანები - ქვის სატყორცნი „არტილერია“, ისეთი „ამწეებიც“, ქალაქის კედლებზე მოიერიშე გემებსაც ზღვიდან რომ აიტაცებდნენ და შეომრებიანად დაამხობდნენ და დაანარცხებდნენ.

მაინც აიღეს სირაკუზი რომაელებმა და სასტიკად გაუსწორდნენ: საშინელი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-გლეჯა გააჩაღეს. მსხვერპლთაშორის იყო თვით გენიალური არქიმედე, რომელიც თურმე მიწაზე დამჯდარი, იქვე სილაზე, გეომეტრიული სხეულების ხაზვით და თეორემების ამოხსნით ყოფილა გართული, როცა რომაელი მეომარი გასისხლიანებული მახვილით თავს წასდგომია და ფეხზე ადგომა უბრძანებია. „ხელს ნუ მიშლი ამოცანის ამოხსნაში!“ - შეჰყვირა

არქიმედემ, თავაუღებლად.... უმალვე მახვილის ელვა და, გენიალური მათემატიკოსის თავი მისსავე თეორემით შეთხზულ ნახაზზე დაეცა...

ჰანიბალს კი, ერთადერთ იმედად ესპანეთში დატოვებული ძმები - ჰასდრუბალი და მაგონი ეგულებოდა. მაგრამ რომიდან გაგზავნილმა სარდალმა, *პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა* ესპანეთი კართაგენელებს წაართვა. თუმცა ჰასდრუბალმა, 207 წელს მაინც შეძლო ჯარით, ჰანიბალის მსგავსად, ალპები გადმოელახა და იტალიაში შეჭრილიყო.

აქ ძმები უნდა გაერთიანებულიყვნენ, მაგრამ რომაელებმა ეს არ დაუშვეს და, სანამ სამხრეთ იტალიაში მყოფი ჰანიბალი ძმასთან შესახვედრად და შესაერთებლად ემზადებოდა, მისგან ჩრდილოეთით, მდინარე *მეტავრასთან* გამართულ ბრძოლაში /207 წ/, ჰასდრუბალი მისი თანამოლაშქრე ჯარით სრულად გაწყვიტეს, და თვითონ ჰასდრუბალის მოკვეთილი თავი, მის მომლოდინე ჰანიბალს კარავში შეუგდეს!...

ჰანიბალი ძმის თავს დააცქერდა და შესძახა: „ახლაკი ვხედავ კართაგენის ბედს!“

სციპიონიც, ესპანეთში ძლევამოსილი ლაშქრობების შემდეგ, რომში დაბრუნდა და, 204 წელს, ახალი საომარი ძალებით, აფრიკაში შეიჭრა, პირდაპირ თვითონ კართაგენზე საიერიშოდ.

კართაგენის ხელისუფლებამ მაშინვე ჰანიბალი იხმო იტალიიდან.

და, ჰანიბალიც გაეშურა - თექვსმეტი წელიწადი რომ იტალიაში გამარჯვებას გამარჯვებაზე იხვეჭდა და ახლა მაინც დამარცხებული მიდიოდა...

და, 202 წლის 19 ოქტომბერს, აფრიკაში, ქალაქ *ზამასთან,* უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ სციპიონი და ჰანიბალი; პირველი - ბრძოლებში ნაწრთობი რომაული ლეგიონებით, მეორე - ახლად შეყრილი მისთვის უცნობი ჯარების ნაფლეთებით. გაიმარჯვა სციპიონმა.

ომიც დამთავრდა. კართაგენმა თავი დამარცხებულად სცნო. იგი ძლევამოსილმა რომმა ხმელთაშუა ზღვის ყოველი წერტილიდან გამოდევნა და მხოლოდ აფრიკის მიწაზე, საკუთარ საქალაქო საზღვრებში ჩაკეტა და ჩააქვავა. ფლოტიც ჩამოართვა და დიდი ფულადი ხარკის გადახდაც დააკისრა.

ერთი სიტყვით, მხოლოდ ეს იყო, რომ კართაგენი ჯერ-ჯერობით დანგრევას და მოთხრას გადარჩა. . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ახალი, ქრისტეს წინარე II საუკუნე დამდგარიყო და რომაული ლეგიონებიც ახალი ქვეყნების - ამჯერად აღმოსავლეთის ქვეყნების დასაპყრობად მიეშურებიან.

რომაულ მახვილს კვლავ წინ მიუძღვის ნაცადი რომაული დიპლომატიის დევიზი - „გათიშე და იბატონე!"

და, სწორედ ასე ერთმანეთისაგან გათიშვით, „მგლის ნაშიერი რომაელები" ცალ-ცალკე ამარცხებენ, ჯერ ბალკანეთზე - მაკედონიას; მერე, უკვე აზიაში - სელევკიდურ სირიას /200-197 წწ/.

სირიის დამარცხებისა და დახარკვის შემდეგ, რომაელები ისევ ბალკანეთს შემოესივნენ, სრულად დაიპყრეს და თავის პროვინციებადაც გამოაცხადეს მაკედონიაც, საბერძნეთიც. . .

ამავე დროს, რომს კართაგენი მაინც არ ავიწყდებოდა, რაკი ეს, მისი მთავარი მეტოქე და მოსისხლე აკი ჯერ ისევ ფეხზე იდგა.

ამიტომაც იყო, რომ რომში ერთი ცნობილი პოლიტიკოსი, *მარკუს პორციუს კატონი*, სენატის თუ სახალხო კრების წინაშე წარმოთქმულ ყოველ სიტყვას, გამუდმებით ამ მოწოდებით ასრულებდა:

„კართაგენი უნდა დაინგრეს!"

და, ქრისტეს წინარე 149 წელს, რომაელებმა კიდევაც დაიწყეს ომი სწორედ კართაგენის დასანგრევად.

ეს „მესამე პუნიკური ომი" გაგრძელდა სამი წელიწადი - უსასტიკესი ხმალთაკვეთებით და ხმალთაკვესებით. სამი წელიწადი, დღეღამ-სწორებით, მიჰქონდათ იერიშები რომაელებს კართაგენის კედლებზე. გასაოცარი თავგანწირულებით იბრძოდა მშობლიური ქალაქის გადასარჩენად ყოველი კართაგენელი - კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა. ქალები თმებს იჭრიდნენ და მშვილდის ლარებად, თუ შურდულ-სატყორცნად გრეხავდნენ. ბრძოლა ვიდოდა ქალაქში ყველგან - ყოველ ნაბიჯზე, კედელზე თუ ქუჩაში, სახლში თუ კარში, სხვენზე თუ სახურავზე.

რომაელები, მათი მთავარსარდლის, *პუბლიუს კორნელიუს სციპიონ ემილიანეს* წინამძღოლობით, უკვე გარს შემოერტყნენ ქალაქის აკროპოლისს - ბირსას, და ექვსდღიანი

შეუსვენებელი იერიშების შემდეგ, კართაგენელმა მთავარსარდალმა, *ჰასდრუბალმა,* თავი დამარცხებულად სცნო, სციპიონს ემილიანეს ეახლა, მის წინ დაიჩოქა და შეწყალება შესთხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდლის სულმოკლეობით აღშფოთებულმა ბირსას დამცველებმა თავის ციხე-სიმაგრეს ხანძარიც თვითონ გაუჩინეს და თვითონვე ცეცხლს მისცეს თავი.

ჰასდრუბალის ცოლიც შვილებით გადმოდგა კოშკზე, მტრის წინაშე დაჩოქილი ქმარი დასწყევლა, შვილებს იქვე ყელები დასჭრა, ცეცხლში გადაჰყარა და თვითონაც ხანძარში ჩაინთქა.

რომის სენატის დადგენილებით, დანგრეული და დამწვარი კართაგენი სრულად აღგავეს პირისაგან მიწისა; მისი ნადგომარი ადგილი კი, თავიდან ბოლომდე გადახნეს და დასწყევლეს, რათა იმ ადგილზე ადამიანს აღარასოდეს აღარ ეცხოვრა. ყოფილი კართაგენის ადგილები და სამფლობელონი უკვე რომის საკუთრებად ცხადდებოდა, *პროვინცია აფრიკის* სახელწოდებით.

„პური და სანახაობა“

იტალიის გარეთ დაპყრობილი ყველა ქვეყანა რომს თავის *პროვინციად* ექცია. პროვინციებიდან კი – ომით, თუ გადასახადით - რომში უამრავი ნაძარცვი შემოდიოდა.

ყველაზე დიდი ნაძარცვი მაინც ტყვედწაყვანილი და მონად ქცეული ადამიანი /“ყოფილი ადამიანი“/ იყო. ჯერ ძველი აღმოსავლეთის და შემდეგ საბერძნეთის დროინდელი მონობა, რომაულთან შედარებით, მხოლოდ წინა საფეხურებად წარმოგვიდგებიან. რომაული მონობა და მონათმფლობელობა კი, უმაღლეს, „სანიმუშო მაგალითად“ გვევლინება. ჩვენთვის უკვე ცნობილი, არისტოტელეს ნათქვამი - „მონა არის სულიერი იარაღი“ - რომში უფრო „სრულყოფილი განმარტებით“ ითქმება: სამუშაო იარაღი არის სამი სახისა: მუნჯი /გუთანი, თოხი, ბარი და სხვ./, ზმუილა /ხარი და სხვ./ და მოლაპარაკე /მონა/. და, ასეთი „მოლაპარაკე იარაღით“, ანუ „მოლაპარაკე საქონლით“ ავსებულიყო რომის სახელმწიფო.

მონა მთავარ მწარმოებელ ძალად ქცეულიყო რომაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო საქმიანობის ყველა დარგში. არა მარტო მეურნეობაში - თვით სულიერი ცხოვრების, ვთქვათ, თეატრალურ, თუ საცირკო სანახაობრივ ცხოვრებაშიც.

ადამიანს ხომ ჭამის გარდა გართობაც უნდა, - და რომაელი ხალხის საარსებო მოთხოვნა და მსოფლიოში გახმიანებული ლოზუნგიც ეს იყო: *„პური და სანახაობა!“* /„პანემ ეტ ცირცენსეს!“/.

სწორედ ცირკის არენაზე, სანახაობის სიგიჟემდე მოყვარული რომაული საზოგადოების თვალსასეიროდ, იმართებოდა საგანგებოდ გაწრთვნილ მონა-გლადიატორთა ბრძოლები და ურთიერთ-დაკვლა.

გლადიატორი სწორედ საცირკო-საომრად გაწრთვნილი მონა იყო.

რომში არსებობდა საგანგებო სკოლები, სადაც ფიზიკურად ანარჩევ მონებს გლადიატორებად წრთვნიდნენ და მერე ცირკში ერთმანეთს, ან მხეცებს აომებდნენ, - რაც შეიძლება, „დახვეწილი ოსტატობით“ ურთიერთ საჟლეტად.

ძმები გრაკხუსები

სოფლის მეურნეობაში მთავარ და წამყვან სამუშაო ძალად მონის დამკვიდრებამ იგივე მეურნეობიდან თავისუფალი გლეხის განდევნა და გაღატაკება გამოიწვია. გაღატაკებული გლეხი კი, იძულებული ხდებოდა, ბოლოს და ბოლოს საკუთარი მიწაც მეზობელი მსხვილი მიწათმფლობელისთვის მიეყიდა, ხოლო თვითონ, უკვე უმიწაწყლოდ დარჩენილი „პროლეტარი“, ქალაქს მათხოვრად მისდგომოდა.

ამგვარად, მონურ შრომაზე დამყარებული მსხვილი მიწათმეურნეობა /*„ლატიფუნდია“*/, თავისუფალ გლეხობას მიწას აკარგვინებდა და, ამრიგად, ამ „მსოფლიოზე გაბატონებულ“ საშუალო რომაელს აღატაკებდა და ამათხოვრებდა.

ამრიგად, ქვეყნის ხსნისათვის საჭირო იყო მიწის რეფორმა - მიწების ხელახალი განაწილებისათვის.

ასეთ რეფორმატორებად რომს მოევლინენ *ძმები გრაკხუსები*. ჯერ, უფროსი ძმა - *ტიბერიუს გრაკხუსი*, შემდეგ უმცროსი - *გაიუს გრაკხუსი*.

ტიბერიუს გრაკხუსმა ადრე, მესამე პუნიკურ ომში გაითქვა სახელი: კართაგენზე იერიშის დროს, იგი პირველი გადაეკვეთა ქალაქის კედელს და ამის გამო ჯილდოდ ძვირფასი გვირგვინიც მოიპოვა.

133 წელს ტიბერიუსი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს და სწორედ მაშინ გამოაცხადა თავისი აგრარული რეფორმის პროექტიც, რომლის მიხედვით: ყოველ ცალკე რომაელ მოქალაქეს უფლება აქვს ჰქონდეს არაუმეტეს 500 იუგერი /ჰექტარის მეოთხედი/ მიწის ფართობი. მაგრამ თუ კიდევ შვილები ჰყავს - ორ უფროს შვილზე კიდევ, თვითეულად - 250 იუგერი. მაშასადამე, მთელს ოჯახზე ერთად აღებული - მხოლოდ 1000 იუგერი. ამის ზემოთ მიწა ყველას უნდა ჩამორთმეოდა და ასე მოგროვილი მიწათა ფონდი, 30-30 იუგერად დაურიგდებოდა უმიწაწყლოდ დარჩენილ მოქალაქეებს.

ასეთი პროექტისადმი სასტიკი წინააღმდეგი წავიდა სენატი. მაშინ ტიბერიუსმა თავისი კანონპროექტი სახალხო კრებას მიაღებინა, კონსტიტუციით დადგენილი „სენატის მოწონების" გარეშე. მაგრამ რაკი მიწების ხელახალი გადანაწილებისათვის ერთი წელიწადი არ იკმარებდა, ტიბერიუს გრაკხუსმა მომავალი წლისათვის ხელახლა წამოაყენა თავისი თავი სახალხო ტრიბუნობის კანდიდატად. მაშინ, არჩევნების დღეს, ქალაქის მოედანზე, სენატი და მსხვილი მიწათმფლობელნი შეიარაღებული მოვიდნენ; ტიბერიუსს ბრალი დასდეს ტირანიის დამყარების მცდელობაში; მიუხტნენ, მოკლეს, მისი თანამებრძოლებიც - სულ, სამასამდე კაცი, დახოცეს და ყველა ერთად იქვე მდინარე ტიბრში გადაყარეს.

დავიმახსოვროთ: ეს იყო *პირველი შემთხვევა*, როცა რომში რომაელები ხოცავენ რომაელებს. ასე, რომ ეს იყო პირველი აქტი რომში შინაური - *„სამოქალაქო ომების"* დაწყებისა.

ათი წლის შემდეგ /123-122 წწ/, იგივე კანონპროექტით აგრძელებს ბრძოლას ტიბერიუსის მომდევნო ძმა, *გაიუს გრაკხუსი, რომელმაც დამატებით, ღარიბთათვის იაფფასიანი პურის დარიგებაც* დააწესებინა სახალხო კრებას. ამას გარდა, ცალკე კანონპროექტებით, გაიუს გრაკხუსი ითვალისწინებდა ახალი კოლონიების დაარსება-დასახლებას უმიწაწყლო მოქალაქეთა სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახლება-დამკვიდრებით და, კიდევ - იტალიელთათვის რომაული მოქალაქეობის მინიჭებას.

საპასუხოდ, რომის სენატი და არისტოკრატია უფრო ძლიერად და მრავალრიცხოვნად დაირაზმა, გრაკხუსისა და მის მომხრეთა წინააღმდეგ.

რომში სასტიკი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. კვლავ სენატმა გაიმარჯვა. როცა გაიუსი დარწმუნდა, რომ საბოლოოდ დამარცხდა, იქვე თავის მონას უბრძანა მახვილი დაერტყა და მოეკლა იგი. მონამაც ბრძანება შეასრულა: ბატონს მახვილი სასიკვდილოდ დასცა, მაგრამ მაშინვე თვითონაც მოიკლა თავი.

მარიუსი და სულა

ქრისტეს წინარე II საუკუნის ბოლოს, რომის პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე დაწინაურდა *გაიუს მარიუსი*, ერთი სოფლელი გლეხი, გუთნისდედა, სამხედრო სამსახური ჯარისკაცობიდან რომ დაიწყო და მთავარსარდლობამდე ამაღლდა. მისი წინამძღოლობით, რომმა აფრიკაში კიდევ ერთი ქვეყანა დაიპყრო - *ნუმიდია*, კართაგენის დასავლეთით.

მანამდე, იმ ნუმიდიის მეფემ - *იუგურთამ*, ყველა რომაელი პოლიტიკოსი და მთავარსარდალი მოქრთამა და თავის ნებისად აპამპულა. ერთადერთი სწორედ გაიუს მარიუსი - ეს „სოფლელი გუთნისდედა“ აღმოჩნდა, რომელმაც ის არ იკადრა, რასაც მაშინ რომის „ქალაქური არისტოკრატია“ კადრულობდა. სწორედ ამანვე ათქმევინა იუგურთას, რომის მიმართ:

„საზიზღარო ქალაქო, შენ მაშინვე გაიყიდები, როგორც კი შესაფერისი მყიდველი გამოგიჩნდებაო!“

თვითონ კი ვეღარ აღმოჩნდა „შესაფერისი“, რაკი იგი უკვე კონსულად და მთავარსარდლად არჩეულმა გაიუს მარიუსმა სასტიკად დაამარცხა და თვითონ იუგურთაც ხელფეხ-შებორკილი მოართვა რომს.

მალე ამის შემდეგ, იტალიას ჩრდილოეთიდან პირველად მოადგნენ გერმანელი ტომები - *კიმბრები და ტევტონები*.

კვლავაც კონსულად არჩეული გაიუს მარიუსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამძღოლობით, რომაელებმა ორ დიდ ბრძოლაში ორივე სრულიად გაანადგურეს - კიმბრებიც და ტევტონებიც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მარიუსმა გაატარა სამხედრო რეფორმა, რომლითაც ყოველ სამხედრო მსახურს, მეთაურსაც და ყოველ რიგით ჯარისკაცს ხელფასი ენიშნებოდა. მაშასადამე, ამიერიდან რომაელი ჯარისკაცი არის არა მხოლოდ ქვეყნისათვის ვალდებული მოლაშქრე, არამედ უკვე მოქირავნე-მეომარი, ანუ იგი ამიერიდან *ეკუთვნის* უფრო მის დამქირავებელ სარდალს, ვიდრე „მშობლიურ რომს“.

მარიუსი კი უკვე ხუთჯერ აერჩიათ კონსულად. ეს კი რომის „რესპუბლიკური კონსტიტუციით“ წარმოუდგენელი იყო. ასე ზედიზედ კი არა, ერთი და იგივე პირის კონსულად მეორედ არჩევა მხოლოდ ათი წლის შემდეგ დაიშვებოდა.

თვითონ მარიუსი კი ამას ამბობდა: მე, ჩემს სოფელში, ბავშვობისას, მთებში რომ საქონელს ვმწყემსავდი, კლდიდან არწივის ბუდე ჩამოვარდა, შიგ კალთაში ჩამივარდა და... ბუდეში სწორედ არწივის შვიდი ბარტყი იჯდა, შვიდი-მეთქი! და მეც, კონსული შვიდ-ჯერ ვიქნები!... შვიდჯერ!...

მაგრამ მარიუსს, ამ „სოფლელ მდაბიოს“, არისტოკრატულ-პატრიციანული გვარის მეტოქე გამოუჩნდა - *ლუციუს კორნელიუს სულა.*

ქრისტეს წინარე I საუკუნის 80-იან წლებში, რომს იტალიელი „მოკავშირეები“ აუჯანყდნენ. ამ „მოკავშირეთა ომში“ კი, სულამ ყველა სარდალი დაჩრდილა, მათ შორის გაიუს მარიუსიც.

„მოკავშირეთა ომის“ დასრულება და - აღმოსავლეთში, აზიაში დაინთო ახალი ომის ხანძარი. ეს, პონტოს მეფე *მითრიდატე VI ევპატორმა* შემოუტია რომაელებს.

/გავიხსენოთ მითრიდატე - კოლხეთი რომ დაიპყრო და შეუერთა თავის პონტოს სამეფოს. პონტო ხომ ქართველური ტომების - კოლხების, ხალიბების, ტიბარენების, მოსინიკების, სანიკების, ტაოხების, მოსხების ქვეყანა იყო. თვითონ მითრიდატე - დიდი პიროვნება, ტანად გოლიათი, ომში უმამაცესი და პაექრობაში სწორუპოვარი, 22 ენის მცოდნე - ამდენივე ენაზე რომ შეეძლო სიტყვის წარმოთქმა და სასამართლო-წარმოება/.

ახიიდან უკვე გაერეკა რომაელები მითრიდატეს, ეგვიპტეც გადაეკლო და ნახევარი საბერძნეთიც უკვე მის ხელთ მოქცეულიყო.

რომშიც მაშინვე დაისვა საკითხი, ვინ, რომელი პოლიტიკოსი აერჩიათ კონსულად, რომელიც თავისი ლეგიონებით გასწევდა აღმოსავლეთში მითრიდატე პონტოელთან საომრად.

ამისთვის კი ერთმანეთს ეტოქებიან და ებრძვიან სულა და მარიუსი.

სულამ პირდაპირ შეუსია რომს თავისი ლეგიონები.

მარიუსიც დაუხვდა თავისი ჯარებით.

აი, სამოქალაქო ომის ახალი სისხლიანი ფურცლებიც: უკვე პირველად, რომაული ლეგიონები ისევე იბრძვიან „მშობლიური რომის" დაუფლებისათვის, როგორც უცხო მტრის ქალაქის დაპყრობისათვის.

ამჯერად სულამ აიღო რომი. მარიუსმა ძლივს ცოცხლად გაასწრო და გადაიხვეწა.

მაგრამ სულა რომ მითრიდატე პონტოელთან საომრად აღმოსავლეთს გაეშურა, მარიუსი მობრუნდა და ახლა ის დაეუფლა რომს, სადაც მან მეშვიდე კონსულობა აიღო ("მეშვიდე არწივი ააფრინა!") და სულას მომხრეთა წინააღმდეგ საშინელი დევნა და ხოცვა-ჟლეტა გააჩაღა.

სულამ მითრიდატესთან ომი ზავით დაასრულა და რომში მობრუნდა მარიუსისადმი შურით აღვსილი, და რაკი მარიუსი მანამდე მომკვდარიყო - მისი საფლავი მოათხრევინა და შეაბილწვინა.

იმავე წელს /ქრ.წ. 82/, სულამ სენატი აიძულა, მისთვის მიენიჭებინათ დიქტატორობა, მაგრამ არა ჩვეულებრივი ექვსი თვით, არამედ ვადით, რამდენსაც თვითონ ჩასთვლიდა საჭიროდ.

და, დაიწყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-გლეჯა სულას ყველა მოწინააღმდეგისა, ეჭვმიტანილისა, თუ დასმენილ-დაბეზღებულისა. სულამ შემოიღო „პროსკრიპციები" - სიები, რომელთაც აკრავდნენ ქუჩებში და ვინც კი ასეთ სიაში მოხვდებოდა, იგი - როგორც „სამშობლოს მოღალატე" - სიკვდილსა და ქონების კონფისკაციას ვერ გადაურჩებოდა.

და, გაჩაღდა რომში ურთიერთ მიწერა „პროსკრიპციებზე", ურთიერთ დასმენა-დაბეზღება, დაკვლა და ძარცვა-რბევა... წარკვეთილი თავების „გამოფენები" რომის მთავარ მოედანზე - ფორუმ რომანიუმზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულას სიკვდილიდან მეოთხე წელს /74 წ./, ქალაქ კაპუაში, დაიწყო მონათა ყველაზე დიდი აჯანყება, მონა-გლადიატორ *სპარტაკის* წინამძღოლობით.

წარმომავლობით იყო თრაკიიდან, ძალღონით, ჭკუით და სიმამაცით გამორჩეული ვაჟკაცი, რომლის გარშემო დასაწყისშივე იტალიის ყოველი კუთხიდან თავს იყრიან გაქცეული მონები.

პირველივე შეტაკებით, 3000-იანი რომაული არმია დაამარცხეს და გააქციეს მონებმა. ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო გაამრავლა და გაზარდა სპარტაკის ბანაკი.

სპარტაკმა გაქცეულ მონათაგან, მკაცრი სამხედრო დისციპლინით და საომარი წრთვნით, ნამდვილი - სწორედ რომაული ლეგიონების საპირისპირო არმია ჩამოაყალიბა. საომარი საჭურველიც თვითონვე აჭედვინა ოსტატებს, საგანგებოდ ნაგებ სამჭედლოებში.

სენატმა მდგომარეობა იმდენად სახიფათოდ ჩათვალა, რომ სპარტაკის წინააღმდეგ ორივე კონსული გაგზავნა, ორივე არმიით.

სპარტაკმა კონსულებს გაერთიანებული ძალებით შემოტევის გეგმა ჩაუშალა და ორივენი ცალ-ცალკე გაანადგურა.

ამის შემდეგ სპარტაკი მიეშურება ჩრდილოეთით, რათა იტალიიდან გააღწიოს და ყველა თავისი თანამებრძოლი თავისი მშობელი ქვეყნისკენ გაუშვას.

მაგრამ, როგორც ეტყობა, მისი ბანაკიდან მნიშვნელოვანმა ნაწილმა იტალიიდან გასვლა არ მოისურვა და, ბოლოს და ბოლოს, სპარტაკი კიდევაც შემობრუნდა და პირდაპირ რომისაკენ დაიძრა.

მაშინ რომში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. საგანგებო რწმუნებებით, ახალი მთავარსარდალიც დაინიშნა - რომში ყველაზე მდიდარი *მარკუს ლიციინიუს კრასუსი*, რომელმაც სასწრაფოდ დიდძალი საომარი ძალები შემოიყარა და მონათა ბანაკისაკენ დაიძრა.

სპარტაკი რომაული არმიების სიმრავლეს განერიდა და სამხრეთისაკენ გაეშურა, რათა ზღვის მეკობრეთა პირობისამებრ, მათი ხომალდებით, ზღვა გადაელახა და სიცილიაში გამაგრებულიყო.

მაგრამ მეკობრეებმა იგი მოატყუეს და ზღვისპირს მიმდგარს, ჩრდილოეთიდან დადევნებულმა რომაელებმაც გზა გადაუჭრეს.

მაშინ სპარტაკმა თავის ჯარს სიტყვით მიმართა: „უმჯობესია, რკინამ მოგვიღოს ბოლო, ვიდრე შიმშილმა!“ და იერიში ბრძანა. რომაელთა ალყაც გაარღვიეს და გააღწიეს,.

მაგრამ საომარ ველზე ახალი საომარი ძალები გამოჩდნენ.

ეს, *გნეუს პომპეუსი* მოეშურებოდა კრასუსთან შესაერთებლად.

მაშინ სპარტაკი ისევ კრასუსის ბანაკისკენ შემობრუნდა და შეება. იგი სასტიკი ხმალთაკვეთებით თვითონ კრასუსის მოსაკლავად მიეშურებოდა, მაგრამ შორით ნასროლი შუბით ბარძაყში მძიმედ დაიჭრა. ყოველის მხრიდან შემოეხვივნენ რომაელები. სპარტაკიც დიდხანს იბრძოდა და რომაელებმაც ისე აჩეხეს, ბრძოლის შემდგომ მისი ნაშთიც ვეღარ იპოვნეს.

პომპეუსმაც მოუსწრო და რომაელთა ორივე მხარემ აჯანყებულ მონათა უმრავლესობა გაწყვიტეს, ხოლო დანარჩენი - 6000 მონა, კაპუადან რომამდე, ამდენივე ჯვარსახედ გამწკრივებულ სვეტებზე გააკრეს და მიალურსმეს.

ეს მოხდა ქრისტეს შობამდე 71 წელს.

ისევ „მითრიდატული“

სპარტაკის აჯანყებას ახალი აღმოსავლური ომი დაერთო - ისევ „მითრიდატული ომი“.

ისევ მითრიდატე პონტოელს აღემართა მახვილი ჰხიიდან რომაელთა გასაძევებლად. მაშინ რომიდან, პონტოს მეფესთან საომრად, ორივე კონსული გაეშურა თავთავიანთი არმიებით - *მარკუს ავრელიუს კოტა და ლუციუს ლიციინიუს ლუკულუსი.*

კოტა სასტიკად დაამარცხა მითრიდატემ, მაგრამ ლუკულუსთან თვითონ დამარცხდა.

დამარცხებულმა მითრიდატემ თავის სიძეს, სომხეთის მეფე ტიგრან II შეაფარა თავი. ლუკულუსმაც სომხეთს მიაშურა. ტიგრანიც დაუხვდა დიდძალი ჯარებით, და ბრძოლის წინ, - როცა რომაელთა საომარი ძალა ეცოტავა, კიდევაც დასცინა: „თუ ელჩებად მოდიან - ბევრი არიან, ხოლო, თუ საომრად - ძალიან ცოტა!“ მაგრამ, სიცილი სიცილად და - რომაელებმა კვლავ გაიმარჯვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც დიდხანს გაჭიანურდა ომი აღმოსავლეთში, მაშინ რომმა, ახალი და დიდძალი საომარი ძალებით, აღმოსავლეთში გაგზავნა *გნეუს პომპეუსი*, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა მითრიდატეც /რომელმაც თავი მოიკლა/, ტიგრანიც. დაიპყრო მათი ქვეყნები. შემდეგ - როგორც უკვე ვიცით, დალაშქრა საქართველო, ალბანეთი, პალესტინა და დიდი სახელდიდებით დაბრუნდა რომში.

პომპეუსი და კეისარი

რომის სენატს იმჟამად სამი პიროვნების სახელდიდება უკარგავდა მოსვენებას. ესენი იყვნენ - გნეუს პომპეუსი, გაიუს იულიუს კეისარი /ცეზარი/ და მარკუს ლიცინიუს კრასუსი.

სენატს თავიდანვე რომში „რესპუბლიკის ტვინს“ ეძახდნენ და სენატორებიც მუდამ იმის შიშში იყვნენ, ვინმე ცალკეულ პიროვნებას მათთვის ეს უმაღლესი სახელმწიფო თავკაცობა არ წაერთმია.

ხოლო, იმჟამად - ერთბაშად, ერთის მაგივრად სამი დიდი პიროვნება აღმოჩნდა სენატის პირისპირ - გნეუს პომპეუსი, გაიუს იულიუს კეისარი და მარკუს ლიცინიუს კრასუსი, რომლებიც, ქრისტეს წინარე 60 წელს, შეერთდნენ კიდეც და ასე შექმნეს *ტრიუმვირატი*, ანუ „სამკაციანი“ კავშირი.

მთელი რომი მაშინ ამ ტრიუმვირატზე ლაპარაკობდა: „სამთავიანი ურჩხულიო“ - გაიძახოდნენ მათი მომტერენი. „ძალის, ჭკუისა და ფულის კავშირიო“ - ამბობდნენ მათი მოყვარ-მოკეთენი.

ტრიუმვირებმა მთელი რომის სახელმწიფო მმართველობა სამად გაიყვეს: იტალია და სამხრეთი - პომპეუსს, ჩრდილოეთი - კეისარს, აღმოსავლეთი - კრასუსს.

მალე კრასუსი აზიაში, პართიელებთან ბრძოლისას დაიღუპება. რომში ჩარჩენილ პომპეუსს კი, ერთბაშად დაჩრდილავს კეისრის ჩრდილოური გმირობანი, სახელდობრ: კეისარმა დაიპყრო მთელი გალია /საფრანგეთი/; პირველმა გადალახა მდინარე რეინი და შეიჭრა გერმანიაში; პირველმა გადალახა ლამანშ-პადეკალი და შეიჭრა ბრიტანეთში; მდინარე ტემზაზე დაეუფლა ლონდინიუმს /ლონდონი/, კვლავ დაუმცხრალად განაგრძო ლაშქრობანი ჩრდილოეთით, მიაღწია შოტლანდიას და იქ დაარჭო სამანები რომის მბრძანებლობისა.

კეისრის სახელი ეკერა პირზე მაშინდელ მსოფლიოს. . .

იდგა ქრისტეს შობიდან 49 წელი. ძლევამოსილი კეისარი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ - იტალიისაკენ მოისწრაფოდა.

გალიას და იტალიას მდინარე რუბიკონი ჰყოფდა.

რუბიკონს რომ სარდალი ჯარით მოადგებოდა, ჯარი უნდა დაეშალა და სენატის წინაშე ანგარიშით, კერძო კაცად უნდა წარმდგარიყო. თუ ასე არ მოიქცეოდა და რუბიკონს ჯარის თანხლებით გადალახავდა, იგი უკვე სამშობლოს მტრად და სიკვდილმისჯილადაც ითვლებოდა.

კეისარი კი თავისი ლეგიონით რუბიკონს მიადგა და შესდგა.

შუაღამე გადასული იყო. 10 იანვარი თენდებოდა.

უეცრად კეისარმა ხელი წინ წარმართა და შესძახა:

„წილი ნაყარია, და წინ, მეგობრებო!!! წინ, საითაც ღმერთები მიგვანიშნებენ!“

მერე იტყვის კეისარი: რუბიკონის გადალახვა ჩემს ფიქრში გამოცხადებულმა ღვთაებრივმა ყმაწვილმა მიმანიშნაო. . .

და, ასე შევა ისტორიაში: „წილი ნაყარია!“ და „რუბიკონის გადალახვა“, - მაშასადამე, დიდი რისკის გაწევა, დიდი გამარჯვების მოსაპოვებლად . . .

სენატს კი იმედი ჰქონდა, რომ კეისარს პომპეუსი შეებრძოლებოდა და ბოლოსაც მოუღებდა. კიდევაც დაუკვეხნია პომპეუსს: უკეთუ კეისარი რუბიკონის გადმოლახვას გაბედავს, მიწას ერთ ფეხს დავკრავ და უმალვე მთელი იტალია ჩემი დროშის ქვეშ ლეგიონებად დაირაზმებაო.

- აჰა, დაჰკარი ფეხი, რაღას უყურებ, აკი მოჰქრის კეისარიო! - შესძახეს და... პომპეუსმაც ფეხი მართლაც დაჰკრა და. . . გაიქცა - იტალიიდან საბერძნეთს... და, იქ ძლივს გონს მოსულმა მოუწოდა თავის მომხრეებს.

კეისრისაგან დამფრთხალი ბევრი რომაელი მართლა გაიქცა პომპეუსთან.

კეისარმა კი, რომი დააწყნარა, ყველგან თავისიანები გაამწესა და თვითონაც საბერძნეთს მიაშურა თავისი ჯარით.

ქრისტეს წინარე 48 წელს, ჩრდილოეთ საბერძნეთში ორი ბრძოლა მოხდა - *დირაქიუმთან და ფარსალოსთან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირაქიუმთან ბრძოლაში კეისარი დამარცხდა, მაგრამ პომპეუსის გამარჯვებაც მართლა გამარჯვება არ აღმოჩნდა.

თვითონ კეისარმა თქვა, მწარე სიცილით: დღეს ჩვენი მტრები მართლა გაიმარჯვებდნენ, სათავეში რომ მართლა გამარჯვების მცოდნე მეთაური ჰყოლოდათო.

ეს სთქვა და ახალი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის გაამზადა ლეგიონები კეისარმა. საკუთარი ბანაკიც ჯარისკაცებს თავის ხელითვე დაანგრევინა, ამ სიტყვებით: ეს ბანაკი რაღად გვინდა, როცა მტრის ბანაკში უნდა დავიბანაკოთო.

და, მოხდა სასტიკი ბრძოლა *ფარსალოსთან*. პომპეუსს 45000 ქვეითი და 7000 ცხენოსანი მეომარი ჰყავდა, კეისარს კი - 22000 ქვეითი და 1000 ცხენოსანი.

და, აჰა, ბრწყინვალე გამარჯვება კეისრისა.

პომპეუსი კი, ბრძოლის დასრულებამდე გაქცეულიყო.

ნავში ჩამხტარიყო და ეგვიპტეში გარბოდა, იქაურ მეფესთან, პტოლემაიოს XII-სთან თავშესაფარებლად.

ეგვიპტეში პომპეუსის მარცხი და კეისრის გამარჯვება უკვე შეეტყოთ და ამიტომ დამარცხებულს გამარჯვებული ამჯობინეს და პომპეუსსაც მკვლელები შეახვედრეს.

დიახ, ასე სჯობია, რადგან აკი მკვდარი არ იკბინებაო, ნავით მომდგარ პომპეუსს ჩაეგებნენ და იქვე ნავშივე ჩააკლეს. თავიც მოჰკვეთეს, ხელიდან ლომის გერბიანი ბეჭედი წააძრეს და ორივე ერთად უკვე ეგვიპტის მიწაზე ფეხშემოდგმულ კეისარს მიართვეს.

კეისარმა ერთი დახედა პომპეუსის სახეს, მერე ბეჭედს, უმალვე პირი იბრუნა და თვალები აეცრემლა.

ვინ იცის, ეს ცრემლები სიწრფოებისა იყო, თუ ცბიერებისა. მთავარი ის იყო, რომ „მკვდარი აღარ იკბინებოდა“.

მაინც, კეისარმა მაშინვე პომპეუსის თავი ძვირფას საკმეველთა ალზე დასწვა, ფერფლი უძვირფასეს ურნაში მოათავსა და დიდის პატივით დაკრძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბები მაშინ ხდებოდა, როცა თვითონ ეგვიპტის ტახტისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ *პტოლემაიოსი* და მისი და *კლეოპატრა*.

კეისარმა და-ძმა შეარიგა. თვითონაც კლეოპატრას გაუმიჯნურდა. ამ მიჯნურობას კი, მალე ძეობაც მოჰყვება. მაგრამ მანამდე ეგვიპტის სატახტო ალექსანდრიაში ეგვიპტელები რომაელებს აუჯანყდნენ.

ამ „ალექსანდრიის ომშიც" /თვითონ კეისარი დაარქმევს ასე - თავისი მემუარების ამ ნაწილს/ დიდი ნიჭი, ჭკუა და გმირობა გამოიჩინა თვითონ კეისარმა. იგი იბრძოდა, ბრძანებებს იძლეოდა და თან ჩანაწერებს აკეთებდა. ერთხელ ნავიც გადაუბრუნდა, ზღვაში გადაეშვა და, ხელნაწერები რომ არ დასველებოდა, ცალი ხელით მაღლა აღემართა და მეორეთი მიარღვევდა წყალს. თან წამდაუწუმ ზღვაში ყვინთავდა, მტრისგან ნასროლი ისარი რომ აეცდინა...

კეისარს მცირე აზიიდან მითრიდატე პერგამოსელი მოეშველა /დიდი მითრიდატე პონტოელის უკანონო შვილი/.

კეისარმა კვლავ გაიმარჯვა. პტოლემაიოსი ზღვაში დაიხრჩო.

ეგვიპტის ტახტზე კეისარმა თავისი სატრფო კლეოპატრა დააბრძანა.

„ვენი, ვიდი, ვიცი!"

უცებ, ლხინსა და ტრფიალებას თავმიცემულ კეისარს კვლავ ახალი საომარი განგაშის ხმა მიაწვდინეს, ამჯერად იგი აზიიდან მოდიოდა, ისევ პონტოდან, მითრიდატე დიდის სამშობლოდან. და, ახალი ომის მთავარი გმირიც სწორედ მითრიდატეს ძე - *ფარნაკე* ყოფილიყო.

ფარნაკემ პონტოში მდგარი ოთხი რომაული ლეგიონი ამოწყვიტა და პონტო კვლავ რომისგან დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადა.

სასწრაფოდ გაეშურა კეისარი ეგვიპტიდან აზიისაკენ. პონტოში მიიჭრა და ბრძოლაც იმ დღესვე გაიმართა. ფარნაკე დამარცხდა და ბოსფორში /ყირიმში/ გაიქცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კეისარმა ამ გამარჯვების ამბავი მაშინვე სამად-სამი სიტყვით აცნობა რომს:

„ვენი, ვიდი, ვიცი!“ /მიველ, ვნახე, დავამარცხე!/.

ეს მოხდა ქრისტეს შობამდე 47 წლის აგვისტოში, როცა ეგვიპტეში კლეოპატრას შესძენოდა ძე, რომელსაც მამის სახელიდან გამოყვანით, დარქმეოდა *კესარიონი.*

კეისრის დიქტატურა და.. სიკვდილი

აღმოსავლეთიდან დაბრუნებულ კეისარს, დიდი ტრიუმფების შემდეგ, მაინც მალე დასჭირდა რომიდან გასვლა, ამჯერად აფრიკაში, სადაც თავი მოეყარათ მის მტრებს, ე.წ. „რესპუბლიკელებს“, *მარკუს პორციუს კატონის* მეთაურობით.

კეისარიც, ფლოტით და ჯარით, მიადგა აფრიკის მიწას. გემიდან პირველი გადახტა და... დაეცა! მთავარსარდლის დაცემა კი მარცხის მინიშნებად იყო მიჩნეული და ამიტომაც, ის იყო ჯარს წუხილით და შეშფოთებით უნდა ებღავლა, რომ - უმალვე მიწას მიკრულმა კეისარმა დასჭექა:

„შენ ჩემს ხელთა ხარ, აფრიკავ!“

მაშასადამე, კი არ დავცემულვარ, ჩემით დავეკონე და ჩავეხუტე უკვე ჩემს აფრიკასო!!

და, ჯარმაც შვებით, აღტაცებით ამოიბღავლა:

„დიდება კეისარს, იმპერატორს, დიქტატორს!“

აი, ბრძოლაც, ქრისტესშობამდე 46 წლის 6 აპრილს, ქალაქ თაფსუსთან.

კვლავ ბრწყინვალე გამარჯვება კეისრისა. დამარცხებულმა კატონმა თავი მოიკლა.

კეისარი კვლავ რომს დაბრუნდა, მაგრამ ისევ მალე დასჭირდა კვლავ საომრად წასვლა. ამჯერად ესპანეთში მოეყარათ თავი მის მტრებს, პომპეუსის შვილების მეთაურობით.

და გაემართა კეისარი ესპანეთში. და აი, ბრძოლაც - ქრისტეს შობამდე 45 წლის მარტში, ქალაქ *მუნდასთან* - ბრძოლა სასტიკზე უსასტიკესი. რიჟრაჟზე დაწყებული ბრძოლის სასწორი წონასწორად

ქანაობდა ნაშუადღევამდე. მზის გადახრისას კი, უეცრად შედრკნენ კეისრის მეწინავე ვეტერანები. შედრკნენ და ბრძოლასაც გამოექცნენ... გამოიქცნენ?! მუხარადი მოიგლიჯა კეისარმა, მოისროლა და დაულრიალა გამოქცეულებს: „ნუთუ თქვენ კეისარს დაანებებთ იმ ლაწირაკებს?!“ და თვითონ პირველი გადაეშვა, მახვილამართული და თავპირგაშიშვლებული, თავაწყვეტილ იერიშზე მომავალი მტრის შუაგულში.

თვითონ იტყოდა ხოლმე კეისარი: მაშინ მე უკვე ვიბრძოდი არა გამარჯვებისათვის, არამედ მხოლოდ სიცოცხლისათვისო.

და, დღის დასასრულს უკვე სიცოცხლეც მისსავე ხელში იყო და გამარჯვებაც.

ეს მისი უკანასკნელი ბრძოლაც იყო, უკანასკნელი, ყველაზე ტკბილი და ფასეული გამარჯვებაც, რადგან მუდამ სიკვდილთან დაწყვილებული, მაინც ამ დღეს, მუნდას მინდორზე, ყველაზე ახლოს იდგა სიკვდილთან...

დაბრუნდა კეისარი რომში.

ამჯერად სამუდამოდ დაბრუნდა... სამუდამოდ... და, რას ნიშნავდა ეს „სამუდამოდ“?..

ტრიუმფი ტრიუმფს გადაება, აურაცხელი ნადავლით დამშვენებულნი. ყველაფერი რომაელი ხალხისათვის! „პური და სანახაობა!“ - განუწყვეტლივ და გამოულევლად რომაელ ხალხს!

და, ყველაფერ ამას აკეთებს ეს ერთი კაცი - *გაიუს იულიუს კეისარი!*

ხოლო, „რესპუბლიკა“ ვიღას ახსოვდა?!

კეისარი უკვე ფაქტიური ერთმმართველი, ანუ მონარქი იყო, მეფე იყო, მეფე, მაგრამ „მეფე“ ანუ „რექს“ - ჯერ კიდევ არ დაერქმიათ - ჯერ მხოლოდ „იმპერატორის“ ტიტული მიუნიჭებიათ სამუდამოდ. უკვე ოქროს სავარძელშიც ჯდებოდა, ოქროს გვირგვინით და ოქროცურვილი წამოსასხამით დამშვენებული.

მრავალი რეფორმაც გაატარა. მრავალი სიახლე შემოიტანა.

მაგრამ, „რესპუბლიკის გადარჩენის“ დროშით, მაინც მომზადებულა შეთქმულება, კეისრის „ტირანიის“ დასამხობად.

სულ 60 სენატორი შეთქმულიყო კეისრის მოსაკლავად. შეთქმულთა სათავეში *მარკუს იუნიუს ბრუტუსი* მდგარიყო, - ბრუტუსი, რომელზეც რომში ჭორი /თუ სწორი?!/ ვიდოდა, რომ იგი თვითონ კეისრის უკანონო შვილი /„ნაბიჭვარი“/ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ქრისტეს შობამდე 44 წლის 15 მარტი. რომის სენატი, შემოდის კეისარი. რამდენიმე სენატორი ეგებება, თითქოს რაღაც პირად სათხოვრად. უმალვე ყველა შეთქმული მიეხვევა მახვილთა ცემით. მოწინავე მკვლელთა შორის არის ბრუტუსი, და - თითქოს კეისარს მისთვის ბერძნულად შეეძახნოს:

„კაი სი ტეკნონ?“ /„შენც, ჩემო შვილო?“/.

და, კეისარი, 23 ჭრილობით განგმირული, მკვდარი დაეცა.

კეისარი ტანად ტანოვანი, გამხდარი, მუდმივი ვარჯიშით გასალკლდეებული. სახით ნათელი და წყობილნაკვთოვანი, საოცრად მეტყველი და ძლიერი თვალებით, მაღალი გონიერი შუბლით, მაგრამ იყო ქაჩალი და სიქაჩლეს უკანა კინკრიხოზე შემორჩენილი თმით იფარავდა; გვირგვინსაც მუდამ უფრო სიქაჩლის დასაფარავად განუყრელად ატარებდა, ვიდრე თვითონ „გვირგვინოსნობისთვის“. დაბადებით ავიზნე დაჰყვა, ხშირად შაკიკი აწუხებდა, თუმცა აუტანელ ტკივილსაც არავის შეამჩნევინებდა.

სარდალი ხომ გენიალური სარდალი იყო, მაგრამ რიგით ჯარისკაცობაშიც ვერვინ აჯობებდა - სწორუპოვარი ჯარისკაცული მეომრობით, მხედრობით,მახვილოსნობით; გამძლე შიმშილში, წყურვილში, სიცხე-სიცივეში, უძილობაში, ცურვაში.

- გაცილებით მნიშვნელოვანია, მტერს ერთი დღით დაასწრო, ვიდრე მასზე ერთი ლეგიონი მეტი გყავდეს, - ამბობდა კეისარი.

მას შეეძლო, სრულიად ბუნებრივად, ერთდროულად ეწარმოებინა სამი მოქმედება: საუბარი, წერა და ბრძანებათა კარნახი.

იყო ბრწყინვალე ორატორი, ბრწყინვალე მწერალი, გრამატიკოსი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი.

ოდეს აღესრულა, იყო 56 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეისრის მკვლელობას ხალხი მღელვარებით შეხვდა და მკვლელებიც იძულებული გახდნენ, რომიდან გაქცეულიყვნენ.

რომში უმაღლესი ძალაუფლება ხელში აიღეს *მარკუს ანტონიუსმა* და *გაიუს ოქტავიანემ*.

ანტონიუსი კეისრის თანამებრძოლი იყო, ოქტავიანე კი - კეისრის დის შვილიშვილი და მის მემკვიდრედაც გამოცხადებული. ამიტომ *გაიუს ოქტავიანე იულიუს კეისრადაც* იწოდებოდა.

მაშ, შეკავშირდნენ ანტონიუსი და ოქტავიანე და, კეისრის დიდებულად დაკრძალვის მეორე დღიდანვე, რომში სასტიკი, სისხლიანი რეჟიმი დაამყარეს. სიკვდილით სჯიდნენ ყველა მოწინააღმდეგეს, ოდნავ მათთვის არასასურველ ადამიანებსაც. მაგალითად, მაშინ /43 წ./ იყო, რომ ანტონიუსმა მოაკვლევინა დიდად სახელგანთქმული *მარკუს ტულიუს ციცერონი* - შესანიშნავი მწერალი, ორატორი, იურისტი და სახელმწიფო მოღვაწე. მოაკვლევინა და, არამცთუ სიკვდილი არ აკმარა - თავი და მარჯვენა ხელი მოაკვეთინა და სასადილო მაგიდაზე დაილაგა. სადილობდა და მათი ცქერით ტკბებოდა. ანტონიუსის ცოლმაც ციცერონის თავს ენა გამოაგდებინა და ქინძისთავით დაუჩხვლიტა - ცუდი ენა ჰქონდაო. . . თან, ანტონიუსი ციცერონის ამ ნაშთებს სახალხო კრებაზეც წაიღებდა და სიტყვის თქმის წინ, ტრიბუნაზე ილაგებდა. მერე ისევ უკან მოჰქონდა, ისევ სასადილო მაგიდაზე. . .

რომი რომ დააშინეს, ანტონიუსი და ოქტავიანე ლეგიონებით მაკედონიაში გადავიდნენ და იქ, ქალაქ *ფილიპთან* გამართულ ბრძოლაში, კეისრის მკვლელები და მათ გარშემო შეყრილი თანამებრძოლები გაანადგურეს. აქვე დაეცნენ კეისრის მკვლელობის თავკაცები - ბრუტუსი და კასიუსი.

ამ გამარჯვების შემდგომ, ანტონიუსმა და ოქტავიანემ უმაღლესი სახელმწიფო მბრძანებლობა შუაზე გაიყვეს: დასავლეთში, ანუ თვითონ რომში დაბრძანდა გაიუს იულიუს კეისარი ოქტავიანე, ხოლო აღმოსავლეთში, ეგვიპტის ალექსანდრიაში - მარკუს ანტონიუსი.

ანტონიუსი ოქტავიანეს სიძეც იყო - დის ქმარი, მაგრამ ანტონიუსი ეგვიპტეში კლეოპატრას გაუმიჯნურდა და ცოლადაც დაისვა. მანამდეც სიძე-ცოლისძმას შორის დაწყებული მტრობა და მეტოქეობა კიდევ უფრო გამწვავდა და, ბოლოს, საქმე ომამდეც მივიდა. ომი, რომელიც მოხდა ქრისტეს წინარე 31 წელს, *აქციუმის* კონცხთან /საბერძნეთში/, ანტონიუსის მარცხით და თვითმკვლელობით დამთავრდა. თავი მოიკლა კლეოპატრამაც.

ოქტავიანემ ეგვიპტე დაიპყრო და რომის პროვინციად გამოაცხადა.

იმპერიის დასაწყისი

ქრისტეს დაბადებამდე 30 წელს, ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, ოქტავიანე რომში დაბრუნდა და სახელმწიფოს ერთპიროვნული მბრძანებელი შეიქნა.

ოქტავიანეს განსაკუთრებული ავტორიტეტი შესძინა იმან, რომ სწორედ მის სახელს დაუკავშირდა მანამდელი ასწლოვანი სამოქალაქო ომის დასრულება და მთელს რომის იმპერიაში მშვიდობიანობის დამყარება /„პაქს რომანა“ - „რომაული მშვიდობა“/.

ოქტავიანეს, „კეისრისა“ და „იმპერატორის“ ტიტულებს გარდა, კიდევ მესამე ტიტული მიანიჭეს - *„ავგუსტუს“*, ანუ „ღვთით ამაღლებული“.

ავგუსტუსმა ძველი რესპუბლიკიდან მხოლოდ სახელები - „სენატი“, „კომიცია“ /სახალხო კრება/ და სხვ. - დატოვა, სინამდვილეში კი ყველაფერი მისი, როგორც „ღვთაებრივი კეისრისა და იმპერატორის“ პირადი ბრძანება-სურვილებით სრულდებოდა. აქედან გამომდინარე, ამიერიდან რომის მსოფლიო სახელმწიფოს ასედაც დაერქმევა - *რომის იმპერია.*

იმპერატორის ძალაუფლება ეფუძნებოდა მის საომარ ლეგიონებს და ახლად შექმნილ *პრეტორიანულ გვარდიას.*

მაშ, იწყება რომის იმპერია გაიუს იულიუს კეისარ ოქტავიანე ავგუსტუსის ერთპიროვნული მბრძანებლობით.

და, სწორედ მაშინ, ოქტავიანე ავგუსტუსის მბრძანებლობის ჟამს, პალესტინაში, ბეთლემში, დაიბადა *იესო ქრისტე,* ღვთით მოვლენილი *მესია*, უფალი კაცობრიობისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობრძანება უფლის კვართისა



იმ წელს, რომელსაც მსოფლიო საისტორიო ქრონოლოგია აღნიშნავს იესო ქრისტეს დაბადებას, ქართლში მეფედ დაჯდა ფარნავაზიანთა დინასტიის მეათე წარმომადგენელი - *მირდატ I*, ანუ *ადერკი*, რომელმაც კვლავ გააერთიანა „ყოველი ქართლი და ეგრისი". მერე, „უმატა სიმაგრეთა, ქალაქთა და ციხეთა და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისანი, წყლისა იმიერ და ამიერ".

სწორედ *მირდატ-ადერკის* დროს მსოფლიოში განითქვა სახელი იესო ქრისტეს დაბადებისა, ცხოვრებისა და მოძღვრებისა, რომელსაც მალე ქართული გააზრებაც შეუერთდა და შეესისხლხორცა. ჩვენც გადავკრათ თვალი ამ ამბავს.

როგორც გვახსოვს, ქრისტეს შობამდეც 586 წელს, ნაბუქოდონოსორის - მიერ „ბაბილონურ ტყვეობას" ებრაელთა ერთი ნაკადი გამოექცა და საქართველოს შემოეხიზნა. ლტოლვილნი მცხეთასა და მის ახლო სოფლებში ცხოვრობდნენ. ქართველები და მათი მეფენი დიდი შემწყნარებლობითა და მასპინძლური პატივით ეპყრობოდნენ შემოხიზნულებს. და განვლო ებრაელთა მოსვლიდან ექვსასმა წელიწადმა და, მირდატ პირველის გამეფებიდან ოცდაათი წლის თავზე, მცხეთაში მოიჭრა ამბავი, რომ პალესტინაში, იერუსალიმში შეუპყრიათ იესო ქრისტე და მიუციათ სამართალში. ბრალმდებელ მწიგნობართა წრემ, რომელსაც უმაღლესი რაბინი კაიაფა მეთაურობდა, მოციქულები გამოუგზავნა მცხეთის ებრაელობას: თქვენგანაც გამოგზავნეთ „მეცნიერნი სჯულისანი", ქრისტეს მხილებაში და სასიკვდილო განჩინებაში მონაწილეობის მისაღებადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთელებმაც პალესტინაში გასაგზავნად აარჩიეს ორი სწავლული ებრაელი - *ელიოზ მცხეთელი* და *ლონგინოზ კარსნელი.*

წასვლის წინ, ელიოზი დედამისმა დაარიგა: წასვლით წადი, მაგრამ არამც და არამც ქრისტეს სიკვდილით დასჯასა და სისხლის დათხევაში წილი არ დაიდოო.

წავიდნენ ელიოზი და ლონგინოზი, და როცა იერუსალიმს ჩააღწიეს, ქრისტეს სიკვდილის განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდათ, და ისღა დარჩენოდათ, გოლგოთაზე თვით ქრისტეს ჯვარცმას დასწრებოდნენ. ხოლო, როცა წამებულ ღვთის ძის სამოსელზე „წილი განიგდეს", კვართი, ანუ პერანგი წამებულისა წილად ხვდათ მცხეთელებს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ საინტერესო სიმბოლური მინიშნება ქართული თქმულებისა: მაშინვე, როგორც კი ქრისტე ჯვარზე აღესრულა, სიკვდილი მისი მცხეთას შეიგრძნო ელიოზის დედამ, და - „საშინელითა კრჩხიალებითა დაიძახნა: მშვიდობით, მეფობაო ისრაელისაო, რამეთუ უგნურებითა მოჰკალით, უბადრუკნო და წარწყმედილნო, უფალი და მაცხოვარი ყოველთა, და იქმენით ბოროტად მკვლელნი შემოქმედისა თქვენისა!"

ელიოზი და ლონგინოზი მცხეთას დაბრუნდნენ და თან ჩამოიტანეს კვართი უფლისა ქრისტესი.

ელიოზს პირველი მივარდა დაი მისი - *სიდონია,* კვართი გამოართვა, მკერდში ჩაიკრა, ბევრი იტირა და ტირილითვე მიიცვალა. ელიოზის სახლს აუარება ხალხი მიაწყდა. მოვიდა მეფე მირდატიც. იგი ძალიან მოიხიბლა უცნაური პერანგის ხილვით და მოინდომა კიდევაც ამ პერანგით ტანის დამშვენება, მაგრამ ვერ იქნა და მიცვალებულს მკერდზე დაკრეფილი ხელებიდან ვერ გამოგლიჯა კვართი იგი. ელიოზმა თავისი დაი, ქრისტეს კვართთან ერთად, დამარხა „სანატრელითა დამარხვითა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო, იქ, იერუსალიმში, ახალ-ახალი სასწაულები დატრიალდა. ჯერ, ჯვარცმული და დაკრძალული ქრისტე საფლავიდან აღსდგა, მერე ზეცად ამაღლდა, ხოლო შემდგომ, როცა ღვთისმშობელმა მარიამმა და მისი ძის, ქრისტეს მოციქულებმა „წილ-იგდეს", საქართველოს გაქრისტიანება წილად ხვდა თვითონ ღვთისმშობელს, და ამიერიდან - „საქართველო - ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა"! ხოლო, თვითონ ღვთისმშობელმა მარიამმა, რაკი პირადად წამოსვლა ვერ შეძლო -- თავის მაგივრად წარმოგზავნა ქრისტეს ორი მოციქული - *ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი.* წინასწარ მარიამმა მოატანინა ფიცარი, დაიბანა პირი, ფიცარი სახეზე დაიდო და ზედ ზუსტად ამოკვართა ხატი თვისი. სწორედ ეს ხატი თავის სანაცვლოდ გამოატანა ღვთისმშობელმა მოციქულებს საქართველოში. ამ „ხელთუქმნელი ხატით" ხელში მოაქციეთ „ჩემი წილხვედრი" ქართველები და თავდებიც ვიქნებიო - „არავინ მტერთაგან მძლე ექმნათ მათ". ასე მოუთხრობდნენ ყველას საქართველოში მოსული ანდრია და სვიმონი.

ქართლის შუაგულში კერპები ძლიერნი იყვნენ და კერპთა უმტკიცესი თაყვანისმცემელი მირდატ მეფეც იქვე იჯდა. ამიტომ მოციქულებმა დაიწყეს დასავლეთ საქართველოდან. ანდრია პირველწოდებული სამეგრელოს აქრისტიანებდა, სვიმონ კანანელი - აფხაზეთს. აქვე, აფხაზეთში გარდაიცვალა სვიმონი და დაასაფლავეს ანაკოფიას. ანდრია ჯიქეთის გაქრისტიანებას აპირებდა, მაგრამ მტრულად დახვდნენ და ისევ ეგრის-სამეგრელოს მობრუნდა. სამეგრელოს შემდეგ, ანდრია წავიდა მესხეთში და, მესხთა თხოვნითვე იქ, აწყვერის (აწყური) ეკვდერში დაასვენა „ხელთუქმნელი ხატი" ღვთისმშობლისა. კლარჯეთის ერისთავმა ტკბილად გაისტუმრა მოძღვარი ტაოსა და აჭარისაკენ.

მეფე მირდატ–ადერკი დიდად განურისხებია დასავლეთ და სამხრეთ საქვართელოში კერპების მსხვრევასა და „უცხო რელიგიის" გავრცელებას. მან სამეგრელოში ერისთავები გაგზავნა ჯარით,

ჯვრები და ხატები მოასპობინა, ხალხს ქრისტიანობაზე ხელი ააღებინა და ისევ წარმართობაზე შემოაბრუნა. მერე შემოსწყრა კლარჯეთს ერისთავსაც, რადგან მან თურმე „მშვიდობით განუტევა ანდრია მოციქული“.

ასე დაიწყო და განესრულა საქართველოში ეს პირველი ქრისტიანული ნაკადი -- ღვიძლი შვილი მსოფლიო ქრისტიანული ეპოპეისა.

ზეობა ფარსმან პირველისა



პირველი საუკუნის ოცდაათიან წლებში, მეზობელი სომხეთის დაუფლებისათვის ერთმანეთს ებრძოდა ორი უძლიერესი სახელმწიფო - რომი (ევროპიდან) და პართია (აზიიდან). 34 წელს, პართიის მეფემ, *არტაბანმა,* სომხეთის ტახტზე თავისი უფროსი ძე, *არშაკი* დასვა. რომის იმპერატორმა, *ტიბერიუსმა* იბერიის მაშინდელ მეფეს *-ფარსმან პირველს* შემოუთვალა: სომხეთში შენი იბერიული ჯარებით შედი, პართიელი უფლისწული გააძევე და იქვე შენი ძმა *მირდატი* დასვიო.

ფარსმან მეფეც ასე მოიქცა: სომხეთის სატახტო ქალაქ არტაქსატაში ჯარი შეიყვანა: არშაკ პართიელი მისსავე კარისკაცებს მოაკვლევინა და სომხეთის ტახტზე თავისი ძმა, მირდატი დასვა.

რისხვით აღვსილმა არტაბან პართიელმა თავისი მეორე ვაჟი, *ოროდი* გამოგზავნა დიდი ჯარით, შურისმაძიებლად და სომხეთის ტახტის დასაბრუნებლად. თან ჩრდილოელ სარმატებსაც სთხოვა დახმარება პართიის მეფემ.

ქართველებიც აღიკაზმნენ საომრად. ფარსმანმა მოკავშირეებად მეზობელი ალბანელები მოიხმო და ისინიც მოვიდნენ. მერე სარმატებთანაც აფრინა ეჯიბნი. სარმატთა ნაწილი ქართველებს მიემხრო, ნაწილიც - პართიელებს. მაგრამ ქართველებმა, რაკი კავკასიონზე გადმოსასვლელი გზები მათ ხელში იყო, სამხრეთისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ თავისი მომხრენი გამოუშვეს, ხოლო პართიელთა მშველელთ გზები შეუკრეს და უკუაქციეს.

მოწინააღმდეგენი საომრად განეწყვნენ. ორივე სარდალმა სიტყვით მიმართა თავ-თავის ლაშქართ. ოროდი თავისიანებს მოაგონებდა ირანის დიდ წარსულს და არშაკიდული დინასტიის სახელოვნებას.

ფარსმანი თავის თანამემამულეებს აქებდა დიდი სიმამაცისთვის, რის მეოხებითაც მათ არასოდეს უცხოელთა უღელი არ განუცდიათ და არც პართიელთა უღელს იკადრებენ ვაჟკაცურ ქედზე. გამარჯვება დიდ სახელსა და დიდებას მოგვიტანსო, ხოლო გაქცევა - სირცხვილსა და განადგურებას. მერე ფარსმანმა ხელი გაიშვირა მოწინააღმდეგის ოქრო-ვერცხლით მოსევადებული აღჭურვილობისაკენ და შესძახა: „აქ, ჩვენთან, ნამდვილი გმირები და ვაჟკაცები არიან, ხოლო იქ, იმათთან - სიმდიდრე, ანუ ჩვენი ნადავლი!“ თქვა, მახვილი იშიშვლა და ცხენს ქუსლი ჰკრა. იბერიელებიც მოწყდნენ ადგილიდან და მეფეს მიჰყვნენ.

მძიმე ბრძოლა გაჩაღდა. დიდი სიმამაცით იბრძოდნენ თვითონ სარდალნი - ფარსმანი და ოროდი. ბრძოლის სასწორი ჯერ ისევ წონასწორად იძვროდა, როცა ისინი ერთმანეთსაც გადაეყარნენ.

ფარსმანმა დაასწრო, და ხმლის მძლავრი დაკვრით, მოპირდაპირეს თავი გაუპო. პართიელები დააფრთხო და დააძაბუნა მათი სარდლის მძიმედ დაჭრამ. ქართველებმა კი მეფის გმირობით ფრთა გამოისხეს და უკანასკნელ შეტევაზე გადავიდნენ. პართიელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა გაასწრო სიკვდილს, ან ტყვეობას...

ფარსმან მეფეს ჰყავდა ძე, სახელად *რადამისტი,* რომლის შესახებ სახელოვანი ისტორიკოსი *ტაციტუსი* გვაუწყებს, რომ იგი იყო გასაოცარი სილამაზისა და ძალ-ღონის მქონე ჭაბუკი. ამის გარდა, არა მარტო მის სამშობლო იბერია-ქართლში, არამედ ყველგან, მეზობელ ქვეყნებში, რადამისტს სახელი გაეთქვა, ვითარცა „მშობლიური მეცნიერებისა და ხელოვნების“ დარგთა დიდ მცოდნეს. ეს ცნობა ერთხელ კიდევ მეტყველებს ძველ ქართველთა მაღალ კულტურაზე, განათლებასა და განსწავლულობაზე.

ფარსმან მეფემ სომხეთში ძმა მირდატი სწორედ თავისი ძით,

ქართული ტელეფონია

რადამისტით შეცვალა. მაგრამ რადამისტმა პოლიტიკურ მმართველობაში თავი ვერ ისახელა. სომხებმა მისი სასტიკი მმართველობა ვერ მოითმინეს, აჯანყდნენ და სასახლეზე იერიში მიიტანეს. რადამისტი სიკვდილისაგან მისმა და მისი ცხენების სისწრაფემ დაიხსნეს. იგი სასახლიდან გამოიჭრა და თან გამოიტაცა თავისი მშვენიერი მეუღლე - *ზენობია.*

კარგა ხანს მოაქროლებდნენ ცხენებს, მაგრამ ის იყო მდევრები მაინც უნდა დასწეოდნენ, რომ ზენობიას დაჟინებული თხოვნით - მტერს რომ თვითონ ცოცხლად არ ჩავარდნოდა და ქმარიც სამარცხვინო ტყვეობას გადარჩენოდა -- რადამისტმა მას ხანჯალი ჩასცა, მდინარე არაქსში ისროლა და თვითონ თავს უშველა. დაჭრილი ზენობია მწყემსებმა იპოვნეს და გადაარჩინეს...

რადამისტის გაქცევით ისევ პართიელებმა ისარგებლეს და სომხეთში თავისი კაცი დასვეს მბრძანებლად, სახელად *ტირიდატი.*

მაშინ რომაელებმა და ქართველებმა ერთად ილაშქრეს სომხეთს, ტირიდატი განდევნეს და „თავისი კაცი“ - *ტიგრანი* დასვეს. პართიელებმაც აღარ დათმეს და ისევ ტირიდატის დაბრუნება შეძლეს. ბოლოს, იმაზე შეთანხმდნენ, ტირიდატი სომხეთის ტახტზე დარჩებოდა, ოღონდ სამეფო ინსიგნიებს რომის იმპერატორის ხელით მიიღებდა.

ფარსმანიდან ფარსმანამდე

ფარსმან პირველის შემდეგ, ქართლის მეფედ იჯდა მისი ძე, *მირდატ მეორე*, რომელსაც „დიდ მეგობარსა და მოკავშირეობას“ სთავაზობდნენ რომის მაშინდელი იმპერატორები - *ფლავიუსები.*

75 წლის მახლობლად, ფლავიუსებს - მამას, *ვესპასიანეს,* და მის შვილებს, *ტიტეს და დომიციანეს* – მირდატ ფარსმანის ძისათვის მცხეთაში ქვის კედელი გაუმაგრებიათ და ზედაც ასეთი წარწერა ამოუკვეთიათ:

„ იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტუსმა, უმაღლესმა ქურუმმა, შვიდჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ იმპერატორად გამოცხადებულმა, ექვსჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა, მამამ მამულისამ, ცენზორმა.“

„და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ავგუსტუსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონსულმა, მეხუთეჯერ დეზიგნირებულმა, ცენზორმა.“

„და დომიციანე კეისარმა, ავგუსტუსის ძემ, სამჯერ კონსულმა, მეოთხეჯერ დეზიგნირებულმა.“

„იბერთა მეფეს მირდატს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარე ერს, ეს კედლები განუმტკიცეს“.

ფლავიუსები იძულებულნი ყოფილან ანგარიში გაეწიათ იბერიის მეფის სიძლიერისათვის და ცდილობდნენ, მასთან „მეგობრობა“ მტრობად არ გადაქცეოდათ.

რომსა და იბერიას შორის „განხეთქილების ვაშლი“ ისევ სომხეთი იყო. მირდატმა ცოტა ადრე, 70 წლის მახლობლად, სომხეთში ძლევამოსილად ილაშქრა და იმპერატორმა ვესპასიანემ მხოლოდ დიპლომატიური გზებით მოახერხა იბერიელთა სამხრეთული სვლების შეკავება. რომის ხელისუფლებას იბერიასთან ასეთი ალერსიანი პოლიტიკა უჯობდა, რადგან მას იმ ხანებში ისედაც დიდი ბრძოლები ჰქონდა ებრაელებთან პალესტინაში, კოლხებთან -- ტრაპეზუნტში, სარმატებთან -- დუნაიზე, გერმანელებთან -- გერმანიაში და ბრიტანელებთან -- ბრიტანიაში.

კოლხების აჯანყება 69 წელს მოხდა, *ანიკეტის* მეთაურობით. კოლხებმა ტრაპეზუნდი აიღეს და რომაული ციხიონები ამოწყვიტეს. იმპერატორმა ვესპასიანე ფლავიუსმა აჯანყება დიდის გაჭირვებით ჩაახშო. მაგრამ ამის შემდეგ რომაელები იძულებულნი გახდნენ კოლხებთანაც, იბერიელთა მსგავსად, „სამეგობრო-სამოკავშირეო“ პოლიტიკის გზას დასდგომოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



II საუკუნეში ქართლის სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა და რომისგან სრულიად დამოუკიდებლად დაიგულა თავი. ამ დროს მცხეთაში ტახტზე იჯდა *ფარსმან II ქველი*, „კაცი კეთილი და უხვად მიმნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო“.

იმპერატორი *ტრაიანე*, რომის უსაჩინოესი ხელმწიფე, ფარსმან ქველს ძღვენს უგზავნიდა და თავის თანასწორ მოკავშირე-მეგობრად აღიარებდა. 114 წელს ტრაიანემ ფარსმანს დახმარება სთხოვა პართიის წინააღმდეგ ომში. ქართვლებმაც ილაშქრეს სამხრეთელი მტრებისა და მეტოქეების წინააღმდეგ. რომაელებმა, ქართველთა დახმარებით, დაიპყრეს სომხეთი, შუამდინარეთი და თვით პართიის დედაქალაქი ქტესიფონი.

მომდევნო იმპერატორის, *ადრიანეს* დროს (117-138 წწ), რომსა და იბერიას შორის განხეთქილება ჩამოვარდა. ფარსმანი არ შეურიგდა რომაელთაგან სომხეთის დაპყრობას. ამიტომ მან ჩრდილოეთიდან ალან-ოსები გადმოიყვანა, ქართველთა ლაშქარს შეუერთა და სამხრეთისაკენ დაიძრა. ჯერ სომხეთში შევიდა და რომაელები განდევნა, მერე დიდის წარმატებით ილაშქრა პართიაში. რომაელმა ხელმწიფემ ფარსმანი რომში გაიწვია, მაგრამ ქართველმა ცივი უარი შეუთვალა. ადრიანემ ისევ დათმობა ამჯობინა და მცხეთაში იმდენი საჩუქრები გამოგზავნა, რამდენიც მას მანამდე არავისთვის უბოძებია. ამ საგანგებო ძღვენს კეისარმა საჩუქრად მოაყოლა ერთი სპილო და სრულად შეჭურვილი ორმოცდაათი ლეგიონერი. რომაელთა ელჩობას მცხეთაში მოუძღვნა იმპერატორის კარზე გაშინაურებული კაცი, ცნობილი მწერალი, მეცნიერი, დიპლომატი და პოლიტიკოსი, აზიურ საქმეთა ლეგატი-გამგებელი - *ფლავიუს არიანე*.

მაგრამ მაინც შემდგომი იმპერატორის, *ანტონინუს პიუსის* დროს (138-161 წწ) მოხერხდა იბერია-რომის „თანასწორობის“ აღდგენა. სწორედ მაშინ მოხდა დიდმნიშვნელოვანი სტუმარ-მასპინძლობა რომში, „მსოფლიოს ცენტრში“. რომაელი

კეისარი გულუხვი მასპინძლობით ეგებებოდა აღმოსავლეთიდან მოწვეულ საპატიო სტუმრებს: იბერიის მეფე ფარსმან მეორეს, მის მეუღლე-დედოფალს, ვაჟიშვილ-ტახტის მემკვიდრეს, ქართველ სეფეწულთა და წარჩინებულთა ბრწყინვალედ გაწყობილ ამალას.

ნადიმ-ღრეობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მერე საასპარეზო სანახაობაზე გავიდნენ რომის დიდ ცირკში, კოლიზეუმში. „მსოფლიოს მბრძანებელმა რომაელმა ხალხმ“ იმ დღეს იხილა უცხო და უმშვენიერესი სანახაობა - მხედრული ჯირითი, საომარი როკვა-ვარჯიში და ვაჟკაცური შემმართებლობა ქართველი ხელმწიფისა და მისი მხლებლებისა. ამის შემდგომ ფარსმანს მიეგო დიდი პატივი - კაპიტოლიუმზე მსხვერპლწირვა გაემართა იუპიტერის სადიდებლად. იმ წლის „საგანგებო ამბავთ“ ნუსხის თავშიც რომაელებმა სწორედ იბერიის ხელმწიფისა და მისი სახლეულის სტუმრობა ჩაწერეს. ბოლოს, ანტონინუს პიუსის საგანგებო ბრძანებით, მარსის ველზე აღმართეს დიდებული ქანდაკება ცხენზე ამხედრებული, მოჯირითე ქართველი ხელმწიფისა.

რაც მთავარია, იმპერატორმა დასტური დასცა ფარსმან ქველის სახელმწიფო საზღვარ-სამანთა სისრულეს: შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროდან მტკვრის ქვემო წელამდე და კავკასიონიდან არაქსამდე. ქართლი წინა აზიაში სიმძლავრით პირველი სახელმწიფო იყო. ირანული პართია კი ვერ ურიგდებოდა პირველობის წართმევას. პართიის მაშინდელი მეფე - *ვოლოგეზ* III, ფარსმანის წინააღმდეგ საჩივარს საჩივარზე აგზავნიდა რომში. მაგრამ იმპერატორი ანტონინუს პიუსი არ ღალატობდა ქართველთა მეგობრობას. მაშინ ვოლოგეზ პართიელი დიდძალი მხედრობით წამოემართა ამიერკავკასიისაკენ. ფარსმანმა ქართველთა და სომეხთა ლაშქარი შემოიყარა, მტერს შეეგება, დაამარცხა და გააქცია. კვლავ რამდენჯერმე სცადა პართიის მეფემ რევანშის აღება, მაგრამ ამაოდ.

226 წელს, ირანში არშაკიდების პართიული დინასტია სპარსელმა *სასანიდებმა* შეცვალეს. სპარსეთის ახალი სახელმწიფო გაცილებით უფრო სერიოზული და საშიში მტერი აღმოჩნდა რომისთვისაც და იბერიისთვისაც. სპარსელებმა რამდენჯერმე დაამარცხეს რომაელები, დაიპყრეს სომხეთი და ალბანეთი, ხოლო ქართლი ჯერ ისევ ახერხებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე საუკუნის დასასრულიდან რომის მსოფლიო სახელმწიფო გაიყო ორ ნაწილად - აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიებად. აღმოსავლეთის ცენტრი შეიქნა იმპერატორ *კონსტანტინესგან* დაარსებული ახალი სატახტო ქალაქი - *კონსტანტინოპოლი,* რომლის კურთხევა მოხდა 330 წლის 11 მაისს. რაკი ახალი ქალაქი აშენდა ძველი ბერძნული კოლონიის, ბიზანტიონის ადგილზე, შემდგომში აღმოსავლეთ რომის იმპერიას დაერქმევა *„ბიზანტიის იმპერია“.*

კონსტანტინოპოლის დაარსების ჟამს მსოფლიოში, ატლანტის ოკეანიდან მესოპოტამიამდე, უკვე გავრცელებული იყო ახალი რელიგიური მოძღვრება - *ქრისტიანობა*, რომელიც აქამდე, მთელი სამასი წლის მანძილზე, მოღწეულიყო ვითარცა დევნილი და წამებული მოძღვრება.

რომის იპერატორთაგან სწორედ კონსტანტინე იქნება პირველი, რომელიც გონივრულად შეაფასებს ქრისტიანობის ძალმოსილებას და სარგებლიანობას და, როგორც „ერთიან იდეოლოგიას“, კრიზისებით შეძრული თავისი უზარმაზარი იმპერიის კანონიერ სარწმუნოებად გამოაცხადებს.

325 წელს, ქალაქ *ნიკეაში* მოწვეულ იქნა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი *სტრატოფილე.*

(ყოველივე ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ „სახატის“ შესაბამის ნაკვეთში).

330 წლის მახლობლად, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა აღმოსავლეთ საქართველოში - იბერიაში.

მაშინ აქ მეფედ იჯდა *მირიან მესამე.*

ქართლში ახალი რელიგიის გამოცხადებისა და ქართველი ხალხის ქრისტიანად მონათვლის, ანუ „მოქცევის“ მთავარი გმირი ყოფილა ახალგაზრდა, სათნოებით და სიმშვენიერით მოსილი ქალი, სახელად - *ნინო.*

ნინოს სამშობლო იყო კაპადოკია, ძველთაგანვე „პონტოელი ქართველებით“ დასახლებული ქვეყანა.

მამას ერქვა *ზაბილონ.*

დედას - *სუსანა.*

ზაბილონ კაპადოკიელს ჭაბუკობითვე სახელი გაუთქვამს: ნიჭით, სიმამაცით, სიქველით, ზნეკეთილობით; მიუღწევია რომის იმპერიის მხედართუფროსობისათვის; მოქცეულა ქრისტეს სჯულზე და სხვებიც მრავლად გაუქრისტიანებია კიდეც. მერე, იერუსალიმს წასულა ქრისტეს წმიდა ადგილთა სათაყვანოდ; მთელი თავისი ქონებაც თან წაუღია და ქვრივ-ობოლთა, საპყართა და უპოვართათვის დაურიგებია. იქვე მოსწონებია და ცოლად შეურთავს ქრისტიანი ქალი სუსანა, იერუსალიმის პატრიარქის დაი. ცოლ-ქმარი დაბრუნდა კაპადოკიაში, ზაბილონის მშობლიურ სოფელ *კალასტროში.*

და, აქვე დაბადებულა *ნინო.*

თოთხმეტი წლისა რომ გამხდარა, მშობლებს ყველაფერი მიუყიდმოუყიდიათ, ისევ იერუსალიმს წასულან და ფული მთლიანად ისევ უქონელ-უპოვართათვის დაურიგებიათ. აქვე დასახლებულან და შესდგომიან ღვთისმსახურებას.

ნინოს, ბიძასთან - იერუსალიმის პატრიარქთან უსწავლია ქრისტეს ცხოვრება, მისი მოძღვრება და მის სამსახურსაც შესდგომია. მშობლებსაც დამშვიდობებია და ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით, იმპერიის შუაგულამდეც ჩაუღწევია. იქ იგი დაახლოებია ორ ქალს - *რიფსიმეს* და მის გამზრდელ დედამძუძეს, *გაიანეს.* ორივე ქალი გაუქრისტიანებია. მათ გარდა კიდევ ორმოცდაათამდე სხვაც მოუქცევია ქრისტეს სჯულზე.

ამასობაში რომში ქრისტიანთა მორიგი დევნა და ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. ნინო, რიფსიმე და გაიანე რომიდან გამოქცეულან და, დიდის ვაი-ვაგლახით, სომხეთს მოსულან. რიფსიმე და გაიანე სომხეთსვე დარჩენილან, სომეხთა მოსაქცევად. ხოლო ნინო, „ზეგარდმო მინიშნებით", საქართველოსკენ წამოსულა...

და, მოდიოდა იგი, ქალწული სულით უმანკო და სხეულით უზადო, ტანად ალვა და სახედ სახიერი, გონებით ნათელიერი და რწმენით შეგრძნებული, ყვავილ-ბალახთა მესაიდუმლე და მესასწაულე აქიმ-მკურნალი.

სამი თვე მოდიოდა, ხან ფეხზე ხამლით, ხან ფეხშიშველი, ხელში არგანით, მკერდზე ჯვარცმით. მეოთხე თვეს, ივნისში, ჯავახეთს შემოსდგა ფეხი. იგი შეაძრწუნა მთებმა, რომელთაც ზაფხულშიც თეთრი ნაბდები ებურათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავფარავნის ტბასთან შედგა. იქვე ორი დღე-ღამე დაივანა.

თვალსა და გულს აჩვევდა ქართულ მიდამოს გასაოცარ მიწას და ზეცას, ანუ - ქვეყანას და ზეყანას. ინახად მჯდარი, გემოს უსინჯავდა თავფარავნულ თევზს. იხიბლებოდა აქაურ მწყემსთა თავაზით და სტუმართმოყვარეობით.

აქვე პირველად მოისმინა „არმაზ" და „ზადენ", რომელთა მიმართ მასპინძელი მწყემსები ლოცვას აღავლენდნენ და ზორვას უმართავდნენ. მათვე იხილეს უცხო ქალწულის ქრისტიანული ლოცვა-ვედრება.

აქვე ნინომ შეიტყო, რომ ეს კეთილი ადამიანები არიან მცხოვრებნი „დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ".

ნინოც წავიდა ამ „დიდის ქალაქისაკენ". გზაზე მგზავრებს აჰყვა, მტკვარი გადავლო და ურბნისს მივიდა. ერთი თვე იქ იცხოვრა; შეისწავლა იქაური ხალხის ცხოვრება და ზნე-ჩვევანი.

ბოლოს, მოვიდა დღე, როცა ხალხი დაიძრა „დიდად ქალაქად სამეუფოდ, მცხეთად, მოვაჭრებად სახმართა რათმე და ზორვად არმაზ ღრმთისა მათისა".ნინოც გაჰყვა ხალხის მდინარებას. მივიდა მცხეთას და იხილა ქალაქი მშვენიერი.

ქალაქი ხალხს ვერ იტევდა. „გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილნი ველისანი".

ატყდა ცემა ბუკთა, საყვირთა და ზანზალაკთა. სასახლიდან გამოვიდა დედოფალი *ნანა* და მის შემდგომ - მეფე *მირიან.*

„და ნელად მოვიდოდა ერი და შეამკუნეს ყოველნი ფოლორცნი და თვითოფერითა სამოსლებითა და ფურცლითა".

მეფე-დედოფალი წინ მიუძღოდა ხალხს.

პროცესია არმაზ-ციხისაკენ მიემართებოდა.

ნინოც მიჰყვებოდა და „იგი ხედავდა საკვირველებასა მიუწვდომელსა და ენითა გამოუთქმელსა".

არმაზის მთაზე კერპი იდგა, თვითონ არმაზი, სპილენძის ბუმბერაზი, თავზე მუზარად-ჩაბალახით, ტანზე ოქროს ჯაჭვ-საჭურვლით, ხელში ელვამკრთომელი მახვილით, სახით ზვიადი და მრისხანე, კუშტ წარბთა ქვეშე - ერთი თვალი ზურმუხტის ედგა, მეორე ბივრილიონისა.

არმაზს ორის მხრიდან თითო მომცრო კერპი ედგა: მარჯვნივ-ოქროსი გ ა ც, მარცხნივ - ვერცხლისა, სახელად გ ა ი მ.

ხალხი შეუდგა ლოცვას და ზორვას კერპთა წინაშე.

ნაშუადღევს საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა და კოკისპირული წვიმა და სეტყვა წამოვიდა. ხალხი მოწყდა და დაეშვა. წვიმა, ქარიშხალი, სეტყვა და გრიგალი გაგრძელდა მთელი ღამე.

და, დილით ხალხმა იხილა დალეწილი და დაფშვნილი კერპები.

მცხეთა შიშმა და ზარმა მოიცვა.

და, მოვა დრო, როცა დაბეჯითებით იტყვიან და ირწმუნებენ კიდეც, რომ მცხეთა-არმაზის კერპთა დასხვრევა, ქრისტეს მოხმობით და შეწევნით, განასრულა სწორედ ნინომ...

ეს მოხდა ფერისცვალების დღეს, 6 აგვისტოს.

ხოლო, ასეთი დამთხვევა მოასწავებდა, სწორედ საქართველოს სულიერ ფერისცვალებას...

ნინო მცხეთაში დაბინავდა, ერთი სათნო მებაღე ცოლ-ქმარის ოჯახში. ყველას ეცნობოდა „ტყვე ქალის“ სახელით. ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას, კურნავდა სნეულებს, ასწავლიდა სათნოებას, ახდენდა სასწაულებს.

ერთ დღეს ნინო მახლობელ მაღლობზე ავიდა, მაყვლოვან ბორცვზე, სადაც მან ვაზის ნასხლავ რქათაგან ჯვარი გამართა, საკუთარი თმის ანაკვეცით შეკრა და ყველაზე მაღალი მაყვლის ბუჩქის ქვეშ აღმართა.

ყოველ დღე მოდიოდა და ლოცულობდა აქ ნინო, მისგანვე შეკრული *პირველი ვაზის ჯვრის* წინაშე.

დრო მიდიოდა. ნინო დაუცხრომლად იღწვოდა, ავადმყოფთ კურნავდა, განკურნებას ქრისტეს მადლად აცხადებდა. ბევრი გააქრისტიანა და დაიმოწაფა.

მცხეთაში ახალი სჯული სწრაფად ვრცელდებოდა. ბოლოს, ნინომ განკურნა დედოფალი ნანა, რომელმაც იწამა ქრისტეს ღვთაებრივი ძალმოსილება და მიიღო სჯული მისი.

ხოლო, მეფე მირიანი მტრულად იყო განწყობილი ქრისტიანობისადმი.

ერთ დღეს მირიან მეფე, უახლოესი კარისკაცებით, *თხოთის* მთაზე ნადირობდა. უცებ დღე დაბნელდა და უკუნი დადგა. დამფრთხალი მეფე სინათლის დაბრუნებას ძველ სალოცავ კერპებს თხოვდა, მაგრამ ამან არ გაჭრა და ბოლოს იგი იძულებული გახდა შველა ისევ „ნინოს ღმერთისთვის“, ანუ ქრისტესთვის ეთხოვა; სთხოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და - მაშინვე წყვდიადი განკრთა, მზეც გამობრწყინდა და ისევ ღისულმა მოიცვა ქვეყანა.

და, მირიან ქართლის მეფემ იწამა სჯული ქრისტესი.

ეახლა ნინოს და მიიღო მისგან ქრისტიანობა.

მაშინვე კონსტანტინოპოლს მოციქულები აფრინა და იპერატორ კონსტანტინეს ქართლის მოსანათლავად მღვდლები გამოსთხოვა.

სანამ კონსტანტინოპოლიდან მღვდლები ჩამოვიდოდნენ, მანამ მირიანმა ნინოს უთხრა, მეჩქარება ქრისტეს სახლი ავაშენო და სად ავაშენოო?

„სადაც მეფეთა გონება მტკიცე არს!" - უპასუხა ნინომ.

და, დაიწყო პირველი ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობა მეფის წალკოტში, - იქ, სადაც სამასი წელი ემარხა სიდონია და კვართი უფლისა, და რომელზეც აღმოცენებულიყო უზარმაზარი ლიბანის ნაძვი, ანუ კვიპაროსი. წალკოტი გაჩეხეს, ის კვიპაროსიც მოჭრეს, რათა აქ მოპოვებული ხის მასალით აეშენებინათ ღვთის სახლი იგი. შვიდი სვეტი გათალეს, ერთი მათგანი იმ კვიპაროსისა. კედლები რომ ამოიყვანეს და სვეტების დადგმასაც შეუდგნენ - ექვსი სვეტი თავისუფლად აღმართეს და დააფუძნეს, მაგრამ მეშვიდეს, კვიპაროსისას, ძვრაც ვერ უყვეს.

მაშინ მთელი ღამე ლოცვად დადგა ნინო და მის ლოცვაზე მოვიდა უცხო ვინმე ჭაბუკი, „ყოვლად ნათლითა შემკობილი" და „შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა". მოვიდა, სვეტს ხელი მოავლო, აღმართა და დააფუძნა მისსავე გადანაჭერზე. და, ასე აღიმართა „სვეტიცხოველი", რომელსაც განუწყვეტლივ სდიოდა მირონი სურნელოვანი და სასწაულმოქმედი.

დასრულდა *სვეტიცხოვლის* ეკლესიის მშენებლობა და კონსტანტინოპოლიდანაც მოატანეს მომნათლავმა მოწესეებმა. სიხარულით შეხვედრია კონსტანტინოპოლის სასახლის კარი ქართველთა ქრისტიანად მოქცევის განზრახვას. იმპერატორის დედა, დედოფალი *ელენე,* განთქმული პირველი ქრისტიანი ქალი და სასწაულმოქმედი, ნინოს წერილს უგზავნიდა და თავის ტოლსა და მოციქულთა სწორს უწოდებდა. თვითონ კონსტანტინეს კი ის უხაროდა, რომ იბერია ამიერიდან შეიქნებოდა მოკავშირე ბიზანტიისა და მტერი სპარსეთისა.

და დაიწყო „მოქცევაი ქართლისაი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინესგან გამოგზავნილმა ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხა მტკვარი და, კონსტანტინოპოლელი მღვდლებისა და დიაკვნების დახმარებით, შეუდგა სამეფო სახლისა და მთელი მცხეთის მოსახლეობის განათლვას. პატრიარქმა ნათვლა დაასრულა, მცხეთას პირველ ეპისკოპოსად დაადგინა *იოანე* და თვითონ უკანვე გაბრუნდა.

ნინო კი განაგრძობდა ქრისტიანობის სწავლებასა და გავრცელებას.

გაჩაღდა ეკლესიათა და ტაძართა მშენებლობა ქართლსა შინა.

ქრისტიანობის მიღებაზე უარი სთქვეს მთიელმა ქართველებმა. მეფემაც მახვილის ძალით სცადა მათი მოქცევა, მაგრამ ნინომ და იოანემ ამაზე ეს უპასუხეს: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარით პატიოსანითა უჩვენოთ გზა ჭეშმარიტი“.

და, გასწიეს მთიულეთისკენ „სახარებითა და ჯუარითა პატიოსანითა“ წმიდა ნინომ და იოანე ეპისკოპოსმა. მაგრამ მირიანმა ბერ-მონაზონთა ლაშქარს მაინც გააყოლა სამხედრო ლაშქარი, ერისთავის წინამძღოლობით.

მთას მივიდნენ და დაიწყეს სწავლება და მოწოდება ქრისტეს მოძღვრებისა და მონავთლისა, მაგრამ აქაური ქართველობა კვლავ უარზე დადგა. აგრე არ უნდაო, - და, „მაშინ ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი“. და, ბოლოს და ბოლოს, მთის საქართველოშიც დაემკვიდრა ქრისტიანობა.

ნინოს გამოცხადებიდან კი იდგა მეთოთხმეტე წელი.

მთიულეთში მლოცველობა რომ დასრულდა, ნინო *ბოდბეს* დაემკვიდრა.

იქვე აღესრულა მისი საოცარი სიცოცხლე.

იქვე დაიკრძალა.

საქართველო, ქრისტიანად მონათლული, ახალი სამანიდან იწყებდა ცხოვრებას.

ამიერიდან კიდევ მეტად განემტკიცა „ერთარსება ქართულობისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომისა და ბიზანტიის იმპერატორთაგან უკანასკნელი იყო *იულიანე,* რომელიც შეეცადა ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა აღედგინა, მაგრამ არა მახვილის ძალით, არამედ იდეოლოგიური ბრძოლის გზით, და მან ქრისტიანობას დაუპირისპირა იმ დროს ძალზე გახმაურებული ფილოსოფიური მოძღვრება - ნეოპლატონიზმი („ახალპლატონეთი“). თვითონ იულიანე, რომელიც ქრისტიანობას „მკვდრებისა და კუბოების რელიგიას“ უწოდებდა - გამოჩენილი ნეოპლატონიკოსი იყო. მაგრამ იულიანეს ხანაში ყველაზე დიდი ფილოსოფოს-ნეოპლატონიკოსი, რიტორი და მასწავლებელი იყო *ლიბანიოსი.*

ლიბანიოსს მრავალი მიმდევარი, მოსწავლე (მათ შორის, თვითონ კეისარი იულიანე) და მეგობარი ჰყავდა. მაგრამ მათგან ყველაზე ახლობელი, საყვარელი და სათაყვანო ყოფილა *ბაკურ იბერიელი,* გამოჩენილი ფილოსოფოსი, დიდად დახვეწილი რიტორი და მამაცი სარდალი. ლიბანიოსის მრავალ თხზულებათაგან ბევრი სწორედ ბაკურ ქართველის ნიჭს, ზნეობას, სიმშვენიერესა და სიმამაცეს ეძღვნება:

- უამრავი მეხოტბე ჰყავსო ბაკურს: ზოგი მის სამართლიანობას აქებს, ზოგი ზომიერებასა და თავდაჭერილობას, სხვები მისი სიბრძნით აღტაცებულან, სხვები კიდევ ბრძოლის ველზე შემმართებლობით და საზრიანობით. მაგრამ მე თვითონ ლიბანიოსს, ბაკურ იბერიელის უამრავ ღირსებათაგან ის მომწონს, რომ იგი განსაკუთრებული სწორუპოვრობით ფლობს „ლოგოსებს“, მაშასადამე რიტორიკულ ხელოვნებას.

- სწორედ ამისთვის, ერთადერთ ბაკურ იბერიელს შეუძლია, რა დროსაც სურს, შევიდეს ლიბანიოსთან, მოეხვიოს, ლოყები დაუკოცნოს, მთელი ღამეები მის გვერდით გაატაროს და საყვარელ „ლოგოსებზე“ ესაუბროს.

- შენ ყოველთვის *სიბრძნის მდელო* ხარ - ეუბნებოდა ლიბანიოსი ქართველ სწავლულს - ხოლო ჩვენ იმ მდელოზე აღმოცენებულ სიბრძნის ყვავილებს ვკრეფავთ!

- გაოცებული ვარ შენი ნიჭითო.

- უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს ქებანი შენი ნიჭისადმიო.

- შენ არანაკლები ვაჟკაცობით მბრძანებლობ საკუთარ ვნებებზე, ვიდრე მბრძანებლობ შენს მეომრებზეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- საოცარია შენი სიბრძნე არა მხოლოდ აქ, არამედ იქაც, საომარ ველზეო.

- შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში საფრთხის წინაშეო.

- ვერავინ შეედრება ბაკურ იბერიელის „სულისა და სხეულის ღვთაებრივ ბრწყინვალებასო...“

ეს იყო დრო - მეორე ნახევარი მეოთხე საუკუნისა.

ამ დროს ეგრისშიც, ქალაქ ფასისში (ფოთში) არსებობდა უმაღლესი სამეცნიერო - სახელოვნებო სკოლა, *„მუზათა ტაძარი“*, სადაც ქართველებთან ერთად სწავლობდნენ ბერძნებიც. ამ სკოლაში მიუღიათ უმაღლესი განათლება სახელგანთქმულ ბერძენ ფილოსოფოსებს - *ევგენიოსს* და *თემისტიოსს*.

ზეობა ვახტანგ გორგასალისა



სამხრეთის მძლავრი სახელმწიფო - სასანიდური ირანი, არ შეურიგდა ევროპასთან სომხეთისა და საქართველოს დაახლოებას და სასტიკი ბრძოლები გააჩაღა ამიერკავკასიის დასამორჩილებლად. ქართველები, სომხები და ალბანელები ერთად ებრძოდნენ რიცხვმრავალ, მძვინვარე მტერს.

ომები ირანელთა და ამიერკავკასიელთა შორის კიდევ უფრო გამძაფრდა მეხუთე საუკუნეში. ხშირი შემოსევების წყალობით, სპარსელებმა თავისი გაიტანეს და ამიერკავკასიის მოსახლეობა მძიმედ დახარკეს.

საქართველოს ხელახალი აღორძინება და გამძლავრება დაიწყო *ვახტანგ გორგასლის* მეფობის ჟამს (457-502 წწ). იგი 15 წლისა ავიდა ტახტზე. ყმაწვილმა ხელმწიფემ დასაწყისშივე დიდი ნიჭი და ენერგია გამოიჩინა. ქვეყანა შინაგანად განამტკიცა და გააძლიერა. საომარი ძალები რამდენიმე საჯარისო განწესებით გააწყო: ქვეითი ლაშქარი, თოროსნები (მძიმედ შეჯავშნული ცხენოსნები), მსუბუქი ცხენოსნები და რჩეული მხედრობა („გვარდია“).

ვახტანგმა ირანის შემოტევების უკუსაგდებად, გადაწყვიტა კავკასიის ხალხთა გაერთიანება. თავდაპირველად ქართლის მეფე ჩრდილო კავკასიაში გაეშურა. არაგვის კარი, ანუ დარიალი გაიარა. შეება და დაამარცხა ხაზარები, ყივჩაყები, პაჭანიგები. შემოიერთა ოსეთი და ჯიქეთი. იქიდან დასავლეთ კავკასიონზე დაეშვა, აფხაზეთიდან და ეგრისიდან ბიზანტიელთა ციხიონები განდევნა და დასავლეთ საქართველოც სრულიად შეუერთა ქართლის მიწაწყალს.

ამ ლაშქრობათა გამო, ხალხმა ვახტანგ მეფეს „იალბუზის გმირი" უწოდა და მარად სახსოვარი სიმღერაც მიუძღვნა:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა;
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა."

464 წელს, 22 წლის ვახტანგმა ჯარები დასძრა სამხრეთ-დასავლეთისკენ. იქ, მდინარე ჭოროხის გადალმა, ქართული მიწები ბიზანტიელებს ეპყრათ. ბრძოლა ისევ ქართველებმა მოიგეს. ვახტანგმა პირისპირ შეტაკებაში მოჰკლა ბიზანტიელთა სარდალი. ქართველებმა ქართული მიწები საქართველოს სამანებში მოაქციეს და უკან გამობრუნდნენ.

ირანისა და ბიზანტიის საჭეთმპყრობელებმა ერთხანს ქართველ ხელმწიფესთან „მეგობრობა" და „მოყვრობა" არჩიეს. ირანის შაჰი ვახტანგს „ათთა მეფეთა მეფე ახოვანს" ეძახდა. მაგრამ ვახტანგმა იცოდა, მტერი მტრობას არ დაიშლიდა და თვითონაც ომისათვის ემზადებოდა: ამაგრებდა ძველს და აშენებდა ახალ ციხე-სიმაგრეებს, სჭედდა იარაღს, წვრთნიდა ლაშქარს, ამზადებდა ხალხს მტრის დასახვედრად.

467 წელს, ირანელთა უზარმაზარი მხედრობა შემოიჭრა მტკვრის ხეობაში. ვახტანგმა ლაშქარი სასწრაფოდ შემოიყარა და მტერს შეება. გასაოცარი გმირობით იბრძოდა თვითონ მეფე. სპარსელებმა შენიშნეს, ქართველთა მეფეს მუზარადზე მგელი ეხატა და, სადაც კი ეს „მგლის-თავიანი" გოლიათი გამოჩნდებოდა, ასტეხდნენ ბღავილს:

„დურ აზ გორგასარ!" („მოერიდეთ თავსა მგლისასა!").

ასე დაიბადა სამარადჟამოდ სახელგანთქმული ზედსახელი დიდი ქართველი ხელმწიფისა - *გორგასალი*.

სპარსელები დამარცხდნენ და ზავი ითხოვეს. ირანის მეფემ ქართველთა სამფლობელო საზღვრებად სცნო მდინარე არაქსი და კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპირო. ამას გარდა, სპარსთა მეფემ „მისცა გორგასალს ალვა ლიტრა სამი ათასი, ამბრი ლიტრა ხუთასი, მუშკი ლიტრა ხუთასი, ტაიჭი ცხენი სამი ათასი, სამოსელი ხუასროვანი ათასი და ხაზდი სამი ათასი“.

ისევ ქვეყნის აღმშენებლობას მიუბრუნდა ვახტანგ გორგასალი. მცხეთაში ნინოს დროინდელი ხის ეკლესიის ადგილზე, აღაშენა ქვის დიდი სიონი. ეს იყო მცხეთის სახელოვანი სვეტიცხოველის მეორე ხუროთმოძღვრული გარდასახვა.

იმავე ხანებში ვახტანგმა განასრულა თავისი ახალი სამყოფელი - *უჯარმა*, რომელიც მან „აღაშენა ნაშენებითა უზომოთა“.

აშენდა ახალი ეკლესიები: ნიქოზს, ნინოწმინდას, ჭერემს, ჩელეთსა და ჟალეთს.

სოფელ ტფილისთან, მეტეხის მაღლობზე, ნამგლის სახედ მოდრეკილი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, აღმართა კიდევ ერთი ძეგლი მარადისი - *მეტეხის* ტაძარი.

ბოლოს, ვახტანგ გორგასალმა დაიწყო ახალი სატახტო ქალაქის - *ტფილისის* მშენებლობა.

და, დაიბადა ეს ლეგენდა ტფილის-ქალაქის აღშენებისა: ერთხელ ვახტანგ გორგასალი, თავისი ამალით, სანადიროდ ბრძანებულა ტფილისის უღრან ტყეებში (ტფილისისა - რომელსაც ჯერ კიდევ არ ერქვა „ტფილისი“). უცებ, ანაზდეულად, ხოხობი აფრენიათ მონადირეებს. მეფემ მიმინო დაადევნა. ორივე ფრინველი გადაიკარგა.კარგა ხნის ძებნის შემდეგ, მონადირეები წაადგნენ უცნაურ სურათს: მეტეხის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა მხარეს, მიწის გულიდან ამომდინარე წყაროში ეყარა ორივე ფრინველი. სწორედ ამ წყაროს დასწვრივ წამოსწევია მიმინო ხოხობს და ორივე შიგ ჩაცვენილან და კიდევაც ჩახარშულან: წყარო ცხელი იყო, სურნელიანი და ოხშივრიანი...

ვახტანგმა ტყეების გაჩეხვა და ქალაქის აშენება ბრძანა. სახელიც ახალშობილ ქალაქს თვითონ დაუდგინა, „ტფილ“ წყაროსაგან ნაწარმოები - ტფილისი.

ტფილისი სწრაფად შენდებოდა, მტკიცდებოდა, ხალხით ივსებოდა. მაგრამ ვახტანგ მეფემ მაინც ვერ მოასწრო ახალი სატახტოს დასრულება და იქ სამეფო ტახტის გადატანა. ამას მისი შვილი და

მემკვიდრე *დაჩი* განასრულებს შემდგომ, გამეფებისას...

502 წლის ზაფხულში, ისევ შემოიჭრა ქართლში სპარსელთა ურდო. კალიასავით შემოესივნენ ივრის ხეობას., რუსთავს და სამგორს. ისევ შეება ვახტანგ გორგასალი ქართველთა ჯარით ურიცხვ მტერს. სამი დღე-ღამე წონასწორად იძვროდა ბრძოლის სასწორი. მეოთხე დღეს, გადამწყვეტ ჟამს, სპარსელთა შუაგულში შეჭრილ ვახტანგ მეფეს მოღალატე მონა-მსახურმა ჯაჭვჩარღვეულ იღლიაში მოარტყა ისარი. მაინც ბრძოლის დასასრულამდე იბრძოდა მეფე. სპარსელები უკუიქცნენ.

მძიმედ დაჭრილი ვახტანგი უჯარმას მიიყვანეს.

იქვე გარდაიცვალა.

მაშ, აღესრულა მფლობელი დედამიწის შუბლისა.

გამეფდა 15 წლისა, იმეფა 45 წელიწადი, აღესრულა 60 წლისა.

უჯარმიდან წაასვენეს და მცხეთას დაკრძალეს, მისგანვე განახლებულ სვეტიცხოველში.

ბუმბერაზის სამარადჟამო სამკვიდრებელს ბუმბერაზი ლოდი დაადეს და ზედ მისი „თორმეტბრჭალიანი“ ხატი ამოკვეთეს.

ხალხში მანამდე განუმეორებელი ხსოვნა დატოვა სახელოვანმა ხელმწიფემ.

ლექსებსა და სიმღერებს თხზავდნენ „იალბუზის გმირზე“.

ამბობდნენ, ვახტანგ გორგასალი სიმაღლით 12 ბრჭალი (2 მ და 40 სმ) იყოო.

გაქცეულ ირემს მეფე, იარაღით შეჭურვილიც რომ ყოფილიყო, მაინც დაეწეოდაო.

შეჭურვილ ცხენს ბეჭებზე მოიგდებდა და მცხეთიდან არმაზ-ციხეზე მუხლჩაუკრეფლად ავიდოდაო.

როცა ომით და შრომით დამაშვრალს ღვინო მოესურვებოდა, ყანწს თვით ღმერთი მიაწოდებდაო...

საუკუნეთა მანძილზე ქართველნი და მათი მტერ-მოყვარენი გაოცებულნი შესცქეროდნენ იქვე, სვეტიცხოველში გამოფენილ უზარმაზარ ტანსაცმელსა და საომარ აღჭურვილობას გორგასალისას.

ქართულ სახელმწიფო დროშას ეწოდა მისი სახელი - *„გორგასლიანი“*.

საქართველოს ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო - *უ-ვახტანგ-ოდ*...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ გავიხსენოთ ის, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ: ქრისტეს შობამდეც - თუნდაც ფარნავაზის დროინდელი „მწიგნობრობა ქართულის“ გაგრძელებად მივიჩნიოთ ქრისტეს შემდგომი პირველი საუკუნის „მშობლიური მეცნიერება-ხელოვნებათა“ ფენომენი, რომლის წარმომადგენლად რომაელი ისტორიკოსი ტაციუსი მოიხსენიებს და ახასიათებს იბერიელ უფლისწულს - *რადამისტს*.

შემდეგ, უკვე მოვიხსენიეთ და გავიხსენოთ მეოთხე საუკუნის დიდი ქართველი ფილოსოფოს-ნეოპლატონიკოსი *ბაკურ იბერიელი*, ბიზანტიაში რომ სახელი გაეთქვა, ვითარცა *„სიბრძნის მდელოს“*.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის სინამდვილეც, რომ იმავე მეოთხე საუკუნეში, ეგრისში, ქალაქ ფასისში, ანუ ფოთში არსებობს უმაღლესი სამეცნიერო-სახელოვნებო სკოლა-აკადემია, სწორედ რომ იშვიათად მომხიბლავი სახელწოდებით *„მუზათა ტაძარი“*, სადაც ქართველებთან ერთად სწავლობდნენ ბიზანტიიდან, თვით კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული ბერძნებიც. მაგალითად, ამ „მუზათა ტაძარში“ მიულიათ უმაღლესი განათლება სახელგანთქმულ ბერძენ ფილოსოფოსებს - *ევგენიოსს* და *თემისტიოსს*. *მტკიცე ვარაუდით* შეიძლება იმის თქმაც, რომ იმავე ფასისის აკადემიაში სწავლობდნენ რიტორიკას მომდევნო დროის გამოჩენილი ქართველი რიტორნი - *აიეტი* და *ფარტაზი* (მათზე დაწვრილებით - შემდგომ თავში).

მეხუთე საუკუნეში ბიზანტიის იმპერიასა და ახლო აღმოსავლეთში სახელი გაითქვეს საეკლესიო მოღვაწეებმა და ფილოსოფოსებმა - *პეტრე იბერიელმა* და *იოანე ლაზმა*.

განსაკუთრებული პოპულარობა მოეხვეჭა პეტრე იბერიელს. პალესტინის ტაძართა მაშენებელს და მაიუმ-ღაზის მთავარეპისკოპოსს. იგი იყო ავტორი ფილოსოფიურ-თეოლოგიურ წიგნთა კორპუსებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო შემდგომდროინდელი კაცობრიობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრანდიოზულ კულტურულ მოვლენებს - *რენესანსსა* და *ჰუმანიზმს*. პეტრე ქართველს თანამედროვე და შემდგომდროინდელი მწერლები და მეცნიერები ასეთი ტიტულებით ამკობდნენ:

„მთელს მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმული ადამიანი“,

„მფლობელი ზეციურ განძთა“,

„გული, აზრი და ქცევა მისი - აუცილებელი ყველა დროისათვის“,

„მართალი რწმენის შუქურ-სვეტი“,

„მშვენება და დიდება საქართველოსი“,

„ყველასათვის ძვირფასი“,

„მეოხე მთელი ქვეყნისა“,

„კედელი მთელი დედამიწისა“,

„ნიმუში ყოველი სიკეთისა და ვაჟკაცური ცხოვრებისა“,

„სამკაული და სიქადული ქართველთა“.

იმავე მეხუთე საუკუნეში დაიწერა შესანიშნავი ქართული ლიტერატურული თხზულება - *იაკობ ცურტაველის* „შუშანიკის წამება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის იმპერია ქრისტეს წინარე და შემდგომ საუკუნეთა მიჯნაზე

რომის მსოფლიო სახელმწიფო ჩვენ იქ დავტოვეთ, მის სათავეში ერთპიროვნულ ხელმწიფედ *ოქტავიანე ავგუსტუსი* რომ დაბრძანდა.

(იმ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე დაჯდა მირდატ I, ანუ ადერკი).

სწორედ ამ დროს დაიბადა *იესო ქრისტე*, ღვთით მოვლენილი *მესია*, უფალი კაცობრიობისა.

ქრისტეს შობიდან 9 წელს, რომაელებმა საშინელი კატასტროფა განიცადეს გერმანიაში. იქ, პროვინციის მმართველად გაგზავნილი კვინტილიუს ვარუსის სისასტიკისა და უჭკუობის წყალობით, გერმანელებმა, მამაცი *არმინიუსის* მეთაურობით, ტევტობურგის ტყეში, 50 000 რომაელი და იტალიელი ამოწყვიტეს.

ტევტობურგის ტყეში დატრიალებულმა ტრაგედიამ რომს თავზარი დასცა. თვითონ ავგუსტუსს, ამ შემზარავი ამბის გაგონებისთანავე, ჯერ ენა ჩაუვარდა, მერე კი მწუხარე ხმით გაუთავებლად მოსთქვამდა:

„ოო, კვინტილიუს ვარუს, დამიბრუნე ჩემი ლეგიონები!“...

განვლო კიდევ ექვსმა წელმა და, აი, ქრისტეს შობიდან მე-14 წელს, 76 წლის ოქტავიანე ავგუსტუსი გარდაიცვალა.

- როგორ შევასრულე მე მთავარი როლი ამ ცხოვრების კომედიაში? - უკითხავს მას სიკვდილის წინ.

- დიდებულად, დიდებულად! - შესძახა ყველა იქ დამსწრემ, და უმალვე იმანაც დაასრულა:

- მაშ, ტაში დამიკარით და ისე გამაცილეთ!...

ჩვენ კი, თვალი გადავკრათ მისგან დანატოვარ რომაულ კულტურას.

ჯერ, ქრისტეს წინარე საუკუნეებში, რომაული კულტურის ცალკეული დარგები სათავეს სხვა უფრო ადრინდელი და მოწინავე

ხალხების -- ეტრუსკებისა და ბერძნების კულტურულ მემკვიდრეობაში ღებულობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნული ანბანისაგან ჩამოყალიბდა ლათინური ანბანი.

რომაული სახვითი ხელოვნების დარგებიც - არქიტექტურა, სკულპტურა და ფერწერა, ასევე მდიდარი ბერძნულ-ელინური და ელინისტური (ბერძნულ-აღმოსავლური) შემოქმედებიდან აღმოცენდნენ და განვითარდნენ.

განვითარდა საისტორიო მწერლობა და მხატვრული ლიტერატურა. ისტორიკოსებად გვევლინებიან: პოლიბიოსი (წარმოშობით ბერძენი). სალუსტიუსი, კეისარი, ტიტე ლივიუსი; მწერლებად: ნევიუსი, ენიუსი, პლავტუსი და ტერენციუსი. დიდად გაეთქვა სახელი ციცერონის მხატვრულ სიტყვიერებას.

რომაული ხელოვნების, ლიტერატურისა და პოეზიის „ოქროს ხანად", ძველ და ახალ საუკუნეთა მიჯნაზე, მაინც ოქტავიანე ავგუსტუსის მმართველობის დრო უნდა ჩაითვალოს. მაშინ ჩამოყალიბდა მწერალ-მგოსანთა წრე, *მეცენატის* ხელმძღვანელობით და მფარველობით (აქედან წარმოსდგება გამოთქმა - „მეცენატობა", ანუ პოეზიის და საერთოდ ხელოვნებაზე მფარველობა და მასზე ზრუნვა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ „მეცენატის წრე" - პირველი „მწერალთა კავშირი" მსოფლიოში).

და, ამ „მეცენატურ წრეში" შედიოდნენ სახელოვანი პოეტები: *ვერგილიუსი* მისი პოემით - „ენეიდა" და ლექსებით - „ბუკოლიკები" და „გეორგიკები"; *ჰორაციუსი* - დახვეწილი „სატირებით", „ოდებით" და „ეპოდებით". მათ შემდგომ - *ოვიდიუსი*, შესანიშნავი ელეგიებით და პოემა „მეტამორფოზებით".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჰორაციუსის ლექსი - „ძეგლი" („მონუმენტუმ"), რომელსაც ბაძავდნენ შემდგომი დროის მსოფლიო პოეტები (მათ შორის - პუშკინის ცნობილი ლექსი, „ძეგლი").

(დღესაც რომ ვიტყვით - „თითით საჩვენებელიო" - ეს სწორედ ჰორაციუსისგან მოდის, რაკი იგი იტყოდა: „ჩემს დანახვაზე ხალხი თითს იშვერს და იძახის - აი, იგი, ჰორაციუსიო!").

ოვიდიუსი კი თავის თავზე ამბობდა: „ლექსს მე კი არ ვიგონებ, არამედ, როცა ვფიქრობ, ან ვლაპარაკობ, თავისთავად ფიქრიც და

ლაპარაკიც ლექსად გამომდისო... იგი, იმპერატორის კარზე გაშინაურებული, თვითონ ავგუსტუსის ზნეობრივად სახელგატეხილ ოჯახში რაღაც უხერხულ სცენას გადააწყდა. ამიტომ იგი მისმა „საყვარელმა და ძვირფასმ“ ავგუსტუსმა რომიდან დუნაის შესართავში, ქალაქ ტომისში (ახლ. კონსტანცა) გადაასახლა, სიკვდილამდე გადასახლებით.

ავგუსტუსის ეპოქაში ცხოვრობდნენ და იღწვოდნენ გამოჩენილი ისტორიკოსები და გეოგრაფოსები: ტიტე ლივიუსი, დიოდორე სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი და სტრაბონი (სტრაბონის საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებ - უკვე მოვიხსენიეთ საქართველოს ისტორიის შესაბამის ადგილზე).

იმავე „ოქროს ხანაში“ აყვავდა სახვითი ხელოვნების დარგები, განსაკუთრებით არქიტექტურა. აგურის რომი მარმარილოს რომად იქცაო, - გაიძახდნენ მაშინ. ხელახლა აშენდა და დამშვენდა ტაძარი კაპიტოლიუმზე და მის ქვემოთ გაშლილი ფორუმ რომანიუმი (რომის მოედანი). აშენდა იულიუსთა გვარის პანთეონი და თვით ავგუსტუსის ბრწყინვალე მავზოლეუმი. აშენდა თერმები (აბანოები) და აქვედუკები (წყალსადენები).

ჯკუაფრენია იმპერატორები

ოქტავიანე ავგუსტუსის ანდერძით, რომის იმპერატორის ტახტზე ავიდა მისი გერი, სახელად *ტიბერიუსი* (14--37 წწ).

ახალმა კეისარ-იმპერატორ-ავგუსტუსმა სახალხო კრება სულ გააუქმა და სენატიდანაც, ვინც თვალში არ მოუვიდა, ყველა გაყარა.

„დაე, ვძულდე, ოღონდ მეთანხმებოდნენ!“ - ამას იძახდა წამდაუწუმ ტიბერიუსი. სულ შეთქმულება ელანდებოდა და, ბოლოს, სიკვდილის შიშით შეპყრობილი, რომიდან კუნძულ კაპრიზე გადასახლდა.

ყველაზე დიდი საკაცობრიო ცოდვაც მაშინ დატრიალდა, ტიბერიუსის იმპერატორობის დროს - წამება გოლგოთაზე ჯვარცმით უფლისა და მესიისა იესო ქრისტესი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ბრიყვი იმპერატორი კი ისე მოკვდა, ამის შესახებ არც რა შეუტყვია.

37 წელს კი, მუდამ სიკვდილის შიშით შეშლილი იმპერატორი, მისმავე მცველმა პრეტორიანელებმა ლოგინშივე საბნებით მოგუდეს.

ახალ იმპერატორად გამოცხადდა გაიუს კეისარი, ანუ *კალიგულა* („ჩექმოსანი"), რომელმაც რომში სასტიკი რეჟიმი დაამყარა. გააწერა უმძიმესი გადასახადები, აწყობდა განუკითხავ სადამსჯელო პროცესებს, ახდენდა ქონების კონფისკაციებს.

იმპერატორმა თავი იუპიტერად გამოაცხადა. რომში ყველა ქანდაკებას თავი მოგლიჯა და საკუთარი თავის ქანდაკი დაადგმევინა. სენატის სხდომაზე ცხენით შეჯირითობდა, და - ერთხელ იქ რომ იმ ცხენმა დაიჭიხვინა, კალიგულამაც უმალვე ეს შესძახა: „ძლივს ამ სენატში ერთი ადამიანური ხმა გავიგონეო!"

„დაე, ვსძულდე, ოღონდ ეშინოდეთო!" - ასე გადაეკეთებინა წინარე იმპერატორის, ტიბერიუსის „შეგონებ" კალიგულას. უბრალო ეჭვიანობის ნიადაგზეც, ადამიანებს აიძულებდა თავი მოეკლათ, ან თვითონ კლავდა. ბოლოს და ბოლოს, კალიგულა ასეთ სიტყვასაც წამოისროდა: ნეტავ მთელ კაცობრიობას ერთი თავი ედგას, რომ ერთის მოქნევით მოვკვეთდი და დავისვენებდიო!

41 წელს, კალიგულა შეთქმულებმა მოკლეს; ოჯახიც, ნათესაობაც ამოუწყვიტეს. ერთადერთი გადამალული ნათესავი, სიკვდილის შიშით აცახცახებული, იმ სამალავიდან გამოათრიეს და... იმპერატორის ტახტზე დასვეს (თუ დააბერტყეს!).

სახელი ამ ახლადგამომცხვარი იმპერატორისა იყო *კლავდიუსი* (41-54 წწ).

ეს სულ უცნაური, „ნაძალადევი იმპერატორი", ჯერ სხეულითაც მახინჯი და სასაცილო იყო. საზოგადოებაში გამოჩენასაც გაურბოდა, განმარტოებით ცხოვრობდა. ან ეძინა, ან თავისთვის „ისტორიებს" წერდა. რომის ფორუმზეც, სასამართლო სხდომებს რომ უძღვებოდა, იქვე უცებ ჩაეძინებოდა და ხვრინვასაც მიეცემოდა.

სწორედ კლავდიუსის იმპერატორობის დროს დაკარგეს რომაელებმა აღმოსავლეთში სომხეთზე ბატონობა. სომხეთის დასაუფლებლად იბერია და პართია დაუპირისპირდნენ ერთმანეთს,

და გავიხსენოთ: იბერიის მეფე *ფარსმან I* სომხეთში ჯერ თავის ძმა *მირდატი* გაამეფა, მერე თავისი ძე - *რადამისტი*. კლავდიუსს სოკო უყვარდა და, 54 წელს, მისმა მეხუთე ცოლმა, სახელად აგრიპინამ, თავის მეუღლე-იმპერატორს საყვარელ კერძში ძლიერი საწამლავი შეურია. კლავდიუსი მაშინვე მოკვდა და იმპერატორის ტახტზე მისი გერი, აგრიპინას ძე - ნერონი გამოცხადდა.

ნერონსაც თავისი სიგიჟეები ჰქონდა. არ დარჩენილა არცერთი მანკიერება, რომელიც მას არ ჩაედინოს. იყო იგი უზომოდ პატივმოყვარე, გარყვნილი, ეჭვიანი, მოშურნე და მესისხლე. აკვიატებული ჰქონდა, რომ იყო იგი უდიდესი, გენიალური პოეტი, მსახიობი, მომღერალი, მხატვარი და მოქანდაკე. თხზავდა ლექსებს, გამოდიოდა ცირკში, მღეროდა, ჯამბაზობდა, ხატავდა, აქანდაკებდა და სიკვდილით ემუქრებოდა ყველას, ვინც მისი „უდიადესი ხელოვნებით" აღტაცებაში არ მოვიდოდა. მან მრავალი თანამედროვე გამოჩენილი მოაზროვნე აიძულა თავი მოეკლა. მათ შორის - ფილოსოფოსი *სენეკა* და მწერალი *პეტრონიუსი*.

რომი სისხლის აბანოდ იქცა. სიკვდილმისჯილთა სიები, ქონების კონფისკაციები, გარყვნილებანი.

64 წელს რომში საშინელმა ხანძარმა იფეთქა. მსოფლიოს ცენტრი ცხრა დღე იყო ცეცხლის ალში გახვეული. მის ჩაქრობას არავინ ცდილობდა. რადგან ხმა გავარდა: ქალაქი თვითონ იმპერატორის ბრძანებით იწვისო!... ქალაქის ორმესამედზე მეტი დაიწვა და დაიფერფლა. 14 უბნიდან მხოლოდ 4 გადარჩა.

ნერონმა ქალაქის დაწვა ქვეყნად გავრცელებული ახალი სარწმუნოების, *ქრისტიანობის* მიმდევრებსა და მქადაგებლებს დააბრალა და მისივე ბრძანებით, ქრისტიანები ცირკში, რომაელი ხალხის თვალსასეიროდ, ზოგი მხეცებს დააგლეჯინეს, ზოგიც ჯვარზე გააკრეს და ცეცხლი შეუნთეს.

68 წელს, ნერონის წინააღმდეგ რამდენიმე შეთქმულება მოეწყო; სენატმა იგი სამშობლოს მტრად გამოაცხადა და სიკვდილიც მიუსაჯა. ნერონმა მაშინ თავის მოკვლა გადაწყვიტა, ყელზეც მახვილი მიიბჯინა, მაგრამ ვერ გაბედა და ყოყმანი დაიწყო. მაშინ იქვე მდგარმა მისმა მონამ ხელი უკრა და ნერონიც ყელგამოჭრილი დაეცა.

„ოო, როგორი არტისტი ვიღუპები!“ - ეს იყო უკანასკნელი სიტყვები ამ მანიაკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ამ ჭკუაფრენია იმპერატორების დროს საქართველოს მეფე იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი ფარსმან I).

ფლავიუსები

ნერონის სიკვდილს იმპერატორის ტახტისათვის ომი და სისხლის ქცევა მოჰყვა რომში. ერთ წელიწადში სამი იმპერატორი გამოიცვალა, სამივე დამხობილი და დაკლული.

69 წელს კი, იმპერატორის ტახტზე დაბრძანდა *ვესპასიანე ფლავიუსი*, წარმომავლობით სოფლელი გლეხი, რიგითი ჯარისკაცობიდან მთავარსარდლობამდე აღზევებული.

ახალი იმპერატორი ფულის უსაზღვროდ მოხარბე იყო. ამისათვის ახალი გადასახადები გააწერა. რომში არაფერი - საპირფარეშოებიც კი, დაუბეგრავი არ დარჩენია. ხოლო, როცა ამის გამო შვილმა უსაყვედურა, ვესპასიანემ სწორედ საპირფარეშოდან შემოსული ფული ცხვირთან მიუტანა და უთხრა: აბა, დაყნოსე, სუნი თუ ასდისო! ან კიდევ, ისევ ფული სიხარბისა: როცა მოახსენეს, დიდი და ძვირფასი ძეგლი უნდა დაგიდგათო, ვესპასიანემ ხელისგული გაუწოდა და შესძახა: აი, აქ დამიდგითო! მაშასადამე, რაც ეგ ძეგლი ფული დაჯდება, ფულადვე მომეცითო...

ვესპასიანე დიდ მშენებლობით საქმიანობას ეწეოდა. მან აღადგინა ნერონის დროს გადამწვარი კაპიტოლიუმი; ააგო ბრწყინვალე ტაძარი მშვიდობისა, იქვე - საჯარო ბიბლიოთეკა. მაშინ აღიმართა დღემდე მოღწეული რომის ხუროთმოძღვრული მშვენება - *კოლიზეუმი*, თეთრი ამფითეატრი, 50 000 მაყურებლისათვის.

ვესპასიანეს დროს კიდევ უფრო გამძვინვარდა მანამდეც დაწყებული აჯანყება იუდეაში. 70 წელს, რომაული ლეგიონები, ვესპასიანეს ძის *ტიტეს* სარდლობით, იერუსალიმში შეიჭრნენ, ციხესიმაგრედ ქცეული განთქმული ტაძარი აიღეს, დაანგრიეს და მასთან ერთად მთელი ქალაქიც გადაწვეს და იავარჰყვეს.

ცოტა ადრე, 69 წელს, პონტოში კოლხური ტომების აჯან-

ყება მოხდა, *ანიკეტის* მეთაურობით. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ქალაქი ტრაპიზონი. რომაელებმა ეს აჯანყებაც ჩაახშვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათ გარდა, იმჟამად რომაელებს ომების წარმოება უხდებოდათ ჩრდილოეთით - ბრიტანეთში, გერმანიაში; და სამხრეთით - აფრიკაში.

79 წელს, ვესპასიანე გარდაიცვალა და ტახტი დაიჭირა მისმა ძემ, *ტიტემ*, რომელმაც სახელი გაითქვა დღე და ღამ საქმიანობით. მას ეკუთვნის გამოთქმა: „არც ერთი დღე ხაზის გარეშე!" მასზე ამბობდნენ, რომ ერთ გახანგრძლივებულ ნადიმზე მეგობრებს ასე უსაყვედურა: „ოო, მეგობრებო, მე დღე დავკარგე!"

იგივე 79 წელს, ტიტეს გახელმწიფების დროს, იტალიაში დატრიალდა დიდი სტიქიური უბედურება: ვეზუვის მთიდან ამოფრქვეულმა ვულკანმა მდუღარე ლავისა და ნაცრის ქვეშ ერთბაშად მოაქცია და დამარხა სამი ქალაქი: პომპეა, ჰერკულანუმი და სტაბიუმი.

ტიტეს სიკვდილის (81 წ.) შემდეგ, ტახტზე ავიდა მისი მომდევნო ძმა, სახელად *დომიციანე* (81-96 წწ), რომელიც არც თუ ისე წარმატებით ლაშქრობდა გერმანიაში, დაკიაში (მდ. დუნაიზე).

96 წელს დომიციანე შეთქმულებმა მოკლეს.

(გავიხსენოთ ფლავიუსების „მეგობრობა-მოკავშირეობა" ქართლის მეფე მირდატ *მეორესთან* და მათგან აშენებული კედელი მცხეთაში, იქვე მოხსენიებული წარწერით).

ესპანელი იმპერატორები

დომიციანეს შემდეგ, ორი წელი (96-98 წწ) იმპერატორად იჯდა *ნერვა*; ამის შემდეგ კი რომის სახელმწიფოს სათავეში მოექცა უკვე ძლიერი იმპერატორი, ჭკვიანი და მამაცი *ტრაიანე*, წარმომავლობით ესპანელი (98-117 წწ).

ტრაიანემ ორჯერ ილაშქრა მდინარე დუნაის მიმართულებით და დაიპყრო, რომის პროვინციად გამოაცხადა იქაური ქვეყანა - *დაკია*.

ტრაიანე, დიდი ომების პარალელურად, რომში დიდ მშენებლობსაც განასრულებდა. მან ააგო ახალი ფორუმი (მოედანი),

სადაც აღმართა სვეტი დაკიაზე გამარჯვებისა. ეს „ტრაიანეს სვეტი“ დღესაც ამშვენებს რომს. კიდევ, მაშინ აშენდა ახალი ცირკი და საასპარეზო გიმნაზიუმი. იმპერიის მრავალ ქალაქში აღიმართა იმპერატორის სადიდებელი ტრიუმფალური თაღები, ტრაიანეს სახელის წარწერით. „ტრაიანეს სახელი ბალახივით ყოველ კედელზე ამოდისო“, - ითქმოდა მაშინ.

ტრაიანემ დიდი საომარი ლაშქრობები წარმართა აგრეთვე აღმოსავლეთით; ჯერ, შევიდა სომხეთს, განდევნა იქიდან პართიელი მმართველი და ეს ქვეყანა ისევ რომის პროვინციად გამოაცხადა.

გავიხსენოთ, რომ მაშინ ტრაიანემ იბერიის მეფე ფარსმან II ქველს დახმარება სთხოვა, ქართული ჯარით პართიის წინააღმდეგ სალაშქროდ. ქართველმა მეფემაც ეს თხოვნა მიიღო და თავისი ჯარით, პართიაში მოლაშქრე რომაელებს შეუერთდა.

რომაელებმა და ქართველებმა პართია დაამარცხეს, მთელი შუამდინარეთი დაიპყრეს და სპარსეთის ზღვამდე გააღწიეს.

მესოპოტამიიდან, კიდევ, ალექსანდრე მაკედონელის მიბაძვით, ტრაიანეს ინდოეთისკენ უნდა ელაშქრნა, მაგრამ ავად გახდა და გარდაიცვალა.

რომის იმპერიის ტახტზე ავიდა *ადრიანე* (117-138 წწ), ისიც ესპანელი, ტრაიანეს ნათესავი.

ადრიანემ ახალ, შორეულ ლაშქრობებზე ხელი აიღო. მის დროს, ზოგიერთ შორეულ ქვეყანაში, მაგალითად საქართველოში, რომის მბრძანებლობა შესუსტდა. გავიხსენოთ, რომ იბერიის მეფე, ფარსმან ქველი, ადრიანეს მოთხოვნებს ანგარიშს ძალიან ნაკლებად უწევდა. რომის იმპერატორი იბერიის მეფეს, მისი გულის მოსაგებად, ძვირფას საჩუქრებსაც უგზავნიდა.

135 წელს, პალესტინაში ებრაელობა ხელახლა აუჯანყდა რომს. აჯანყებას მეთაურობდა *სიმონ ბარ-კოხბა*. ერთი წლის სასტიკი ბრძოლების შემდეგ, რომაელებმა აჯანყება ჩაახშვეს.

ადრიანეს შემდეგ იმპერატორი შეიქნა *ანტონინუს პიუსი* (138-161 წწ), რომლის დროსაც გაუმჯობესდა ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის. გავიხსენოთ საქართველოს ისტორიაში მონათხრობიც: როგორ მიიწვიეს და ისტუმრეს რომში ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ფარსმან II ქველი მისი ოჯახით და როგორ აღმართეს ძარის მინდორზე ცხენზე ამხედრებული მისი ქანდაკება.

ანტონინუს პიუსს რომის იმპერატორის ტახტზე მოსდევს *მარკუს ავრელიუსი* (161-180 წწ), რომელიც ისტორიაში, პოლიტიკოსობაზე უფრო, ფილოსოფოსობით გაითქვამს სახელს. მის დროს იმპერიის თითქმის ყოველ კუთხეში და მხარეში მძვინვარებს აჯანყებანი. ერთდროულად ხალხშიც და ჯარშიც.

ბოლოს, ავრელიუსი ჩრდილოეთით, აჯანყებულ გერმანულ ტომებთან საომრად წარემართა. ბრძოლის ჟამს თავი ცუდად იგრძნო და იქვე გარდაიცვალა (180 წ).

აუქციონი ტახტ-გვირგვინისათვის

ავრელიუსის შემდეგ, რომის მსოფლიო სახელმწიფოს სათავეში, ერთმანეთს მოჰყვებიან სუსტი, უღირსი, შემთხვევითი, ზნედაცემული, უჭკუო, ანუ ჭკუაფრენია იმპერატორები. ზოგ მათგანს, სადმე სამხედრო ბანაკში, თავი რომის იმპერატორად ისე გამოეცხადებინა, რომ არც მანამდე და არც შემდეგ თვითონ რომი თვალითაც რომ არ უნახავს.

საიმპერატორო ტახტი და გვირგვინი სამხედრო ბანაკებში აუქციონით - ფულზეც, ოქროზეც იყიდებოდა: რომელი „მაძიებელიც“ მეტ ფულს აღუთქვამდა, ლეგიონებიც იმპერატორად იმას გამოაცხადებდნენ.

ასეთი გზით, იმპერატორის ტახტზე ერთი, სახელად *ჰელიოგაბალი* (218-222 წწ) - ისეთი გარყვნილი (უგარყვნილესი!), ბილწი (უბილწესი!) და გარეწარი (უგარეწრესი!) აღმოჩნდება, ენით და სიტყვით ამის თქმაც რომ ყოვლად უხერხულია!

ასე გრძელდებოდა რომის იმპერიის ზნეობრივი დაცემულობა თითქმის ერთი საუკუნის გასწვრივ - მანამ, სანამ საიმპერატორო ტახტი არ დაიჭირა *დიოკლეტიანემ* /284-305 წწ/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოკლეტიანე წარმომავლობით სოფლელი გლეხი იყო, დალმაციიდან, - და, გლეხური პირდაპირობით, თავის საიმპერატორო ბატონობას პირდაპირ „ბატონობა“, ანუ ლათინურად - „დომინატი“ დაარქვა.

კრიზისით მოცული იმპერიის უკეთ სამართავად, დიოკლეტიანემ გაატარა რეფორმები - ადმინისტრაციული, სამხედრო, საგადასახადო, ფინანსური. ყველა ჩამოთვლილ რეფორმას წარმატებული შედეგებიც მოჰყვა.

მაგრამ ერთი მათგანი აღმოჩნდება ფრიად ავისმაუწყებელი. ეს იქნება დიოკლეტიანეს რელიგიური რეფორმა, მიმართული ქრისტიანობის წინააღმდეგ. იმპერატორმა ალღო ვერ აუღო ქრისტიანობის პროგრესულ, კეთილისმყოფელ ბუნებას მთელი იმპერიის სულიერი გაერთიანების საქმეში.

დიოკლეტიანე ისევ ძველი ღმერთების კულტს მისდევდა. აღლუმებზე იუპიტერის მოკაზმულობით გამოდიოდა და ამით იგი კრიჭაში უდგებოდა უკვე მთელს იმპერიაში გავრცელებულსა და გამძლავრებულ პროგრესულ რელიგიას - ქრისტიანობას. იმპერატორი ხედავდა, რომ არმიაში, იუპიტერის სადიდებელი რიტუალის დროს, ჯარისკაცთა უმრავლესობა პირჯვარს იწერდა.

ბოლოს, 303 წლის 23 თებერვალს, დიოკლეტიანემ გადადგა უკიდურესად მცდარი და მკრეხელური ნაბიჯი: გამოსცა ედიქტი ქრისტიანობის აკრძალვისა და დევნისა. მთელს იმპერიაში გაჩაღდა ქრისტიანული სალოცავების ძარცვა და ნგრევა, სასტიკი აკრძალვა ქრისტიანული კრებებისა და წირვა-ლოცვებისა. წვავდნენ ქრისტიანულ წიგნებს. აწამებდნენ ქრისტიან მოღვაწეებს.

დიოკლეტიანეს ბრძანებით, ქრისტეს უერთგულესი მიმდევრობისათვის უსაშინელესი წამებით აწამეს კაპადოკიელი გმირი გიორგი - ქართველებისათვის შემდგომში მარად სალოცავი *წმიდა გიორგი*.

იმავე დროს, იმპერიის განაკიდურ მხარეებში გაჩაღდა მძლავრი აჯანყებანი. მაგალითად გალიაში /საფრანგეთი/ უფრო ადრეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყებულიყო აჯანყება რომაული უღლის დასამხობად. ეს იყო მოძრაობა „ბაგაუდების“ აჯანყების სახელწოდებით. „ბაგაუდების“ აჯანყებას ბრიტანეთის აჯანყება მოჰყვა. შვიდი წელი დასჭირდათ რომაელებს ამ ორი მხარის დროებით მაინც ჩასაწყნარებლად.

ჩრდილოეთის ჩაწყნარება და ახლა აღმოსავლეთში, ეგვიპტეში-ალექსანდრიაში იფეთქა აჯანყებამ, სადაც ვიღაც აქილევსს თავი იმპერატორადაც გამოუცხადებია.

დიოკლეტიანე დიდი არმიითა და ფლოტით მიადგა ალექსანდრიას და ალყაში მოაქცია იგი. რვა თვე იბრძოდა ალექსანდრია. ბოლოს დიოკლეტიანემ ქალაქს წყალსადენი მოუშალა და ხანძარსაც მისცა. ალექსანდრია დაეცა, აქილევსი ბრძოლაში დაიღუპა.

დიოკლეტიანეს დროს რომს სპარსეთთანაც დასჭირდა ომი - სომხეთისა და საქართველოსთვის. რომაელებმა ისევ გაიმარჯვეს და ამიერკავკასიაში ბატონობა კვლავაც შეინარჩუნეს.

დიოკლეტიანეს ტახტზე ასვლის დროს ფიცი ჰქონდა დადებული, რომ ოცი წლის მმართველობის შესრულებისას გადადგებოდა, და აი, მართლაც ეს სიტყვა შეასრულა: 305 წლის 1 მაისს, ხალხისა და ჯარის წინაშე საზეიმოდ მოიხსნა იმპერატორის ინსიგნიები და სამუდამო საცხოვრებლად წავიდა თავის მშობლიურ დალმაციაში, სოფელში და ხელი მიჰყო საყვარელ მებაღე-მებოსტნეობას და ხშირად ამბობდა: „რა მშვენიერებაა, საკუთარი ხელით გაახარო ყვავილები და ბოსტნეული. ახლა ვეღარაფერი მაიძულებს მივატოვო ეს სიამოვნება და გამოვედევნო ხელისუფლების აჩრდილს“.

უფრო მოგვიანებით, როცა მისი ყოფილი თანაპოლიტიკოსები მივლენ და მიაძალებენ, კვლავ აეღო ხელთ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება, - ამ „მემწვანილე-იმპერატორმა“ ღიმილით უპასუხა:

„თქვენ რომ გაჩვენათ კომბოსტო, რომელიც მე ჩემი საკუთარი ხელებით დავრგე, ასეთ წინადადებას აღარ მომცემდით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოკლეტიანეს შემდგომ, კვლავ განახლდა ომი და სისხლის ქცევა იმპერიის ტახტისა და გვირგვინისათვის.

იყო რამდენიმე პრეტენდენტი იმპერატორობისა, რომელთაგან ბოლოს გამორჩეულად გამოიყო და ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი - *კონსტანტინე* და *მაქსენციუსი*. ამათ შორის კი, გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მდინარე ტიბრზე, *მულვიუსის* ხიდთან, 312 წლის 28 ოქტომბერს.

ბრძოლის წინ, ღამით, კონსტანტინეს გამოეცხადა ქრისტესმიერი ჯვარი, ზედწარწერით:

„ამით იმარჯვებდე!“ /ბერძნულად - „ტუტო ნიკა!“, ლათინურად - „ჰოკ ვინცე!“/.

და, მეორე დღეს იგი ბრძოლად გავიდა ჯვაროსანი დროშით.

და ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მისი მოწინააღმდეგე კი, თავისი თანამებრძოლებით, ტიბრში ჩაიხრჩო.

მომდევნო 313 წელს, მილანში გამოიცა კონსტანტინეს ედიქტი, რომლითაც *ქრისტიანობა გამოცხადდა* იმპერიის *სრულუფლებიან* რელიგიად.

კონსტანტინე, თვითონაც, თავის ოჯახით, ქრისტიანად მოინათლა უკვე ერთპიროვნული იმპერატორი და მბრძანებელი რომის მსოფლიო იმპერიისა.

უკვე ქრისტეს სჯულზე ინათლებოდა სრულად იმპერია.

ხოლო, 325 წელს, ქალაქ *ნიკეაში* მოწვეული იქნა პირველი *მსოფლიო საეკლესიო კრება*, რომელსაც ესწრებოდა 318 ეპისკოპოსი, ერთი მათგანი კი, 111-ე ნომრით, *საქართველოდან*, ბიჭვინთის ეპისკოპოსი *სტრატოფილე*.

/გავიხსენოთ, რომ საქართველოც იმ წლებში მოინათლა, *ნინო კაპადოკიელისაგან*/.

330 წლის 11 მაისს კი, კონსტანტინემ, დიდი მსხვერპლწირვით, კურთხევითა და ზარზეიმით, მსოფლიოს წარუდგინა ახალი სატახტო ქალაქი, მისივე სახელისაგან - *კონსტანტინეპოლისი* /„კონსტანტინეს ქალაქი“/ - ნაგები მანამდე ათასწლოვანი ბერძნული

კოლონიის, *ბიზანტიონის* ადგილზე, ბოსფორის სრუტისა და პროპონტიდის /მარმარილოს ზღვა/ შესაყარში, - იქ, სადაც, თითქოს, ერთმანეთის საამბოროდ მიელტვიან ევროპა და აზია.

ახლა უკვე რომის იმპერიას ორი სატახტო ჰქონდა: დასავლეთით - რომი, აღმოსავლეთით - კონსტანტინოპოლი.

395 წელს კი, იმპერატორმა *თეოდოსი* I, სიკვდილის წინარე ანდერძით, იმპერია გაუყო თავის ორ შვილს: აღმოსავლეთი - *არკადიუსს*, დასავლეთი - *ჰონორიუსს*.

მაშ, ორი სატახტო და ორი იმპერატორი, თავისთავად უკვე ორ სახელმწიფოს გულისხმობდა.

აღმოსავლეთ იმპერია მოიცავდა ბალკანეთს, ეგვიპტეს და აზიურ პროვინციებს /საქართველოც, ბუნებრივია, აქ იგულისხმებოდა/; ხოლო, დასავლეთ იმპერიაში იგულისხმებოდა - დასავლეთი და ჩრდილოეთი ევროპა და აფრიკის ჩრდილო - დასავლეთი ქვეყნები...

რომის დაცემა

ჩრდილოეთიდან რომს გამუდმებით და განიადაგებით გერმანელი *გუთები* უტევდნენ, მათი ბელადის, *ალარიხის* წინამძღოლობით.

რომის სენატმა ელჩობა გაგზავნა, გაფრთხილებით:

„რომთან ომს არ გირჩევთ, რამეთე იგი სახლობს მრავალრიცხოვანი მეომარი ხალხით!“.

და, ალარიხიც უმალვე პასუხობს:

„მით უკეთესი: ბალახი, რაც უფრო ხშირია, სათიბად მით უკეთესია!“

დაზავება არ შედგა და, ბოლოს და ბოლოს, 410 წლის 24 აგვისტოს, ქალაქი რომი, „მსოფლიოს ცენტრი“, „მარადიული ქალაქი“ - გერმანელებმა იერიშით აიღეს, რამდენიმე დღე-ღამე ძარცვეს და დიდძალი ნაალაფევით დატვირთულნი გაბრუნდნენ.

იმავე ხანებში, თითქოს, „ევროპის საქმეებში“ აზიელები „ერევიან“. ეს არის დიდი აზიურ-მონღოლური ტომის, *ჰუნების* შემოსევა, მათი დიდი ბელადის, *ატილას* წინამძღოლობით. მრავალ

ცალკეულ შეტაკებათა და სისხლის ქცევათა შემდეგ, გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა 451 წლის ივნისში, ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, *კატალაუნის ველზე*. ისტორიისგან მონათლულ ამ „ხალხთა ბრძოლაში" ახიელებს წინამძღოლობდა თვითონ ატილა, ხოლო ევროპელებს - რომაელი სარდალი *აეციუსი*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსასტიკესი ხმალთაკვეთებით, ორივე მხრიდან გაწყდა 180000 სული. დარჩა თქმულება: კატალაუნის ველზე დახოცილთა სულები სამი დღე-ღამე ზეცაშიც განაგრძობდნენ ბრძოლასო.

ატილა დამარცხებული უკუიქცა . . .

რომზე იერიშებს კი, გერმანელები კვლავ განაგრძობდნენ.

455 წ. 15 ივნისს, რომი ხელმეორედ დაეცა და გაიძარცვა; ამჯერადაც გერმანული ტომის - *ვანდალებისაგან*.

ხოლო, ტრაგედიის უკანასკნელი აკორდი გაისმა 476 წლის 28 აგვისტოს, როცა ისევ და ისევ გერმანელებმა, *ოდოაკრის* წინამძღოლობით, ტახტიდან ჩამოაგდეს რომის უკანასკნელი იმპერატორი - *რომულუს ავგუსტულუსი*.

და, ძველი რომის ისტორიაც ამით მთავრდება. მისი აღმოსავლეთ ნახევარი კი, ცენტრით კონსტანტინოპოლისში - *"ბიზანტიის იმპერიის"* სახელით, კიდევ ათასი წელიწადი იარსებებს.

მაინც ის თარიღი - 476 წლის 28 აგვისტო, დასავლეთ რომის იმპერიის დასრულებასთან ერთად, ისტორიაში ითვლება საერთოდ ძველი მსოფლიოს - თვით ანტიკურობის დასასრულ თარიღად. აქედანვე დაიწყება მსოფლიოს *შუა საუკუნეთა ისტორია*.

/ეს საისტორიო *ზღვარი* ემთხვევა სწორედ ვახტანგ გორგასალის მეფობას საქართველოში, - როცა ვახტანგს მოთავებული ჰქონდა ჩრდილო-კავკასიური ლაშქრობანი, ანუ - „უკვე დაედგა ფეხი იალბუზზე"/...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს შობიდან 8 წელს ჩინეთში, გადატრიალების გზით, იმპერატორი შეიქნა *ვანმანი,* რომელმაც თავის სამოქმედო იდეოლოგიად კონფუცის მოძღვრება გამოაცხადა.

9 წელს ვან მანმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც ჩინეთში აიკრძალა მიწებისა და მონების ყიდვა-გაყიდვა, ანუ - ერთიც და მეორეც ცხადდებოდა თვითონ იმპერატორის საკუთრებად.

17 წელს, ჩინეთში დიდმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა. ამას დაერქვა *„წითელწარბიანების აჯანყება“,* რაკი აჯანყების მონაწილეებს წარბები წითლად შეეღებათ. აჯანყებას სათავეში ედგა გლეხი *ფანჩუნი,* რომლის მეთაურობით მეამბოხეებმა ზედიზედ დაამარცხეს მეფის ჯარები. მაშინ იმპერატორი ვან მანი აჯანყებულთა წინააღმდეგ აგზავნის 100 000-ან არმიას. მაგრამ აჯანყებულებმა მაინც ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. იმპერატორი ვან მანი შეიპყრეს და თავიც გააგდებინეს. მაგრამ ბოლოს, 25 წელს, „წითელწარბიანთა აჯანყებ“ ჩახშობილ იქნა. ჩინეთის საიმპერატორო ტახტზე ავიდა *გუანუ-დი* /25-57 წწ/.

მთელი I-II საუკუნეების მანძილზე, ჩინელები წარმატებით იგერიებდნენ ჩრდილოეთიდან მოიერიშე ჰუნებს.

185 წელს ჩინეთში ახალმა დიდმა სახალხო აჯანყებამ იფეთქა - *„ყვითელდოლბანდიანთა აჯანყებამ“.* ასე ეწოდა, რაკი აჯანყებულებს თავი ყვითელი დოლბანდით გაეკრათ.

აჯანყებას სათავეში ედგა რელიგიური მოძღვარი, სახელად *ჯანძიაო,* რომელიც ქადაგებდა „ბოროტი ლურჯი ცის“ დამხობასა და „კეთილი ყვითელი ცის“ დამყარებას. აჯანყება ლამის მთელ ჩინეთს მოედო და გაგრძელდა ოც წელიწადს. ბოლოს, 205 წელს, ჩახშობილ იქნა...

ქრისტეს შობიდან პირველ საუკუნეში კვლავ განვითარდა ჩინური ლიტერატურა, ბრწყინვალე პროზით და პოეზიით. ასევე საისტორიო მეცნიერება; სამაგალითოდ - ისტორიკოსი *ბანგუ* /32-92 წწ/. ასევე - ფილოსოფია, დიდი ფილოსოფოსით - *ვანჩუ* /27-97 წწ/.

I საუკუნის დასაწყისითვე, *ინდოეთის* სახელმწიფოს სათავეში მოექცა შუა აზიიდან /ამურდარიის ხეობიდან/ შემოჭრილი *კუშანთა* ტომის ბელადი - *კადფიზ I.*

მომდევნო მეფეებმა - *კადფიზ II* /47-78 წწ/ და *კანიშკამ* /78-123 წწ/ უფრო აქტიურად განაგრძეს ინდოეთის ტერიტორიების დაპყრობა-შემოერთება და ასე, პატალიპუტრამდეც მიატანეს.

კუშანთა სატახტო ქალაქად გამოცხადებული იყო ქალაქი *პურუშაპურა* /პეშავარი/.

კანიშკას დროსვე, ინდოეთის სხვადასხვა მხარეში აჯანყებები დაიწყო. თვითონ კანიშკაც აჯანყებულთა ხელით დაღუპულა. მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ მისი მემკვიდრეები ინდოეთის მხოლოდ უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილსღა ინარჩუნებდნენ, შეჭირვებულად.

IV საუკუნის დამდეგს, *მაგადჰის* ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ახალი ძლიერი სახელმწიფო, რომლის დამაარსებელიც იყო *ჩანდრაგუპტა I* /დაახლ. 320-340 წწ. მისი ზეობა ძირითადად ემთხვევა ქართლში მირიან მესამის მეფობას/. ამანვე ჩანდრაგუპტამ მისცა სახელი ამ ახალ, *„გუპტების“* დინასტიას.

შემდგომ, ჩანდრაგუპტას ძემ და მემკვიდრემ, *სამუდრაგუნტამ* /340-380 წწ/ თავის სამფლობელო ქვეყანას შემოუერთა მდინარე განგის ხეობა და სრულად ცენტრალური ინდოეთის ტერიტორიები.

გუპტების სახელმწიფოს ძლიერების მწვერვალს კი, წარმოადგენს *ჩანდრაგუპტა II ვიკრამადიტის* ხელმწიფობა /380-414 წწ. საქართველოში დაახლ. ბაქარის მეფობა/.

ჩანდრაგუპტა-ვიკრამადიტას სახელმწიფო უკვე გადაჭიმული იყო ბენგალიიდან არაბეთის ზღვამდე.

V საუკუნის შუა წლებში, ინდოეთში იჭრებიან ჰუნ- ეფტალიდთა ტომები, რომლებთან მძიმე ბრძოლებმა შეიწირეს კიდეც გუპტების სახელმწიფოს სიძლიერეც და ერთიანობაც. საუკუნის ბოლოს, ინდოეთი კვლავ მრავალ ცალკე სამთავროდ დაქუცმაცებულ-დანაწილებული ხდება...

I-V საუკუნეებში კვლავ მრავალსახედ ვითარდება ინდური კულტურა.

ახალი ვარიაციებით წარმოგვიდგება თეოლოგიურ - თეოსოფიური მოძღვრებანი ბუდიზმისა და ბრაჰმანიზმისა.

იმჟამად ვითარდებიან საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერებანი ინდოეთში. იქაურმა ასტრონომებმა მზის წელიწადი დაჰყვეს 12 თვედ, ყოველ თვეში 30 დღით, ყოველ ხუთ წელიწადში მეცამეტე თვის დამატებით. სხვა ხალხთაგან დამოუკიდებლად, ინდოელმა მათემატიკოსებმა დაადგინეს რიცხვთა ათწილადური სისტემა. მათვე უკვე იცოდნენ კვადრატული და კუბური ფესვების ამოღება, იცნობდნენ ალგებრისა და ტრიგონომეტრიის საფუძვლებს.

ასევე ვითარდებოდა ინდური მედიცინა, მისი ცალკეული დარგებით /თერაპია, ქირურგია და სხვ./.

გუპტების მმართველობის ხანაში, აყვავდა სანსკრიტული ლიტერატურა. ამ დროს დაიწერა უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული *„მაჰაბჰარატა“* და *„რამაიანა“*, *„მანავადჰარმა-შასტრა“* და *„არტჰაშასტრა“*, *„პანჩატანტრა“* და *„ჰიტოპადეშა“*.

V საუკუნის ინდოეთს ამშვენებს მწერალი *კალიდასა*, თავისი ლირიკით, ეპოსით, დრამატურგიით; ამათგან განსაკუთრებით განთქმული დრამა - „შაკუნტალა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები და ბიზანტიელები

ვახტანგ გორგასალის სიკვდილის შემდგომ, საქართველო ისევ გაიყო ორ ნაწილად - აღმოსავლეთით ქართლი, ანუ იბერია, დასავლეთით - ეგრისი, ანუ ლაზეთი, ანუ კოლხეთი.

ქართულ მიწა-წყალზე ისევ მოჰქონდათ იერიშები, სამხრეთიდან - სპარსელებს, დასავლეთიდან - ბიზანტიელებს.

მეექვსე საუკუნეში სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ბრძოლა ატყდა ეგრის-ლაზეთისათვის.

ეგრისის მეფეებმა ერთმორწმუნე ქრისტიანულ ბიზანტიასთან სიახლოვე ამჯობინეს და სპარსეთის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის კავშირიც დაადგინეს.

ბევრი ქართველი დაწინაურდა მაშინ ბიზანტიის სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე. ამათგან გამოირჩეოდნენ:

ფარსმან კოლხი.
ზავნა ფარსმანის ძე,
რუფინე ზავნას ძე,
ლეონტი ზავნას ძე,
ფირან იბერიელი,
ბაკურ ფირანის ძე,
ფაზა ბაკურის ძე.

ომი სპარსეთთან დიდხანს გაგრძელდა. ერთი დიდი ბრძოლა 550 წლის ზაფხულში მოხდა, მდინარე ცხენისწყლის პირას.

ბრძოლის წინ, ეგრისის მამაცმა მეფემ, *გუბაზ მეორემ,* ასეთი სიტყვით მიმართა თავის ჯარს:

„არა მგონია, ვაჟკაცებო, კიდევ საჭირო იყოს რაიმე გითხრათ საომარი ცეცხლის წასაკიდებლად. აკი ჩვენივე მდგომარეობა ისედაც აღანთებს ჩვენს გულს მტერთან საომრად. განა, შეიძლება დაგვავიწყდეს, რა საფრთხე ემუქრება ჩვენს ოჯახებს, სამშობლო ქვეყანას და ყველაფერს, რისთვისაც სპარსელები აღძრულან ჩვენს წინააღმდეგ? აკი ბუნება ისედაც კარნახობს ყველას, უცხო მტერს არ დაუთმოს თავისი, საკუთარი. თქვენ კარგად იცით სპარსელთა სიხარბე და გაუმაძღრობა. ისიც გახსოვდეთ, რას გვიპირებენ სპარსელები: უკეთუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, მარტო ხარკსაც არ გვაკმარებენ, ჩვენი სამშობლო ქვეყნიდან დედაბუდიანად აგვყრიან და ირანში გადაგვასახლებენ და მიმოგვაბნევენ. ამიტომ, დაე მარტო

სიტყვად ნუ დარჩება ჩვენი ნათქვამი, არამედ საქმით დავამტკიცოთ ჩვენი გმირობა. დაე ნუ აღიგვება მიწისაგან სახელი ლაზთა. ჩვენ არასოდეს გაგვჭირვებია სპარსელებთან ბრძოლა; ბევრჯერაც დაგვიმარცხებია ისინი ხელჩართულ შეტაკებებში. ჩვენ მიჩვეულიც ვართ მათზე გამარჯვებას, ხოლო მიჩვეულისთვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სირთულე წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით. დაე, გძულდეთ მტრები, გეხილოთ ისინი თქვენგანვე დამარცხებულნი და არა თქვენებრ აღფრთოვანებულნი. გახსოვდეთ, ერთხელ დაცემული სიამაყე ველარასოდეს აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ყოველივე ეს მხედველობაში და კეთილი იმედებით აღსავსენი მხნედ გავემართოთ მტერთა ჩვენთა დასამარცხებლად!“

ქართველები ბრძოლაში ჩაებნენ. ბიზანტიელებიც მიჰყვნენ. ხელჩართული ხოცვა-ჟლეტა სპარსელთა განადგურებით დამთავრდა.

ამის შემდგომ ქართველ მეფესა და ბიზანტიელ მოკავშირეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. გუბაზ მეფე ამჩნევდა, რომ ბიზანტიელი სარდლები ბრძოლაში ლაჩრობასა და უნიჭობას იჩენდნენ, ზოგჯერ კიდევაც ღალატობდნენ. გუბაზმაც ამის შესახებ აცნობა კონსტანტინოპოლის სასახლეს, პირადად იმჟამინდელ იმპერატორ-კეისარს - *იუსტინიანეს*. სანამ იმპერატორი რაიმეს იღონებდა, მანამ მისმა სარდლებმა ეგრისში ქართველ მეფეს შეთქმულება მოუწყვეს.

შეთქმულებმა მეფე ხობისწყლის პირას მიიწვიეს, ვითომცდა მოსალაპარაკებლად.

გუბაზიც მივიდა გულდანდობილად.

არც ამალა ახლდა, არც იარაღი ესხა.

უბელო ცხენზე იჯდა, ფეხებმორთხმული.

შვიდი ბიზანტიელი მიეგება მეფეს.

ერთმა საუბარი გაუბა, მეორე ზურგიდან მიეპარა და მახვილი დასცა.

გუბაზი ცხენიდან გადმოვარდა, მაინც წამოიწია და აღიმართა, მაგრამ საგულდაგულოდ გამზადებულმა მეორე მკვლელმა, ისევ ზურგიდან, ორივე ხელით მძლავრად დაჰკრა თავში მახვილი.

ეგრისის გმირი მეფე მკვდარი დაეცა.

ეს მოხდა 554 წელს.

გუბაზ მეფის ვერაგულმა მკვლელობამ ეგრისელთა დიდი მღელვარება გამოიწვია. ხობისწყლის პირას, საგანგებოდ შეყრილ სახალხო კრებაზე ბევრი ორატორი გამოვიდა, მაგრამ მათგან ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ორი - *აიეტი* და *ფარტაზი*.

აიეტმა თქვა:

„ნუთუ საჭიროა ყოყმანი და ბჭობა იმისათვის, რომ ბიზანტიელებს ამნაირი ვერაგობის წილ სამაგიერო უნდა მივუზღათ? იქნებ ვინმეს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ბიზანტიელებს ამის გარდა არაფერი ბოროტება და ვერაგობა ჩაუდენიათ ჩვენს წინააღმდეგ? იქნებ საბუთის ძებნა გჭირდებათ, ვითომც რაიმე დაფარული ვერაგობის დასამტკიცებლად? აბა, შეხედეთ, იქნებ საბუთად არ კმაროდეს: მოჰკლეს გუბაზი, ჩვენი ხელმწიფე სახელოვანი, მოსპეს ასე საცოდავად, მუხანათურად. ისე მოჰკლეს, ვითომც იგი არ ყოფილიყოს დიდი გუბაზი. გაქრა კოლხთა ძველი დიდება და ამიერიდან ვეღარასოდეს ვერ ვეღირსებით ძველებურად სხვებზე ვმბრძანებლობდეთ; ამიერიდან მხოლოდ იმას უნდა ვცდილობდეთ, სწორედ მათ არ დაგვჩაგრონ, ვინც წინათ ჩვენს წინაშე მუხლმოდრეკით ქვეშევრდომობდა. ნუთუ უარესი უგუნურება გაგონილა ამ ქვეყანაზე, რომ დავმჯდარვართ და ვმსჯელობთ იმაზე, მტრებად ჩავთვალოთ, თუ მეგობრებად გუბაზის მკვლელნი? განა, არ იცით მარტო ამით რომ არ გათავდება თავხედობა ბიზანტიელთა? უკეთუ ჩვენ ამ ბოროტებას უყურადღებოდ მივატოვებთ, მაშინ ისინი კიდევ მრავალი ბოროტებით მოგვეპყრობიან, კიდევ უფრო შეუპოვრად აგვხდიან ნამუსს. ისინი ყველას თავხედურად ექცევიან, ვინც კი მორჩილად თავს მოიდრეკს მათ წინაშე. კეისარიც ჰყავთ გაიძვერა, რომელსაც მუდამ სიხარულსა ჰგვრის ტანჯვა-წამება ადამიანთა. სწორედ მისი წაქეზებით მოჰკლეს გუბაზი. განა, იმიტომ მოგვიკლეს მეფე, რომ მათ წინაშე რაიმე მტრობა ჩაგვიდენია? არა, მათ ხომ ხასიათი აქვთ ამნაირი - ხასიათი სიმხეცისა, სიგიჟისა, სიძულვილისა... მე ვინატრებდი, ჩვენი კოლხეთის სახელმწიფოს კვლავაც ჰქონოდეს მისი ძველთაძველი, სახელოვანი ძლიერება და უძლეველობა, რომ არასოდეს დასჭირვებოდეს დახმარება უცხოთაგან და გარეშეთაგან; რომ ყოველ დროსა და ყოველ საქმეში, ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც, მხოლოდ საკუთარ თავს დაჰყრდნობოდეს, მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდეს! გარნა, რაკი ჟამთა ბრუნვით და ბედისწერის უკუღმართობით, ანდა ორივე უბედურების შემწეობით, ისეთნაირ უძლურებაში ჩავვარდნილვართ, რომ სხვათა ქვეშე ქვეშევრდომობა აღარ აგვცდება, უმჯობესია იმათთან ვიყოთ, ვინც ჩვენს მიმართ უფრორე კეთილსასურველად მოგვევლინება. ასეთები არიან სწორედ სპარსელები, ჩვენთვის უფრო უმჯობესნი, ვიდრე ვერაგი ბიზანტიელნი... გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს, არამედ სათნოება; მაგრამ არა მგონია,

ბოროტმოქმედი და ადამიანის სისხლში გასვრილი ადამიანნი ოდესმე მაინც ეზიარონ ამ კეთილ საწყისს... მეორე, ისიც გუბაზ მეფის სისხლში გასვრილნი! მე არც მგონია, ოდესმე სადმე მომხდარიყოს მსგავსი მკვლელობა, ანუ თუ მომხდარა, ასე იოლად თუ ჩაუვლია! ამიტომაც უნდა გვახსოვდეს: უაღრესად სამარცხვინო იქნება, უკეთუ ჩვენს მეფეს დავივიწყებთ, ხოლო მის მკვლელებს პირფერობას და ლიქნას დავუწყებთ. იგი რომ ახლა აქ იყოს, საყვედურით აგვავსებდა და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობისათვის; დაგვძრახავდა, რომ მისი უბოროტესი მკვლელნი მკაცრად დასჯის ან გაძევების სამაგიეროდ კვლავ დაუსჯელად დააბიჯებენ ჩვენს მიწა-წყალზე. მაგრამ რადგანაც ამიერიდან მეფე გუბაზი ჩვენს შორის ვეღარ გამოჩნდება, ვეღარც რას გვეტყვის კეთილი სიტყვებით, თქვენ თვითონვე წარმოიდგინეთ ხელმწიფე იგი, თქვენს გონებაში გააცოცხლეთ, თითქოს იგი აქვე ამ კრებას ესწრებოდეს, თქვენს თვალწინ იდგეს, და გითითებდეთ თავის ჭრილობებზე, განგმირულ მკერდზე, შუა-გაჩეხილ თავ-კისერზე, და თითქოს გთხოვდეთ ერთსისხლიერ თანამოძმეებს, სამაგიერო გადაუხადოთ მის ბოროტ მკვლელებს... მაშ, კოლხებო, ნუღარ ვაყოვნებთ, ახლავ სპარსელებს შევუკავშირდეთ და ბიზანტიელთ მტრობისათვის მტრობით მივუზღათ!“

აიეტის ამ სიტყვამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ხალხი ერთბაშად გრიალით და ჟივილ-ხივილით ერწმუნა მის წინადადებას: ახლავე გადასდგომოდნენ ბიზანტიელებს და შეერთებოდნენ სპარსელებს.

მაგრამ წინ წამოდგა ფარტაზი, როგორც იქნა ახმაურებული კრება დააწყნარა და სიტყვაც დაიწყო:

„კოლხებო, აი თქვენც ის დაგემართათ, რაც ჩვეულებრივად სხვებსაც ხშირად დაემართებათ - ხერხიანად და მომხიბლავად თქმულმა სიტყვებმა შეარყიეს გონება თქვენი. უძლეველი რაღაც არის მჭერმეტყველება და ის თითქმის ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმას, ვისაც მანამდე მისი ძალა არ განუცდია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ დავუპირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას ემყარება. ნათქვამი თქვენ იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ იმიტომ, რომ ის მიზანშეწონილი და სასარგებლოა. კარგად უნდა შეიგნოთ, რაგინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, იქიდან ის უნდა ამოირჩიოთ, რაიც მხოლოდ უმჯობესია. იმის აშკარა საბუთად, რომ თქვენ მოტყუვდით, ის გამოდგება, რომ

თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს. ვინც ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, სწორედ მას ესაჭიროება სიტყვების ძეგი, მოკაზმულობა და სიჭრელე; რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იტყვის ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს. ასე დაგემართათ თქვენც: აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოტყუვდით. სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა შეგემჩნიათ ნათლად, რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ. მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყოს საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები; თვითონ მკვლელობის დანაშაულს კი არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც კარგადაა ცნობილი. მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით შევხედავდი მათ საშინელ სასჯელს; შევხედავდი არა მარტო იმათ მოსპობას, რომელთაც განგმირეს მეფე გუბაზი და საკუთარი ხელით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს, და აგრეთვე იმათაც, რომელთაც ეს მკვლელობა ესიამოვნათ და მის გამო არცთუ ისე აღშფოთდნენ. თუმცა მე ასე ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეს გადასვლა არ იქნება ჩვენთვის სასარგებლო. არ შეიძლება გავიზიაროთ ის აზრი, რომ რაკი რომაელებმა /ბიზანტიელებმა/ უკანონობა და ვერაგობა ჩაიდინეს, ამიტომ ჩვენც ჩვენს მშობლიურ წესებს გამოვეთხოვოთ და ჩვენც იმ ვერაგთა მსგავსად მსგავსივე ვერაგის სახელი მოვიხვეჭოთ... ნუ ავყვებით მსჯელობის დროს მოწოლილ ბოღმას და გულისტკივილს, რათა არ დავკარგოთ უნარი მოსაზრებისა და ბუნდოვანი არ გავხადოთ მსჯავრი ჩვენი; საჭიროა შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა... უგუნური ადამიანები სულ მუდამ განვლილ უბედურებას დასტირიან. ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმა ტრიალს. არ აშფოთებთ მოულოდნელი ცვლილებანი და, როცა წინანდელ მდგომარეობას კარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს... აიეტი კი ისე გვაშინებს, თითქოს ბავშვები ვიყოთ: რომაელები არ იკმარებენ იმას, რაც გაბედესო. კიდევ მეტი უბედურება მოგველისო. იმასაც ამბობს, რომაელებს დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთ, რომელიც თვითონ არის ამ მკვლელობის სულის ჩამდგმელიო; დიდი ხანია ეს მკვლელობა მომზადებული და მოფიქრებული იყოო. ამას ამბობს ის და აქებს და

ადიდებს სპარსელებს; იმას ჰგონია, ამ გზით დაგვარწმუნებს და ჩვენც ახლავე საკუთარი ფეხით ვეახლებით ჩვენს აშკარა მტრებს და ხვეწნა-მუდარით მუხლებში ჩავუვარდებით. სწორედ ამ მიზნით აიეტი ცდილობს კრებას გზა-კვალი აუბნიოს. და იმის ნაცვლად, რომ კრებამ ჯერ იმსჯელოს, ყოველივე ასწონ-დასწონოს და დადგენილება ისე გამოიტანოს, აიეტმა ბოლო დასაწყისში მოიქცია და ვიდრე ჩვენ რასმეს გადავწყვეტდით, ის უკვე შესრულებას შეუდგა. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება?.. სინამდვილეში კი, თუ ჩვენ გონივრულად ვიმსჯელებთ, მაშინვე ცხადი გახდება, რომ არც რომაულ ჯარებს, არც სტრატეგოსებს, ერთად აღებული, მით უმეტეს არც კეისარს არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზის წინააღმდეგ. აკი თვით მათ შორისაა გავრცელებული ნმები და ერთსულოვნად აღიარებული: რუსტიკე და მარტინე, რომელთაც შურდათ გუბაზის წარმატებანი, აჰყვნენ თავიანთ ბოროტ ზრახვებს, ხოლო დანარჩენი სარდლები არა თუ მათ არ ეხმარებოდნენ, არამედ აშკარადაც წუხდნენ. ჩემი აზრით, უმართებულო იქნებოდა და მიზანშეუწონელიც, ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შემოვსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა ჩვენს თავზე აგვიღია, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წესწყობილება და ცხოვრება... სპარსელების მხარეზე გადასვლა ყველაზე უწმინდური საქმე იმით იქნება, რომ ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლოებას. სპარსელები ხომ ჩვენი სარწმუნოების, ჩვენი წეს-ჩვეულებების მტრები არიან; ისინი მამაპაპეულ ადათებს წაგვართმევენ და თავიანთ სჯულზე გადაგვიყვანენ. ამაზე სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლებიც ვიქნებით და მკვდრებიც. რას მოვიგებთ იმით, რომ ვთქვათ მთელი სპარსეთიც შევიერთოთ და სულები კი წავიწყმიდოთ? კიდევაც რომ ნება დაგვრთონ და ჩვენს ნებაზე მიგვიშვან, სულ ერთია, მაინც არ ექნებათ ჩვენდამი კეთილგანწყობილება და ნდობა: მათი მოპყრობა ჩვენდამი ყოველთვის ვერაგული და არასაიმედო იქნება და მარტოოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გაანგარიშებული. ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას. მათ შორის მტკიცე კავშირი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა აზრთა ერთიანობაა... ჰოდა, აბა, რის გულისათვის უნდა გადავიდეთ, კოლხებო, სპარსელების მხარეზე, თუკი ისინი მაინც ჩვენს მტრებად დარჩებიან და ვნებასაც უფრო ადვილად მოგვაყენებენ, ვინაიდან ფარული მტრისგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარასგან. ანდა, დავუშვათ, სპარსელები მართლა

სანდონი არიან და ჩვენთვის დადებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ. მაგრამ ეს აზრიც რომ მივიღოთ, მაშინაც ვერ მოვახერხებთ სპარსელების მხარეზე გადასვლას, რადგან რომაელთა მრავალრიცხოვანი ჯარები ზედ თავზე გვადგანან, ხოლო ირანელები ჩვენგან შორს არიან... მერე, ნურავინ ნუ ცდილობს აქ მიცვალებული გუბაზ მეფე ლაჩრულად მოტირალი, რომელიც ვითომ თავის ჭრილობებს უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ, შეიბრალონ იგი. იქნებ, ეს შეეფერებოდეს საცოდავ და უმწეო არსებას, მაგრამ ეს.არ შეეფერება მეფეს, მით უმეტეს გუბაზს. პირიქით, ის რომ აქ იყოს, უეჭველია, ვითარცა ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვიცხავდა ჩვენი ასეთი ზრახვებისათვის; მოგვიწოდებდა, არ მივცემოდით სასოწარკვეთას და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ მოვქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სამარცხვინო და მამაპაპური წესების შემბილწავი არ ჩაგვედინა, არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით და იმედი გვქონოდა, რომ უზენაესი თვალი ერს არ მოაკლდება... მაშ, მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჭაპანს. ხოლო, უკეთუ ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუბაზი არ დაგვივიწყნია და იმასაც, საქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად".

ფარტაზის ამ სიტყვამ სავსებით გადაშალა წინარე ორატორის, აიეტის გავლენით მიღებული შთაბეჭდილება და ხალხმა ერთბაშად იგრიალა: დაე, უარი ითქვას სპარსელებთან შერიგებაზე, დავრჩეთ ბიზანტიელთა მოკავშირეებად და ჰეისარ იუსტინიანეს მოვთხოვოთ დასჯა გუბაზ მეფის მკვლელებისა.

ეგრისელ წარჩინებულთა დელეგაცია კონსტანტინოპოლს ჩავიდა, იუსტინიანეს წარუდგა, გუბაზ მეფის მკვლელობის გარემოებანი გააცნო და მკვლელების დასჯა მოითხოვა.

კეისარმა იუსტინიანემ „ერთგული ლაზების" მოთხოვნა მოისმინა, შეისმინა, „ერთგული გუბაზის" მკვლელები სიკვდილით დასაჯა, ხოლო გუბაზის ნაცვლად ეგრისის ტახტზე მისი უმცროსი ძმა წათე დაამტკიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეექვსე საუკუნიდან ქართლში სპარსელებმა მტკიცედ მოიდგეს ფეხი. ქვემო ქართლი სპარსეთის შაჰებმა თავის უშუალო საბატონოდ აქციეს, „საპიტიახშო“ დაარქვეს, სათავეში „პიტიახში“ /„ერისთავი“/ ჩაუყენეს, ქართლის მეფობაც სულ გააუქმეს და მეფის ადგილზე სპარსელი *„მარზპანი“* /„მმართველი“, „გამგებელი“/ დასვეს.

ომები სპარსელებსა და ბიზანტიელებს შორის კი ისევ გრძელდებოდა. ქართველები ბიზანტიელთა „მოკავშირეობას“ და „მეგობრობას“ კვლავ არ ღალატობდნენ.

მეშვიდე საუკუნის დამდეგს, ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ბიზანტიის ახალმა კეისარმა *ჰერაკლემ*, პირველი წარუმატებლობის შემდგომ, ქართველების გარდა ახალი მოკავშირე გაიჩინა. ეს იყო ჩრდილოკავკასიელ ხაზართა ხაკანი /ბელადი/, სახელად *ჯიბღუ*.

ტფილისში მაშინ სპარსელთა ციხიონი იდგა.

და, წამოემართნენ საქართველოს გულისაკენ: დასავლეთიდან ბიზანტიელნი და ჩრდილოეთიდან ხაზარნი.

იდგა 626 წელი.

დერბენდის კარიბჭეთა გადმოლახვისა და ალბანეთის საშინლად აოხრების შემდგომ, ხაზარები პირველად შემოიჭრნენ ქართულ სამანებში. შემოიჭრნენ და „გარს შემოადგნენ მშვენიერს, მდიდარსა და სახელგანთქმულ დიდ ქალაქ ტფილისს“.

ტფილისთან ჰერაკლე კეისარი შეეგება ჯიბღუ-ხაკანს. ერთმანეთს გადაეხვივნენ მოკავშირენი, კეისარმა ხაკანს თავზე საკუთარი გვირგვინი დაადგა, თავის შვილად გამოაცხადა, ქალიშვილის სურათიც აჩვენა და სიძობასაც შეჰპირდა. ჯიბღუ, მისი ძე შათი და მათი თანაშემწე სარდლებიც ძვირფასი საჩუქრებით აავსო ჰერაკლემ. ერთად ინადიმეს ბიზანტიელებმა და ხაზარებმა. მერე ტფილისის საიერიშო თათბირს ჩაუჯდნენ ხაკანი და იმპერატორი.

ეს ის დრო იყო, როცა ქართულ სულსა და მკლავს ისევ გაეგამარჯვნა და ქართლში სპარსული „მარზპანობა“ ქართულ „ერისმთავრობას“ შეეცვალა. მეშვიდე საუკუნის დამდეგს, უკვე პირველი *ერისმთავარი* განაგებდა ქართლს ტფილისიდან, სახელად - *გუარამ ბაგრატიონი*, „კაცი მორწმუნე და

მაშენებელი ეკლესიათა“. სწორედ გუარამმა დაიწყო მშენებლობა სახელოვანი ჯვრის მონასტრისა და მანვე „განაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა“.

ხოლო, ხაზართა და ბიზანტიელთა შემოსევის ჟამს, გუარამი აღარ იყო ცოცხალი, მის ნაცვლად ერისმთავარი იყო და ტფილისს დამცველად უდგა ძე მისი - *სტეფანოზ*.

ტფილისის დამცველ ქართველთა და სპარსელთა ძალები შეაერთა სტეფანოზმა და შეეგება ყოველის მხრიდან მოიერიშე მძვინვარე მტრებს. რამდენიმე დღე გაგრძელდა ხოცვა-ჟლეტა ქალაქის კედლებთან. ბოლოს, ტფილისის მთავარ კარიბჭეზე რჩეული ჯარები მიუშვეს ჰერაკლემ და ჯიბღუმ. დიდხანს აკავებდა მათ გააფთრებულ შეტევებს ლომებრ მებრძოლი სტეფანოზი. შორიდან ჯგროდ ნასროლი გმურებით შეუნგრიეს გულისფიცარი. ცხენიდან უსულოდ გადმოეშვა გმირი ერისმთავარი, რომელმაც არ იცოდა შიში არცა კაცისა, არცა სატანისა, არცა სიკვდილისა.

ბიზანტიელები და ხაზარები ტფილისში შეიჭრნენ.

ქალაქის დამცველებმა კალას-ციხეს შეაფარეს თავი.

გაძალიანდა კალა. დღე და ღამე შეუსვენებლივ მიჰქონდათ იერიშები მოალყეებს. საგორავ-საიერიშო ტარანებს ამაოდ სცემდნენ ციხის კედლებს, ლოდსაც უსაზმნოდ უშენდნენ ლოდსატყორცნებით.

ურყევად იდგა კალა. ურყევი სულიერი მხნეობით იდგნენ მისი დამცველნი. ციხის კედლებზე არხეინად დასეირნობდნენ ქართველი მეციხოვნენი. მოალყე მტრებს სიცილს აყრიდნენ, თავს ლაფს ასხამდნენ.

ციხის უმაღლეს გოდოლზე უზარმაზარი გოგრა გამოაგორეს, ზედ ხატი ეხატა დიდი თავით, ბრტყელი პირისახით, წინ წამოყრილი ყვრიმალებით. გამოაგორეს, ისარს უშენდნენ და ხაზარებს ჩამოსძახოდნენ სიცილ-ხარხარით: - აი, თქვენი ჯიბღუ- ხაკანი, თაყვანი ეცით, თაყვანი ეცით ჯიბღუ-ხაკანსო!

სიშლეგემდე მიდიოდნენ ხაზარები.

არც წვეროსანი იმპერატორი დაუტოვებიათ ტფილისელებს გულდაწყვეტილი. მთელი ქალაქის გასაგონად გადმოსძახოდნენ ბიზანტიელებს: თქვენს კეისარ ჰერაკლესა თხის წვერი და ვაც-ბოტის კისერი აქვს! შეხედეთ და ეთაყვანეთ თქვენს თხა-ხელმწიფეს, ბიზანტიელნო!

ერთ ხანს ითმინა ჰერაკლე კეისარმა, მერე ღვთისმეტყველებაში კარგად გაწაფულმა იმპერატორმა ბიბლია მოატანინა, გადაშალა „წიგნი დანიელისა“ და შიგ ეს ადგილი ამოიკითხა: „მოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსროს რქანი ვერძისა აღმოსავლეთისანი“.

წელიწადი იწურებოდა. ტფილისის აკროპოლისის აღებას კი საშველი არ დაადგა. კეისარმა ალყის მოხსნა ბრძანა. ბიზანტიელები და ხაზარები ტფილისს გაშორდნენ. ჰერაკლე და ჯიბღუ ასე შეთანხმდნენ: თვითონ კეისარი სპარსეთის დასალაშქრავად წავიდა, ხოლო ხაკანი მომდევნო გაზაფხულს კვლავ შემოესეოდა ტფილისს თავისი ხაზარული ჯარებით.

მართლაც, 627 წლის დამდეგს - მაშინ, როცა კეისარი უკვე სპარსეთში ლაშქრობდა, ხაზართა ურდო ხელახლა შემოესია ქართლის მიწა-წყალს. ამჯერად ხაზარებს მოუძღოდა შათი, ძე ჯიბ-ღუ-ხაკანისა.

მამის დამარცხებისა და გამასხარავებისთვის შურისგებით აღვსილი შათი მიეჭრა ტფილისს. ორი თვე იგერიებდნენ ტფილისელები ურიცხვ მომთაბარეთა გამხეცებულ იერიშებს. ხოლო, როდესაც „ძველ მხნე კაცთაგან ქალაქს შიგნით აღარავინ დარჩა“, ტფილისი დაეცა.

თავი აიხსნა ხაზართა ველურმა სტიქიონმა. საქართველოს სატახტო იძარცვებოდა, ინგრეოდა, იჟლიტებოდა, სისხლის მორევში იძირებოდა, გვამებით იხერგებოდა; ზეცას აძრწუნებდა ბავშვთა წიაქი, „უთვალავ ცხვართა ბღავილივით“ გაისმოდა ქალთა გოდება. საშინელი იერემიადა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა ქალაქში „ცოცხალთაგან აღარავინ დარჩა“; როცა მტერი დარწმუნდა, რომ „მახვილი მათი სრულად გაძღა სისხლისთხევისგან“.

დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ მძარცველებმა. ოქრო-ვერცხლით სავსე ლარები, მარგალიტებით დატვირთული სამკაულნი და ჭურჭლეულნი, ვერცხლისა და ოქროს სასმურნი, ოქროს ქანდაკნი. ავზნიანად მოცინარი ბელადის წინაშე ბორცვებად ახვავებდნენ ძვირფას ნაალაფარს. შათი ჯიბღუს ძეს თვალი დაეღალა და მოწყენილობაც კი მოერია უთვალავი საუნჯის ხილვით!..

მერე დასხდნენ სანადიმოდ. ხის ვარცლებიდან წვენს თქვლეფავდნენ, წვირიანი და სისხლიანი ხელით ხორცს

იზღმურძლებოდნენ, ოქროს ყანწებიდან ღვინოს ეწაფებოდნენ და ქართული ღვინით ილეშებოდნენ, ქართველთა სისხლით გალეშილნი...

ხაზარები ხაზარეთს გაბრუნდნენ. ქართულ მიწა-წყალზე ბიზანტიელთა სუვერენიტეტი დარჩა, მაგრამ იგი სავსებით ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ეგრისის მეფეები ბევრს აღარაფერს ეკითხებოდნენ ბიზანტიის კეისრებს. ქართლის ერისმთავრებიც თავისთავადი პოლიტიკით განაგებდნენ თავის ქვეყანას. ისინი ისევ ფორმალურ ინსიგნიებსა და საპატიო ტიტულებს ღებულობდნენ კონსტანტინოპოლიდან: „კურაპალატი", „მაგისტროსი", „ჰიპატოსი", „პატრიკიოსი", „სტრატეგოსი"...

ტფილისისათვის ბრძოლაში სტეფანოზის დაღუპვის შემდეგ, ქართლის ერისმთავარი გახდა *ადარნასე*, რომელმაც დაასრულა მცხეთის ჯვრისა და ტფილისის სიონის მშენებლობა.

ადარნასეს გარდაცვალების შემდგომ, მისი ძე სტეფანოზი გახდა ერისმთავარი ქართლისა. ამა *სტეფანოზ მეორის* დროს, VII საუკუნის 40-იან წლებში, მთელი მსოფლიო შეარყია ახალ დიდ დამპყრობთა გამოჩენამ.

ესენი არიან არაბები, მუსლიმნი, ანუ მაჰმადიანნი, ისლამის სჯულისანი.

ქართველები და არაბები

640 წელს არაბებმა სომხეთი დაიპყრეს. ორი წლის შემდგომ არარატის ველიდან სამ ნაკადად წამოემართნენ საქართველოსკენ.

ქართველებიც სამ წყებად დაუხვდნენ, სამგანვე სძლიეს და გააქციეს.

ეს აქამდე „დაუმარცხებელ არაბთა" პირველი დიდი დამარცხება იყო.

654 წელს მეორედ წამოემართა საქართველოსკენ არაბთა უთვალავი მხედრობა. ქართველებმა ამჯერად ხარკის გადახდა იკისრეს და სისხლისღვრა თავიდან ამით აიშორეს.

ორი წლის შემდგომ ქართველებმა არაბებს ხარკის ძლევა შეუწყვიტეს. ქართველებს სომხებმა და ალბანელებმაც მიბაძეს.

კვლავ დაიძრა ამიერკავკასიისაკენ არაბული მხედრობა.

ოცი წელიწადი გაგრძელდა სისხლიანი ხმალთაკვეთებანი.

686 წელს სომხები აუჯანყდნენ არაბებს. სომხებს ქართველები მიეშველნენ, *ნერსეს* სარდლობით. ქალაქ დვინთან ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს და აოტნეს არაბნი.

735 წელს *მურვან* სარდალი შემოუძღვა უზარმაზარ არაბულ მხედრობას. გაუგონარი სისასტიკით და მძვინვარებით მოედვნენ დამპყრობელნი ამიერკავკასიის სოფელ-ქალაქებს.

სომხებმა მურვანს სისასტიკისთვის „ამაოხრებელი" /„ავარანშარ"/ დაარქვეს, ხოლო ქართველებმა - „ყრუ".

სომხეთის, ქართლისა და მესხეთის აოხრების შემდეგ, ზეკარის გზით, დასავლეთ საქართველოსაკენ წამოემართა მურვან ყრუ.

ფერსათის მთაზე, ხანისწყალზე ჩამოსასვლელთან, არაბთა მეწინავე მხედრობას წინ გადაეღობა ქართველთა ჯარი, რომელსაც არგვეთის /იმერეთის/ მთავრები, ძმები *დავით* და *კონსტანტინე მხეიძენი* მიუძღოდნენ. ქართველებმა სასტიკი ხმალთაკვეთებით მტერი დაამარცხეს, „აოტნეს, განაბნიეს და ურიცხვი მოსრეს".

გამძვინვარებულმა მურვან ყრუმ მთელი ძალები დასძრა, „ვითარცა ქვიშაი სიმრავლითა".

მოედვნენ სარკინოზნი /არაბნი/ იმერეთს ცეცხლით და რკინით.

დავითი და კონსტანტინე პარტიზანული ომის გზას დაადგნენ. მტერს უსაფრდებოდნენ და მოულოდნელი, მფრინავი თავდასხმებით ავიწროებდნენ. მერე, რომელიღაც ხევში არაბებმა მაინც მოახერხეს ერთ მუჭა გმირთა სალტეში მოქცევა. ქართველებმა ხმლები იშიშვლეს, ქარქაშები დალეწეს და მტერს შეებნენ. ბევრი დამპყრობლის სისხლი დაიქცა,მაგრამ მაინც აღესრულა მურვან ყრუს ბრძანება: დავითი და კონსტანტინე ცოცხლად შეიპყრეს და ქუთათისში მდგარ სარდალს მიჰგვარეს. მურვანის ბრძანებით, ძმები სასტიკად აწამეს და დილეგში ჩაყარეს.

ათი დღე-ღამე მშიერ-მწყურვალნი ეყარნენ. მერე შეუთვალა არაბთა მბრძანებელმა სიკვდილზე მიყენებულ გმირებს: მე პატივს ვცემ თქვენს ვაჟკაცობას და გთავაზობთ უარი თქვათ ქრისტიანობასა და ქართველობაზე; სანაცვლოდ მიიღეთ ისლამის რჯული; უკეთუ ასე მოიქცევით, მოგიძღვნით დიდ პატივს, საჩუქრებსა და დიდ თანამდებობებს, ხოლო უკეთუ არ შეისმენთ, სასტიკი წამებით სიკვდილი არ აგცდებათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე უყოყმანოდ უპასუხეს გმირებმა: არ არსებობს ძალა, რომელიც ხელს აგვაღებინებს ჩვენს რჯულზე და ქართველობაზეო, ჩვენ მზადა ვართ ჩვენი ქვეყნისთვის თავი მივცეთ შიმშილს, წყურვილს, ცეცხლსა და წყალს, ლახვარს და ხმალსო.

გაცოფებულმა მურვანმა ჯალათები მიუსია გმირ ძმებს, რიონის პირას ხეზე დაჰკიდეს და ხელკეტებით სიკვდილამდე სცემეს, მერე მოხსნეს, ხელ-ფეხი მჭიდროდ შეუკრეს, კისერზე მძიმე ლოდები დაჰკიდეს და მდინარეში ჩაჰყარეს.

იმ დღესვე მურვანმა არაბთა ბანაკი აჰყარა და ქუთათისიდან დასავლეთისაკენ წარემართა.

ქართველებმა დავითი და კონსტანტინე რიონიდან ამოასვენეს და მდინარე წყალწითელას ხევში ღრმად ჩაჭრილ მაღალსა და კლდოვან ყელზე დაკრძალეს.

ამიერიდან ამ ადგილს, სადაც ესვენენ ძმანი მოწამენი, ეწოდა *„მოწამეთა“*. სამასი წლის შემდგომ, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მეფე ბაგრატ მესამე ახალ ეკლესიას ააშენებს და იქ გადაასვენებს წამებულ გმირთა წმიდა ნეშთებს.

დავითი და კონსტანტინე ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა.

ზეობა არჩილ პირველისა



ქუთათისიდან წასული მურვან ყრუ სამეგრელოს შეესია. იგი მისდევდა ქართლის ერისმთავარს *სტეფანოზ მესამეს*, რომელიც შვილებით ლტოლვილი იყო ქართლიდან. სტეფანოზი მოულოდნელად გარდაიცვალა; შვილებმა - *მირმა* და *არჩილმა* მამა ციხე-გოჯს დაკრძალეს და თვითონ აფხაზეთს მიაშურეს.

არაბებმა ჯერ ციხე-გოჯი აიღეს და დაანგრიეს. იქიდან მურვან ყრუ *ცხუმს* /სოხუმს/ მიადგა, ისიც აიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაანგრია. მერე ანაკოფიას მიაშურა, სადაც თავს აფარებდნენ ქართველი უფლისწულები.

მირი და არჩილი მცირეოდენი მხედრობით ფიცხლავ გამოუხდნენ და შეებნენ არაბთა ლაშქარს.

ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით გათავდა. ოღონდ მირი დაიჭრა მაზრაკით ფერდში.

ქართველთა გამარჯვებით გახარებულმა კეისარმა კონსტანტინოპოლიდან სამეფო გვირგვინი და სკიპტრა გამოუგზავნა მირს.

მარცხნაჭამი მურვან ყრუ აფხაზეთიდან უკუიქცა და ისევ ციხე-გოჯის მახლობლად დასცა ბანაკი. აქ საშინელი კოკისპირული წვიმა და ქარიშხალი დაატყდა თავს. მდინარენი ადიდდა, ბანაკი წალეკა, მრავალი მეომარი, ცხენი და აღალ-ფორანი წაართვა ნიაღვარმა არაბთა სარდალს. სამეგრელოდან ძლივს გააღწიეს, გურიას შეესივნენ, ააოხრეს, მერე აჭარა და სპერი იავარჰყვეს. სპერიდან სომხეთს შეიჭრა მურვანი...

ქართლის მეფედ გამოცხადებული მირი ანაკოფიის ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან დასნეულდა და გარდაიცვალა.

ქართლის ტახტი დაიჭირა მირის მომდევნო ძმამ, *არჩილმა*. *არჩილ პირველი* თორმეტი წელიწადი ქუთათისში იჯდა და თავს სრულიად საქართველოს მეფედ თვლიდა, მაგრამ ქართლი მაინც არაბეთის მოხარკე ქვეყანა იყო. ტფილისში არაბი ამირა იჯდა, ძლიერი არაბული ციხიონით. ამირა ქართველი ერისმთავრებისგან ხარკს ღებულობდა და ომის საჭიროებისას ქართული მხედრობაც საომრად გაჰყავდა. არაბული ხარკი ორნაირი იყო: ჯიზიათი /საკომლო/ და ხარაჯა /საადგილმამულო/.

არჩილი ქართლში გადავიდა და აოხრებული ქვეყნის აღდგენა-აშენებას ჩაუდგა სათავეში.

ერთხანს, თითქოს მშვიდობიანობა დამკვიდრდა ქვეყნად. არაბთა ამაოხრებელი ლაშქრობებიც შეწყდა. სარკინოზები თითქოს შეურიგდნენ, რომ მათი ფაქტიური ბატონობა საქართველოში ტფილისისა და მცხეთის გარეთ არც ვრცელდებოდა. კახეთი, მთიანეთი, ეგრისი, აფხაზეთი და სამცხე-ჯავახეთი არაბთა ბატონობას არც კი ცნობდნენ.

მერვე საუკუნის სამოციანი წლების მახლობლად, არაბთა მორიგი მარბიელი ლაშქრობა მოეწყო ამიერკავკასიაში. სომხეთის აოხრების შემდგომ, ქართლში შემოიჭრნენ ცეცხლით და რკინით. არჩილმა მშვიდობიანი გზით სცადა ქვეყნის გადარჩენა. არაბთა სარდალმა ქართველი მეფე ჯერ ცბიერი ლიქნობით მიიღო, მერე ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადიანობაზე გადასვლა მოსთხოვა, ხოლო, როცა ამაზე ცივი უარი მიიღო, შეიპყრო და თავი გააგდებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზართა სარძლო

არჩილს დარჩა ოთხი ასული და ორი ძე - *იოვანე* და *ჯუანშერი*. იოვანე დედისა და ორი დის თანხლებით ეგრისს გადავიდა, ხოლო ჯუანშერმა დანარჩენი ორი დაი დაიტოვა და ქართლ-კახეთის „მეფედ“ დარჩა.

ჯუანშერის უმცროსი დაი, სახელად *შუშანი*, გასაოცრად ლამაზი და მომხიბლავი ქალი იყო. მისი სიმშვენიერის ამბავი შორეულ ხაზარეთშიც შეეტყოთ და ხაზართა ხაკანს გადაეწყვიტა კიდეც შუშანის ცოლად შერთვა. ხაკანმა ჯუანშერს მოციქულიც გამოუგზავნა, დამოყვრება შემოსთავაზა და სამაგიეროდ არაბების წინააღმდეგ დახმარება აღუთქვა.

ჯუანშერმა დედასთან და დასთან ითათბირა. ხაზართა ძლიერი ხელმწიფის კავშირი და თანადგომა ძალიან მომხიბლავად გამოიყურებოდა, მაგრამ სარწმუნოებრიობამ მაინც თავისი გაიტანა. უმჯობესია ასე ულონოდ ვიქნეთ და დახმარება მხოლოდ ქრისტიან ბიზანტიელებს ვთხოვოთ, ვიდრე ქალი წარმართ ხაზარს გავატანოთო. თვითონ შუშანმაც გადაჭრით თქვა უარი ხაზარეთში გათხოვებაზე.

როგორც ეტყობა, ხაზართა მბრძანებელს ისედაც მონატრებოდა ამიერკავკასიის მორიგი დარბევა და მოოხრება, საბაბად - ქალზე უარის თქმა, სავსებით საკმარისად ჩათვალა.

და, 764 წელს, ხაკანმა უზარმაზარი ხაზარული ურდო გამოგზავნა სარდალ *ბლუჩანის* წინამძღოლობით.

ჯუანშერი კახეთის ციხესიმაგრეებით დაუხვდა მტერს.

ხაზარებიც ჩვეული სისასტიკით და ურჯულობით მოედვნენ კახეთის სოფლებს და ქალაქებს. რამდენიმე დღის ალყისა და იერიშის შემდეგ, ბლუჩანმა აიღო ციხესიმაგრე, რომელსაც თავს აფარებდა ჯუანშერი, შუშანთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან ტფილისს მიადგა ბლუჩან, არაბი ამირა დაამარცხა, ქალაქი აიკლო, მერე სომხეთიც ააოხრა და ჩრდილოეთისაკენ გამობრუნდა.

გახარებული მიუძღოდა ბლუჩან ხაზარი ნაძარცვით დატვირთულ ურდოს. უძვირფასესი ტყვეებიც მიჰყავდა მბრძანებელი ხაკანისათვის - ქართველთა მეფე ჯუანშერი და დაი მისი, უმშვენიერესი ქართველი ქალი შუშან.

დარიალს რომ მიაღწიეს, შესვენება ითხოვა ხაზართა სარძლომ.

ხაზარებმაც კარვები დასცეს.

შუშანმა ძმა გაიხმო და გაინაპირა.

ბლუჩანი ხედავდა, საშიში არაფერი ჩანდა, - და-ძმა მშვიდად საუბრობდნენ რაღაცას; გაქცევაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო, ხოლო სხვა რა საშიშროებაზე უნდა ეფიქრა ხაზარს.

ხოლო, შუშანი ჯუანშერს ეუბნებოდა, სავსებით მშვიდად და სიტყვაშეუქცევლად:

„მისმინე ძმაო, მე მირჩევნია მოვკვდე შეურცხვენლად და ქვეყნისთვის წამებულ ქართველ ქალად, ვიდრე გავხდე წარმართთაგან შეგინებული და, იცოდე, ხელი არ შემიშალო, ძმაო! მე ახლავე უნდა მოვკვდე, ამ წუთს, რამეთუ აქვე მშობლიური მიწაც თავდება!“

ხელზე ოქროს ბეჭედი ჰქონდა შუშანს, დიდი საფირონის თვალით, „ხოლო თუალსა მას ქვეშე წამალი სასიკვდინე“.

და, უცებ ქალი პირით მისწვდა ბეჭედს, თვალი ამოაგდო და ამოსწოვა საწამლავი იგი.

და, ძმის ხელებზე დაეცა მკვდარი.

ხაზარებს, მრავალთა მკვლელებს და მკვდართა მხილველებს, ჯერ არასოდეს ასეთი ლამაზი მკვდარი არ ეხილათ.

იქვე დაკრძალეს, ქართული მიწის მიწურულს.

ბლუჩანს კი ისღა დარჩენოდა, ჯუანშერს გაფრთხილებოდა, ვინძლო იგი მაინც მიეგვარა ცოცხლად თავის მბრძანებლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაზღვროდ შეწუხდა ხაკანი, როცა ბლუჩანმა მხოლოდ ჯუანშერი მიჰგვარა და შუშანისა მხოლოდ სიკვდილი უამბო. ცოფები ჰყარა - რატომ მკვდარი მაინც არ მომიყვანე, მკვდარი მაინც მეხილა სილამაზე ჩემგან დანიშნული ქართველი ქალისაო!

და ბრძანა რისხვით ატანილმა ხაკანმა სიკვდილი მისი გაუფრთხილებელი სარდლისა.

და, „შეიპყრეს ბლუჩან და მოაბეს ყელსა საბელი, და განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა იმიერ და ამიერ, და მოსწყვიდეს თავი ბოროტად“.

თვითონ ჯუანშერი შვიდი წელიწადი დაიტოვა თავისთან ხაზართა ხაკანმა. ხოლო, შვიდი წლის შემდგომ, ისევ საქართველოში გამოუშვა დიდძალი ძღვენით დატვირთული.

კონსტანტი კახი

მერვე საუკუნე მიწურულიყო.

არაბული მბრძანებლობა მხოლოდ ტფილისსა და მის შემოგარენს ჩაჰფრენოდა, ქართველებთან ხანგრძლივ ნაომარ-ნაცვეთი ბრჭყალებით. დანარჩენი - უმეტესი საქართველო, სარკინოზული ბატონობიდან დამოუკიდებლად იჩემებდა თავს.

უკვე ჩამოყალიბებულიყო *ოთხი* დამოუკიდებელი ქართული სამთავრო: *კახეთი, ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთი* /დასავლეთი საქართველო/.

ყოველი მათგანი ერთდროულად იბრძოდა უცხოელთა უღლის დასამხობადაც და საქართველოში ჰეგემონობისთვისაც.

852 წელს, ხალიფა მუთავაქილმა ავჯანყებით ცეცხლმოდებულ ამიერკავკასიაში 30 000-იანი არმია გამოგზავნა. არაბულ მხედრობას სათავეში უდგა „თურქი მონა“, სახელად *ბუღა*, უკიდურესად სისხლმოყვარე და კაცთმოძულე მხედართმთავარი.

ბუღა თურქი ჯერ სომხეთში შეიჭრა და საშინელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღა. სომეხთა გმირული ბრძოლა ამაო გამოდგა. სარკინოზებმა ავჯანყება ჩაახშეს, ავჯანყების ბელადები შეიპყრეს და ბაღდადს გაგზავნეს.

სომეხთაგან „ზღვის ვეშაპად“ მონათლულმა ბუღამ 853 წელს თავისი უზარმაზარი მხედრობა საქართველოს შემოუსია.

ტფილისის არაბი ამირა, *საჰაკ ისმაელის ძე*, ხალიფას გასდგომოდა და მისთვის ხარკის გადახდაც შეეწყვიტა. ბუღამ

ტფილისზე საიერიშოდ მიუშვა ჯარები. არაბები ტფილისში შეიჭრნენ, ამირა საჰაკ ისმაელის ძე შეიპყრეს და, ბუღას ბრძანებით, თავიც გააგდებინეს.

ტფილისი სავსებით გადაწვეს სარკინოზებმა.

50 000 ტფილისელი გაწყდა მაშინ, 853 წლის 5 აგვისტოს, შაბათ დღეს.

ტფილისიდან კახეთისკენ დაიძრა ბუღა თურქი; შეესია, გაძარცვა და გააპარტახა სოფლები, გამორეკა ტყვეები.

ტყვეთა შორის იყო ერისთავი *კონსტანტი კახი*, დიდად სახელგანთქმული მამულიშვილი, იმჯერად 85 წლის მოხუცი. კონსტანტისთან ერთად შეპყრობილი იყო ძე მისი *თარხუჯ*.

შეპყრობილი მამა-შვილი ხალიფას გაუგზავნა ბუღა თურქმა, სატახტო ბაღდადს.

ხალიფა *მუთავაქილმა* ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადის რჯულის მიღება უბრძანა კონსტანტის.

მოხუცმა ქართველმა ცივი უარი სთქვა.

ხალიფა დაემუქრა: „უკეთუ არა ისმინო ჩემი, სიკვდილითა მოჰკვდე შენ პირითა მახვილისაითა, და ხორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა, და ვინ არს, რომელმან განგარინოს შენ ხელთაგან ჩემთა!“

- შენს ხელს მხოლოდ ჩემი სხეული არისო და არა სული, - უპასუხა ქართველმა, - ამიტომ მე არ მეშინია შენი მახვილის და როგორც გენებოს, ისე მომექეციო.

განრისხებულმა მუთავაქილმა კონსტანტი კახი საპყრობილეში ჩააგდო და ორი გამაჰმადიანებული სომეხი შეუჩინა: იქნებ თქვენ შეასმინოთ და დაიყოლიოთ მაჰმადიანობაზე ეგ ქართველიო, მაგრამ ვერც ეს ქრისტიანი რენეგატები გახდნენ ვერაფერს. ვერც ცემამ და გვემამ გაჭრა.

853 წლის 10 ნოემბერს, პარასკევ დღეს, მთავარ კონსტანტი კახს და მის ვაჟიშვილ თარხუჯს, ხალიფას ბრძანებით, თავები დააყრევინეს.

იმდროინდელმა ქართველმა და სომეხმა ქრისტიანებმა კონსტანტი კახი წმინდა მოწამეთა სიაში ჩარიცხეს. ხოლო ბუღა თურქი კვლავ მძვინვარებდა საქართველოში.

კახეთიდან მთიულეთში ავიდნენ არაბნი. ცხავატამდის მიატანეს.

მთიულთაგან ბუღამ სამასი მძევალი აიყვანა და არაგვის კარის გახსნა მოითხოვა, რადგან ოვსეთში გადასვლასაც აპირებდა იგი.

მაშინ კლარჯეთიდან თხოვნა მიიღეს მთიულებმა: არასგზით არ გაუშვათ არაბები დარიალზე და არც სისხლადუქცევლად გამოუშვათ უკანო. იგივეს ითხოვდნენ სომხები სომხეთიდან.

მთიულებმაც „გაწირნეს მძევალნი“ და მათთვის ჩვეული შემმართებლობით შეებნენ მტერს.

ადამიანთა სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში ბუნებაც ჩაერია. დიდი თოვლი მოვიდა. ქართულმა მთებმა ყინვიანი საგები დაუგეს სამხრეთელ მტერს. სიცივისგან სახსრებდალეწილ სარკინოზებს ცხენებიც დაემშათ და დაეყინათ. პირუტყვი იელს ეტანებოდა, იწამლებოდა და იხოცებოდა. გაჩანაგებული და ჯანგატეხილი ჯარებით, ბუღა თურქი მთიდან ბარში ჩამოიხვეწა, საქართველო მიატოვა და ალბანეთში გადაიხვეწა.

გობრონი

914 წელს არაბებმა უკანასკნელად ილაშქრეს საქართველოში.

ხალიფას უზარმაზარ ლაშქარს მოუძღოდა სარდალი *აბულ ყასიმ აბუსაჯის* ძე.

ჯერ სომხეთი გაანადგურეს და გააოხრეს არაბებმა; მერე საქართველოში შემოიჭრა აბულ ყასიმი - „სპითა დიდითა და ურიცხვითა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა“.

ჯერ ტფილისში შევიდა აბულ ყასიმი. შემოეგება დიდის ამბით ტფილისის ამირა - *ჯაფარ ალის ძე*. ტფილისიდან კახეთს წარემართნენ სარკინოზნი. აიღეს უჯარმა, აიღეს ბოჭორმა. კახეთიდან ქართლს გადმოვიდნენ და უფლისციხეს მიაშურეს. ქართველებმა დაასწრეს და უფლისციხე თვითონვე დაანგრიეს. უფლისციხიდან სამხრეთისკენ დაეშვნენ და სამცხეს შეესივნენ არაბნი.

თმოგვის ციხეზე მიიტანეს იერიში, მაგრამ უსაზღვროდ შეიჭირვნენ. ვერაფერიც ვერ დააკლეს ცადაზიდულ თმოგვს და უკუიქცნენ.

ჯავახეთს ამოუყვნენ ძარცვა-რბევით და *ყველის ციხეს* შემოადგნენ გარს. „ვითარცა თოვლი“ - ურიცხვი არაბული თეთრი კარვებით დაიფარა ყველის ციხის შემოგარენი. მრავალი საიერიშო ფილაკავანნი, იარაღით დატვირთული აქლემნი იდგნენ ბანაკად სარკინოზთა, ხოლო „სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისართაი შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა“.

ოცდარვა დღე იგერიებდნენ სარკინოზთა გავეშებულ იერიშებს ყველის-ციხის დამცველნი.

მეციხოვნეებს სათავეში ჩასდგომოდათ ახალგაზრდა მხედარი *გობრონ*.

მტერიც და მოყვარეც განეცვიფრებინა გობრონის სიმამაცეს და სიმხნევეს. ციხის გარეთ გამოიჭრებოდნენ ხოლმე ქართველები გობრონის მოთავეობით, ხელჩართულში ჩაკაფავდნენ მტერს და ისევ კედლებს შიგნით გაუჩინარდებოდნენ.

მერე არაბებმა „განხურიტნეს კლდე და განარღვიეს ზღუდე“ და შეიჭრნენ ციხის შუაგულში.

ისევ გამოიჭრა წინ გობრონი. ფიცხელი შეტევით უკუაქციეს ქართველებმა მტერი და განდევნეს კვლავ ციხის გარეთ. არაბთა გვამებით გაივსო ციხე.

მცირე იყო ქართველთა მსხვერპლი, მაგრამ ეს „მცირე“ უმძიმესი და აუნაზღაურებელი იყო ისედაც მცირეთათვის.

იერიშები განაახლეს არაბებმა.

ღრუბლის სიხშირით წამოსულმა ისარმა კვლავ დააბნელა ზეცა.

ერთი მუჭა ქართველობა უკანასკნელად შეება ნიაღვრად მოვარდნილ მტერს.

აბულ ყასიმის ბრძანება იყო: მხოლოდ ცოცხლად მომგვარეთ გობრონიო.

უკანასკნელი ქართველთაგანნი, ვინც სიკვდილს გადარჩენოდა, სულ 133 კაცი, ცოცხლად შეიპყრეს სარკინოზებმა.

მათ შორის იყო გობრონი.

იგი ცალკე გაიყვანეს.

დანარჩენები წინ დაიყენეს ჩამწკრივებულმა არაბებმა.

წინ დაიყენეს და დათქმულ ნიშანზე ერთბაშად მიცვივდნენ - ზოგი მახვილით, ზოგი შუბით, ზოგი ისრით, ზოგიც დანით - ჩაკლეს, ჩახოცეს, ჩაკაფეს.

არც ერთ ქართველს არ დაუკვნესია, სიკვდილის კარზე არც ერთს პირიდან ღიმილი არ მოშორებია.

ხოლო, გობრონი აბულ ყასიმს წარუდგინეს.

და შეუჩნდა სარკინოზ-მაჰმადიანი ქართველ-ქრისტიანს: მებრალება შენი სიჭაბუკეო, მენანება შენებრ მამაცი მხედრის სიკვდილიო და, როგორც საყვარელ შვილს, გირჩევ დატოვო უგუნური ქრისტიანობა, რომელმაც შენს მოძმეებს ვერაფერიც სასარგებლო ვერ არგუნა. მიიღე ჩვენი მაჰმადიანობა, რომელსაც ყველა მორჩილებს ამ ქვეყანაზეო. უკეთუ დამიჯერებ და ისე მოიქცევი, როგორც გეუბნები - მე შენ მოგაგებ ყოველგვარ პატივს: სარდლობას, სასახლეებს, კარვებს, მონებს, აქლემებს, საჭურველს და იქნები უსაყვარლესი და უსაჩინოესი მთელს ჩემს მხედრობაშიო.

ქართველმა მაშინვე გადაჭრით თქვა უარი: მე ქართველად და ქრისტიანად დავიბადე და აღვიზარდეო; ამიტომ იცოდე, ვერც შენი უხვი დაპირებებით და ვერც ნელინელ წამებით ვერ მაიძულებთ ვუღალატო სამშობლოს და სარწმუნოებას ჩემსას!

გარეთ გაიყვანეს გობრონი. ერთდროულად აჩვენეს დაჩეხილი თანამოძმენი და აბულ ყასიმისგან აღთქმული სიმდიდრენი. იქნებ „შიშმან სიკვდილისამან ანუ შესაძინელმან კეთილისამან მოდრიკოს გული მისი“, - ებრძანებინა აბულ ყასიმს.

როცა უკანვე კარვად შეიყვანეს, ჰკითხა აბულ ყასიმმა: „რაი გამოირჩიე თავისა შენისა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე პირველადვე გითხარ შენ, არა მიდრეკად ქრისტეს უფლისა ჩემისაგან“, მტკიცე სიმშვიდით უპასუხა გობრონმა.

უკანასკნელ ღონეს მიმართა არაბთა სარდალმა ქართველი გმირის გასატეხად. მისი ბრძანებით, გობრონი გაიყვანეს და საგანგებოდ შემონახულ ქართველ ტყვეებს მის თვალწინ ჟლეტა დაუწყეს. ეცემოდნენ და ეხლებოდნენ განგმირულ თანამოძმეთა გვამები გობრონს, ქართველთა თავები გორავდნენ მის ფეხებთან, დახოცილთა სისხლი ენთხეოდა მის ტანსა და პირს. მაგრამ იდგა ვითარცა ქანდაკი, ნაცრისფერი და ნაცარივით ფერშეუცვლელი.

მერე თმაში ჩაავლეს ხელი. ქედი დაადრეკინეს და ორჯერ მსუბუქად სცეს მახვილი.

სისხლმა ითქრიალა გობრონის კისრიდან.

უცებ ხელი შეიღება თავისსავე სისხლში და სისხლით შუბლზე ჯვარი გამოისახა.

გაოცებულმა და გაოგნებულმა სარკინოზებმა ისევ მიჰგვარეს თავის მბრძანებელს გაკერპებული ქართველი.

უკანასკნელად მიმართა აბულ ყასიმმა: დამიჯერე, თავს ტყუილად ნუ იკლავ, მაგ წყლულებისგანაც გაგნკურნავ და აღთქმულ პატივსა და სიმდიდრესაც მოგაგებ, ოღონდ ქრისტიანობა განაგდეო.

„იქმოდე რაიცა გნებავს; მე ქრისტიანი ვარ და ქრისტიანადვე დავრჩები აწ და მარადის!“ - უკანასკნელად თქვა გობრონმაც.

გაიყვანეს და თავი გააგდებინეს.

სამი დიდი სამარე გათხარეს. სამ ნაწილად ჩააწვინეს ქართველები.

ერთ მათგანში იწვა გობრონი.

იდგა მაშინ 914 წლის 17 ნოემბერი.

ზეობა დავით კურაპალატისა



აბულ ყასიმის ლაშქრობა არაბთა უკანასკნელი ლაშქრობა იყო საქართველოში. ქვეყანა გათავისუფლდა უცხოელთაგან. მხოლოდ ტფილისელი ამირა ჩაკეტილიყო და ჩაკუმშულიყო ტფილისში, არაბული სამყაროსგან სავსებით მოწყვეტილი, მისგან ქართული სამყაროით გარშემორტყმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბულ ყასიმის წასვლიდან „გარდახდეს წელნი რაოდენიმე და მოეშენა ქუეყანა“.

საქართველო *„ახლად-შენების“*, აღზევებისა და ხელახალი *გაერთიანების* გზაზე იდგა. ისევ გაიზარდა ქართველთა როლი საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიაში. სამართლიანად წერს ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი *გელცერი*: ქართველები და სომხები მეათე საუკუნის დასაწყისიდანვე, „მსოფლიო-ისტორიული ვითარების ბატონ-პატრონები იყვნენ. ამ ერების მამაცმა და ჭკვიანმა შვილებმა მიაღწიეს ხელმძღვანელ მდგომარეობას აღმოსავლეთ რომის იმპერიის როგორც სარდლობაში, ისე მთავრობაში და ღირსეულადაც ეჭირათ იგი“. ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერიის “ყველა უმნიშვნელოვანესი სამხედრო თანამდებობა გამოუკლებლივ ქართველებსა და სომხებს ეჭირათ“.

ასეთ „მსოფლიო მოღვაწეებს“ მაშინ განსაკუთრებით სამხრეთი საქართველო - ტაო კლარჯეთი ზრდიდა.

ტაო-კლარჯეთს იმხანად სათავეში ედგა ჭეშმარიტად დიდი ხელმწიფე და მამულიშვილი *დავით III კურაპალატი* /961-1001 წწ/, კაცი „სავსე ყოვლითა კეთილითა“. მის შესახებ წერდა სომეხი ისტორიკოსი *სტეფანოს ტარონელი*: „დავით დიდი კურაპალატი ჩვენი დროის ყველა ხელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესივრობა აღმოსავლეთის ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში. მან ბოლო მოუღო ომებს, რომლებიც განუწყვეტლივ ფეთქდებოდნენ ყოველის მხრიდან და გაიმარჯვა გარშემო მცხოვრებ ყველა ხალხზე. ასე, რომ - ყველა ხელმწიფე თავის ნებით დაემორჩილა დავითს“.

ქართველი მეფე ბიზანტიის საქმეებშიც ერეოდა ფრიად აქტიურად. 979 წელს ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორს, *ბასილი მეორეს* ტახტის წართმევა დაუპირა აჯანყებულმა ფეოდალმა ბარდა სკლიაროსმა. იმპერიის მესვეურებმა დახმარება ქართველ მეფეს სთხოვეს. დავითმა 12000 ქართველი მხედარი გაგზავნა სახელოვანი სარდლის /იმჟამად საეკლესიო მოღვაწის/ - *თორნიკე ერისთავის* სარდლობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდინარე ჰალისის პირად გამართულ ბრძოლაში ქართველებმა/ გაანადგურეს სკლიაროსი და მისი ჯარები.

ტახტზე მკვიდრად დამჯდარმა ბასილ კეისარმა დიდი წყალობა გაიღო ქართველთა ღვაწლისათვის. 980 წელს, მისი ნებართვითა და დახმარებით, დიდმა საეკლესიო მოღვაწეებმა, ძმებმა *იოანემ* და *თორნიკემ* ააშენეს და განასრულეს სახელოვანი *ათონის ქართული სავანე*, სახელად - „ივერონ". აქ, დიდ ქართულ ლავრაში, დიდხანს ინახებოდა თორნიკე ერისთავის საომარი და ნაომარი საჭურველნი.

ამას გარდა, ბასილი კეისარმა დავით ქართველთა მეფეს რამდენიმე „ქუეყანა" აჩუქა მცირე აზიისა და საქართველოს შესაყარში, ზოგი ქართული და ზოგიც ქართული სამეზობლო: კარინი /ერზერუმი/, ბასიანი, ჰარქი, აპაჰუნიქი, ხალდო-არიჭის ციხე, სევუკის ციხე, კლისურას ციხე.

ამის შემდეგ, დავით მეფემ ილაშქრა სამხრეთით, ვანის ტბასთან აიღო ქალაქები *მანაზკერტი* და *ხლათი*, განდევნა იქიდან არაბები და ჩაასახლა ქართველები და სომხები.

საპასუხოდ ირანელმა ამირებმა 100 000-იანი არმია გამოგზავნეს, *მამლანის* სარდლობით. 998 წელს გამართულ დიდ ბრძოლაში, ქართველებმა *გაბრიელ ოჩოპინტრეს ძისა* და *ფერის ჯოჯიკის ძის* სარდლობით, სასტიკად დაამარცხეს არაბთა მხედრობა. ბევრმა ქართველმა ისახელა თავი ამ დღეს, მაგრამ განსაკუთრებით - მესხმა გმირებმა, ძმებმა *გამრეკელებმა*.

გაქცეულ მამლანსა და მის ლტოლვილ ლაშქარს ქართველებმა ხლათის არჭეშამდე მისდიეს ჩეხვით. მერე მობრუნდნენ და მტრის ბანაკსა და მდიდარ ნადავლს დაეპატრონენ.

დავით მეფის სამეფოს სამხრეთის საზღვრები ვანის ტბისა და ქალაქ ერზინკას /ერზინჯანი/ გასწვრივ დამკვიდრდა.

მაგრამ დავითს ერთის წუთითაც არ ავიწყდებოდა მისი უმთავრესი საზრუნავი:

გაერთიანება სრულიად საქართველოსი. თანაც, იგი მარტო არ იყო ამ სამამულიშვილო საქმისათვის ბრძოლაში. მას გვერდში ედგნენ იმ დროის გონგამჭრიახი, პატრიოტული გულმხურვალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღვსილი ქართველნი. ამათგან დიდებული მაგალითია *იოანე მარუშისძე*, ქართლის ერისთავი, „კაცი ძლიერი და ერმრავალი“. იგი დავით მეფეში საქართველოს გამაერთიანებელს ხედავდა და მასთან საამისო თანამშრომლობას ესწრაფოდა.

სწორედ ასეთი მამულიშვილების ღვაწლისა და მხარდაჭერის შედეგი იყო, რომ დავით III კურაპალატმა, მძიმე ბრძოლითა და შრომით, საქართველო გააერთიანა და საუკუნის მიწურულს - 978 წელს, *ქუთათისში*, მისგან ნაღვაწ, ახლად გაერთიანებულ საქართველოს ტახტზე დაჯდა *ბაგრატ მესამე ბაგრატიონი*.

კულტურის კატალოგი

მერვე საუკუნეში დაიწერა *იოანე საბანისძის* მოთხრობა „აბო ტფილელის წამებაᲐ“;

მეათე საუკუნეში - *გიორგი მერჩულეს* „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაᲐ“, *ბასილი ზარზმელის* „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაᲐ“, *სტეფანე მტბევარის* „გობრონის წამებაᲐ“, *იოანე-ზოსიმეს* „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

აშენდა შესანიშნავი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები:

მცხეთის სამთავრო, მცხეთის ჯვარი, ტფილისის სიონი, ტფილისის მეტეხი, ბოლნისი, ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, პარეხი, ბერთა, მინძაძორი, წყაროსთავი, ანჩი, იშხანი, ოშკი, ხახული, პარხალი, ბანა, კალმახი, ტბეთი, აწყური, საფარა, ზარზმა, თმოგვი, კუმურდო, კაცხი, მარტვილი, წალენჯიხა, ხობი, მოქვი, ბედია.

დიდებულ კულტურულ კერებად აღიმართნენ ქართული სავანეები და მწიგნობრული სათვისტომოები საზღვარგარეთ:

პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე, ათონის მთაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანკთა სახელმწიფო

V საუკუნეში - მაშინ, როცა საქართველოში მეფობდა ვახტანგ გორგასალი/ და, საერთოდ, ქართველობას თავისი სახელმწიფოებრიობით გამოევლო არანაკლებ ორი ათასი წლისა/, ევროპაში თავის სახელმწიფოებრიობას იწყებდა საფრანგეთი - თავდაპირველი სახელწოდებით, *ფრანკთა სახელმწიფო*, დასახლებული და დაარსებული გერმანული მოდგმის *ფრანკების* ტომისაგან.

დამაარსებელი და პირველი ხელმწიფე კი იყო *ხლოდვიგი* /481-511/. ლეგენდარული წინაპრის, *მეროვეის* /„ზღვისგან ნაშობი"/ შთამომავალი, საიდანაც წარმოსდგება სახელწოდება ამ პირველი სამეფო დინასტიისა - *მეროვინგების* დინასტია.

ხლოდვიგმა ძლიერი საომარი ლაშქრობებით, ზედიზედ დაამარცხა მეზობელ ტომთა ბელადები და თავისი ერთპიროვნული ძალაუფლების ქვეშ მოაქცია გალიის ანუ საფრანგეთის უდიდესი ნაწილი.

თავისი სახელმწიფოს სატახტო ქალაქად ხლოდვიგმა გამოაცხადა ქალაქი მდინარე სენაზე, სახელად - *პარიზი*.

496 წელს, ხლოდვიგი ოჯახით და თავისი სამხედრო გვარდიით ქრისტიანად მოინათლა და ახლო ურთიერთობა დაამყარა რომის პაპთან.

/მაშასადამე, საფრანგეთში ქრისტიანობა მკვიდრდება საქართველოს მონათვლიდან დაახლოებით 160 წლის შემდეგ/.

ხლოდვიგის სიკვდილის /511 წ./ შემდეგ, მის შვილთა და შვილიშვილთა ხელმწიფობისას, ფრანკებმა დაიპყრეს და შემოიერთეს გერმანული ოლქები: ბურგუნდია, ტიურინგია და ბავარია.

მომდევნო VII საუკუნეში კი, ფრანკთა სახელმწიფო დასუსტდა და ლამის ცალკე სამთავროებად დაქსაქსა შინა ომებმა.

მაგრამ ისევ გამოჩნდა ძლიერი მეფე ფრანკთა სახელმწიფოს ტახტზე - *კარლოს მარტელი* /715-741/.

მის გამეფებამდე ერთი წლით ადრე /714/ არაბები შემოიჭრნენ ევროპაში. დაიპყრეს მთელი ესპანეთი და უკვე ფრანკთა სახელმწიფოშიც შემოიჭრნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლოსიც დაუხვდა ფრანკთა ჯარით და 732 წელს, ქალაქ *პუატიეს* ახლოს გამართულ ბრძოლაში ფრანკებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს და უკუაქციეს შორეული აზიიდან უძლეველად მომდინარე არაბთა ლაშქარი.

კარლოსსაც მისიანებმა ამ გამარჯვებისათვის მაშინ შეარქვეს *„მარტელი“* /„ურო“/.

მეორედაც შეიჭრნენ არაბები ესპანეთიდან ფრანკთა მიწაზე, მაგრამ კარლოს „ურომ“ კვლავ დაამარცხა და უკუაქცია არაბები თავის ქვეყნიდან.

ასე, რომ კარლოს მარტელმა და მისმა ფრანკებმა იხსნეს არაბულ წალეკვისაგან დანარჩენი ევროპა. ესპანეთში კი რვაასი წელიწადი იბატონებენ არაბები /საქართველოში კი - ოთხასი წელიწადი/.

კარლოს მარტელის შემდგომ, მეროვინგებს „ზარმაცი მეფეები“ დაერქვათ. პირველი ამათგან იქნება თვითონ კარლოსის შვილი - *პიპინ მოკლე* /751-768/, თუმცა იგი წარმატებით ებრძოდა რომისაკენ მოიერიშე ლანგობარდებს. სწორედ პიპინ მოკლეს წყალობით მოხერხდა მაშინ რომის პაპის საეკლესიო სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

768 წელს, ფრანკთა სახელმწიფოს ტახტზე ადის *კარლოს დიდი*, სწორედ დიდი ხელმწიფე, რომელიც იმეფებს 46 წელიწადი /768-814/. მისივე სახელისგან, ხელმწიფობას იწყებს *კაროლინგების* დინასტია.

კარლოს დიდმა ორმოცდაათზე მეტი ლაშქრობით, შექმნა დიდი იმპერია, რომელშიც გალია-საფრანგეთის გარდა, შედიოდა მთელი გერმანია, ჩრდილოეთ იტალია და ესპანეთის ნაწილი მდინარე ებრომდე.

800 წელს კარლოს დიდი ეწვია რომს და წარუდგა რომის პაპს, რომელმაც იგი აკურთხა და შეამკო „რომის იმპერატორის“ ტიტულით.

ფრანკთა იმპერია, კარლოს დიდის სიკვდილის /814 წ./ შემდეგ, სწრაფად იშლება. კარლოსის ძისა და მემკვიდრის, ლუსტი ნებისყოფის მქონე *ლუი კეთილმსახურის* მეფობის დროს /814-840/, სახელმწიფო მოეცვა მუდმივ აჯანყებებს და შინა ომებს. მერე, ერთპიროვნული იმპერატორობისთვის ერთმანეთს დაერივნენ მისი შვილები - *ლოტარი, ლუი II ენამოტეხილი* და *კარლოს II მელოტი*. სამწლიანი ომის შემდეგ, 843 წელს, ძმებმა ვერდენში ზავი დადეს და იმპერიაც გაინაწილეს. განსაკუთრებით იმპერატორის ტიტულისთვის იკლავდნენ თავს და ლოტარს იმპერატორობა მაინც წაართვა კარლოს მელოტმა. შემდეგ, 880-887 წლებში, იმპერატორის ტიტულს ფლობდა *კარლოს სქელი*.

საერთოდ, ვერდენის ზავს მაინც დიდი სამომავლო მნიშვნელობა მიეცა: აქედან იწყება ჩამოყალიბება ევროპის ამ სამი მთავარი სახელმწიფოსი - საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიისა.

ბრიტანეთი და სკანდინავია

V საუკუნის დამდეგიდან რომაულმა ლეგიონებმა სამუდამოდ დატოვეს ბრიტანეთი, მაგრამ იმავე საუკუნიდან ბრიტანეთის კუნძულებზე სისტემატიურად იჭრებიან ჩრდილოდასავლეთ გერმანელი ტომები - ანგლები, საქსები, იუტები. ამგვარად, სამხრეთ ბრიტანეთი მთლიანად ანგლო-საქსური ქვეყანა გახდა. მხოლოდ დასავლეთით უელსი და ჩრდილოეთით შოტლანდია გადაურჩნენ ანგლო-საქსურ დაპყრობას და მათთან აღრევა-ასიმილაციას.

VI საუკუნეში, ანგლო-საქსებში ქრისტიანობაც გავრცელდა და დამკვიდრდა /მაშასადამე, საქართველოს გაქრისტიანებიდან, დაახლ. 300 წლის შემდეგ/.

პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება და გაძლიერება ბრიტანეთში უკავშირდება მეფე *ეკბერტის* ზეობას /802-839/.

პარალელურად, ამ ამბებისა, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე ძლიერდებიან *ნორმანი* და *დანიელი* ტომები, რომლებიც შეტევებს წარმართავენ ორი მიმართულებით: სამხრეთით -

ევროპისაკენ და დასავლეთით - ბრიტანეთისაკენ. დანიელებმა ჩრდილოეთ ევროპაში დაიჭირეს იუტლანდიის ნახევარკუნძული და აქვე, IX საუკუნეში, ჩამოყალიბდება სახელმწიფო - *დანია*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელებთან განსაკუთრებით ცხარე და ხანგრძლივი ბრძოლები გადაიხადა მეფე *ალფრედ დიდმა* /871-900/, რომელმაც ბოლოს და ბოლოს, შეძლო დანიელები მდინარე ტემზის სამხრეთით გადაერეკა. ამ ბრძოლებში ჩამოყალიბდა ინგლისური *რაინდობა*. ალფრედმა პირველმა შექმნა ინგლისური ფლოტიც, რომლითაც იგი იცავდა თავის ქვეყანას სკანდინავიიდან მოიერიშე ტომებისაგან.

ალფრედ დიდს ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ფრანკთა იმპერატორ კარლოს დიდთან.

/ალფრედ დიდისა და კარლოს დიდის თანამედროვენი საქართველოში იყვნენ: ტაო-კლარჯეთის მეფე ადარნასე II კურაპალატი და დასავლეთ საქართველოს მეფენი - იოვანე შავლიანი, ადარნასე შავლიანი და ბაგრატ I/.

გერმანია

უკვე მოხსენიებული ვერდენის ხელშეკრულების /843 წ./ ძალით, კაროლინგების იმპერიის აღმოსავლეთის მხარე ანუ საჰერცოგოები - საქსონია, ფრანკონია, შვაბია, ბავარია და, ბოლოს, ლოტარინგია - ერთიანდებიან ერთ სახელმწიფოდ, *გერმანიის* სახელწოდებით /საქართველოს *ერთიანი* სახელმწიფოს შექმნიდან დაახლ. 1400 წლის შემდეგ/.

გამაერთიანებელი კი, იყო საქსონიელი *ჰენრიხ I ფრინველთმჭერელი* /919-936/, რომელმაც წარმატებული ლაშქრობებით გააფართოვა თავისი სახელმწიფოს საზღვრები, განსაკუთრებით აღმოსავლეთით **(Drang nach Osten)**, ჯერ მდინარე ელბამდე, შემდეგ ელბის გადალახვით, სლავიანთა და უნგრელთა ტერიტორიების დაპყრობით. მაშინ დაიპყრეს გერმანელებმა ციხესიმაგრე *ბრანიბორი* და ახალ სახელად დაარქვეს *ბრანდერბურგი*.

ასევე აქტიურ საომარ დაპყრობით პოლიტიკას განაგრძობდა ჰენრიხ ფრინველთმჭერელის შემდგომ მისი ძე *ოტონ I* /936-973/, რომელმაც 955 წელს, მდინარე *ლეხაზე* სასტიკად დაამარცხა

უნგრელები და ამით საბოლოოდ აღკვეთა მათი შემოსევები გერმანულ მიწა-წყალზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნგრეთის დამორჩილების შემდეგ, ოტონ I წარმატებით ლაშქრობდა იტალიაშიც. 962 წელს, იგი რომის პაპმა *იოანე* XII იმპერატორად აკურთხა და მისი სახელმწიფოც „რომის საღვთო იმპერიად" გამოცხადდა.

/ჰენრიხ ფრინველთმჭერელის თანამედროვენი საქართველოში: ტაო-კლარჯეთის მეფე დავით II და დასავლეთ საქართველოს მეფე გიორგი II. ხოლო, ოტონ I-ის თანამედროვენი: ტაო-კლარჯეთის მეფე ბაგრატ II რეგვენი და დასავლეთ საქართველოს მეფენი - გიორგი II და ლეონ II/.

ბიზანტია, სპარსეთი, არაბეთი

ზემოთ უკვე ითქვა - რომის იმპერიის აღმოსავლეთი მხარე, დასავლეთის დაცემის შემდგომაც განაგრძობს არსებობას. საისტორიო მეცნიერებაში მისი სახელი *ბიზანტიის იმპერიაა*, თუმცა თვითონ ეს „ბიზანტიელები" იმ ძველ სახელს - „რომის იმპერიას" და „რომაელობას" არ ელეოდნენ. სახელმწიფო ენაც ჯერ, ძველებურად, ლათინური ჰქონდათ, მაგრამ მალე ლათინურს აქ, აღმოსავლეთში უფრო გავრცელებულ-დამკვიდრებული ბერძნულით შეცვლიან.

ამ დროს ირანში სპარსეთის სახელმწიფო მძლავრობდა, *სასანიდების* დინასტიის ხელმწიფობით.

ამიტომაც, აღმოსავლეთ რომის, ანუ ბიზანტიის იმპერატორებს, აზიაში ბატონობისათვის მუდმივი ომები უნდა ჰქონოდათ სწორედ სასანიდურ სპარსეთთან.

ასე, რომ - ბიზანტიის იმპერატორებს, იმ „ოქროს ჭიპიდან" /კონსტანტინოპოლი/ განუწყვეტელი ომები სჭირდებოდათ აღმოსავლეთით - აზიურ პროვინციათა დასანარჩუნებლად და დასავლეთით - რომის დასანარჩუნებლად და ყოფილი „რომის იმპერიის" აღსადგენად.

ეს მიზანდასახულებანი ნათლად გამოსჩანს იუსტინიანეს ხელმწიფობის ჟამს /527-565/. იგი წარმომავლობით სოფლელი გლეხი იყო, მაკედონიიდან. იყო უფრო ჭკვიანი, ვიდრე ნიჭიერი. დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანის ტანჯვა-წამება. იყო პატივმოყვარე

და მიზანსწრაფული - „იმპერატორი, რომელსაც არასოდეს არ სძინავს“ თავგამოდებით იღვწოდა იმპერიაში წესრიგისათვის და სამართლისათვის, სატახტო ქალაქის აღმშენებლობისა და გამშვენიერებისათვის. ცდილობდა, ყოველი ქვეშევრდომი დაერწმუნებია, თუ როგორ „გაუმართლ“ მას ბედმა იუსტინიანეს - ამ „ღვთისგან მოვლენილი“ ხელმწიფის დროს ცხოვრებით.

იუსტინიანეს მეუღლედ და დედოფლად დაესვა მისი „უზენაესად პატივცემული და კეთილშობილი“ *თეოდორა*, ცირკის დათვების მომვლელ-დარაჯის ასული, თვითონ ცირკის ჯამბაზი და მეძავეობითაც მეტად „პოპულარული“. მაგრამ, ვითარცა დედოფალი, თავის მეუღლე-იმპერატორთან ერთად, ან მასთან პაექრობით, დიდ როლს ასრულებდა იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

იუსტინიანეს ტახტზე ასვლისას ბიზანტიას საომარი მდგომარეობა ჰქონდა სპარსეთთან, რომელსაც იმჟამად სათავეში ედგა სასანიდების დინასტიის წარმომადგენელი *კავად I* /499-531/.

/სწორედ ამ კავად შაჰმა შემოუსია სპარსული ურდოები ვახტანგ გორგასალის დროინდელ საქართველოს. ვახტანგის შემდგომ კი, ქართლიც სრულად დაიპყრო და მის მმართველად სპარსელი „მარზპანი“ დასვა/.

კავად I-ის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთის ტახტზე დაჯდა მისი ძე, *ხოსრო I ანუშირვანი,* რომელთანაც ბიზანტიელებმა მომდევნო 532 წელს ზავი ჩამოაგდეს. მაგრამ იმ წელსვე თვითონ კონსტანტინოპოლში საშინელი სახალხო აჯანყება მოხდა, ლოზუნგით - „ნიკა!“, ანუ „იმარჯვებდე!“ აჯანყება ხუთი დღე გაგრძელდა და ბოლოს, იმპერატორის უკიდურესი სისასტიკით ჩახშობილ იქნა. სულ კონსტანტინოპოლში მაშინ 40000 სული ამოწყდა.

მომდევნო 533 წელს, იუსტინიანემ დასავლეთით საომარი ძალებით გაგზავნა თავისი სარდალი *ველიზარი*, რომელსაც უნდა განედევნა აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში შეჭრილი და დასახლებულ-დამკვიდრებული ვანდალები.

/ველიზარს ვანდალების წინააღმდეგ ლაშქრობაში თან ახლდა იბერიელი უფლისწული, *ფირან გურგენის ძე*, ბიზანტიის სამხედრო წრეებში უკვე სახელმოხვეჭილი პიროვნება/.

ბიზანტიელებმა ვანდალები სასტიკად დაამარცხეს და მათგან გაწმენდილი აფრიკის მიწები თავის იმპერიას შემოუერთეს.

535 წელს, ისევ ველიზარის მთავარსარდლობით, იუსტინიანემ

ისევ აფრინა საომარი ძალები დასავლეთისაკენ - ამჯერად იტალიიდან გერმანელების გასარეკად და „რომის იმპერიის“ სრულად აღსადგენად.

ველიზარს, ისევ მარჯვენა ხელად, თან ახლდა ფირან იბერიელი.

დაიწყეს სიცილიით. გაიმარჯვეს და გარეკეს იქიდან გერმანელები. აქ პირველ გმირად ისევ ფირან იბერიელი აღიარეს.

სიცილიიდან იტალიაში გადავიდნენ და ველიზარმა მეწინავე ჯარით რომისაკენ ფირან იბერიელი გაგზავნა.

ქართველი სარდალი რომს მიადგა, გერმანელებიც გამოეგებნენ დიდძალი საომარი ძალებით, მათი მეფის, *ვიტიგესის* წინამძღოლობით. ველიზარი და მისი მთავარი ძალები იგვიანებდნენ. მთელი წელიწადი, მარტიდან მარტამდე /537-538 წწ/ გაგრძელდა ჭიდილი გერმანელ მეფესა და ქართველ უფლისწულს შორის. ბოლოს, როგორც იქნა, ველიზარმაც მოატანა მთავარი ძალებით. სასტიკი ხმალთაკვეთება და - გერმანელები იძლივნენ და უკუიქცნენ, რომი უკვე ბიზანტიელთა ხელში იყო.

მომავალ 539 წელს, ველიზარს კიდევ ორი დიდი ციხე-ქალაქი ჰქონდა ასაღები - ურბიბენტუსი და ურბანუსი. პირველის წინააღმდეგ ფირან იბერიელი გაგზავნა, მეორეს თვითონ შეუტია. ბიზანტიელმა ალყითა და შიმშილით დაიპყრო ქალაქი, ქართველმა კი - ხმლით და იერიშით.

გერმანელები იტალიის დაკარგვას არ შეურიგდნენ და ახლა ნიჭიერი და მამაცი *ტოტილას* ბელადობით წამოემართნენ. ომი გაგრძელდა ოცი წელიწადი და გაიმარჯვეს ბიზანტიელებმა.

ახლა რომის იმპერია, მესოპოტამიიდან ჰერაკლეს სვეტებამდე, თითქმის, მართლაც აღდგენილი იყო, კონსტანტინოპოლის „ოქროს ჭიპით“ და იქვე „ღვთისგან თავის მოადგილედ გამოგზავნილი“ იმპერატორით.

რა ვუყოთ, რომ ხმელთაშუა ზღვაც - ერთ დროს „რომის ტბა“, ახლა „კონსტანტინოპოლის ტბად“ ქცეულიყო!

ტოტილა კი არ ისვენებდა. 542 წელს მან ისევ შემოუტია, თავისი გერმანული ლაშქრით, იტალიაში მდგარ ბიზანტიელებს.

ამ ახალ ბრძოლებში, ბიზანტიელთა მხრივ, ისევ გამოიჩინა თავი ქართველმა. ეს *ბაკურ ფირანის ძე იბერიელი* იყო /თვითონ ფირანი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო: ნადირობისას დალუპულიყო/.

552 წელს, ტოტილამ სამხრეთ იტალიაში ალყა შემოარტყა ქალაქებს - კროტონს და ტარენტუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუსტინიანემ ფლოტსა და ჯარს ბაკურ ფირანის ძე უსარდლა და იტალიაში გაგზავნა.

ქართველმაც ორივე იტალიური ქალაქიდან გერმანელები განდევნა და ორივეში ისევ ბიზანტიური გარნიზონები ჩააყენა.

ერთი სიტყვით, იუსტინიანე დასავლურ პოლიტიკას უფრო წარმატებით განახორციელებდა, ვიდრე აღმოსავლურს, სადაც სპარსეთის მეფე ხოსრო ანუშირვანი ზედიზედ ამარცხებს ბიზანტიელებს: 540 წელს სპარსელები სირიაში შეიჭრნენ და ანტიოქია დაიჭირეს; 541 წელს ეგრისში, პეტრა დაიჭირეს; 542 წელს, ევფრატის პირას, კომაგენა დაანგრიეს; 543 წელს ბიზანტიელები გაანადგურეს სომხეთში; 544 წელს ააოხრეს მესოპოტამია.

როგორც იქნა, 562 წელს, სპარსეთი დათანხმდა ხელი მოეწერა ოცდაათწლიანი ზავისათვის, რის საფასურადაც იუსტინიანე, ხოსროს უხდიდა დიდ ხარკს.

ეს იყო, რომ ამ ზავით ეგრის-კოლხეთი ეთმობოდა კვლავ ბიზანტიას.

მაინც პირველობდა ბიზანტიის იმპერია დედამიწაზე, სწორედ მსოფლიო სახელმწიფო მესოპოტამიიდან ატლანტიდამდე, საჰარის უდაბნოდან დუნაიმდე.

ამიტომაც ითქმოდა მაშინ: „იუსტინიანემ იხსნა და გადაარჩინა იმპერიაᲐ“.

იუსტინიანემ ქვეყნის შიგნით გაატარა იურიდიული და ადმინისტრაციული რეფორმები. შექმნა საგანგებო კომისია, *ტრიბონიანეს* მეთაურობით, ახალი იურიდიული კოდექსის შესადგენად და 529 წელს, კიდევაც გამოქვეყნდა განთქმული *„იუსტინიანეს კოდექსი“*, შემდეგ - *„დიგესტები“*, ანუ *„პანდექტები“* და სასწავლო-სახელმძღვანელო „იუსტიციები“.

იუსტინიანე ბევრს ზრუნავდა იმპერიის ეკონომიური ცხოვრების ასამაღლებლად. დიდ ყურადღებას აქცევდა ყოველ სიახლეს და უცხო ქვეყანათა გამოცდილებას. მის დროს, 557 წელს, პირველად გამჟღავნდა საიდუმლო აბრეშუმის წარმოებისა, ჩინეთიდან ორი ქრისტიანი ბერისაგან საიდუმლოდ ჩამოყვანილი აბრეშუმის ჭიების საშუალებით.

იუსტინიანე ბევრს ზრუნავდა ქრისტიანობის გასავრცელებლად და გასამტკიცებლად. 529 წელს მან ათენის განთქმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტიც კი დახურა, როგორც არაქრისტიანული ანუ „წარმართული განათლების“ კერა.

იუსტინიანეს ეპოქა დიდი ხუროთმოძღვრული აღმშენებლობის ეპოქაა. ამ მხრივ საკმარისია დასახელდეს სწორედ მისი თაოსნობით აგებული მსოფლიო ხელოვნების ძეგლი კონსტანტინოპოლში - *აია სოფია*, - წმიდა სოფიას ტაძარი.

565 წელს, 87 წლის ასაკში, იუსტინიანე გარდაიცვალა და მისი მომდევნო იმპერატორების - *იუსტინე* II-ის /565-578/, *ტიბერიუსის* /578-582/ და *მავრიკიოსის* /582-602/ დროჟამი - ეს არის იმპერიის დაცემის ხანა.

დაიწყო ლანგობარდების შემოსევით, 568 წელს, როცა ამ გერმანელმა ტომმა ნახევარი იტალია წაართვა კონსტანტინოპოლის საიმპერატორო ტახტს. აღმოსავლეთშიც, სპარსეთთან ომი თითქმის ოცი წელიწადი გაუგრძელდა ბიზანტიას და, ბოლოს, 591 წელს, ძლივს მოხერხდა ზავის დადება. ეს კი იყო, რომ ამ ზავით, სომხეთი კონსტანტინოპოლის საკუთრებად გამოცხადდა. ჩრდილოეთიდან კი, იქიდან მოიერიშე ავარებთან და სლავიანებთან უხდებოდათ გამუდმებული ომები ბიზანტიელებს.

602 წელს კონსტანტინოპოლის სასახლის კარზე მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ მავრიკიოსი დაამხო და ტახტზე აიყვანა ფ ო კ ა, რომლის მმართველობა /602-610/ მთლიანად ტერორისტული იყო. მაშინ სპარსეთის შაჰმა *ხოსრო* II განაახლა ომი ბიზანტიასთან. სპარსელები მაშინ ზედიზედ დაეუფლნენ მესოპოტამიას, სირიას, მცირე აზიას. 608 წელს კი, მათ ხელთ იგდეს ზედ ბოსფორის სრუტის პირს, ქალაქი ქალკედონი და ამით პირდაპირ მიადგნენ სრუტის გადაღმა გაშლილ კონსტანტინოპოლს.

ბიზანტიის სატახტო შიშმა და პანიკამ მოიცვა. მაშინ 610 წელს, აფრიკიდან ჯარით მოიჭრა *ჰერაკლე*, ძე კართაგენის ეგზარქოსისა, ფოკა ჩამოაგდო და თვითონ დაბრძანდა იმპერატორის ტახტზე. დაბრძანდა, მაგრამ ვერაფერიც ვერ გააწყო. დასავლეთით, იტალიაში კვლავ განემტკიცნენ ლანგობარდები; ხოლო, ესპანეთში სულ ამოეკვეთათ ფეხი ბიზანტიელებს. აღმოსავლეთშიც - სპარსელებმა ზედიზედ დაიპყრეს ანტიოქია, აპამეა, კესარია, დამასკო; 615 წელს იერუსალიმსაც დაეუფლნენ და თავის სატახტო ქტესიფონში გაიტაცეს სახელგანთქმული წმიდა ჯვარი და სხვა

მრავალი ქრისტიანული რელიქვია, ჩრდილოეთიდან კიდევ ავარები მიადგნენ კონსტანტინოპოლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრთხე იქამდეც მივიდა, რომ ჰერაკლე კეისარმა იმპერიის სატახტოს გადატანაც კი გაიფიქრა - კონსტანტინოპოლიდან აფრიკაში, მაგრამ პატრიარქ *სერგის* ენერგიული ჩარევით, მისგან მთელი საეკლესიო ქონების საომარ - სახარჯოდ გადაცემით, იმპერატორმა მხნეობა დაიბრუნა და მალე გასაოცარი საქმეებიც განასრულა. საომარ ძალთა საოცრად სწრაფი რეორგანიზებით, მან უპირველესად უკუაქცია ავარები და სპარსელები კონსტანტინოპოლის სიახლოვისგან, უმალვე იერიშები განაახლა აზიისაკენ. შეუკავშირდა ხაზარებს და მათი თანადგომით 626 წელს დაეუფლა ტფილისს /გავიხსენოთ, ტფილისის დამცველები რომ გადმოსძახოდნენ ჰერაკლეს - წვერი თხას გიგავსო!/; ტფილისის მერე, აზერბაიჯანი წაართვა სპარსეთს, აზერბაიჯანის შემდეგ სომხეთი; ბოლოს თვითონ სპარსეთში შეიჭრა იმპერატორი, ჯერ გაიმარჯვა ნინევიასთან, მერე თვითონ სატახტო ქტესიფონთან. სპარსეთის მეფე ხოსრო მეორეც იმავ წელს მოკვდა და მისმა მემკვიდრეებმა, ბიზანტიის იმპერატორის კარნახით, 629 წელს, ხელი მოაწერეს ზავს, რომლის ძალითაც სპარსეთი ხელს იღებდა სპარსეთს გარეთ მისგან დაპყრობილ ყველა მიწაწყალზე.

იერუსალიმის წმინდა ჯვარი ჰერაკლე კეისარმა იერუსალიმს დაუბრუნა და ასე „ჯვაროსნული დიდებით" დაბრუნდა კონსტანტინოპოლს.

მაგრამ „მსოფლიო ბატონობის" ასპარეზზე ახალი „პრეტენდენტები" გამოჩნდნენ - *არაბები*, ახალი მსოფლიო რელიგიით - *ისლამით*, ანუ *მაჰმადის* სჯულით, *მუსლიმობით*.

634 წელს, არაბთა ხელმწიფე - ხალიფა *ომარი* სირიაში შეიჭრა, ბიზანტიელთა ჯარები გაანადგურა და დაიპყრო: 638 წელს - ანტიოქია, 639 წელს - მთელი მესოპოტამია, 640-642 წლებში სრულად ეგვიპტე.

ჰერაკლე კეისარიც მაშინ მოკვდა, ჯავრით და ავადმყოფობით. ტახტზე ავიდა მისი ძე, *კონსტანტინე II* /642-668/, რომელმაც ვერაფერი ვერ გააწყო არაბთა წინსვლის შესაკავებლად.

ხალიფა ომარის შემდეგ, მისი მემკვიდრე *ომაიანები* იპყრობენ ჩრდილოეთ აფრიკას, მცირე აზიას. იმავე ხანებში, VII

საუკუნის 40-იან წლებში /როგორც ზემოთაც ითქვა/, არაბებმა დაიპყრეს სომხეთი, დახარკეს ქართლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, 673 წელს, არაბებმა კონსტანტინოპოლზეც მიიტანეს იერიში. მაგრამ მაშინდელი იმპერატორი, *კონსტანტინე IV* /668-685/, უკვე ენერგიული ხელმწიფე, იგერიებს ამ შემოტევას. არაბები მაინც, კიდევ ხუთი წელიწადი /673-678/ უტევდნენ „დედამიწის ჭიპს“ ზღვიდან და ხმელეთიდან, მაგრამ ამაოდ. იმჟამად გამოგონილი „ბერძნული ცეცხლით“, ბიზანტიელებმა ყველა იერიში მოიგერიეს.

685 წელს კონსტანტინე IV მოკვდა და მომდევნო ექვსი იმპერატორის ხანა ისევ დაცემის დროჟამად იქცა ბიზანტიისთვის. არაბებმა ხელახლა დალაშქრეს და დაიჭირეს ბიზანტიის ადრინდელი სამფლობელონი აზიაში. დაიჭირეს კუნძულები - კვიპროსი და როდოსი. საბოლოოდ დაიჭირეს მთელი აფრიკა, ხოლო 711 წელს, აფრიკიდან გადალახეს სრუტე, რომელსაც აქამდე ერქვა ბერძენთაგან ათას ოთხასი წლის წინ დანათლული ჰერაკლეს სვეტები, ახლა კი ახალ სახელად დაარქვეს „გიბრალტარი“, ამ მეწინავე არაბული ჯარის სარდლის სახელისაგან - *ალტარიკ*.

მაშ, 711 წელს არაბებმა ფეხი შედგეს ევროპის მიწაზე, სრულად იპყრობენ ესპანეთს და იბატონებენ იქ მთელი 800 წელიწადი /საქართველოში კი - 400 წელიწადი/.

717 წელს არაბები ისევ მიადგნენ კონსტანტინოპოლს. ერთი წელი იგერიებდა ბიზანტიის სატახტო მუსლიმთა იერიშებს. ბოლოს, ისევ „ბერძნული ცეცხლით“ და ბულგარელთა მოკავშირეობით, კიდევ ერთხელ დაიხსნა თავი „ჭიპმან დედამიწისამან“.

ტახტზეც ახალი იმპერატორი ასულიყო, ახალი, *ისავრიელთა* /სირიელთა/ დინასტიის დამაარსებელი - *ლეონ III ისავრიელი* /717-740/, რომელმაც გაატარა სამხედრო რეფორმა: მთელი იმპერია დაჰყო *თემებად*, ანუ სამხედრო ოლქებად, სათავეში თავიანთი *სტრატიგებით*, სამხედრო მეთაურებით. რიგითი ჯარისკაცები, ანუ *სტრატიოტები*, მთელი ცხოვრებით მეომრებიც და გუთნისდედებიც, მათი მიწის ნაკვეთებით და ჯამაგირებით, თავისუფალნი ყოველგვარი გადასახადისა და ბეგარისაგან.

და, დაიწყო ლეონ ისავრიელმა კონტრშეტევები არაბების

წინააღმდეგ. დაიწყო და ჯერ დაიბრუნა კვიპროსი, მერე წარმატებით ილაშქრა სირიაში და ევფრატამდეც აღადგინა ბიზანტიის საბრძანებელი.

შემდეგ, ლეონმა წარმატებული ომები აწარმოვა ჩრდილოეთიდან მოწოლილ-მოიერიშე ბულგარელთა წინააღმდეგ. ასევე წარმატებით აღკვეთა მან სლავების აჯანყებანი თრაკიასა და მაკედონიაში.

ენერგიული და წარმატებული გამოდგა მომდევნო ხელმწიფეცლეონ III-ის ძე, *კონსტანტინე V* /740-775/, მიუხედავად იმისა, რომ მტრებს მისთვის *კოპრონიმი* /ნეხვი/ და კაბალინოსი /მეჯინიბე/ შეურქმევიათ. ასეთივე ღირსეული აღმოჩნდა იმპერიის ტახტზე კონსტანტინეს ძე, *ლეონ IV* /775-780/, რომელმაც 778-779 წლებში, ასიათასიანი არმიით ძლევამოსილად ილაშქრა აღმოსავლეთით და გარეკა არაბები სირიიდან და მცირე აზიიდან.

780 წელს, ლეონ IV-ის სიკვდილის შემდეგ, იმპერიის ტახტზე აღმოჩნდა მისი მცირეწლოვანი ძე, *კონსტანტინე VI*, ფაქტიური ხელისუფალი კი - მისი დედა, ქვრივი დედოფალი *ირინა*, რომელმაც ათი წელიწადი /780-790/ იმეფა, მაგრამ ხელმწიფობა ისე „გაუტკბა", უკვე დავაჟკაცებულ შვილსაც კი თვალები დაუშრიტა და ტახტიც ისევ თვითონ დაიპყრო; და ასე - ხუთი წელიწადი /797-802/ კიდევ იმეფა. ეს იყო დრო ბიზანტიის ახალი დაცემა-დამდაბლებისა. აღმოსავლეთიდან ისევ არაბებმა შემოუტიეს და კონსტანტინოპოლის სასახლეს, 798 წელს, ხარკის გადახდაზეც კი ხელი მოაწერინეს. ხოლო, დასავლეთით, 800 წელს რომში კარლოს დიდის იმპერატორად გამოცხადებით, კონსტანტინოპოლის საპირისპიროდ, ფაქტობრივად ისევ აღდგენილიყო დასავლეთ რომის იმპერია.

802 წელს, ირინა შეთქმულებამ დაამხო და კონსტანტინოპოლის ტახტზე დაჯდა *ნიკიფორე I* /802-811/. შემდეგ კიდევ შვიდი „უსახური" ისავრიელი გვირგვინოსანი და IX საუკუნის შუა ხანებში, ბიზანტიის უზენაესი ხელისუფლება დაიჭირა ახალმა, ენერგიულმა *მაკედონურმა* დინასტიამ, რომლის დამაარსებელი და პირველი იმპერატორი იყო *ბასილ I მაკედონელი* /867-886/. ეს დინასტია განსაკუთრებით თავს ისახელებს მომდევნო X საუკუნეში, გამორჩეული განსაკუთრე-

ბულობით კი, როცა თავიანთ ხელმწიფობას გადაიხდიან: *კონსტანტინე VII ძოწითმოსილი* /912-959/, *ნიკიფორე II ფოკა* /963-969/, *იოანე ციმისხი* /969-976/ და *ბასილ II ბულგართმჟლეტელი* /976-1025/.

ამ დროს შენელდა არაბული საფრთხენი აღმოსავლეთიდან, - შენელდა, რადგან სწორედ ამ დროს არაბთა ხალიფატი თვითონ დაიშალა ცალ-ცალკე ზედმეტნაკლები სიდიდის სახელმწიფოებად, ბიზანტია ისევ იბრუნებს კვიპროსს და კრეტას, სირიის დიდ ნაწილს ანტიოქიით. დასავლეთით - სამხრეთ იტალიაში, ბიზანტია კვლავ იპყრობს აპულიას და სიცილიას. ჩრდილოეთით ბიზანტიელები წარმატებით იგერიებენ ბულგარელებს.

ისევ X საუკუნეში, ბიზანტიელებს ახლო ურთიერთობა აქვთ კიევის რუსეთთან. 988 წელს კიევი ქრისტეს სჯულით მოინათლა სწორედ ბიზანტიელთაგან /ისე, როგორც მანამდე, 660 წლით ადრე - საქართველო/.

კულტურის კატალოგი



VI საუკუნეში /540-594/ ცხოვრობდა *გრიგოლ ტურელი*, ტურის ეპისკოპოსი, რომელმაც დაწერა „ფრანკთა ისტორია“, 10 წიგნად, ლათინურ ენაზე.

VIII-IX საუკუნეები - „კაროლინგური აღორძინების“ ხანა ფრანკთა ისტორიაში.

VI საუკუნეში ყალიბდება ანგლო-საქსური ხალხური პოეზია, რომელიც საფუძვლად დაედო VII საუკუნეში პოემად ჩამოყალიბებულ „ბოევულფს“.

VII საუკუნეში, იორკში ცხოვრობდა ინგლისელი *ბედა პატივცემული* /„ვენერაბილის“/, საეკლესიო ისტორიკოსი, მისი შრომებით - „ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორია“, „ეკლესიის მამათა ნაშრომების განმარტებანი“, „აბატთა ისტორია“ და სხვანი, - სულ, ორმოცამდე წიგნის ავტორი.

734-804 წლებში ცხოვრობდა *ალკუინი, ფლაკუს ალბინუსი*, ანგლო-საქსონელი მეცნიერი, საეკლესიო და პედაგოგიური მოღვაწე, რომელიც ბრიტანეთიდან გადასახლდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანკთა სახელმწიფოში, კარლოს დიდის კარზე, სადაც მან დააარსა აკადემია, კიდევ, ტურში სამონასტრო სკოლა. იყო ავტორი ფილოსოფიური, თეოსოფიური, რიტორიკული, მათემატიკური შრომებისა, იგავ-არაკებისა და ელეგიებისა.

IX საუკუნეში, ინგლისელი *ერიუგენა იოანე სკოტი*, ფილოსოფოს-თეოსოფოსი.

ბიზანტიის კულტურა, V საუკუნითვე, წინარე ანტიკური კულტურული მემკვიდრეობით ვითარდება.

IX საუკუნეში, კონსტანტინოპოლში არსებობას იწყებს *მაგნავრის* უმაღლესი სკოლა.

V საუკუნიდანვე ყალიბდება ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობა - *ნეოპლატონიზმი*, რომლის დიდი წარმომადგენელი იყო *პროკლე დიადოხოსი*.

VI საუკუნეში ცხოვრობდა ასტრონომი *კოზმა ინდიკოპლოვი*, რომელსაც დაუწერია „ქრისტიანული ტოპოგრაფია“.

VI საუკუნეში, იმპერატორ იუსტინიანეს კარზე, ცხოვრობდა ცნობილი ისტორიკოსი, *პროკოპი კესარიელი*, რომელმაც დაწერა „იუსტინიანეს ომების ისტორია“ 8 წიგნად, პანეგირიკი „აღმშენებლობათა შესახებ“ და „საიდუმლო ისტორია“.

678 წელს, ვინმე სირიელმა *კალინიკემ* გამოიგონა „ბერძნული ცეცხლი“, რომელსაც წყალი, ჩაქრობის ნაცვლად, აღვივებდა და აძლიერებდა კიდეც, და სწორედ ამ უცნაური „ცეცხლით“ იგერიებდნენ ბიზანტიელები მტერთა შემოტევებს.

532-537 წლებში, არქიტექტორთა - *ანთიმოზ ტრალელისა* და *ისიდორე მილეტელის* თავკაცობით, კონსტანტინოპოლში აშენდა მსოფლიო ხუროთმოძღვრების შედევრი - ტაძარი *აია სოფია*.

არაბული რელიგიური მოძღვრებისა და მოძღვარ მუჰამედის ცხოვრების მომთხრობელნი - *იბნ ისხაკი* და *იბნ ხიშამი*, პირველი - VIII საუკუნეში, მეორე - IX საუკუნეში.

ხოლო, ისტორიკოსი არაბთა ხალიფატისა - *ატ-ტაბარი* /IX ს/.

X საუკუნის ირანში - დიდი სპარსი პოეტი - ეპიკოსი, „შაჰნამეს“ ავტორი - *ფირდოუსი*.

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე - დიდი არაბი მეცნიერნი, *იბნ-სინა*, ანუ *აკიცენა* და *ალ-ბირუნი*.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

წინაბჭე 3

საქართველო ქრისტეს შობამდე

იქ, სადაც შუბლია დედამიწისა 4
ქვეყანა ოქროს საწმისისა 6
დიაოხი, კოლხა, სპერი 11
კოლხეთი და იბერია 12
ზეობა ფარნავაზისა 13
ფარნავაზის შემდგომ 17
სტრაბონის მონათხრობი 20

მსოფლიო ქრისტეს შობამდე

ნაკვეთი I. ძველი აღმოსავლეთი

ეგვიპტე 21
შუმერი და აქადი 25
ძველი ბაბილონია 26
ხეთების სახელმწიფო 27
სირია, ფინიკია, პალესტინა 28
ასურეთი 30
ურარტუ 32
ახალ - ბაბილონური სამეფო 33
ძველი ირანი 35
ძველი ინდოეთი 37
ძველი ჩინეთი 39

ნაკვეთი II. ანტიკურობა

კარი I. ანტიკური საბერძნეთი

გეოგრაფიული გარემო 41
„მინოსურ-აიეტური“ 42
ზღვაოსნობა. კოლონიზაცია 44
პოლისი 45
ათენი 46
სპარტა 49
ბერძენ-სპარსელთა ომები 51
ბერძნული კულტურა 55
საბერძნეთის დაცემა 59
მაკედონიის აღზევება 60
ალექსანდრე მაკედონელი 61
ელინიზმი ანუ ალექსანდრიზმი 69

კარი II. ანტიკური რომი

გეოგრაფიული გარემო 70
ძუ მგლისა და შვიდი მეფისა 71
„რესპუბლიკა“ 71
პატრიციები, პლებეები, მონები 73
რომი, რომ „ბატებმა იხსნეს“ 74
რომი - იტალიის მფლობელი 75
რომი და ხმელთაშუაზღვეთი 76
„პური და სანახაობა“ 81
ძმები გრაკხუსები 82
მარიუსი და სულა 84
სპარტაკი 87

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ „მითრიდატული“.....88
პომპეუსი და კეისარი.....89
კეისარი და კლეოპატრა.....92
„ვენი, ვიდი, ვიცი“.....92
კეისრის დიქტატურა და.. სიკვდილი.....93
ანტონიუსი და ოქტავიანე.....95
იმპერიის დასაწყისი.....97

საქართველო I-V საუკუნეებში

მობრძანება უფლის კვართისა.....98
ღვთისმშობლის წილხვდომილისა.....100
ზეობა ფარსმან პირველისა.....101
ფარსმანიდან ფარსმანამდე.....103
ზეობა ფარსმან ქველისა.....105
„მოქცევაი ქართლისაი“.....107
„სიბრძნის მდელო“.....113
ზეობა ვახტანგ გორგასალისა.....114
კულტურის კატალოგი.....118

მსოფლიო I-V საუკუნეებში

რომის იმპერია ქრისტეს წინარე და შემდგომ საუკუნეთა მიჯნაზე.....120
ჭკუაფრენია იმპერატორები.....122
ფლავიუსები.....125
ესპანელი იმპერატორები.....126
აუქციონი ტახტ-გვირგვინისათვის.....128
დომინატი.....129
„ამით იმარჯვებდე!“.....131
რომის დაცემა.....132
ჩინეთი და ინდოეთი I-V საუკუნეებში 134

საქართველო VI-X საუკუნეებში

ქართველები და ბიზანტიელები.....136
ქართველები და ხაზარები.....143
ქართველები და არაბები.....146
ზეობა არჩილ პირველისა.....148
ხაზართა სარძლო.....150
კონსტანტი კახი.....152
გობრონი.....154
ზეობა დავით კურაპალატისა.....156
კულტურის კატალოგი.....159

მსოფლიო VI-X საუკუნეებში

ფრანკთა სახელმწიფო.....160
ბრიტანეთი და სკანდინავია.....162
გერმანია.....163
ბიზანტია, სპარსეთი, არაბეთი.....164
კულტურის კატალოგი.....172

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი - გ. ხანდამიშვილი
კორექტორი - ნ. პაპოშვილი
სამხატვრო რედაქტორი - გ. ჩიქვანაია
კომპიუტერული წყობა - ა. კალაძე

•

შეკვ. № 59

გამომცემლობა „ᲓᲘᲐ“.
ქ. თბილისი ზანდუკელის ქ. №1.

სტამბა შპს „გაზეთი „საქართველოს მაცნე“
გრ. რობაქიძის გამზ. 7ᵃ

ეროვნული
ბიბლიოთეკა